ovchilakhoveli



№1, 2008

ხვითსხოველი

სამეცნიერო ისტორიული ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2009

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მის მაღალყოვლადუსამღვდელოებასთან, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველთან, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძესთან ერთად

სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი
Scientific-Historical Journal
სვეტიცხოველი
SVETITSKHOVELI



მაცხოვრის ამაღლების ტაძარის აღმოსავლეთის კედელი, VI საუკუნე, ცხვარიჭამია

© ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი
სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.

ISSN 1987-6874
გამომცემლობა “ “, 2009

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

საქართველოს საპატრიარქოს,
საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

eZRvneba uwmidessa da unetaress, sruliad saqarTvelos kaTolikos-patriarqs ilia meores

გამომცემელი:	მანგლისისა და წალკის ეპარქია, საქართველოს საინჟინრო აკადემია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრი
მთავარი რედაქტორი:	**მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:	**ვლადიმერ დოლიძე** **მამუკა მაცაბერიძე**
სარედაქციო საბჭო:	**ზურაბ გასიტაშვილი** **ივანე გორგიძე** **ვახტანგ გურული** **შალვა ნაჭყებია** **გივი ღამბაშიძე** **არჩილ ფრანგიშვილი** **ტარიელ ფუტკარაძე** **გურამ ჯავახაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	**ირმა ჯიშკარიანი**

“სვეტიცხოველის” რედაქცია ჟურნალის გამოცემაში თანადგომისთვის მადლობას უხდის კომპანია “ხუროთმოძღვარი 2005”-ის ხელმძღვანელს, ქალბატონ **ნინო გელაძეს**

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

ს ა რ კ ვ ე ვ ი :

საქართველოს ეკლესიის ისტორია და
ბიბლია - ისტორიოგრაფიული კვლევის უმნიშვნელოვანესი წყარო 1

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თეორია საქართველოს
ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა
ქება და დიდება ქართულისა ენისა

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ნაოსნობა, ნავთმშენებლობა და ნავმისადგომები
მდ. ჭოროხზე, ვეიდენბაუმის და ბაქრაძის მიხედვით

იოანე ზოსიმე
პატრიარქი ილია II უწმინდესის ქადაგებებიდან

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
ენა და სახელმწიფო

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
„მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა"

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
წმიდა კვართის ორდენი - პატრიარქს

პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე,
პროფ. მერაბ ნაჭყებია,
მთ. მეცნ. თანამშრ. მანანა ტაბიძე
გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

ივ. ჯავახიშვილის სახ.ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტ. უფრ. მეცნ. თანამშრომელი
როზეტა გუჯეჯიანი
„ერთობილნი სვანნი" საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ
დეკანოზი იოანე მარგიანი. ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობა
ვაჟა-ფშაველა
კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები

პროფ. ტარიელ ფუტკარაძე
ასომთავრული ანბანისა და ქართული სამწიგნობრო

ენის სათავე - ძვ.წ. II-I ათასწლეულებში არსებული
საერთოქართველური ენა

მერაბ ჩუხუა
ზოგი ქართული სამწერლო ტერმინის ისტორიისათვის
ისტორიული გეოგრაფია

ივანე ჯავახიშვილი
საქართველოს საზღვრები
გულის კულტურა

პატრიარქი ილია II
საადგომო ეპისტოლე (1991 წ.)

დეკანოზი თეოდორე გიგნაძე
საზოგადოებაში არსებული აგრესიის
მიზეზების საღვთისმეტყველო გააზრება

პროფ. ვახტანგ გურული
ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა
რწმენისა და ცოდნის სისტემური ურთიერთდამოკიდებულება

ÀÊÀÄ. È.Â. ÏÐÀÍÃÈØÂÈËÈ
Ñèñòåìíûå âçàèìîòíîøåíèÿ íàóêè è
ðåëèãèè, çíàíèÿ è âåðû

პატრიარქი ბართოლომეოს I
სიტყვა წარმოთქმული თსუ-ში
ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოებისას

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავისადმი
მიძღვნილი კონფერენციის მასალები
პატრიარქ ილია II-ს სიტყვა
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
პროფ. არჩილ მოწონელიძე
პროფ. არჩილ ფრანგიშვილი
პროფ. ზურაბ გასიტაშვილი
პროფ. იგორ კვესელავა
პროფ. ანზორ შავგულიძე
თეიმურაზ დუნდუა
პროფ. რაფიელ ჩიქოვანი
პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე
პროფ. ივანე გორგიძე
პროფ. შალვა ნაჭყებია
პროფ. გურამ ჩიმაკაძე
პროფ. ნანა ხაზარაძე

საქართველოს საინჟინრო აკადემიის მიმართვა

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის.

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდა მღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II -ის ხელდასმით მაშინდელმა „სრულიად საქართველოს საკათალიკოზოს საბჭომ" დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი"-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ – სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი" ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

ჟურნალის პირველი ნომერი მოიცავს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა სერიას საქართველოს წინაშე მდგომ ფუნდამეტურ პრობლემათაგან, და აღნიშნული, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ფუძემდებლურია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჟურნალი „სვეტიცხოველი" იწყებს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

მამუკა მაცაბერიძე
მთ. რედაქტორის მოადგილე

სისტემური მსოფლმხედველობის მშვენიერი ნიმუშია მიტროპოლიტ, პროფესორ ანანია ჯაფარიძის საისტორიო გამოკვლევა საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ, სადაც მკვლევარი ისტორიოგრაფიაში პირველად, იყენებს ბიბლიას, როგორც საისტორიო წყაროს, რამაც აღნიშნული პრობლემის (საქართველოს ეკლესიის ისტორია) სისტემური კვლევებისას საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება გააჩინა. გთავაზობთ მცირე ფრაგმენტს (შესავალს) წიგნიდან „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია".

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია

შესავალი

„წმიდა წერილის თანახმად, თავდაპირველად კაცობრიობა ერთ ხალხს, ერთ ეთნოსს წარმოადგენდა, ერთი სალაპარაკო ენით – „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი" (დაბ.11.1), ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდგომ კი უფალმა ღმერთმა ინება, რომ დედამიწაზე ეცხოვრა არა ერთ, არამედ მრავალ ერს, ყოფილიყო მრავალი ენა. წმიდა ბიბლიის თანახმად, ასე ჩამოყალიბდნენ დედამიწის პირველი ხალხები.

თითოეულ ერს მიეცა თავისი საპატრონო ნაწილი დედამიწისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება, ამასთანავე, ადამიანებს მიეცათ მოვალეობა მისი მოვლა-პატრონობისა, მტრისაგან დაცვისა. ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები, იქ მცხოვრებნი ერთმანეთის მიმართ თანამოქალაქენი (ძველქართულად ნათესავნი), მოყვასნი და მეგობარნი იყვნენ. ერისათვის თავდადება, მისთვის თავის გაწირვა ღვთისათვის სათნო საქმედ ითვლებოდა, რადგანაც ნაყოფი იყო სიყვარულისა, ღმერთი კი სიყვარულია. ბრძანებს კიდეც წმიდა წერილი: „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრისათვის" (იოანე 15. 13).

წმიდა ბიბლიის ცნობით, მსოფლიო წარღვნას მხოლოდ ერთი კაცის, ნოეს (Noah) ოჯახი გადაურჩა და მთელ კაცობრიობას ნოეს ძეებმა - სემმა, ქამმა და იაფეტმა დაუდეს საფუძველი. იაფეთის ძეებს შორის იხსენებიან ქართველთა წინაპრებიც: თობელი, მოსოქი და თორგამა;

თანახმად ბიბლიის დიდი კომენტატორისა - იოსებ ფლავიუსისა (Joseph Flavius) (37-101 წ.წ.) იაფეტის შთამომავლობა ასეთია: " იაფეტის ძენი: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშექი და თირასი" (დაბ.10. 2-3), ქართველთა ეთნარქების – თუბალის და მეშექის (მოსოხის) შესახებ ასევე მრავალ საგულისხმო ცნობას გვაწვდიან დიდი წინასწარმეტყველები იერემია და ეზეკიელი.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას (Simon Janashia, 1900-1947) კონცეფცია, ქართველთა ეთნოგენეზისის შესახებ ასეთია: "დაახლოებით 6000 წლის წინ, წინა აზიის უზარმაზარ მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთი, აპენინისა და პირინეის ნახევარკუნძულები) ერთი მოდგმის ხალხები ცხოვრობდნენ – ესენი ქართველთა წინაპრები იყვნენ, შემდგომ ამ

მოდგმის ხალხთა ადგილსამყოფელი თანდათან იზღუდებოდა". ამ დროისათვის ქართველები მეტყველებდნენ ერთი საერთო ენით, ქართველობა იმ ეპოქაში ერთიანი იყო და არ იყოფოდა იმ ჯგუფებად, რომელთაც ამჟამად კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, სვანებს, გურულებს, ხევსურებს და სხვ. ვუწოდებთ. ძველი ქართველები ქრისტესშობამდე 2000 წლის წინ კავკასიის გარდა ასევე ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და შუამდინარეთის ჩრდილო ნაწილშიც და მათ მრავალი სახელოვანი სახელმწიფო შექმნეს ძველქართულ ქვეყანათა შორის განსაკუთრებული სიდიადით ბრწყინავდა კოლხეთი. ჰომეროსი და ძველი მსოფლიოს მრავალი პოეტი ამკობდა მის დიდებას.

ჰეროდოტეს წინამორბედი, ჰეკატეოს მილეტელი (Hekataios ho Milesios) ლოგოგრაფოსთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მწერალი (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. VI-ს. მეორე ნახევარსა და V-ს. დასაწყისში) წერს: „მოსოხი კოლხური ტომია" - ეს მოსოხი იმ კოლხური ტომიდანაა, რომელიც კიმერიელთა იძულებით ჩრდილოეთიდან სამხრეთში ლაშქრობდნენ, მას შემდეგ რაც ქრისტესშობამდე 800 წლით ადრე კოლხეთს კიმერიელები (ჩრდილო კავკასიის იქითა სტეპების ტომები) შეესიენ, მათ ჯერ კოლხეთის სამეფო გაანადგურეს, შემდეგ კი სამხრეთის მრავალი ქვეყანაც დაიპყრეს – ისრაელამდე. კიმერიელებს აუყრიათ კოლხეთისა და სხვა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი და უიძულებიათ ისინი ელაშქრათ სამხრეთში სხვა ხალხების დასამორჩილებლად, ეს ლაშქრობა ყოფილა ხალხთა დიდი გადასახლება ჩრდილოეთიდან ისრაელამდე. ეს მოვლენა წმიდა ბიბლიაშიც აისახა.

ბრძანებდა უფალი წინასწარმეტყველის პირით: აჰა, მოვუხმობ ჩრდილოეთის ყველა ტომს, ამბობს უფალი, და ავამხედრებ ამ ქვეყანაზე, მის მცხოვრებლებზე და ირგვლივ ყველა ხალხზე" (იერემია 25.9).

ჩრდილოეთის ხალხების დიდი ლაშქრობა ისრაელისაკენ უფლის ნება ყოფილა. ამ ხალხთა შორის, ბიბლიის კომენტატორთა განმარტებით იყვნენ მოსოხისა და თუბალის" ხალხები (ქართველები), რომელნიც თურმე აიძულა გოგის (კიმერიელთა) ხალხმა მათთან ერთად ელაშქრათ სამხრეთში, მათ ისრაელის მთებამდეც კი მიუღწევიათ.

კოლხეთიდან გამოძევებულ ქართველობის სამხედრო არისტოკრატიას სამხრეთში დაუარსებია ახალი სახელმწიფო, რომელსაც უძველესი ქართული წყარო – „მოქცევაი ქართლისაი" უწოდებს „არიან-ქართლს"[1]. უცხოელები მას ასევე „ძველ იბერიას" უწოდებდნენ.

მალევე უფალ ღმერთს უნებებია, თანახმად წმიდა წერილისა, რომ სამხრეთში გადმოსახლებული ქართველები კვლავ უკან კავკასიაში დაბრუნებულიყვნენ.

---

1. არიან-ქართლი - "მოქცევაი ქართლისაის" გადმოცემით, ქართლის პირველი მეფის აზონის (აზოს) მშობლიური მხარე. ანონიმი ავტორი აღნიშნულ ქვეყანას ახსენებს ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით. მისი თხრობის თანახმად, მსოფლიოს დამპყრობელმა მცხეთის ტახტი გადასცა თავის თანამებრძოლს, „თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოი, ძე არიან-ქართლისა მეფისაი, და მას მიუბოძა მცხეთაი საჯდომად." იმავე თხზულებაში არიან-ქართლი მეორედ სულ სხვაგვარად ფიგურირებს: „ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაი სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას." „მოქცევაი ქართლისაი"-ს არა აქვს განსაზღვრული არიან-ქართლის მდებარეობა. ლეონტი მროველი არიან-ქართლს სხვა სახელით მოიხსენიებს. ფარნავაზიანთა ბრძოლას გარიდებული "წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს, და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა". ლეონტი მროველის თხრობის საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ „მოქცევაი ქართლისაი"- ს არიან-ქართლი იყო კლარჯეთი. სახელწოდება არიან-ქართლი მიჩნეულია „ირანის ქართლის" შესატყვისად. არიან-ქართლში სპარსეთის ერთ-ერთ სატრაპიაში შემავალი ქართული მხარე უნდა იგულისხმებოდეს. ასეთი ვარაუდის საშუალებას იძლევა ჰეროდოტე, რომლის თანახმადაც საქართველოს გარკვეული ნაწილი, მართალია, აღიარებდა აქემენიდების უზენაესობას, მაგრამ ადმინისტრაციულად მის დაქვემდებარებაში არ შედიოდა. არიან – ქართლი ქართული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი წარმოადგენდა ქართველურ ტომთა შორის ყველაზე დაწინაურებულ მხარეს, რომლის ბელადსაც, დიადოქოსების ომის პერიოდში, მთელ საქართველოზე ბატონობის პრეტენზიები გაუჩნდა. (რედ.)

წმიდა წერილის თანახმად, ჩრდილოეთის ხალხების სამხრეთში გადასახლება და შემდეგ მათი უკან დაბრუნება ღვთის დიადი გეგმის ნაწილი იყო, რათა ჩრდილოეთის ხალხებს ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი, რომელსაც ნებავდა არა ხალხების სიკვდილი და გაქრობა, არამედ გაწვრთნა - მიხვდებიან ხალხები, რომ მე უფალი ვარ, რომ წმიდა ვარ ისრაელში" (ეზეკიელი 39.7) ანდა - წამოგიყვან ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა, როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ, მათ თვალწინ" (ეზეკიელი 38.16).

ბიბლიის კომენტატორები, მათ შორის, ეკლესიის ისტორიის მამად წოდებული ევსევი კესარიელი (Eusebius Caesariensis 260-339) და წმ.იოანე ოქროპირის (St. Johannes Chrysostomos 347 - 407) საუკეთესო მოწაფე თეოდორიტე კვირელი (Theodoret from Kyros 393 - 466), ეზეკიელის აღნიშნული მუხლების განმარტებისას წერენ, რომ ქართველი ტომების უკან დაბრუნება უფალმა ინება ბაბილონის მეფე, ნაბუქოდონოსორის (Nebuchadnezzar) ხელით: „ნაბუქოდონოსორმა (დაბადებული უნდა იყოს ქრისტესშობამდე 630 წელზე უფრო ადრე), რომელიც ჰერაკლეზე უფრო ძლიერი იყო, ჯარი შეკრიბა, მიაღწია იბერთა ქვეყანას, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა. მათგან ერთი ნაწილი გადაასახლა მან პონტოს (შავი) ზღვის მარჯვენა მხარეს" (გეორგიკა I, 1961, გვ.30). ამავე ცნობის გადმოცემისას, ევსევი კესარიელი, ეყრდნობოდა ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეების ისტორიკოსს - მეგასთენეს. ესე იგი, სადღაც სამხრეთში (წინა აზია), ძვ.წ. VI-IV ს.ს.-ში არსებობდა ქართველთა ქვეყანა - ძველი იბერია (ივერია), რომლის ხალხის ერთი ნაწილი გადმოუსახლებიათ უკან თავის სამშობლოში, ისტორიულ კოლხეთში, კერძოდ კი, „პონტოს (შავი ზღვის) აღმოსავლეთ მხარეს" ანუ თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც, ცხადია, იქამდეც ცხოვრობდა მკვიდრი ქართველობა, მაგრამ ახლა უკვე პოლიტიკური ცენტრების უკან, ჩრდილოეთში გადმოტანის შემდგომ გაძლიერებულა და კავკასიაში შეუქმნია პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. ამ სამეფოს დამფუძნებელი ქართლის ცხოვრების" თანახმად იყო მეფე ფარნავაზი, მოსახლეობა ერთი ეთნოსი იყო, ერთი სახელმწიფოსა და ენის მქონე. ამ ქვეყნის მკვიდრი ეგრისელები(მეგრელები), გურულები, სვანები, მარგველები (შემდეგდროინდელი იმერლები), ჰერ-კახნი, ქართლელები და სხვა ქართული ტომები - ერთი ხალხი იყო. ძველი სომეხი ისტორიკოსი უხტანესი მათ შესახებ წერს: პონტოს ზღვის პირას დაბინავებულები (ძველი ივერიიდან" ჩრდილოეთში გადმოსახლებულები) გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ივერთ უწოდებდნენ, აქ კი ქართველნი ეწოდათ... გამრავლდა ზღვის პირას, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, და შეიქმნა ფრიად დიდი ხალხი" (უხტანესი; განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა", გვ.67).

ქრისტესშობამდე 400-300 წლით ადრე ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომით შექმნილ ფარნავაზის სამეფოში შედიოდა 8 საერისთავო: ეგრისი, არგვეთი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ოძრახე და კლარჯეთი. საქართველოს სახელმწიფო აერთიანებდა ქვეყნის ორივე გეოგრაფიულ ნაწილს - აღმოსავლეთს და დასავლეთს, მას ქართლის სამეფო" ერქვა. ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული" (ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ.26, თბილისი 1955-59 წ.).

უფლის ამაღლების შემდეგ, სულიწმიდის მოფენისას, მოციქულებს მიეცათ იმ ხალხთა

ენების ცოდნა, რომელთა ქვეყნებშიც უნდა ექადაგათ მათ. წმ. ანდრია პირველწოდებულს მიეცა ქართული ენის ცოდნა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ის თავის წილხვედრ ივერიაში ანუ საქართველოში გამოგზავნა.

IX ს-ში საბერძნეთში ოლიმპოს (ულუმბოს) წმიდა მთის მონასტერში იღვწოდნენ ქართველი ბერები და ღმერთს ქართული ენით ადიდებდნენ, მაგრამ ბერძნებმა ქართველებს აუკრძალეს ქართული ენით ლოცვა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მონასტრის ბერძენ წინამძღვარს და უბრძანა: „რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან".

X ს-ის ბოლოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ყმაწვილ, მომაკვდავ, ექვთიმე ათონელს, მიხედა მის სნეულებას და უთხრა: აღსდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი", ამის შემდეგ ქართული სიტყვა მისგან ვითარცა წყარო ამოდიოდა უწმინდეს ყოველთა ქართველთა". ყოვლადწმიდა ღვთისმშობელის მეოხებით წმ. ანდრია პირველ-წოდებულის მიერ საქართველოში ღვთისმსახურებისათვის დანერგილი ქართული ენით ადიდებს უფალ ღმერთს ქართველი ერი ათასწლეულთა მანძილზე.

სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტ ანანიას სიტყვა

წმიდა კვართის ორდენი - პატრიარქს

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის „წმიდა კვართის" ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით (14.10.2008).

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ,

დღევანდელ დღეს განსაკუთრებული რუდუნებით ელოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები. ჩვენი ეკლესიის მღვდელმთავრებს, წმიდა მიტროპოლიტებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, და მათი სახით სრულიად საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, სურვილი აქვთ დღეს აღისრულონ დიდი ხნის ოცნება, გამოხატონ განსაკუთრებული სიყვარული, შვილური მოკრძალება თქვენს მიმართ, თქვენი წმიდა ნახევარსაუკუნოვანი დაუცხრომელი მოღვწეობის მიმართ და მოგიძღვნან თქვენს შრომასთან შედარებით მართალია მცირე, მაგრამ გულწრფელი ჯილდო, რომელსაც ეწოდება „წმიდა კვართის ორდენი".

წმიდა სინოდის წევრების თვალსაზრისით „კვართის ორდენი" არის და იქნება საქართველოს მართლმადიდებელი, სამოციქულო ეკლესიის ყველაზე უფრო საპატიო ჯილდო, განსაკუთრებული ღვაწლისა და წარჩინების ნიშანი, რომლითაც დღემდე არავინ დაჯილდოვებულა.

ჩვენი წმიდა მღვდელმთავრები დიდხანს მსჯელობდნენ მისი სახელდების შესახებ, და ბოლოს გადაწყდა მისთვის „წმიდა კვართის ორდენის" წოდება. მართლაც, საქართველოს უდიდესი და უპირველესი სიწმიდე, გონებამიუწვდომელი საგანძური არის წმიდა კვართი ჩვენი უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი, რომელიც ღვთის მოწყალებით საუკუნოდ მოებარა ჩვენს ქვეყანას და დაკრძალულია სვეტიცხოვლის ამ წმიდა ტაძარში. წმიდა კვართს, I საუკუნეში, თავისი ხელით შეეხო საქართველოს მეფე ადერკი, რითაც კურთხევა მიიღო მან და საქართველოს მმართველმა სამეფო დინასტიამ, უფლის წმიდა კვართზე დაეფუძნა სამოციქულო საყდარი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლისა, უფლის კვართს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო წმიდა ნინომ, ქართველთა განმანათლებელმა, რადგანაც კვართი ნიშანია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის მთლიანობისა,

მუდმივი სიქადული ჩვენი ქვეყნისა. კვართი არ გაუყვიათ, არ დაუნაწილებიათ, რადგანაც მას მამისაგან მაღლით ერთიანობა ჰქონდა მიცემული. კვართის მთლიანობა მოასწავებს მისი მცველი ქვეყნისა და ერის ერთიანობასა და მთლიანობას. კვართის საიდუმლოთი უფალმა ერთიანობაზე მიგვანიშნა.

თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, საქართველოს ერთიანობას, მისი ერისა და ეკლესიის მთლიანობას მიუძღვენით თქვენი ხანგრძლივი 30-წლიანი საპატრიარქო მმართველობის წლები, იქამდე კი სამღვდელმთავრო მოღვაწეობისა, ამიტომაც ორდენისათვის „წმიდა კვართის" სახელდება გადაწყდა.

მე ბედნიერი ვარ გავახმოვანო წმიდა სინოდის განჩინება აღნიშნულთან დაკავშირებით.

უწმიდესიისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია მეორის სიტყვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის 5 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე

მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ერთად და აღვნიშნავთ თეოლოგიის კათედრის დაარსების 5 წლისთავს. ბევრი რამ გაკეთდა ამ 5 წლის მანძილზე. მე მახსოვს ის დრო, როცა ტექნიკური უნივესიტეტი როგორღაც შორს იდგა ზოგიერთი ფასეულობებისაგან, რაც საუკუნეების მანძილზე ქართველმა ხალხმა შეადგინა. ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან ცუდ დროს, იმ დროს, რომელსაც ეწოდება გლობალიზაციის პერიოდი.

გლობალიზაციის პერიოდი, თქვენ მოგეხსენებათ, ეს ტექნიკური და გარდაუვალი პროცესია. ეს არის გამოწვეული იმ მეცნიერული და ტექნიკური მონაპოვარით, რომელიც მოიპოვა კაცობრიობამ. უფრო იოლი კავშირია სახელმწიფოთა შორის და უნდა ითქვას რომ გლობალიზაციას აქვს მრავალი ასპექტი. როცა ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციის პროცესს, ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ სად არის სუბიექტი და სად არის ობიექტი, ობიექტი ძალიან ხშირად ერებია და ეს სუბიექტი ცდილობს თავისი იდეები მოახვიოს თავს ამ ობიექტს და ამოიღოს ის ეროვნული, თუ ზნეობრივი, თუ სულიერი მონაპოვარი, ფასეულობანი, რომელიც საუკუნეების მანძილზე შეაგროვა ამ მცირე ხალხმა. ეს ძალინ საშიშია ჩვენთვის. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა არის მისაღები და რა არ არის მისაღები, რა არის ნამდვილი კულტურა და რა არის ფსევდო კულტურა, აი ამას ემსახურება ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვცდილობთ, რომ როგორღაც დავეხმაროთ ხალხს აი ამ გარჩევაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ხუთმა წელმა, რომლის დროსაც აქ დიდი მუშაობა მიდიოდა, თავისი კარგი შედეგი გამოიღო და პირველყოვლისა მინდა მადლობა ვუთხრა მეუფე ანანიას და ამ კათედრის მუშა ჯგუფს იმ დიდი შრომისათვის რასაც თქვენ ეწევით აქ, ტექნიკურ უნივერსიტეტში. მე გილოცავთ ამ თარიღს და დარწმუნებული ვარ, რომ ის პრობლემები, რომელთა წინაშე დგას დღეს საერთოდ განათლება და, კერძოდ ტექნიკური უნივერსიტეტი, იქნება დაძლეული და დადებითად გადაწყდება მომავლის საკითხი, რომელიც თქვენს წინაშეა. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია მუდამ თქვენში იყო და იქნება. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ. დიდი პატივისცემით მე მინდა გადავცე ბატონ არჩილს, რექტორს, ეს უნიკალური გამოცემა, რომელსაც ეწოდება „ნათელი ქრისტესი საქართველო". ღმერთმა დაგლოცოთ.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის სიტყვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ!
თქვენო აღმატებულებავ ბატონო რექტორო! ბატონებო და ქალბატონებო!

ხუთმა წელმა განვლო თეოლოგიის კათედრის დაარსებიდან, მართალია, ეს არაა დიდი დრო, მაგრამ ჩვენი კათედრის მეგობრებმა - პროფესორ-მასწავლებლებმა და ასევე ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს თარიღი, რადგანაც მიაჩნიათ, რომ კათედრის დაარსება გარკვეულწილად მნიშვნელოვანი მომენტი იყო. მათ მიერ გამოთვლილ იქნა, რომ ხუთი წლის მანძილზე კათედრის მიერ თეოლოგიის საფუძვლების ლექციების კურსი მოისმინა 30 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შთამბეჭდავი რიცხვი. მართლაც, თეოლოგიის კათედრის დაარსების დროს, XXI ს. დასაწყისში, ჩვენი საზოგადოება გარკვეულწილად ჯერ კიდევ იმყოფებოდა ათეისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ, ამ ვითარებაში თეოლოგიის კათედრას ფუნქციური დატვირთვაც მიენიჭა.

მისი უწმიდესობის კურთხევით კათედრის პედაგოგ-მასწავლებლებად მოწვეული იქნენ საქართველოს გამორჩეული მოღვაწეები და სასულიერო პირები, მათ დაეკისრათ ღვთის-მეტყველების საფუძვლები გაეცნოთ ახალგაზრდებისათვის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თბილისელების გარდა აგრეთვე სწავლობს რეგიონებისა და მთიანი რაიონების მკვიდრი მრავალი სტუდენტი, რომელთაც, იქამდე არავითარი შეხება და ურთიერთობა არ ჰქონიათ სასულიერო პირებთან, ხოლო მასმედია და ტელევიზია პირიქით ათეული წლების მანძილზე სასულიერო პირებს წარმოაჩენდნენ ვითარცა არასერიოზულ და უპასუხისმგებლო ადამიანებს, ასეთ ფონზე თეოლოგიის ლექციებმა იქამდე შეუვსებელი ნიში დაიკავა. ამ ლექციების დროს სასულიერო პირებთან პირადი კონტაქტების მეშვეობით სტუდენტები დარწმუნდნენ, რომ ისინი არიან მათთვის მზრუნველი და მათი მოყვარული ნამდვილი სულიერი მამები. ამასთანავე ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება შეეფასებინათ და ერთმანეთისათვის შეედარებინათ, ერთი მხრივ მასმედიის ზნეობრივი ნიჰილიზმის დამამკვიდრებელი მასალები და, მეორე მხრივ, სულიერი მამის მიერ ნაჩვენები, ღვთის მცნებებზე დაყრდნობილი ზნეობრივი გზა. ამით მათ მიეცათ არჩევანის გაკეთების საშუალება. „გზა ორია", ნაბრძანებია 12 მოციქულის სწავლაში, რომელსაც ასევე დიდაქე ეწოდება, „გზა ორია - ერთი კეთილისა და ერთი ბოროტისა, მე მოგიწოდებ, ბრძანებს მოციქულის პირით უფალი - აირჩიე კეთილი". ამიტომაც ვფიქრობ: ის, რომ თეოლოგიის კათედრამ სტუდენტებს საშუალება მისცა არჩევანისა და რომ 30 ათასზე მეტ სტუდენტს საშუალება მიეცა პირადი კონტაქტი დაემყარებინა ჭეშმარიტების მასწავლებლებთან, ეს, მართლაც, მნიშვნელოვანი მომენტია. მათ შორის მრავალი

ეკლესიური გახდა, მიიღო მადლი აღსარებისა და ზიარებისა.

თეოლოგიის საგნობრივი ჯგუფის მიზანია გამოუმუშავოს სტუდენტს უნარი, ვითარცა საქართველოს მოქალაქეს, განსაზღვროს თავისი ადგილი მსოფლიოში ისტორიული, რელიგიური და კულტურული რეალობების გათვალისწინებით, მიაწოდოს მას ცოდნა და ინფორმაცია, ამასთანავე დაეხმაროს, რათა გამოიმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც მოამზადებს მას (სტუდენტს) აქტიური მოქალაქეობისათვის, პასუხისმგებლობის გრძნობით სამშობლოს წინაშე, რათა შეიცნოს საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესები, გამოიმუშაოს პატივისცემა და შემწყნარებლობა საკუთარი და სხვა კულტურების (მათი წარმომადგენლების) მიმართ, ამასთანავე განუვითარდეს, გაუღრმავდეს, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ღირსება და სამართლიანობა.

თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის პროგრამა ისეა შედგენილი, რომ ლექტორი იცავს სტუდენტის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებას და არ ერევა სტუდენტის უფლებაში, რომ ნებაყოფლობით აირჩიოს სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობა; შესაბამისად, შეუძლებელია ლექტორს დაეკისროს ისეთი ვალდებულება, რომლითაც ის შელახავს სხვათა უფლებას. დაუშვებელია პროზელიტიზმის რელიგიური მიზნებისათვის გამოყენება, მაგრამ, ამასთანავე, ლექტორი მოვალეა ისაუბროს სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეიმეცნონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების მნიშვნელობა.

ლექტორი თანასწორობის საფუძველზე იცავს უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლებას - შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება და რწმენის თავისუფლება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით (Ð1-16-01/13399.17.08.2006) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" (მე-3, მე-8, მე-13, მე-18 მუხლები) და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი", რომელიც გაფორმდა 2005 წლის 22 იანვარს, რომლის თანახმადაც ამ მემორანდუმის პირველი „ბ" მუხლის შესაბამისად შემუშავებული არის თეოლოგიის კათედრის საგნობრივი ჯგუფის ერთი ნაწილის სახელმძღვანელოები და პროგრამა.

თეოლოგიის დარგთაგან უძველესი ხანიდანვე საქართველოში გამორჩეულად შეისწავლებოდა საისტორიო ღვთისმეტყველება, თუმცა არც მისი ეგზეგეტიკური, სისტემატური და პრაქტიკული ნაწილები იყო უყურადღებოდ დატოვებული.

საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია, სწავლობდა ქრისტიანულ საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების – პატროლოგიის, სიმბოლიკის, საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენდა.

მაცხოვარი ბრძანებს: „სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ" (იოანე, 8, 32).

წმინდა მამები კი აღნიშნავდნენ: „თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან" (III მსოფლიო კრების მერვე კანონი, „დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ.267).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინების შემდეგ ქართველთა ევროპულ ოჯახში საბოლოოდ დასამკვიდრებლად უთუოდ უნდა გავამრავლოთ უდიდესი სიმდიდრე ქართველი ერისა, გავაძლიეროთ უდიდესი ეროვნული საგანძური – ქრისტიანობა.

ევროპა, ძირითადად, ქრისტიან ერთა კავშირი არის, ამ კავშირის ბუნებრივი წევრი არის საქართველო უკვე 2000 წელია წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდგომ. იმედი გვაქვს თეოლოგიის კათედრა მისი უწმიდესობის ლოცვით ერის ამ სიმდიდრეს კიდევ უფრო გაამრავლებს.

ბოლოს, კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას ვწირავთ მის უწმიდესობას თეოლოგიის კათედრის კურთხევისათვის, იმედი გვაქვს ღვთის დიდი მოწყალებითა და მისი უწმიდესობის ლოცვით თეოლოგიის კათედრა იქცევა მნიშვნელოვან სასულიერო და კულტურულ ცენ-ტრად. უღრმესად ვმადლობთ ათეულობით პროფესორ-მასწავლებლებსა და მოღვაწეებს, რომლებმაც მართლაც, თავდადებულად იშრომეს თეოლოგიის კათედრის დასაარსებლად და მის გასაძლიერებელად. უღრმესად გმადლობთ და გლოცავთ მისი უწმიდესობის ლოცვით.

საკრალური მნიშვნელობის მატარებელია ადამიანის გული და გულის კულტურას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ყოვლისმომცველია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სისტემური შეხედულებანი ადამიანის გულის შესახებ: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გულის კულტურას. გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი; აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. ჩვენი გონება გარედან მიღებულ ინფორმაციას აგზავნის გულში, აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რომელიც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გრძნობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა.
ასე რომ, გულში ყალიბდება და მწიფდება პიროვნების ზნეობრივი საფუძვლები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს.”

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე[1]

საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს

`sagalobel yavT saxeli uflisa, rameTu didebulni qmna, amcneT eseni... yovelsa qveyanasa~

(ესაია12,5),

„მშვიდობა თქვენთანა”, - პირველად ამ სიტყვებით აკურთხა აღდგომილმა მაცხოვარმა თვისი მოწაფენი. ამ სიტყვებითვე მიმართავს იგი დღეს მთელ კაცობრიობას, ბოროტების წყვდიადში, ომისა და ძალადობის მორევში დანთქმულ თითოეულ ჩვენგანს. და თუ შენ ქრისტიანი ხარ, გახსენ გულის კარი და იგრძნობ, უფლის ეს დალოცვა, როგორ უწამლებს შენი სულის შეუხორცებელ, ღია ჭრილობებს.

„ნუ ესავთ მთავართა, ძეთა კაცთასა, რომელთა თანა არა არს ცხოვრებაი... ნეტარ არს, რომლისა ღმერთი იაკობისი შემწე არს მისსა და სასოება მისი არს უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა” (ფსალმუნი 14,3,5).

ჭეშმარიტად, ერთადერთი იმედი და მხსნელი ჩვენი უფალია.

ძმანო და დანო ჩემნო, უფლის იმედითა და სიყვარულით აღვსილი გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქ რ ი ს ტ ე ა ღ დ გ ა !

გწამდეთ ღვთისა და სასოებდეთ მას და ტანჯვა თქვენი სიხარულად შეგეცვლებათ.

წმინდა მამების სწავლებით, სულის ხსნის გზა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

უნდა განგეშორთთ ცოდვას;

1. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/epistoleebi/saagdgomo1991.htm

ხოლო თუ შევცოდებთ, სინანულით უნდა განვიწმინდოთ;

მაგრამ თუ გულწრფელად ვერ მოვინანიებთ, მწუხარებას შეგვამთხვევს უფალი, რათა დანაშაული გამოვისყიდოთ.

ჩვენში უმრავლესობა, ალბათ, მესამე კატეგორიას ეკუთვნის, ამიტომაც განსაცდელი და მწუხარება არ გვტოვებს. მაგრამ გვწამს, მაცხოვარივე მოგვცემს ძალას მათ დასაძლევად. მთავარია, შეჭირვების ჟამს არ დავკარგოთ ღვთისაგან ნაბოძები მადლი, მადლი სიყვარულისა და მუდამ გვახსოვდეს წმინდა ბასილი დიდის სიტყვები: ბოროტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, მას მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით შეიძლება უწამლო.

წარსული თავისი ცოდვა-მადლით უკვე განგვშორდა. ჩვენ ახლა აწმყოსა და მომავალზე უნდა ვიფიქროთ.

ერთ-ერთმა დიდმა მეცნიერმა სიტყვა „დღეს" ქვაზე ამოკეთა და საწერ მაგიდაზე დაიდო, რათა თავისი თავისთვის მუდამ შეეხსენებინა, რომ ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი დღევანდელი დღეა. დღეს მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ყველაფერი კარგი და დიადი, რადგან ხვალ შეიძლება უკვე გვიანი იყოს. თუ ამ წესით ვიცხოვრებთ, ჭეშმარიტ გზაზე დავდგებით.

ჭეშმარიტების ძიება ადამიანის სულის თვისებაა და ეს პროცესი მას აუცილებლად მიიყვანს ღმერთამდე - აბსოლუტურ ჭეშმარიტებამდე და მოყვასის სიყვარულამდე. ჭეშმარიტების გარეშე არ არსებობს მომავალი, არ არსებობს ნამდვილი სიხარული, ცხოვრებას არა აქვს აზრი. უფალი ბრძანებს: „სცნათ ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ" (იოანე 8,32).

დღეს თითოეული ჩვენგანი ოცნებობს თავისუფლებასა და მშვიდობაზე. სუვერენული სახელმწიფო, - ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გვესმის ადამიანთა საუბრისას. ის კი გვავიწყდება, რომ ამასთან ერთად სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს სამართლიანი. სამართლიანობის გარეშე, რწმენისა და სიყვარულის გარეშე მშვიდობა ვერ დამყარდება. ქვეყანა, რომელიც ამ კანონებით არ ცხოვრობს, ჯოჯოხეთად იქცევა თავისივე ხალხისთვის. სრულყოფილი და სამართლიანი სახელმწიფო რომ შევქმნათ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები უნდა აღვზარდოთ სიყვარულის, რწმენისა და სამართლიანობის პრინციპებით. მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, საიდან და როგორ დავიწყოთ აღზრდა.

ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, ფსიქოლოგები თვლიან, რომ ამ საქმეს ბავშვის დაბადების პირველი დღიდანვე უნდა შევუდგეთ. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია, ცოდნის მიცემასთან ერთად, გრძნობათა აღზრდაზეც ვიზრუნოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გულის კულტურას. გული არის ადამიანის სულიერი და ხორციელი სიცოცხლის შეერთების ადგილი; აქედან მომდინარეობს კეთილი და ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი. ჩვენი გონება გარედან მიღებულ ინფორმაციას აგზავნის გულში, აქ ხდება ყოველივე ამის სამართლიანი ან უსამართლო განსჯა, რომელიც შემდეგ ჩვენს მოქმედებაში ვლინდება. გული არის ცენტრი მრავალგვარი სულიერი გრძნობისა, სხვადასხვა განცდისა, ცხოველური ვნებისა.

ასე რომ, გულში ყალიბდება და მწიფდება პიროვნების ზნეობრივი საფუძვლები, რომელნიც შემდეგ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს.

წმინდა მეფე დავითმა, ფსალმუნთა შემქმნელმა, მშვენივრად იცოდა გულის მნიშვნელობა, იგი ასე შესთხოვს შემოქმედს: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე

გვამსა ჩემსა” (ფსალმუნი 50,12).

გული, - ეს არის ადამიანის ყველაზე დიდი სიწმინდე, კვარცხლბეკი უზესთაესისა, ტაძარი სულისა წმიდისა. ამიტომაც მიმართავს უფალი თითოეულ ჩვენგანს: „მომეც მე, შვილო, გული შენი” (იგავნი 23,26).

ამის შესახებ დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობთ, რომ მშობლები ანდა პედაგოგები როცა შვილს ან მოსწავლეს ამა თუ იმ კეთილ რჩევას აძლევენ, ხშირად მათი ნათქვამი რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. უფროსების დარიგება, ახსნა, მტკიცება უმეტეს შემთხვევაში უნაყოფოა, რადგან თავიდანვე დაშვებული აქვთ ერთი დიდი შეცდომა: მათ ვერ შეძლეს ბავშვის გულის კარის გაღება. გული კი მსოლოდ სიყვარულით იხსნება.

მშობელმა თუ მასწავლებელმა, უპირველეს ყოვლისა, მსმენელთა სიყვარული უნდა დაიმსახუროს და გასაღებიც მის ხელში იქნება; გააღე გული, შედი შიგ, დაამყარე წესრიგი და შენი გემოვნებით განალაგე ყოველი; ხელის შემშლელი არ გეყოლება.

მაგრამ სიყვარული რომ დავიმსახუროთ, ჯერ ჩვენ უნდა შევიყვაროთ ბავშვი ნამდვილი სიყვარულით. დიდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბავშვის მოტყუება შეუძლებელია. იგი გაცილებით იმაზე მეტს გრძნობს, ვიდრე ჩვენ გვგონია. (ადამიანებს შორის ხომ, გარდა ხილულისა, თვალისთვის შეუმჩნეველი სულიერი კავშირიც მყარდება).

მაინც რა არის სიყვარული?

შესანიშნავად წერს ფილოსოფოსი პლატონი: „ერთიანობის, მთლიანობის დაუოკებელი სურვილი და მისდამი სწრაფვა არის სიყვარული” (პლატონი, მ. 1990, ტ. II, გვ. 120). მაგრამ სიყვარულის არსს ყველაზე ღრმად და ნათლად მაინც წმიდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი განმარტავს. „საყვარელნო, ვიყუარებდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველი, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ არს და იცის ღმერთი, რომელსა არა უყვარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს” (I იოანე 4,9).

სიყვარულით უნდა აღვზარდოთ და სიყვარული უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს. ადამიანის სიცოცხლის მთავარი აზრიც ის არის, რომ უყვარდეს სხვა, უყვარდეს ღმერთი, უყვარდეს ბუნება, უყვარდეს კეთილნი და ბოროტნი, უყვარდეს ყველა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია, სხვებსაც ვუყვარდეთ.

რით დავიწყოთ? - ყველაზე მცირით, ერთი ადამიანით.

შენს დამოკიდებულებას ამ პიროვნებისადმი უნდა განსაზღვრავდეს არა ვალდებულება, არამედ სიყვარული, მასთან სულიერი ერთობის სურვილი. სხვა ადამიანში, თუნდაც ყველაზე შეუმჩნეველში, ან ცოდვით დაცემულში, უნდა სცადო, დაინახო ღვთის ბრწყინვალების ანარეკლი, - მისი კარგი თვისებები და ასე შეიყვარო იგი.

შენს მოქმედებას საფუძვლად სიყვარული დაუდე და გახსოვდეს, მთავარი ის კი არ არის, რამდენს გაიღებ გაჭირვებულის დასახმარებლად, არამედ ის, თუ სიყვარულის რა წილს ჩადებ შენს მიერ გაკეთებულ კეთილ საქმეში. ღვთის სახელით სიყვარულით აღსრულებული კეთილი საქმე მეტად დიდი მადლია წინაშე უფლისა,

ამ ეპისტოლეში მინდა შევეხო ჩვენი მოზარდი თაობის პრობლემას, აღზრდის საკითხს ოჯახსა და სკოლაში, საშუალო სკოლის საგანმანათლებლო კურსს და იმ ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხს რომელიც დღეს დგას ჩვენს წინაშე.

პრობლემები ბევრია და ხშირად არც ვიცით, საიდან დავიწყო მათი მოგვარება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მოზარდების მიმართ დიდად სცოდავენ როგორც ოჯახი, მშობლები, ისე სკოლა და პედაგოგები.

ოჯახზე რომ ღვთის ლოცვა-კურთხევა იყოს, ცოლ-ქმარს, აუცილებლად, ტაძარში უნდა ჰქონდეს ჯვარი დაწერილი, ხოლო თუ ისინი ჯვარდაუწერელნი არიან, მათი ურთიერთობაც და შვილებიც უკანონო და ღვთის კურთხევის მადლს მოკლებულია.

ბავშვის აღზრდისას ყველაზე დიდი ბიძგის მიმცემი მშობლების პირადი მაგალითია. იმ ოჯახში, სადაც ყოველდღიურად აღევლინება ლოცვა, სადაც მშობლები ყოველდღიურად კეთილსინდისიერად შრომობენ, ერთმანეთს სიყვარულითა და პატივისცემით მიმართავენ, ცდილობენ დაეხმარონ გაჭირვებულებს, იქ, სადაც არავინ არავის არ უყვირის, არ უხეშობს, არ ატყუებს... იზრდებიან ასეთივე კეთილი თვისებების მქონე პიროვნებები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შვილების ქრისტიანულ აღზრდას. დღესდღეობით მრავალი სექტა არსებობს: ბაპტისტების, ორმოცდაათიანელების, ევანგელისტების, იეღოვისტების, აღმოსავლურ რელიგიათა წარმომადგენლების: ბუდისტების, ინდუისტების, კრიშნაიდებისა და სხვათა. ისინი ცდილობენ, გაავრცელონ თავიანთი ცრუ სწავლება, ეწევიან აქტიურ პროპაგანდას და ხშირად მიზანსაც აღწევენ, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში, რადგან მათ ოჯახიდან არა აქვთ მიღებული საჭირო რელიგიური აღზრდა, არ იცნობენ მართლმადიდებლობას და მტკიცედ არ დგანან თავიანთ სარწმუნოებაზე.

უნდა ვიცოდეთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებლობაშია ჩვენი ძალა, - რომ მხოლოდ მართლმადიდებლობამ შეინარჩუნა ის რწმენა, წესები და ტრადიციები, რომელიც უფალმა მოციქულებს დაუტოვა. ამიტომაც ჩვენი ეკლესია იწოდება სამოციქულო ეკლესიად და იგი დღემდე იცავს ერთიანი, განუყოფელი სამოციქულო ეკლესიის მრწამსსა და ტრადიციებს.

„მწამს... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია", - ვკითხულობთ სარწმუნოების სიმბოლოში. რომელიც წმინდა მამათა მიერ I და II მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ჩამოყალიბდა. ამიტომაც დიდ ცოდვასა და დანაშაულს სჩადიან ისინი, რომელნიც ტოვებენ მართლმადიდებლობას და სხვა სექტებში გადადიან. თვითონ სიტყვა „მართლმადიდებლობა" ანუ მართლად, სწორად დიდება ღვთისა, ჩვენი ეკლესიის ჭეშმარიტებაზე მეტყველებს.

ამის შესახებ იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ შეგახსენოთ, მარტო მართლმადიდებლურად მონათვლა არ არის საკმარისი, აუცილებელია ეკლესიური ცხოვრება, რათა ვიგრძნოთ ძალა და მადლი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და არასდროს განეშოროთ მის ჭეშმარიტ გზას.

ოჯახის წევრები უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს: უნდა მარხულობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა ლოცულობდნენ, აუცილებელია შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ეკლესიაში სიარული, სინანულითა და აღსარების საიდუმლოს მადლით ცოდვათაგან სულის განწმენდა, ხშირად ზიარება, ყოველ წელს სახლის კურთხევა, აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა სულებისათვის სპეციალურად მათთვის განკუთვნილ დღეებში ლოცვა... ასეთი ოჯახი, როგორც ამბობს წმინდა მოციქული პავლე, იქცევა „სახლის ეკლესიად" და დაივანებს იქ უფალი და დაიცავს მას მშვიდობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით.

მაგრამ სამწუხაროდ, ოჯახში უფროსები ხშირად არასწორად იქცევიან. ისინი კერპებივით ეთაყვანებიან თავიანთ შვილებს, რაც ღვთის საწინააღმდეგოა; განსაკუთრებულად ზრუნავენ მათ

ჯანმრთელობასა და ფიზიკურ აღზრდაზე, ცდილობენ აუცილებლად მისცენ საშუალო და უმაღლესი განათლება, ყველაზე მთავარი კი ავიწყდებათ, ავიწყდებათ სულიერი აღზრდა, ავიწყდებათ ბავშვებში იმ მორალური თვისებების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ახასიათებდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს.

საბოლოოდ შედეგიც სამწუხაროა: შვილები ნელ-ნელა კარგავენ მშობლების სიყვარულს, თანდათან შორდებიან მათ, ყურადღებას აღარ აქცევენ ანდა უპატრონოთა თავშესაფარში აბარებენ. იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ იგივე ხვედრი, ანდა უფრო უარესი, თვითონ მათ ელით.

„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა", – გვასწავლის მეხუთე მცნება.

მშობლების პატივისცემა და მათი რჩევის გათვალისწინება არის საფუძველი ქალიშვილისა თუ ვაჟის მომავალი ოჯახის სიმტკიცისა და ბედნიერებისა. უპატივცემულობა კი - მიზეზი ოჯახის უბედურებისა და დარღვევისა.

პიროვნების ინტელექტუალური თუ სულიერი ჩამოყალიბებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას. კარგად უთქვამთ: სკოლა ისეთია, როგორიც არის საზოგადოებაო.

საზოგადოება, როგორც ვიცით, დაავადებულია; შესაბამისად დასნეულებულია სკოლაც. ჩვენი საშუალო სკოლა კონსერვატულია და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა მთელს მსოფლიოში, რადგანაც იგი ზრდის მომავალ თაობებს. ჩვენთან კი პედაგოგს არა აქვს ავტორიტეტი არც ოჯახში, არც საზოგადოებაში და არც მოსწავლეთა შორის. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევაში მოწაფეს არ უყვარს სკოლა და არც აღმზრდელნი.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ მასწავლებლის შრომის სოციალურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, ამის თაობაზე ადგენენ სხვადასხვა დეკლარაციებს... საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, პირიქით, უფსკრულისკენ მიექანება.

ჩემი შეხედულებით, ყველაზე დიდი ხელფასი, ნებისმიერი პროფესიის ადამიანებთან შედარებით, პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ. აქ უნდა მივიზიდოთ ყველაზე ნიჭიერი კადრები, ისეთნი, რომელნიც გამორჩეულნი იქნებიან არა მარტო ცოდნით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ღრმა რწმენით, სიყვარულით, დიდი მოთმინებით და სხვა კეთილი თვისებებით, რასაც შემდეგ ისინი თავიანთ მოსწავლეებს გადასცემენ.

მასწავლებლის შესახებ შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ, მაგრამ მისი უპირველესი მოვალეობაა გააკეთოს ყველაფერი, თვით შეუძლებელიც კი, რათა მოსწავლეებმა ნამდვილი სიყვარულით შეიყვარონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვარებენ ისინი საგანს, რომელსაც სწავლობენ.

მასწავლებელთა შორის, რა თქმა უნდა, დღესაც არიან ნიჭიერი პიროვნებები, რომელნიც გარდა იმისა, რომ კარგად ფლობენ საგანს, დაინტერესებულნი არიან მაგ., კარგი ბიბლიოთეკის შექმნით,სოფლის მეურნეობით,ხელოვნებით,გატაცებულნი არიან ფილატელიით,ან წერენ ლექსებს... და თავის ინტერესებსა და მისწრაფებებს აღსაზრდელთაც უზიარებენ.

ასეთი პედაგოგები სხვათაგან განირჩევიან მაღალი სულიერობით, ზნეობით, კულტურით. ისინი ღიმილით შედიან საკლასო ოთახებში და თავიდანვე ქმნიან მშვიდ და სასიამოვნო განწყობილებას. არ იჩენენ პედანტობას ჟურნალში დასწრების აღრიცხვისას, არ ცდილობენ ორიანის დაწერას და იმ მოსწავლეთა დასჯას, რომელთაც არა აქვთ გაკვეთილი მომზადებული.

ბავშვებთან მათი შეხვედრა რომ საინტერესო იყოს, ისინი რამდენიმე წუთს უთმობენ მეცნიერულ მიღწევებზე, ხელოვნების სიახლეზე ან სხვა საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს.

მაგონდება ერთ-ერთი ჩემი პედაგოგი, რომელმაც გაკვეთილზე კონსპექტის რვეულთან ერთად ხელჩანთიდან ამოიღო დანა, ჩანგალი, კოვზი... და თითქმის მთელი გაკვეთილის მანძილზე გვიხსნიდა მათი ხმარების წესებს, სადილობის დროს ქცევის ეტიკეტს. ჩვენ იმ დღეს ბევრი რამ საჭირო შევითვისეთ. მის საგანს კი ამით არაფერი დაჰკლებია.

ამ ცოტა ხნის წინათ საპატრიარქოს რეზიდენციაში გვეწვივნენ თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასელები. გაიმართა საინტერესო საუბარი, რომელსაც ბავშვებთან ერთად პედაგოგები და მშობლებიც ესწრებოდნენ. მე მათ ვუამბე საქართველოს ეკლესიის, საპატრიარქოს შენობის ისტორიის შესახებ, ვუთხარი ისიც, რომ საპატრიარქოში გახსნილია უფასო სასადილო ხელმოკლე სტუდენტებისთვის, გაჭირვებული მარტოხელიბისა და მოხუცებისთვის. ბოლოს ვთხოვე მასწავლებლებს, რომ ამიერიდან აღარ დაეწერათ ორიანი მოსწავლეებისათვის და ბავშვებსაც, - რომ არ ჩაეგდოთ პედაგოგები უხერხულ მდგომარეობაში. ეს წინადადება სიხარულით მიიღო ორივე მხარემ.

სამი-ოთხი კვირის შემდეგ ისინი კვლავ მოვიდნენ ჩემთან და მოიტანეს შეგროვილი თანხა - ხუთასი მანეთი უფასო სასადილოსთვის.

ღირებული ეს ფული კი არ არის, არამედ სურვილი ბავშვებისა, მონაწილეობა მიეღოთ ღვთის სათნო საქმეში, რისთვისაც მათ მთელი დანაზოგი გაიღეს, შეიწიროს უფალმა მათი ქველმოქმედება და აკურთხოს ისინი.

ამ ქრისტიანულ საქციელში ჩანს პედაგოგთა კეთილი გავლენა.

როდესაც მასწავლებლის ნაკლზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან; დამნაშავეა განათლების დღეს არსებული სისტემა, რომელმაც კარგახანია დრო მოჭამა, მაგრამ მაინც ვერავინ ბედავს მის შეცვლას.

ამ სისტემაში აღმზრდელი არარაობას წარმოადგენს. მას აძლევენ გარკვეულ პროგრამას და აიძულებენ მის შესრულებას; დაფიქრების საშუალებასაც კი უსპობენ იმაზე, რომ მიხვდეს, პროგრამის ათვისება კი არ არის მთავარი, არამედ ბავშვებისათვის მორალური, ზნეობრივი, სულიერი საზრდოს მიწოდება, რათა ისინი ჭეშმარიტ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ. პედაგოგი სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან, მშობლების, დირექტორისა და მოწაფეებისაგან იმდენად დათრგუნულია, რომ ფაქტიურად დაკარგული აქვს თავისი თავისადმი რწმენა, თვითონაც ადვილად იმცირებს თავს და არც ცდილობს, როგორმე განშორდეს ამ ჭაობს.

მართალია, სავალალოა მასწავლებელთა მდგომარეობა, მაგრამ მთელი ტრაგედია მაინც იმაშია, რომ ისინი ზრდიან ასეთივე შეზღუდულ და უსახო მომავალ თაობებს, შეუგნებლად უვითარებენ რა მათ სკოლისადმი და საერთოდ სწავლისადმი სიძულვილს.

აიღეთ თუნდაც სახელმძღვანელოები, როგორ არის ისინი შედგენილი?! მე, მაგალითად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს განზრახ იმგვარადაა იქ მასალა წარმოდგენილი, რომ საბოლოოდ ჩაუკლან ბავშვს ცოდნის შეძენის სურვილი.

საშუალო სკოლის პროგრამაც ისეა აგებული, თითქოს მოსწავლეებს ყველაფრის ცოდნა ეძლეოდეთ. მაგრამ ეს ერთი შეხედვით; სინამდვილეში მიღებული ცოდნა არაფრის მომცემია, რადგანაც ყველა საგანი ზედაპირულად ისწავლება. ასეთივე მდგომარეობა გრძელდება

ინსტიტუტებში. ასე ყალიბდებიან შემდეგ ამბიციური უმეცრები, რომელთა გამოსწორება უკვე შეუძლებელია.

იმედია ახალი თაობა გაითვალისწინებს წარსულის ამ ნაკლოვანებებს და მიიღებს შესაბამის ზომებს.

იქნებ სჯობდეს, სკოლის პროგრამა და საგნები ცალ-ცალკე შეიქმნას ჰუმანიტარული და ტექნიკური განყოფილებებისათვის. ე.ი. გაგვეხსნა ერთი ტიპის სკოლები ჰუმანიტარებისათვის, მეორე ტიპისა კი - მათთვის, ვისაც ტექნიკური საგნები იტაცებს, მაგრამ ისე, რომ ორივე სახის სკოლებში დარჩენილიყო ზოგადსაგანმანათლებლო კურსი. სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სხვებთან ერთად, ისწავლება ზნეობრივი ღვთისმეტყველება. საშუალო სკოლის პროგრამაშიც შეიძლებოდა შეგვეტანა ეთიკა.

განა დრო არ არის დავფიქრდეთ იმაზე, ტყუილად რატომ ვასწავლით ჩვენს ბავშვებს მაგ., ალგებრას, გეომეტრიას, ფიზიკას, ქიმიას და სხვა ისეთ საგნებს, რომლებიც ცხოვრებაში შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეთ. მაშინ, როდესაც არაფერს ვეუბნებით რწმენის, სიყვარულის, სიძულვილის, შურის, სინანულის, შერიგების უნარის, ამპარტავნების, თავმდაბლობის, სამართლიანობის, მოწყალების, სიძულვილის, სიცრუის, სიმართლის, შრომის მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ.

ამიტომაც შედეგად მივიღეთ საზოგადოება ქურდებისა და ბოროტმოქმედებისა, მლიქვნელთა, ცრუთა და უზნეოთა, დაბალმა სულიერობამ სხვა მხრივაც იჩინა ჩვენს ხასიათში თავი: ადრინდელ ჩემს ეპისტოლეში უკვე მქონდა იმის შესახებ საუბარი, რასაც აქ კიდევ გავიმეორებ: ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ამიტომაც ჩვენს მოქმედებას ხშირად გრძნობები წარმართავს, გრძნობა კარგია, იგი გულიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის საკმარისი, აუცილებელია გონების, ზოგჯერ ცივი გონების კონტროლი, რომ სწორად განვსაზღვროთ ჩვენი საქციელის შესაძლო დადებითი ან უარყოფითი შედეგები.

ამ ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა საუბრისას ასე ბრძანა: თუ ვინმე დამარტყამს, მეც დავარტყამ და სულაც არ ვფიქრობ, რა შეიძლება ამას მოჰყვესო.

დიახ, ეს ქართულ ხასიათში დევს და იგი ჩვენი დიდი ნაკლია. ასე ცხოვრება არ გამოგვადგება. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რა იქნება შემდეგ, რადგანაც ეს „შემდეგ" ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის შეიძლება საბედისწეროდ იქცეს.

ჩვენი შვილებიც უნდა შევაჩვიოთ განსჯას, გონიერ აზროვნებასა და მოქმედებას. ამიტომაც ყოველნაირად უნდა შევეცადოთ, კონცენტრირება გავუკეთოთ მთელ ჩვენს სულიერ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და შევქმნათ საშუალო სკოლის ყველა კლასისათვის ფილოსოფიური ღრმა აზროვნების კურსი.

წიგნები უნდა შედგებოდეს კანონებისა და ღრმა აბსტრაქტული აზროვნების შემცველი მაგალითებისაგან. რა თქმა უნდა,გამოყენებული უნდა იყოს ღვთისმეტყველება, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და სხვა დისციპლინები.

პროგრამა თანდათან უნდა რთულდებოდეს ისე, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ანალიტიკურად, ღრმად მოაზროგნე ახალგაზრდები.

ალბათ, ასევე საჭირო, მეცნიერთაგან შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას და შეადგენს წიგნების სერიალს ბავშვების აღზრდის თაობაზე ოჯახში. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, პატარები თავიდანვე მიეჩვიონ ფიქრს; დაე, მათ ნორჩ თავებსა და გულებში

დაიბადოს ახალი იდეები, თუნდა უტოპიური. შემდეგ ეს ყველაფერი თავისთავად მოწესრიგდება.

დღეს სკოლადამთავრებული ყმაწვილები საერთოდ არ იცნობენ ცხოვრებას, არ არიან მასთან შეგუებულნი, არ არიან შრომას შეჩვეულნი და ხშირად სრულიად შემთხვევით ხვდებიან ამა თუ იმ სასწავლებელში.

ვფიქრობ, სკოლაში ყოფნის პერიოდში მოსწავლეები ხშირად უნდა ატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, სამეცნიერო ცენტრებში, რომ მათ გარკვეული წარმოდგენა შეექმნათ ამა თუ იმ საქმიანობაზე. საშუალო სკოლაში ბავშვმა აუცილებლად უნდა შეითვისოს რაიმე ხელობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოადგება. არჩეული სპეციალობა უნდა აინტერესებდეს მოსწავლეს და უნდა იყოს ისეთი, რომ ამ ხელობით, საჭიროების შემთხვევაში, არჩინოს თავისი თავიც და ოჯახიც.

ბოლოს მინდა შევეხო მშობლებისთვისაც და მასწავლებლებისთვისაც ერთ მეტად საყურადღებო საკითხს, საკითხს სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

სიტყვა არ არის მარტო ბგერათა ერთიანობა; მასში განსაკუთრებული მისტიური ძალაა ჩადებული.

მშობლებო! არასდროს, არავითარ შემთხვევაში არ დასწყევლოთ თქვენი შვილები, არამედ აკურთხეთ, გეცოდებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. იცოდეთ, თქვენი სიტყვები დიდი ძალისაა და აუცილებლად შესრულდება. ბიბლიაც გვასწავლის, რომ კურთხევა მშობლებისა განამტკიცებს შვილების სახლებს, მათ ოჯახებს, წყევლა კი საფუძვლამდე ანგრევს მათ.

მასწავლებლებო! თქვენმა სიტყვამ, თქვენმა კეთილმა ან უხეშმა დამოკიდებულებამ შეიძლება გადაარჩინოს ან დაღუპოს აღსაზრდელი. ხომ ნათქვამია, ხეს რომ ყოველ დღე შესძახო, გახმიო, გახმება. ნურასოდეს ნუ ეტყვით ბავშვებს, რომ უნიჭონი და ცუდნი არიან, შეიბრალეთ ისინი და ნუ დაამცირებთ კლასის წინაშე.

განსაკუთრებული ყურადღებით მოექეცით ე.წ. ძნელადაღსაზრდელთ. სწორედ მათგან გამოდიან გენიალური ადამიანები ან ცნობილი დამნაშავენი. ასეთი ბავშვები ფლობენ დიდ ენერგიას და ითხოვენ განსხვავებულ დამოკიდებულებას. კარგი აღმზრდელის ხელში ისინი გამორჩეულ პიროვნებებად ჩამოყალიბდებიან, თუ არა და მათი განვითარება სხვა მიმართულებით წავა.

ყოველთვის გახსოვდეთ, თითოეულ თქვენს მოსწავლეში ჩადებულია რაღაც განსაკუთრებული ნიჭი და უნარი. მიეხმარეთ მას, გამოავლინოს იგი.

პედაგოგს, რომელიც ვერ იოკებს სიბრაზეს, საჯაროდ კიცხავს და შეურაცხყოფს მოსწავლეებს, უნდა ეყოს ვაჟკაცობა და გამბედაობა იმისა, რომ თვითონ დატოვოს სკოლა. იგი შეიძლება გამოდგეს ნებისმიერ საწარმოში, დაწესებულებაში, მაგრამ არა სკოლაში, რადგანაც ის ვერ შეძლებს რწმენითა და სიყვარულით აღზარდოს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარის მქონე მომავალი თაობა. ეს კი ჩვენს წინაშე მდგარი მეტად რთული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი ამოცანაა.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელი შევუწყოთ ბავშვების სულიერ ამაღლებას, ხელი შევუწყოთ მათი ნორჩი, შეურყვნელი გულის კულტურის სრულყოფას. წმიდა იოანე კრონშტანდტელი ამბობს: „გული მეტად ფაქიზი, სულიერი, მსუბუქი და თავისი ბუნებით ზეციურია. გაუფრთხილდით მას. ნუ დაამძიმებთ, ნუ გაამიწიერებთ. იყავით მეტად თავდაჭერილნი ჭამა-სმისას და საერთოდ ერიდეთ ხორციელ სიამოვნებებს. გული ტაძარია ღვთისა. ვინც დაანგრევს ღვთის ტაძარს, მას დასწყევლის უფალი". სხვა ადგილას კი იგივე წმინდანი წერს: „გულის სიცოცხლე სიყვარულშია,

ხოლო ღვარძლი და მტრობა მოყვასისა კლავს მას. უფალი იმიტომ გვაცხოვრებს ამ სოფლად, რომ ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა მთლიანად მოიცვას ჩვენი გული. ამას ელის იგი ყველასგან. ეს არის მიზეზი და მიზანი ქვეყნის არსებობისა".

ასეთი ფიქრებითა და სურვილებით ვეგებებით ჩვენ აღდგომილი მაცხოვრის ბრწყინვალე დღესასწაულს - პასექს უფლისას.

"ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა".

დაე, ღვთაებრივმა ნათელმა დაივანოს ჩვენს სახლებსა და გულებში და დაემკვიდროს ჩვენს შორის თვისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა. განგვაშოროს ურთიერთ სიძულვილს, შურსა და მტრობას.

დღეს მე სიყვარულით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო: რუსებო, აფხაზებო, ოსებო, ბერძნებო, სომხებო, აზერბაიჯანელებო, ებრაელებო, ქურთებო, ესტონელებო და ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული საქართველოს მიწისა. თქვენ ხომ მრავალი წელია ქართველთა გვერდით ცხოვრობთ და ძმური ურთიერთობის გარდა მათგან სხვა არაფერი გინახავთ. გახსოვდეთ, საქართველო ადრეც გიცავდათ და კვლავაც დაგიცავთ. ხოლო ის, ვინც ჩვენს შორის ღვარძლსა და მტრობას სთესს, ჩვენი საერთო მტერია.

მშვიდობა და ღვთის კურთხევა იყოს ჩვენთან და ჩვენს შორის, ამინ.

განსაკუთრებული გრძნობით მინდა მივმართო შიდა ქართლის მცხოვრებთ: როგორც ქართველებს, ისე ოსებს. შეწყვიტეთ მტრობა და შუღლი. თქვენს შვილებს მომავალში ხომ ერთად მოუწევთ ცხოვრება, დაფიქრდით ამაზე, რას უმზადებთ მათ? მწამს, ღვთის წყალობით, დადგება ბშვიდობიანი დრო და კვლავ ძმური ურთიერთობა დამყარდება ჩვენს შორის.

უფალო, მუხლმოდრეკილნი ვდგავართ შენს წინაშე სუსტნი და ცოდვილნი არა იმისათვის, რომ მოვიწონოთ ან ვიმართლოთ თავი, არამედ გთხოვოთ შენდობა და შემწეობა, გევედრებით, არ მოგვაკლო შენი კურთხევა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს სიტყვები შენი: „მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ, მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქვენ" (იოანე 14,27).

ღირსგვყავ, უფალო, შენი ღვთაებრივი მშვიდობისა.

„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან".

ძმანო და დანო ჩემნო, გიხაროდეთ

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა !

პასექი ქრისტესი
თბილისი, 1991 წ.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

ვაჟა-ფშაველა

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი[1]

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ენინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო ნევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა,

მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნანარმოებნიკ უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით", „მეფე ლირით" ვერკ ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორკ თვით ინგლისელი, რომელიკ ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნანარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაკ უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნკა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორკ თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორკ პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნანარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორკ მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაკიონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოკიალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიკ დღეს გამეფებულია დედამინის ზურგზე.

პატრიტიზმი, როგორკ სიკოცხლე და სიკოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიკავს ისეთ ნანილებს, რომელთაკ ვერკ ერთი ჯკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორკ მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვანენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როკა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, საკვებ–სანოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმანვილი იმ თავიდანვე მჯიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინკ იმას ესაუბრება, ვინკ გარშემო ახვევია, – ვისგანაკ პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიკ იმას სიკმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიკ ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოკ კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაკ უკანასკნელი ადამიანი, უყხო ადგილას, უყხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და

გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმოიდგენია ადამიანი სრულის ჯკუისა, სალის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჯკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჯილი. სამონყალეო სახლში აღზრდილი ბუშიკ კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას ინამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჯკუა–გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჯკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერის კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ–ღონით განვითარდეს. ცალ–ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.



1905 წ.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

ვაქვეყნებთ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევათა სერიას, რაც საქართველოს წინაშე მდგომი ფუნდამეტურ პრობლემათა თემატიკიდანაა. ვფიქრობთ მეუფის მიერ წარმოჩენილი პრობლემები და მათი გადაწყვეტის შემოთავაზებული რეკომენდაციები თუ მეთოდები, ფუძემდებლურია ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და ცნობიერებისათვის.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული თეორია საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა[1]

***

საისტორიო ღვთისმეტყველება, როგორც ცნობილია, სწავლობდა საეკლესიო და ბიბლიურ ისტორიას. მისი კერძო დისციპლინების - პატროლოგიის,სიმბოლიკის,საეკლესიო არქიტექტურის, ქრისტიანული ლიტერატურის, ხელოვნების, ღვთისმსახურებისა და დოგმატების ისტორიის ძირითად მაკავშირებელ სამეცნიერო ღერძს ეკლესიის ისტორია წარმოადგენდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ვითარცა საისტორიო საღვთისმეტყველო ნაწილის შესწავლის ძირითადი მიზანია - შეცნობა ჭეშმარიტებისა, ვითარცა თავისუფლების(პიროვნული, ეროვნული, საეკლესიო და სხვა) საფუძვლისა.

მაცხოვარი ბრძანებს: "სცანით ჭეშმარიტი და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ"(იოანე, 8, 32).

წმიდა მამები კი აღნიშნავდნენ - "თავისუფლება თვისითა სისხლითა მოგვანიჭა ჩვენ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან განმათავისუფლებელმან ყოველთა კაცთამან"(III მსოფლიო კრების მერვე კანონი, "დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ.267).

ღვთის დიდი შიშით, ძიება სიმართლისა იყო მიზანი საქართველოს ისტორიის სასულიერო მწერლებისა, უძველესი საისტორიო წყაროების - "მოქცევაი ქართლისაისა" და "ქართლის ცხოვრების" - ავტორებისა და შემკრებლებისა.

ამის საპირისპიროდ, XX ს-ში, ათეისტურ-ბოლშევიკური რეპრესიების შემდეგ ისტორიულ მეცნიერებაში ჭეშმარიტების ძიება წახალისებული არ ყოფილა, უფრო მეტიც, მოითხოვებოდა წყაროების გაყალბება ან მათი ინტერპრეტირება ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ჩაყენება მარქსისტული იდეოლოგიის სამსახურში.

ჭეშმარიტებით შექმნილი ჩვენი ხალხის ძველი ისტორია "რეაქციულ თეორიად" გამოცხადდა, დაიწყო მის წინააღმდეგ "გადამწყვეტი ბრძოლა" ("აუცილებელია დრომოჭმული

---

1. წყარო: საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა"; გვ. 23-44 ; თბილისი 2006 .

რეაქციული თეორიების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა"- გაზეთი "პრავდა" 18.02.1949 წ.).

უფრო ადრე XX ს-ის 30-იან წლებში საქართველოს ძველ ისტორიოგრაფიას "ციხე-სიმაგრე" უწოდეს, რომელიც უთუოდ უნდა დაენგრიათ, სახელმწიფოს დიდმოხელე აცხადებდა - "ჩვენ წინაშე დგას ციხე-სიმაგრე, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება და რომელიც ჯერ აუღებელია, მაგრამ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ, საჭიროა ენერგიული მუშაობა და მტკიცე ბოლშევიკური ნებისყოფა ამ ციხე-სიმაგრის ასაღებად"("ივ. ჯავახიშვილი ტირანიის წინაშე", თბ. 2004, გვ. 172).

XX ს-ის 20-30-იან წლებშივე ჩაეყარა საფუძველი "ქართიზაციის თეორიას". ეს თეორია ბოლშევიკების ხელში გადაიქცა არა მხოლოდ ბერკეტად საქართველოს ძველი ისტორიის დასანგრევად, არამედ მის ჩასანაცვლებლადაც. ამჟამად "ქართიზაციის" თეორია ერთადერთ და უტყუარ სამეცნიერო მიმართულებადაა აღიარებული. ის აბსოლუტურადაა გაბატონებული XX-ს., და XXI ს-ის დასაწყისის ქართულ ისტორიოგრაფიასა და, ასევე, ფილოლოგიაში.

მართალია, ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ადგილი ახალმა დაიჭირა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ამჟამინდელი რეალური ფაქტები აჩვენებს, მან ვერ შეძლო ქართველი ერის ინტერესების დაცვა და ისტორიული სიმართლის წარმოჩენა სეპარატისტების მიერ გაჩაღებულ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების დროს. ოკუპანტების მიერ აფხაზეთის დაჭერის წინ ე.წ. "იდეოლოგიურ ომში" ქართველთა დამარცხება უნდა აიხსნას ახალი ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტითაც, რომელიც იქამდე ათეული წლების მანძილზე აცხადებდა, რომ თავდაპირველად, უძველეს ხანაშივე, კოლხეთის სამეფოს ეპოქაშივე, მთელი დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი დასახლებული იყო აფხაზურ-ადიღეური ტომებით და შემდგომ დროს მათ ადგილზე ჩასახლდნენ ქართველური ტომები. არა მხოლოდ აფხაზეთში, სამაჩაბლოს კონფლიქტის დროს მხოლოდ ენთუზიასტი ისტორიკოსები იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, ოფიციალურმა "ქართიზაციის" თეორიით ხელშეკრულმა ისტორიოგრაფიამ ვერ შეძლო სიმართლის წარმოჩენა. მართლაც, მას გაუჭირდა ქართველთა სამართლიანობის წარმოჩენა, რადგანაც იქამდე მეცნიერულად ამტკიცებდა "ქართიზაციის" თეორიის შესაბამისად, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა, მათ შორის, სამაჩაბლოში ისტორიულად მცხოვრები დვალები იყვნენ არა ქართველები, არამედ - არაქართველები, რომელთა "ქართიზაცია - გაქართველება" მოხდა გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. თითქოსდა არა მარტო დვალები და სხვა მთიულები - გაქართველებული "ქართიზებული" ხალხი ყოფილან ჰერ-კახები, ქვემო ქართლელები, ტაო-კლარჯელები, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თანაც თურმე მათი ასიმილაციის პროცესში საქართველოს ეკლესიას დიდი წვლილი მიუძღოდა. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, სტატიაში "ქართველები" ასეთი ტერმინოლოგიით არის აღწერილი ეს პროცესი: "ქართის ტომმა" შეძლო აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები "არაქართულ და არაქართველურ" ტომებში შეღწევა - ინფილტრაცია და მათი ასიმილაციის შემდეგ IX-X სს-ში ჩამოყალიბდა "აღმოსავლურ-ქართული ეროვნება"(ქსე, ტომი 10, 1986 წ. სტატია "ქართველები" გვ.459). ამ სტატიის მიხედვით, ქართის ტომმა შეძლო "ჰერულ-ალბანური მოსახლეობის ქართიზაცია"(ქსე, ტ.10, გვ.460). მაშასადამე, ოფიციალური თვალსაზრისით, ჰერები და ალბანელები ერთი ხალხია ანდა ჰერულ-ალბანური მოსახლეობა ერთი ეთნოსია, რომელიც შემდგომ

ქართიზებული იქნა და შეემატა "აღმოსავლურ-ქართულ ეროვნებას". აქედანაც ჩანს, რომ ოფიციალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით იყო დრო როდესაც ჰერები ქართველები არ იყვნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" მიხედვით კი, თავდაპირველად ისინი ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში იყვნენ. საინტერესოა, რომ მიუხედავად ამ ოფიციალური მოსაზრების არსებობისა, თბილისიდან ამჟამად დაბეჯითებით უნერგავენ საინგილოს მოსახლეობას თვალსაზრისს, რომ ისინი ჰერები არიან. თუმცა აქამდე ინგილოებმა თავიანთი ჰერობის შესახებ არაფერი იცოდნენ და ისინი თავიანთ თავს აღმოსავლეთ კახეთის მოსახლეობად მიიჩნევდნენ. ამჟამად კი თვალსაზრისი, რომ ინგილოები ჰერები არიან, ძალზე გავრცელდა, ამის პარალელურად, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰერები და ალბანელები ერთი ხალხი იყო და, ამასთანავე, ალბანელები აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები იყვნენ, შესაბამისად, ალბანური კულტურა აზერბაიჯანული კულტურის საკუთრებაა და შემდგომ ქართულმა ეკლესიამ ის მიისაკუთრა. მაშასადამე, ინგილოები თუ ჰერები არიან, ისინი ამის გამო აზერბაიჯანულ ტომად მოიაზრება.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, როგორც ვთქვით, IX-X სს-ში ჩამოყალიბებულა აღმოსავლურ-ქართული ეროვნება და მისი სახელი ყოფილა - "ქართველები".

რა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოში?

დასავლეთ საქართველოში თურმე ჩამოყალიბებულა სხვა დასავლურ-ქართული ეროვნება და ასეთი პროცესები განვითარებულა: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის თანახმად, დაიწყო დასავლეთ საქართველოს "ქართიზაცია" ეკლესიის მეოხებით - "IX ს-დან მთელ დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა", რის შემდეგადაც ტერმინმა "ქართველი" კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა(ქსე, ტ.10, გვ.460).

მეორე ავტორის აზრით, და ესაა საყოველთაო ოფიციალური თვალსაზრისი - "ეთნიკური არაქართველი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებდა, ქართველად ითვლებოდა" (რ. თოფჩიშვილი, 2002, გვ.15). ამ ავტორის აზრით, დასავლეთ საქართველოში იქამდე უკვე ჩამოყალიბებული იყო მაღალი კლასის საფეხურის კოლხური ანუ მეგრულ-ჭანური ეთნოსი და შემდგომ დაიწყო მისი "ქართიზაცია"(იქვე, გვ.5, გვ.7, გვ.83). როგორც ვთქვით, ეს პროცესი ქართული ეკლესიის მეოხებით ხორციელდებოდა, რომელიც თითქოსდა იჭრებოდა სხვა უცხო ეკლესიის, ამ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს კონსტანტინოპოლის იურისდიქციის საზღვრებში და მათ მრევლს ითვისებდა. ცხადია, ესაა დადანაშაულება პროზელიტიზმში.

იყო თუ არა ქართული ეკლესია პროზელიტური?

პროზელიტიზმი დაგმობილია მოციქულთა დროიდანვე და პროზელიტიზმი ანუ სხვისი სამწყსოს მისაკუთრება ეკლესიისთვის სათაკილო ქმედებად ითვლებოდა ჯერ კიდევ I მსოფლიო კრებიდან. ქართული ეკლესიისათვის ასეთი ეპითეტი სასიამოვნო არ არის. ამ სათაკილო ეპითეტით, თანამედროვე ავტორებს, ჩანს, ერის წინაშე ჩვენი ეკლესიის მნიშვნელობის წარმოჩენა სურთ:

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის ოც საუკუნეს

ეძღვნებოდა, ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელი(რედ.) დირექტორი დ. მუსხელიშვილი წარდგა მოხსენებით, "ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში", სადაც ბრძანა: "ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის".(დ. მუსხელიშვილი, 2005, გვ.33).

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის არაკეთილისმსურველებმა, განსაკუთრებით კი სეპარატისტმა იდეოლოგებმა იმთავითვე აიტაცეს ჩვენი ისტორიოგრაფიის "ქართიზაციის" თეორიის დასკვნები ჩვენი ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ თავიანთ სასარგებლოდ. ისინი ვრცელ სამეცნიერო ნაშრომებში (მათ შორის, ქვემოთ განვიხილავთ "პრავოსლავნაია ენციკლოპედია"-ს სტატიებს) ამტკიცებენ, რომ საქართველოს ესა თუ ის კუთხე ისტორიულად არაქართული რეგიონია და, შესაბამისად, ქართველებს ისტორიული უფლება არა აქვს ამ კუთხეებზე.

ჩვენ კი ვაცხადებთ: შეუძლებელია, საქართველოს წმინდა ეკლესია პროზელიტური ყოფილიყო, რატომ? ისტორიულად სიტყვა "პროზელიტი" ერქვა იუდაურ სარწმუნოებაზე მიქცეულ წარმართს, მაგრამ ამჟამად "პროზელიტური" ეკლესია ისეთს ეწოდება, რომელიც იჭრება სხვა ეკლესიის სამრევლოში მისი მისაკუთრების მიზნით. ასეთი ქმედება კი მსოფლიო საეკლესიო კანონებით მიუღებელი იყო და არის. მაგალითად, მოციქულთა 35-ე კანონი ბრძანებს: "ეპისკოპოსმა არ უნდა გაბედოს ხელდასმა თავისი სამრევლოს გარეთ, ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან მის ეკლესიას. ხოლო თუ იგი მხილებული იქნება უნდა განიკვეთოს ისიც და მის მიერ ხელდასმულებიც"("დიდი სჯულის კანონი", საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987 წ., გვ.166).

მოციქულთა ამ კანონს კიდევ უფრო ამტკიცებს 381 წელს კონსტანტინოპოლში მოწვეული II მსოფლიო კრების მე-2 კანონი: "ეკლესიათა კეთილად განგებისა და მშვიდობისათვის არცერთ ეპისკოპოსს აქვს უფლება, გასცდეს თავისი ეკლესიის საზღვრებს და შეიჭრას სხვა ეკლესიის საზღვრებში, რათა არ მოახდინოს ეკლესიების აღრევა. კანონის თანახმად, ალექსანდრიის ეპისკოპოსი უნდა განაგებდეს მხოლოდ ეგვიპტის ეკლესიებს... პონტოელი ეპისკოპოსნი უნდა მართავდნენ მხოლოდ პონტოს ეკლესიებს, ხოლო თრაკიის ეპისკოპოსნი - მხოლოდ თრაკიის ეკლესიებს. ეპისკოპოსი არ უნდა გავიდეს თავისი სამთავროს ეკლესიის ფარგლებიდან ხელდასხმისათვის"("დიდი სჯულის კანონი", საეკლესიო კალენდარი, 1987, გვ.210).

III მსოფლიო კრების მამებმა კიდევ უფრო დაბეჯითებით დამოძღვრეს ეკლესიათა მეთაურები, არ დაემორჩილებინათ სხვისი სამწყსო: - "ნურც ერთი ეპისკოპოსი ნუ მიიტაცებს სხვა ეპარქიას, რომელიც თავიდანვე და ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა მას და არ იყო მის წინამორბედ საყდრისმპყრობელთა გამგებლობის ქვეშ, ხოლო თუ ვინმე მიიტაცებს სხვის ეპარქიას იძულებით, განთავისუფლებული უნდა იყოს იგი, რათა არ დაირღვეს მამათა კანონები", (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი, დასახ. ნაშრ. გვ.212).

იმავეს წერს და აღნიშნავს სხვა საეკლესიო კანონებიც. თუ ქართული ეკლესია პროზელიტური იყო და მას ძველთაგანვე არ ემორჩილებოდა დასავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთი ნაწილის, სამხრეთ საქართველოს სამწყსოები, ქართულმა

ეკლესიამ კი მიითვისა ისინი, ამით დაურღვევია მსოფლიო საეკლესიო კანონები, კერძოდ, მოციქულთა 35-ე, II მსოფლიო კრების მე-2, III მსოფლიო კრების მე-8, კართაგენის 74-ე და სხვა კანონები, და განა კანონდამრღვევი ეკლესია შეიძლება ყოფილიყო მართალი და მართლმადიდებლური, რომლითაც ამაყობდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა მამები? რომლის შესახებ მიუთითებდა პროკოფი კესარიელი, "რომ ქართველები მართლმადიდებლობის წესებს ყველაზე უკეთ იცავდნენ", სომეხი იერარქები წერდნენ, რომ ქართველები ამაყობენ თავიანთი სარწმუნოებრივი სიწმიდით და თავიანთი საეკლესიო უპირატესობით.

ქართული ეკლესია კი თურმე არღვევდა უმთავრეს საეკლესიო კანონებს და სხვის იურისდიქციაში იჭრებოდა: - "დასავლეთ საქართველოში გაბატონდა ქართული ეკლესია და მღვდელმსახურებაც ქართულ ენაზე სრულდებოდა, რამაც დიდად შეუწყო ხელი დასავლეთ საქართველოში "ქართიზაციის" პროცესს". (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია-ქსე, "საქ.სსრ", 1981წ. გვ.61).

ქართული ეკლესიის "გაბატონებამდე" დასავლეთ საქართველოში, ჩვენი ისტორიკოსების მტკიცებით, თურმე არსებობდა ეგრისისა და აფხაზეთის ეკლესიები, რომლებიც იმყოფებოდნენ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში, ისინი შემდგომ გაერთიანებულან კონსტანტინოპოლის იურისდიქციაშივე, მაგრამ IX ს-ში მცხეთის საკათალიკოსოს "გაბატონების" შედეგად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაუკარგავს მთელი დასავლეთ საქართველოს მომცველი ეს მნიშვნელოვანი სამიტროპოლიტოები და საეპისკოპოსოები. ოფიციალური ისტორიკოსი წერს: "ეს საეკლესიო გამოყოფა, როგორც ვთქვით, ერთბაშად არ მომხდარა. ჯერ ხორციელდება ეგრის-აფხაზეთის ეკლესიების გაერთიანება, როგორც კონსტანტინოპოლის სამწყსოში შემავალი ეპარქიისა, რომელსაც სათავეში აფხაზთა კათალიკოსი ედგა(VIII-საუკ. ბოლო ან IX-საუკ. დასაწყისი); შემდგომ IX-საუკ. მანძილზე(საფიქრებელია, უფრო მის პირველ ნახევარშივე) დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინოპოლს და მცხეთის ტახტს უერთიანდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარება. კონსტანტინოპოლიდან გამოყოფის შემდეგ იწყება ბერძნული კათედრების მოშლა და მათ საპირისპიროდ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება, ეს საეკლესიო რეფორმა, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, საბოლოოდ X ს-ში სრულდება(ნარკვევები, ტ.II, 1973, გვ.427). "

თუ როგორი რეაქციული იყო ქართული ეკლესიის ეს "პროზელიტიზმი" ანუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შეჭრა - ამის შესახებ ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია წერს: "ქართველები აქედან სდევნიან ბერძნულ ენას, ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარ, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს. ქართულ კულტურას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკური შეგნება და იდეალი, ასე რომ მცხეთა ჯერ ენობრივად(ეთნიკურ ელემენტებზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთ-იმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად - "ქართლია" იქ, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა(მხოლოდ "კვირიელეისონი" შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა "ქართლს" განეწესება. მაშ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის

საკათალიკოსოს მხრივ, ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით"(თ.პაპუაშვილი, 1973, გვ.586). ამ მოსაზრების საპირისპიროდ XX-საუკ. ბოლოს ქართულმა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ სულ სხვაგვარად ახსნა ის პროცესები, რომელნიც მიმდინარეობდნენ VIII-IX სს-ში ჰერეთში, ტაო-კლარჯეთსა და დასავლეთ საქართველოში (იხ. ა. ჯაფარიძე, 1996-1999 წ.წ.).

საბჭოთა კავშირის საზღვრების ჩაკეტილობის გამო ბერძნულ სამყაროში და, მათ შორის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოშიც XX-საუკუნის ბოლოსაც არ იცნობდნენ იქამდე სრულიად ახალ საბჭოთა საისტორიო თეორიას ქართული ეკლესიის პროზელიტიზმისა და "მისი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის შესახებ" (საბჭოური სიტყვებია).

ცნობილი ბერძენი კანონისტის - მიტროპოლიტ მაქსიმეს წიგნი "საქართველოს ეკლესია და მისი ავტოკეფალია"(1966 წ.), არ ფლობს ცნობებს ამასთან დაკავშირებით. შეიძლება დაისვას კითხვა, რა პრობლემები შეექმნება საქართველოს ეკლესიას სამომავლოდ, თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ან უცხოეთის რომელიმე ეკლესია ოფიციალურად აღიარებს აღნიშნულ თეორიას, ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ იქამდე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში, ეს თეორია ხომ არ შეუქმნით მათ მყარ სამართლებრივ საფუძველს, რათა ცნონ და აღიარონ სეპარატისტული ეკლესიები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში. მეორე მხრივ ეს თეორია იძლევა კარგ საშუალებას და მასზე დაყრდნობით უკვე აქეზებენ ამ კუთხეთა სეპარატისტ მოაზროვნეებს, რათა დედა ეკლესიად აღიარონ არა საქართველოს წმიდა ეკლესია, არამედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო.

მრავალგზის აღინიშნა, რომ უცხოეთში ეს თეორია ყველაზე უფრო მეტად გაიტანა და გაავრცელა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიამ".

არასოდეს, არც ერთ საუკუნეში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არ გამოუთქვამს არავითარი თვალსაზრისი ანდა შენიშვნაც კი დასავლეთ საქართველოს მის ეპარქიებში ქართული ეკლესიის შეჭრის შესახებ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ქართულ-ბერძნული, ათასწლოვანი, საეკლესიო ურთიერთობების დროს ამის შესახებ ერთხელ მაინც გამოითქმოდა თუნდაც მცირე შინიშვნა. საქმე ის არის, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ფაზისის სამიტროპოლიტო და მისი ოთხი საეპისკოპოსო, რომელიც თითქოსდა ქართული ეკლესიის მიერ იყვნენ გაუქმებულნი, სინამდვილეში მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ქართველი ერის უძველეს ქვეყანაში, რომელსაც ტრაპეზონის ოლქი ეწოდა. იქამდე კი მას ერქვა "ქალდეა", "სოფელი მეგრელთა". იქ ტრაპეზონის ოლქში მდებარე ჭოროხის ანუ ფასისის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდნენ ფასისის სამიტროპოლიტო და მისი საეპისკოპოსოები - როდოპოლისისა, საისინისა, პეტრონისა და ზიგანასი, როგორც ეს კარგად არის გარკვეული ნ. ადონცის მიერ. ეს სამიტროპოლიტო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მოქცეული მიწა-წყალი ჭოროხიდან ვიდრე მდინარე ეგრისწყალამდე (ვახტანგ გარგასლის შემდგომ მდინარე კლისურამდე) - წმიდა ნინოს დროიდანვე

ქართული ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა, ასე რომ, ჩვენი ძველი საეკლესიო მატიანეების ცნობებით, დასავლეთ საქართველოში იმთავითვე, ძველთაგანვე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ვრცელდებოდა. სხვა საეკლესიო წყაროებთან ერთად ამის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა "რუის-ურბნისის" საკანონმდებლო კრების ძეგლისწერა - "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა"("დიდი სჯულის კანონი", 1975, გვ.545), ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა"(იქვე, გვ.546).

ამ კრების წმიდა მამების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველო მუდამ ისტორიული საქართველო იყო, რომლის მოსახლეობა, აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად მოაქცია წმიდა ნინომ. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო იურისდიქციის იმთავითვე მცხეთის ხელში იყო და არა კონსტანტინოპოლისა. დასავლეთ საქართველო ეკლესიურად როდესმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში რომ ყოფილიყო, ამის შესახებ უთუოდ შემორჩებოდა პირდაპირი ან ირიბი ცნობები თვით ბერძნულ წყაროებშივე, ან რაიმე საყვედურნარევი მინიშნება მაინც ბერძენი იერარქებისა, ასეთი კი არ არსებობს. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი ძალზე თბილ და მეგობრულ წერილებს წერდა აფხაზთა მეფეს - გიორგი II-ს, X-საუკუნის შუა წლებში, როცა საბჭოთა ისტორიკოსების აზრით, მის სამეფოში "ბრძოლა იყო გაჩაღებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ", ასე რომ ყოფილიყო, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი როგორმე მოახერხებდა პროტესტის გაცხადებას აფხაზთა მეფის - გიორგი მეორისადმი(922-957 წ.წ.), (იხ. პატრიარქ მისტიკოსის წერილები გიორგი II-სადმი; გეორგიკა, IV, ნაკვეთი II); ერთი სიტყვით, წყაროები არ ადასტურებენ საბჭოურ თვალსაზრისს.

აღმოსავლეთში, ბატონ დავით მუსხელიშვილის თვალსაზრისით, თვით წმიდა ნინოს "საქმიანობა" თითქოსდა მიმართული იყო იქითკენ, რომ ჰერეთში მცხოვრები არაქართული მოსახლეობა(ალბანელები) გაექართველებინა. ჩემი აზრით, ასეთი წარმოდგენა წმიდა ნინოსი ძალზე უცნაურია.

დ. მუსხელიშვილი წერს: ბოდბე, სუჯეთისა და კამბეჩოვანის საზღვარზე, მეფე მირიანის დროს ახლადშემოერთებული ქვეყანა იყო, აქ "ალბანელებიც (ჰერები) ცხოვრობდნენ ... მათი საბოლოო ასიმილაცია დროის ამბავი იყო"(დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ. 38). "ჩანს, მირიან მეფის და წმიდა ნინოს ინტენსიური კულტურულ - საგანმანათლებლო საქმიანობა მიმართული ჰერეთში ქართული ქრისტიანობის გავრცელებისაკენ... რომელიც წინააღმდეგობას აწყდებოდა, არა მხოლოდ ალბანელთაგან, არამედ სომხებისგანაც"(იქვე, გვ. 38). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმიდა ნინო "აქართველებდა" არა მარტო ჰერ-ალბანელებს, არამედ, სომხებსაც; ჩვენი მეცნიერის ამ მოსაზრების საპირისპიროდ, მოვსეს ხორენაცს მთელი მოსახლეობა "კლარჯეთიდან მასქუთებამდე"(ანუ კასპიის ზღვისპირეთში მცხოვრებ ტომ მასქუთებამდე) - ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია (სადაც იქადაგა წმიდა ნინომ) და არა სომხებად, ანდა ალბანელებად (ჰერებად), როგორც წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. სომხური საისტორიო მწერლობის მამა, სომეხთა ჰეროდოტედ წოდებული მოვსეს ხორენაცი წერს: "სანატრელი ნუნე წავიდა იქედან(ე.ი. მცხეთიდან), რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა(!) ქვეყნის სხვა

კუთხეებიც დაემოძღვრა. გავბედავ და ვიტყვი, რომ ნუნე მოციქული ქალი გახდა. მან იქადაგა სახარება კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე, მასქუთთა საზღვრებამდე, როგორც ამას აგათანგელოზი გაუწყებს შენ"(მ. ხორენაცი, 1984, გვ. 172).

წმიდა ნინოს სომხები, ანდა თუნდაც ალბანელები(იგივე ჰერები, დ. მუსხელიშვილის აზრით) რომ გაექართველებინა, როგორმე ხორენაცი მიუთითებდა ამის შესახებ, მაგრამ ის სულ სხვა რაიმეს გვაუწყებს, კერძოდ, საზღვრავს ქართველების ეთნიკურ განსახლებას - ესაა კლარჯეთი, ვიდრე ალანთა და კასპიის კარამდე(ე.ი. დარიალამდე), ვიდრე მასქუთთა საზღვრამდე - ამ საზღვრებში ქართველები სახლობენ, მათ უქადაგა წმიდა ნინომ; ასე რომ, დარიალის კარამდე მცხოვრები დვალები გაქართველებული ვაინახები არ იყვნენ, როგორც წარმოუდგენია საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიას, არამედ - ქართველები, ასევე მასქუთების ქვეყნამდე, ანუ აღნიშნულ მტკვარ - არაქსის შესართავამდე მცხოვრები ჰერები მ. ხორენაცს ეთნიკურ ქართველებად მიაჩნია და არა ალბანელებად. დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ წმიდა ნინოს "პროზელიტიზმის სიმბოლო" აღუმართავს ახლად შემოერთებულ ალბანურ ქალაქ ბოდისში (ე.ი. სადღაც უჯარმა - ბოდბეში) და წერს - "მგონია ასე უნდა გავიგოთ წმიდა ნინოს გადაწყვეტილება, რომ ჯვარი - ქრისტიანული პროზელიტიზმის სიმბოლო - დროებით "აღიმართოს იგი უჯარმას ქალაქსა და დაბა ბოდისი არა წინ აღუდგეს ქალაქსა მას მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ"(დ. მუსხელიშვილი, 2003, გვ.39).

ასე იქცა დავით მუსხელიშვილის სიტყვით, "ორი ფაქტობრივად ეთნიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყანა ერთ კულტურულ ერთეულად"(იქვე, გვ. 41). აქედან ჩანს, რომ საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსების აზრით, წმიდა ნინო ქართლის გარდა, ალბანეთშიც მოღვაწეობდა და მან ალბანეთის ქვეყნის ერთი ნაწილი ქართულ ეკლესიას შემოუერთა. ბოდბის მიჩნევა არა ქართლის, არამედ ალბანეთის ქალაქად, ქართულ წყაროებს ეწინააღმდეგება; წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელია და არა ალბანელებისა. ჯვარი არ არის პროზელიტიზმის სიმბოლო, ქართულ ეკლესიას ჯვარი პროზელიტური მიზნით არასოდეს გამოუყენებია, მით უმეტეს, არაქართული ტომების "ასიმილაცია - გაქართველების" მიზნით; ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოა, იგი არ ეყრდნობა წყაროებს.

"ქართიზაციის თეორიის" გაცნობის შემდეგ უცხოელთ ექმნებათ შთაბეჭდილება ქართველთა "იმპერიალიზმის" შესახებ, რომ, თითქოს, მათ პატარა "ერები" ჰყავთ დაპყრობილი; ამგვარ შთაბეჭდილებას მხარს უმაგრებს ენათმეცნიერთა ნაწილის თეორიაც ქართველთა ე.წ. სამი-ოთხი ენის შესახებ, რომელთაგან ერთის - ქართული - "აღზევებით" იჩაგრება სხვა ქართველური "ენები"; ეს ყოველივე კი მავანთათვის საფუძველს ქმნის არაქართველებად გამოაცხადონ ქართველთა ერთი ნაწილი, შესაბამისად, არაქართულად მიიჩნიონ მათი მეტყველება(მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 42-77); მაგ., ნ. ქუთელია ამასთან დაკავშირებით წერს: "ინტერნეტის ვებსაიტებზე მუსირებს თემა - მეგრელები და სვანები პატარა ერები ყოფილან და ქართველ "ოკუპანტებს დაუპყრიათ" და ახლა მათ ენებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ. არსებობს "დოქტრინა" - არ არსებობს ქართველი ერი, არსებობს ცალკეულ ტომთა კონგლომერატი"(ნ. ქუთელია, 2005, გვ. 273). (უთუოდ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ უწოდებდა საქართველოს "მცირე

იმპერიას" ცნობილი რუსი მეცნიერი ა. სახაროვი - რედ.)

არათუ უცხოელები, თვით ქართველები ე.წ. ქართიზაციის "თეორიის" გაცნობის შემდეგ ივიწყებენ ნაციონალურ ინტერესებს და კუთხურობის აპოლოგეტები ხდებიან, ამის ერთი კარგი მაგალითია ა. ლიპარტელიანი, რომელმაც 1994 წელს გამოსცა წიგნი "სვანურ - ქართული ლექსიკონი, ჩოლორული კილო". ა. ლიპარტელიანი თავისი წიგნის შესავალში წერს: "აღმოსავლეთ საქართველოში იბერების მოქმედებით განადგურდა სვანური მოსახლეობა"(ა. ლიპარტელიანი, 1994, გვ. X). შდრ., სხვა მსგავსი ციტატები მისი წიგნიდან: "მირიანმა სასტიკად დასაჯა ეს ... ჰერი-წანარი-სვანები, ვინც ჟლეტას გადაურჩა, აყარა და დაასახლა ახლანდელი სვანეთის ტერიტორიაზე, რბევას გადარჩა ალბანეთის მოსაზღვრე ტერიტორია"(იქვე, გვ. XI). აი, ამონარიდები მისი წიგნიდან: "ჰერების კულტურულ - ეთნიკური შერწყმა ქართულ ტომებთან, ჰერების ასიმილირება დაიწყო ძვ.წ. II-I სს. მიჯნაზე (საქ.ისტ.ნარკ. ტ.II, გვ. 402)" .

"აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მის იბერიზაციამდე სვანური მოსახლეობა იყო"(ა. ლიპარტელიანი, ლექსიკონი, გვ. XIII). "ქართველ გლეხთა პოლიტიკური მომძლავრების შემდეგ მოხდა სვანური ეთნიკური შტოს განადგურება. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ეს მომხდარა არა ერთბაშად, მაგრამ ძალდატანებით. ამას ამტკიცებს ვახტანგ ბატონიშვილის ცნობა მირიან მეფის მიერ სვანების აყრის შესახებ და ბაგრატ მეფის მიერ მონღოლთა ჯარის მოშველიება და სვანების გაწყვეტა. ამასვე ამტკიცებს ბ. ეგნატაშვილი "მეფე ბაგრატ მიმართა ლანგ - თემურს: მომეც სიმრავლენი სპათა თქვენთანი, წარვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა, მოვხადო კაცთა მთიულთა, ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველთა მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ რჯულსა თქვენსა"(იქვე, გვ. XVII).

ა. ლიპარტელიანს არ ესმის სიტყვა "მოვხადოს" მნიშვნელობა. მეფე ბაგრატი ამბობს "მოვხადო" ე.ი. "მოვიხმობ მთიელებს ჩემთან და მათ ვუქადაგებ მაჰმადიანობას",ა. ლიპარტელიანს კი ჰგონია, თითქოსდა მათ დახოცვას აპირებს მეფე მონღოლთა დახმარებით და ასკვნის: "ბაგრატ IV-მ მოიხმო მონღოლები და გაჟლიტა სვანები"(იქვე, გვ. XVIII), თუმცა კი მონღოლები არა ბაგრატ IV-ის, არამედ ბაგრატ V-ს დროს იყვნენ საქართველოში.

ა. ლიპარტელიანი თავის წიგნშივე უთითებს მისი აზრების წყაროს - ესაა ნიკო მარი და იმოწმებს ნ. მარის სიტყვებს: "თუბალ - კაინებსა(დასავლეთით) და ქართებს(აღმოსავლეთით) შორის ე.ი მოსხების სამოსახლოს საზღვრებში თავდაპირველად ცხოვრობდნენ სვანურ ენაზე მოლაპარაკე ტომები... სომეხიაში ე.ი. ისტორიულ სომხეთში V-VI საუკუნეებში ჯერ კიდევ სვანები ცხოვრობდნენ. აქ შეიქმნა პირველი ქრისტიანული მწერლობა, აქედან აითვისეს ქართველებმა თავიანთი ქრისტიანული ლიტერატურის პირველი ძეგლები"(იქვე, გვ. XVIII).

ა. ლიპარტელიანი იმოწმებს ნიკო მარის რუსულენოვან წიგნებს - ნიკო მარი,"მოგზაურობა სვანეთში"(1911-1912 წ.წ.) და ნ. მარი, "ხე - მცენარეულობის იაფეტური სახელები"(1913 წ.).

ქართიზაციის "თეორია", როგორც ცნობილია, XX საუკუნეში დაეფუძნა ქ. პატკანოვისა და ნ. მარის მოსაზრებებს. პატკანოვ-მარის "თეორიის" საშიშროების შესახებ ჯერ კიდევ დიდი ილია მართალი ბრძანებდა და, სხვათა შორის, ამასვე მიუთითებდნენ ივანე ჯავახიშვილს მისი მშობლები წერილებში, რომელსაც წერდნენ ახალგაზრდა ვაჟიშვილს (წერილები გამოქ-ვეყნებულია). თითქოს ჩვენს თემას ეხმიანება დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის ცნობილ

წერილში: "ტროასეული ცხენი"(აკად. ნიკო მარის წერილის გამო) წერს - "არსად ისეთი ფელდეფელური მორჩილებით არ იხრის ქედს საზოგადოებრივი აზრი ავტორიტეტიან "უნივერსიტეტის პროფესორების" წინაშე, როგორც ჩვენში, რადგან ყველაზე ნაკლებად ჩვენში შეუგნიათ უცილო ჭეშმარიტება გოეთეს დიდი სიტყვებისა: "ხშირად დიდი ადამიანი დიდ გემსავით შეცდომების დიდ ზოლებს ტოვებს თავის სარბიელზე"(კ. გამსახურდია, "ტროასეული ცხენი", თხზ. ტ.VIII, 1967, გვ. 140).

ჩვენ, ცხადია, ქედს ვიხრით იმ დიდი ადამიანების წინაშე, რომელთაც შევეხეთ ჩვენს წერილში, მაგრამ მხოლოდ იმ გულისტკივილით, რომ არ დაიშალოს ჩვენი ეროვნული სახლი, რადგანაც წმიდა წერილში ნაბრძანებია: "თუ სამეფო თვისივე თავის წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ვეღარ გაძლებს"(მარკოზი, 3, 24).

თუ ჩვენი დიდი ადამიანები ყველა ქართულ თემსა და ტომს საკუთარ წინაპარს გამოუძებნიან - მაგალითად, ინგილოებსა და კახელებს - ჰერ-ალბანელებს, ფშავ-ხევსურებს - ვაინახებს(ზ. დიდებულიძე, 1983, გვ. 33-34), ქვემო ქართლელებს - სომხებს, დასავლელ ქართველებს - ადიღე-ჩერქეზებს და ა.შ. თუ განაცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში სხვა ეთნოსი ჩამოყალიბდა, რომელიც შემდეგ "ქართიზებულ" იქნა - ერი - სახელმწიფო დაიყოფა. მით უმეტეს, რომ წყაროები, თუ მათ კარგად და სწორად წავიკითხავთ, მიკერძოების გარეშე, არ იძლევა ამის უფლებას, პირიქით, ჩვენი წყაროები: "მოქცევაი ქართლისაი" თუ "ქართლის ცხოვრება" ღაღადებენ, რომ ქრისტეს შობამდე შექმნილი ერთიანი საქართველოს - "ქართლის სამეფოს" მოსახლეობა იმთავითვე იყო ქართველი ხალხი და ამ სახელმწიფოს ჩრდილო - დასავლეთი საზღვარი მდ. ეგრისწყალზე გადიოდა აზონისა და ფარნავაზის დროს; თუ რას ნიშნავს წყაროს ეს მითითება, გვიხსნის წმიდა ამბროსი ხელაია: "ჯერ კიდევ არაქრისტიანი ქართული ტომის მოდგმებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით - ერთადერთი მატარებელი წინა აზიაში ქრისტიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა"(ა. ხელაია, 1990).

მაშასადამე, კათოლიკოს-პატრიარქ წმიდა ამბროსი ხელაიას, და ზოგადად საქართველოს წმიდა ეკლესიის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე I-IV საუკუნეებამდე, ქართველთა მოდგმამ შექმნა დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს მომცველი ერთიანი სახელმწიფო, მატარებელი შესაბამისი ერთიანი კულტურისა.

საბჭოთა იმპერიას ჩვენი დიდი ადამიანებისათვის თავისუფალი მუშაობის საშუალება რომ მიეცა, საჭირო არ იქნებოდა ჩვენი მოსაზრებების გამოთქმა და არც წმიდა ეკლესია განაჩენდა შემდეგს: "დაუშვებელია ისტორიის გაყალბება - მეგრელებისა და სვანების მწიგნობრობისა და ქრისტიანული კულტურის არმქონეებად გამოცხადება და ამ კუთხის შვილებისათვის XXI საუკუნეში ბიბლიის თარგმნა, რაც უპირველეს ყოვლისა მიზნად ისახავს ერის გათიშვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევის მცდელობას" (საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 23, 2005, საპატრიარქოს უწყებანი, №45, გვ. 7).

ამჟამად, გარკვეული ქართული წრეები ისე წარმოადგენენ საქმეს, თითქოსდა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ეთნიკური და კულტურული სახე იყოს

დამახინჯებული, სინამდვილეში აქ საქართველოს ყოველი კუთხის და საერთოდ ქართველი ერის ისტორია გაყალბებულია, როგორც თანდართული ლიტერატირის ჩამონათვლიდან ჩანს, სტატიების ავტორები ქართულ ოფიციალურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდნენ. "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ კახეთის და მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მხარეები ისტორიული ალბანეთის მიწა-წყლადაა გამოცხადებული, ალბანელები კი აზერბაიჯანელი ერის წინაპრებად მიიჩნევა, ჰერები - ალბანელი ხალხის ერთ-ერთ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ბოდბე, გურჯაანი, საინგილო და მახლობელი მხარეები - ალბანელების ანუ აზერბაიჯანელების წინაპრების ისტორიულ საცხოვრისად მოიაზრება. საქმე ისაა, რომ ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკლესიის ისტორიის გაყალბება, წყაროებზე ზეწოლა და მისი მონაცემების თვითნებური ინტერპრეტირებით კარდინალური დასკვნების მიღება, ჯერ თვით საქართველოს მეცნიერთა მიერ და შემდგომ მათი დამოწმებით უცხოელ ავტორთა მხრიდან. კერძოდ, სტატია "ალბანეთის საკათალიკოსოს" რუკის მიხედვით, მცხეთის აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი (ქვემო კახეთი) - ალბანეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიად მიიჩნევა.

ასევე "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" სტატიაში: "ალანიის სამიტროპოლიტო" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი,კერძოდ ლენინგორის(ახალგორის),ყაზბეგის და მიმდებარე მიწა-წყალი წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ალანიის სამიტროპოლიტოს იურისდიქციაში, მრავალი ქართული ეკლესია-მონასტერი და, რაც მთავარია, მიწა-წყალი ალანურ-კონსტანტინოპოლურადაა გამოცხადებული. (2008 წლის აგვისტოს შემდეგ ცხადი გახდა რისთვის დაიწერა "პრავოსლავნაია ენციკლოპედიაში" ამდენი სიყალბე საქართველოს შესახებ - რედ.)

დასავლეთ საქართველოში ამავე ენციკლოპედიის სტატია "აფხაზეთის საკათალიკოსოს" აზრით, არაბების დროს გადასახლდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა და იქ შეიტანა ქართული ენა და კულტურა". ეს თითქოსდა იმის შედეგად მოხდა, რომ იქამდე კონსტანტინო-პოლის იურისდიქციაში მყოფ დასავლეთ საქართველოში შეიჭრა მცხეთა და იქ გაბატონდა. აფხაზი სეპარატისტებიც ამ თვალსაზრისს არიან ჩაჭიდებულნი; ახლახან გამოიცა "აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოკლე ნარკვევი" მღვდელ-მონაზონ დოროთე დბარის ავტორობით, სადაც დამოწმებულია "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" აღნიშნული სტატია - ქართველების დასავლეთ საქართველოში გადასახლების შესახებ VIII-X სს-ში, ავტორი ეჭვმიუტანელ ფაქტად მიიჩნევს თვალსაზრისს, რომ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იმყოფებოდა და იქ ღვთისმსახურებისათვის ეკლესიებში არა მხოლოდ ბერძნული, არამედ აფხაზური ენაც გამოიყენებოდა, ხოლო შემდეგ თითქოსდა ეს ეკლესია და აფხაზური სახელმწიფო ქართველმა აგრესორებმა ქართული ეკლესიის წინამძღოლობით დაიპყრეს და აფხაზური ეკლესია ჩაკლეს„(იხ. წიგნში; Èåðìîíàõ Äîðîôåé (Äáàð) "Êðàòêèé î÷åðê èñòîðèè Àáõàçñêîé Ïðàâîñëàâíîé Öåðêâè", Íîâûé Àôîí, 2005 ã.).

"პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" ტომეულებში, დასავლეთ საქართველოს მსგავსად, სამხრეთ საქართველოც არაქართულ ქვეყნადაა გამოცხადებული, სადაც, თითქოსდა, ქართული ეკლესიის გაბატონების შემდეგ მოხდა მკვიდრი "სომხების" გაქართველება. "სომხების"

გაქართველების "თვალსაზრისი" იმდენადაა გავრცელებული, რომ მან უკვე ქართულ საეკლესიო გამოცემებშიც შეაღწია. მაგალითად, კირიონ I კათალიკოსმა თითქოსდა ქვემო ქართლში "არაქართული მოსახლეობის გასაქართველებლად მარჯვედ გამოიყენა პოლიტიკური ვითარება" ("საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები", თბ. 2000 წ., გვ.28). სომეხი ავტორები და არა მხოლოდ ისინი, ასეთ სტატიებს საფუძვლად უდებენ თეორიას, რომ ქვემო ქართლი და საერთოდ სამხრეთ საქართველო სომხური ქვეყანა იყო, რომელიც ეკლესიის მიერ "გაქართველდა". თუ გადავშლით აღნიშნული სტატიის ავტორის უამრავ ძველ შრომას და მის წიგნებს, ყველგან საუბარია სომეხთა "გაქართველების" შესახებ. ესაა თეორია, რომელიც ქართული საბჭოთა ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის უეჭველ დოგმად იქცა და მას ავითარებდა ბოლო საუკუნის მანძილზე.

ერთი სიტყვით "პრავოსლავნაია ენციკლოპედიას" სხვადასხვა ტომში გამოქვეყნებული სტატიები არის მარცხი ქართული თანამედროვე ისტორიოგრაფიისა. მოსალოდნელი იყო, რომ სამეცნიერო წრეები ამ საკითხის განსახილველად გამართავდნენ სემინარებს და მოხდებოდა სამეცნიერო აზრის ურთიერთგაცვლა, მაგრამ მოხდა ამ სტატიების იგნორირება.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელიც ეყრდნობა "ქართიზაცია - გაქართველების" თეორიას(რაც თითქოს ეკლესიის წინამძღოლობით ქართის ტომმა VIII-X სს-ში მოახდინა), არ შეუძლია ამჟამად ამ საკითხის გადაჭრა. ქართული ისტორიოგრაფია ამ საკითხის გადაჭრას შეძლებს, თუ ის გაიზიარებს ძველი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს, რომ ქართველი ხალხი ჩამოყალიბდა არა VIII-X სს-ში ეკლესიის მეოხებით მეზობელი ტომების ქართიზაციის შედეგად, არამედ რომ ისტორიაში გამოჩენის დროს ქართველი ხალხი წარმოადგენდა ეთნიკურ მთლიანობას, ერთ ხალხს. ერთი ენითა და კულტურით, რომლის საცხოვრისი მოიცავდა დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს, რომ იმთავითვე ქართველები იყვნენ არა მხოლოდ შიდა ქართლის მოსახლეობა, არამედ - ეგრისელები, სვანები, კახელები და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, რომ მათ ჰქონდათ ერთი ენა(სუსტად დიფერენცირებული ფუძე ქართული ენა) რომელსაც დაეყრდნო საღვთისმეტყველო ლიტურგიკული ენა(ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ), რომ მხოლოდ შემდგომ დაიწყო ამ ერთიანი ენის შიგნით დიალექტების წარმოქმნა. ასეთი ვითარება არ არის უმაგალითო(მაგალითად, ერთი სლავი ხალხი, ერთიანი ენით მხოლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაიყო სხვადასხვა დიდ ენობრივ ჯგუფებად).

ფაქტი ერთიანი ქართველი ხალხის ქრისტესშობამდე არსებობის შესახებ დაფიქსირებულია ძველ ქართულ წყაროებში, მაგალითად, როცა "მოქცევაი ქართლისაი" წერს, რომ აზონი დაადგინეს მეფედ მთელი ისტორიული საქართველოსი, რომ მისი პირველი, ერთიანი "ქართლის სამეფოს", დასავლეთ საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე, ცხადია, გულისხმობს, რომ ეგრისწყალთან მდებარე ეგრისი ქართლია, ქართლის სამეფოს ნაწილია, და მისი მოსახლეობა ქართველი ერის ნაწილია.

პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრები ასეთია: "საზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრისწყალი და სომხეთი და მთა ცროლისა"("მოქცევაი ქართლისაი", ძეგლ. I, 1964 წ., გვ. 81). ამავე თვალსაზრისს ატარებს "ქართლის ცხოვრება", ყველა მეფე უკლებლივ, ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასალამდე, ფლობს დასავლეთ საქართველოს, მაშასადამე დასავლეთ

საქართველოს მოსახლეობა ქართველებია (ჩვენი საეკლესიო წყაროების ცნობით) და ამ მოსახლეობას არ ესაჭიროება არავითარი "ქართიზაცია - გაქართველება"(ა. ჯაფარიძე, 1994 წ., გვ. 62, 65). როგორც აღინიშნა, ამავე თვალსაზრისს გამოთქვამს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც ანდრია პირველწოდებული მთელი საქართველოს მომაქცევლად, ხოლო წმიდა ნინო მთელი ქართველი ერის გამაქრისტიანებლად იწოდება.

თუ ამ ძველ ისტორიკოსთა თვალსაზრისს არ გაიზიარებს ოფიციალური ისტორიოგრაფია, ცხადია, ვერ შეძლებს "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" და ვერც ე.წ. სეპარატისტთა (სინამდვილეში - მეზობელი იმპერიის მესვეურთა) მიზნების ჯეროვან შეფასებას.

ყოველივე ზემოთქმული ასე შეგვიძლია შევაჯამოთ:

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მთლიანობის დარღვევის მიზნით რუსეთის იმპერიის წიაღში შემუშავდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტურობის შესახებ, კერძოდ, თითქოსდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში არსებულმა საქართველოს ეკლესიამ არაკანონიკურად დაიქვემდებარა(და მოსახლეობაც გააქართველა): კონსტანტინოპოლის იურისდიქციიშ ქვეშ მყოფი დასავლეთ საქართველოს მომცველი ფაზისის სამიტროპოლიტოს, სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთის), მცხეთის აღმოსავლეთით არსებული, მათი აზრით, ალბანეთის (ჰერეთის) საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი საეპისკოპოსოები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფი ალანიის სამიტროპოლიტოს ეკლესიები... ეს თვალსაზრისი კარგად გამოიხატა მოსკოვში 2000-2006 წლებში დასტამბულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" სტატიებში, რომელთა ძირითადი საფუძველი არის საბჭოთა ისტორიკოსთა ნაშრომები (ასახული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და სხვა გამოცემებში).

ამგვარ შეხედულებას არავითარი ისტორიული საფუძველი არა აქვს; კერძოდ, ძველი ქართული მატიანეებისა და საეკლესიო ისტორიოგრაფიის მრავალი დოკუმენტით დასტურდება:

ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისთანავე და შემდგომ პერიოდშიც საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია მოიცავდა ქართლში/საქართველოში შემავალ ყველა მხარეს: ეგრისს, ისტორიულ ტაო-კლარჯეთს, აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კალთებზე არსებულ ქართველურ თემთა საცხოვრისებს... კვლევა გვიჩვენებს, რომ ფაზისის სამიტროპოლიტო მდებარეობდა არა ქალაქ ფოთში, არამედ მდინარე ჭოროხის (ფაზისის) მარცხენა სანაპიროზე, რომელიც ტრაპიზონის ოლქში იყო მოქცეული, იქვე მდებარეობდა ფაზისის სამიტროპოლიტოს ოთხივე საეპისკოპოსო და არა - დასავლეთ საქართველოში. მცხეთის აღმოსავლეთით მიწა-წყალი მუდამ საქართველოს იურისდიქციაში იმყოფებოდა ქართული წყაროების მიხედვით, და ამიტომ იქადაგა იქ, როგორც მოვსეს ხორენაციც წერს, წმიდა ნინომ ქართველთა შორის კლარჯეთიდან მასქუთებამდე(შდრ., "დიდი სჯულის კანონის ძეგლისწერა", გვ. 545 - 546: "ანდრია პირველწოდებულმა სახარება იქადაგა "ყოველსა ქუეყანასა საქართველოისა", ხოლო წმიდა ნინომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოაქცია "ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა"). ასევე, ტაოსა და ნაწილობრივ კლარჯეთის ქართველი მოსახლეობა IX-X სს-ში იყვნენ არა გაქართველებული სომხები, არამედ ეთნიკური ქართველები,

რომლებიც იქამდე VI-VII სს-ში დამპყრობელთა იძულებით იმყოფებოდნენ სომხურ-ქალკედონური ეკლესიის იურისდიქციაში, ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტისთანავე მათ გადაიგდეს სომხურ-ქალკედონური ეკლესიის იურისდიქციის უღელი და დაუბრუნდნენ თავიანთ მშობლიურ-ეროვნულ ქართულ ეკლესიას. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს - ის არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში, როგორც ამას წყაროები, ასევე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ეკლესიების ნაშთების წარწერები აჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. გამსახურდია, ტროასეული ცხენი (აკად. ნ. მარის წერილის გამო), თხზ.,ტ.VIII, 1967;
2. დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1975;
3. დიდი სჯულისკანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბილისი, 1987;
4. ზ. დიდებულიძე, 1983 - Ç. Äèäåáóëèäçå, Êóëüòóðíûå âçàèìîñâÿçè 1983;
5. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, 2004 - ივ. ჯავახიშვილი, ტირანიის სამსჯავროს წინაშე, თბ., 2004;
6. რ.თოფჩიშვილი, 2002 - რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია, თბ., 2002;
7. Èåðìîíàõ Äîðîôåé (Äáàð) - Êðàòêèé î÷åðê èñòîðèè Àáõàçñêîé Ïðàâîñëàâíîé Öåðêâè, Íîâûé Àôîí, 2005;
8. ა. ლიპარტელიანი - სვანურ - ქართული ლექსიკონი,(ჩოლორული კილო),თბ.,1994;
9. დ. მუსხელიშვილი - საქართველო IV-VIII საუკუნეებში, 2003;
10. დ. მუსხელიშვილი - ქართული ეკლესია და სახელმწიფო ტერიტორია შუა საუკუნეებში, საქართველოს საპატრიარქოს ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, 24-26 ნოემბერი, 2005;
11. ნარკვევები, 1973 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.II, თბ., 1973;
12. თ. პაპუაშვილი - ადრეფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა,წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბ., 1973;
13. ტ. ფუტკარაძე - ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005;
14. ნ. ქუთელია - ქართული ენა, როგორც კულტურულ - ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი, კრებულში: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბ., 2005;
15. ა. ხელაია - მიმართვა გენუის კონფერენციას, ჟურნალი მნათობი, 1988;
16. მ. ხორენაცი - სომხეთის ისტორია, 1984;
17. ა. ჯაფარიძე - ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994;
18. ა. ჯაფარიძე - საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.,I-II, 1996-1999.

SUMMARY

Metropolitan Anania Japaridze

THE VIEWS ABOUT THE PROSELYTISM OF GEORGIAN ORTHODOX CHURCH, PREVAILING IN THE SOVIET ISTORIOGRAPHY, AND ITS CRITICISM

With the aim of splitting the unity of the Georgian Apostolic Church, the view about its proselytism was developed in the womb of the Russian Empire. The advocates of this opinion stated that the Georgian Orthodox Church existing in East Georgia had illegally subordinated to itself (and "Georgianized") the population of West Georgia being under the jurisdiction of Constantinople (the Phasis Metropolitan), South Georgia (Tao-Klarjeti) being, in their opinion, under the jurisdiction of the Albanian (Ereti) Episcopate of the Metropolitan and so on. This view was also expressed in *Orthodox Encyclopaedia* printed in 2000-2006 in Moscow.

In the present work it is justified that the abovementioned views do not stand up under scrunity. The historical documents are evidence in favor of the view that, in the period of its formation and in later times, the Georgian

Church had under its jurisdiction all regions of Kartli, i.e. Georgia: Egrisi, the territory of historic Tao-Klarjeti, the eastern part of East Georgia, the settlements located in the southern and the northern regions of the Caucasian Range and so on. The investigations showed that the Phasis Metropolitan was not in Poti City, but on the left bank of the Chorokhi River (the Phasis River), i.e. in Trapesunt Province (now the territory of Turkey), where all four episcopates of the Phasis Metropolitan were located. So it was not West Georgia. According to the Georgian historical documents, the lands to the east of Mtskheta City had always been under the jurisdiction of the Georgian Church. In the IX-X centuries, the Georgian population of Tao and, in particular, Klajeti did not represent the "Georgianized" Armenians, but it represented the ethnic Georgians who used to be under the jurisdiction of the Armenian-Chalcedonian Church in the VI-VII centuries. At the propitious political moment they threw of the yoke of the Armenian-Chalcedonian Church and returned under the jurisdiction of their native Georgian Church.

ÐÅÇÞÌÅ

Ìèòðîïîëèò Àíàíèÿ Äæàïàðèäçå

ÃÎÑÏÎÄÑÒÂÎ ÂÀØÈÉ ÂÑÎÂÅÒÑÊÎÉ ÈÑÒÎÐÈÎÃÐÀÔÈÈ ÂÇÃËßÄ Î ÏÐÎÇÅËÈÒÈÇÌÅ ÃÐÓÇÈÍÑÊÎÉ ÖÅÐÊÂÈ È ÅÃÎ ÊÐÈÒÈÊÀ

Ñöåëüþ íàðóøåíèÿ åäèíñòâà Ãðóçèíñêîé Àïîñòîëüñêîé Öåðêâè è Ãðóçèíñêîé Ãîñóäàðñòâåííîñòè â íåäðàõ Ðîññèéñêîé èìïåðèè áûëà ðàçðàáîòàíà ò.í. «òåîðèÿ êàðòèçàöèè» , ãäå â ÷àñòíîñòè ïðîñìàòðèâàåòñÿ âçãëÿä î ïðîçåëèòàðíîñòè Ãðóçèíñêîé Öåðêâè. Ñòîðîííèêè ýòîãî âçãëÿäà ñ÷èòàþò, ÷òî ñóùåñòâóþùàÿ â öåíòðàëüíîé ÷àñòè Âîñòî÷íîé Ãðóçèè Ãðóçèíñêàÿ Öåðêîâü íåçàêîííî ïîä÷èíèëà è «îãðóçèíèëà» îñòàëüíûõ ãðóçèí – êàõåòèíöåâ, èìåðåòèíöåâ, ñâàíîâ è ò.ä.

Ýòà òî÷êà çðåíèÿ îò÷¸òëèâî ïðîÿâèëàñü â ñòàòüÿõ «Ïðàâîñëàâíîé ýíöèêëîïåäèè», íàïå÷àòàííé â Ìîñêâå â 2000-2006 ãîäàõ, îñíîâîé êîòîðûõ ÿâëÿþòñÿ ðàáîòû ñîâåòñêèõ ó÷¸íûõ (âîøåäøèå â «Ãðóçèíñêóþ ñîâåòñêóþ ýíöèêëîïåäèþ» è äðóãèõ èçäàíèÿõ).

Â ñòàòüå ïðèâåäåíû àðãóìåíòû ðàçîáëà÷àþùèå ëæèâûå è ïñåâäîèñòîðè÷åñêèå óòâåðæäåíèÿ ñîçäàííûå ïî èìïåðñêîìó çàêàçó â íà÷àëå ÕÕ ñòîëåòèÿ.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ენა და სახელმწიფო

(საქართველოში რუსული კულტურის ქართული კულტურით გადაფარვის აუცილებლობის შესახებ)

უფალმა ღმერთმა ინება კაცობრიობა აეშენებინა ერებისა და სახელმწიფოების სახით, ისტორიულად ცივილიზებული დედამიწა მუდამ სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, სახელმწიფოებს ერები ქმნიდნენ და, როგორც ითქვა, კაცობრიობის მთელი ისტორია ერებისა და სახელმწიფოების ისტორიაა, რომელსაც მათი ურთიერთობანი ქმნის. აქედანაც ჩანს, რომ ერები და სახელმწიფოები ღვთის ნებითაა შექმნილი. ქართველი ერის უპირველესი მისია ამჟამად არის განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, რისთვისაც საჭიროა, რომ იგი ჩამოყალიბდეს ვითარცა თანამედროვე ერი. მან უნდა შეძლოს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საქართველოს საზღვრებს შიგნით მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის საქართველოს მოქალაქეებად, ანუ ერად ჩამოყალიბება. თანამედროვე ერად ჩამოყალიბების შემდეგ კი, როცა ის უკვე მიიღებს თავის სახეს, უფალი ღმერთი მას, ისევე როგორც სხვა ერებს, გამოიყენებს მსოფლიოს ცივილიზაციის მშენებლობის დიად საქმეში. იქამდე კი, როგორც ითქვა, თანამედროვე ერად, ჩამოყალიბება უნდა იყოს საყოველთაო საზრუნავი. ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საშუალებანი ამისა? დიახ, თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების მსგავსად ორი უმთავრესი მოთხოვნილების შესრულებაა საჭირო. ესენია:

1) ქართველი ხალხის შიდა კონსოლიდაციის დაჩქარება,

2) საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია ერთიან სახელმწიფოში.

ჩვენს მეზობელ თურქეთში XX საუკუნის დასაწყისში თურქთა ეროვნული კონსოლიდაციის დასაჩქარებლად იღწვოდა თურქ ინტელიგენტთა საზოგადოება. მათ დაამკვიდრეს თურქულ საზოგადოებაში თანამედროვე ერის ცნება. მალე ეს საზოგადოება გადაიქცა თურქეთის მმართველ პარტიად, რომლის წესდების თანახმად გარკვეული განსხვავებაა იმ ერებს შორის, რომელნიც წარსულში არსებობდნენ და თანამედროვე ერებს შორის.

თანამედროვე ერების ჩამოყალიბების პროცესი იწყება ქვეყნის ფეოდალური დანაწევრების დაძლევის, ერთიანი ცენტრალიზებული, ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით, ერთიანი საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნითა და შიდაეთნიკური საზღვრის მოშლით. ყოველივე ეს ეთნოჯგუფებსა და ეროვნებებს ერთიან ერად ჰკრავს (ო. გიგინეიშვილი, „ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება", კრებულში „მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია", თბ. 1983. გვ.145-146). ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს: "თურქეთში ნაციონალიზმის დებულება გულისხმობს ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი, სწორედ ამ პრინციპით "ერთი ერი - ერთი სახელმწიფო" იქმნებოდნენ თანამედროვე საფრანგეთი,გერმანია, იტალია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვა. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ევროპის სახელმწიფოები,

რომლებსაც ეროვნულ სახელმწიფოებს უწოდებენ, მართლაც ერთეროვანნი არიან" (იქვე, გვ. 146).

ევროპის სახელმწიფოების მოწყობის სისტემის შესაბამისად თურქეთში რეფორმების გატარებამ საფუძველი შეუქმნა თურქეთის სახელმწიფოს დაარსებას და თურქი ხალხის სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მსგავსადვე მოხდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია ბულგარელებისა, რუმინელებისა, ბერძნებისა და სხვა ხალხებისა.

ამ კუთხით თუ შევხედავთ, სამწუხაროდ საქართველო (ალბათ ჯერჯერობით) უფრო ემსგავსება კონგლომერატს კონფესიურად, კულტურულად, ლინგვისტურად და რაც მთავარია, ეთნიკურად ერთმანეთისაგან დაშორებული მოსახლეობისა. აი, სწორედ ამ ხალხების გადაქცევაა საჭირო თანამედროვე ერთიან ერად, ისევე როგორც ეს მოახერხეს ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა.

საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ვთქვათ, მაგალითად, აზერბაიჯანელები ქართველ ეთნიკურ ჯგუფად გადაიქცევიან, არამედ იმას, რომ ისინი შეინარჩუნებენ შიდა ეთნიკურ თავისთავადობას, მაგრამ საქართველოს თანამედროვე ერის ნაწილად იქცევიან ქართული ენის ცოდნით, საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ აღიარებით, მისი კულტურის მატარებლობით, მის სრულფასოვან მოქალაქეებად გადაქცევით.

რა უშლის ხელს საქართველოს ხალხების ინტეგრაციას? - ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი უდიდესი ძალაა, საფუძველია ერთობისა. სახელმწიფოებრიობასთან, საერთო მოქალაქეობასა და სამართალთან ერთად საერთო ქართულმა კულტურამ უნდა შექმნას სამომავლოდ საქართველოს ერის იერსახე და მისი მთლიანობის ნიშნად იქცეს. საქართველოს ნაციას უნდა ჰქონდეს კულტურული ერთობის განცდა.

ძველად, XIX საუკუნემდე, ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. გრიგოლ რობაქიძე თავის "გველის პერანგში" ასეთ ამბავს აღწერს. სპარსეთში - ერთ-ერთ ბაღჩაში ქეიფია, ქართველების სუფრასთან ახლოს სომხებს აქვთ სუფრა გაშლილი, სომხები ქართულად საუბრობენ, ადღეგრძელებენ თამარსა და დავით აღმაშენებელს, ამბობენ "ჩვენი თამარი", "ჩვენი მეფე დავითი", საქართველოს ადიდებენ. ეს კი იქვე მოქეიფე ქართველებს უკვირთ. ნ. მარის სიტყვითაც, XIX საუკუნემდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებისათვის ერთაშორისი ურთიერთობის ენა. ქართული ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელი დიდოელები და ჭარ-ბელაქნელი (აზერბაიჯანელი) ლეკები, ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღეველი ხალხების დიდებულებმა, საქართველოში მცხოვრებმა მუსულმანების შესაბამისმა ფენებმა.

სამწუხაროდ, რუსთა 200-წლიანი ბატონობის შედეგად, ქართულმა ენამ და ქართულმა კულტურამ საქართველოშივე დაკარგა ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია.

ფაქტიურად საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ტოლხარისხოვანი კულტურა. ესაა ქართული, რუსული, სომხური და სხვა ეთნოსების კულტურები. ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავის ეთნოჯგუფებში არსებულ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ. მხოლოდ რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა კულტურებს. მაშასადამე, ქართული კულტურა კი არ ფარავს სრულიად საქართველოს, არამედ უცხო, სხვა ერის კულტურა, როგორც

ითქვა, ესაა რუსული კულტურა. შესაბამისად რუსული ენა საქართველოში წარმოადგენს ერთაშორისი ურთიერთობების საშუალებას. ესაა ეროვნული ტრაგედია, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი უდიდესი შემაფერხებელი მიზეზია საქართველოს ხალხების ინტეგრაციისა ერთიან ერ-სახელმწიფოდ (სამწუხაროდ ამ ტრაგედიის განცდა თითქმის არა აქვს ჩვენს საზოგადოებას).

აი, როგორ გადაჭრეს მსგავსი ვითარება ჩვენმა მეზობლებმა. ქემალ ათათურქის და რეფორმატორების მიზანი იყო მოეშორებინათ ოსმალეთის იმპერიული მემკვიდრეობა, რომელიც ხელს უშლიდა თურქეთში მცხოვრები ტომებისა და ხალხების ერთიან ერად კონსოლიდაციას. ამიტომაც მათ თავდაპირველად არა ეკონომიკასა და მრეწველობას მიაპყრეს ყურადღება, არამედ კონსოლიდაციის უპირველეს იარაღს - ენას, კულტურას, ნაციონალიზმს. ო. გიგინეიშვილი წერს - "ოსმალური ენა, ყოფილი იმპერიის ანუ მმართველი ზედაფენის ენა, განსხვავდებოდა ეროვნული თურქული ენისაგან. ამიტომაც რეფორმატორებმა ყურადღება მიაპყრეს თურქულ ენას, მის განვითარებასა და სახელმწიფოში გავრცელებას, რათა თურქულ ენას მინიჭებოდა პრიორიტეტი ძველი იმპერიის ენასთან შედარებით.

რეფორმატორთა მიერ ოსმალეთის იმპერია განიხილებოდა, ვითარცა კოსმოპოლიტური (არაეროვნული) სახელმწიფო. ახალ თურქეთში თურქული ენა და კულტურა დაუპირისპირდა ძველ იმპერიულს (ოსმალურს). ერთმანეთს დაუპირისპირდა ოსმალური და თურქული ლიტერატურა, ოსმალური და თურქული მუსიკა, ოსმალური და თურქული მორალი. ფილოსოფია, ეკონომიკური დოქტრინები, ყველაფერი ოსმალური გამოცხადდა კოსმოპოლიტურად, თურქული - ეროვნულად, ნაციონალურად. ასე ყალიბდებოდა თანდათანობით ეროვნულისა და ნაციონალურის გაგება" (ო. გიგინეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.149).

რისთვის იყო ეს ყველაფერი საჭირო? თურქი ნაციის ჩამოსაყალიბებლად, რათა ის გამკლავებოდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს. როგორც ო. გიგინეიშვილი წერს "რათა თურქეთს საშუალება მისცემოდა გამკლავებოდა ევროპის მოძალებას, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის მეშვეობით გაძლიერდა, თურქეთის წინაშე უპირატესობა მოიპოვა და გადმოვიდა მის წინააღმდეგ" (იქვე, გვ.148).

რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის მაგალითით? ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად, ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენის - ქართველი ხალხის კონსოლიდაციის უფრო მაღალ საფეხურზე ასაყვანად საჭიროა წარსულის იმპერიული მემკვიდრეობის დაძლევა ანუ საქართველოში რუსული კულტურის, ქართული კულტურით გადაფარვაა აუცილებელი!

თურქეთში, როგორც ითქვა, კოსმოპოლიტურად, ე.ი. არაეროვნულად მიიჩნეოდა ოსმალეთის იმპერიის ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები, რომელთაც ებრძოდნენ იმით, რომ დაურიდებლად აძევებდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროდან და მათ ნაცვლად ამკვიდრებდნენ ეროვნულს. ჩვენში ძველი იმპერიის ენის ე.ი. რუსულის მიმართ შესაბამისი მიდგომები უნდა შემუშავდეს. ზემოთმოყვანილი დევიზის პერიფრაზა ალბათ ასეთი უნდა იყოს - "ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან შედარებით", იგულისხმება მთელი საქართველოს მოცვა ქართული კულტურით,ენით, ლიტერატურით,მუსიკით, მორალით, ფილოსოფიით, ეკონომიკური დოქტრინებით. ყველაფერი რუსული უნდა გამოცხადდეს

იმპერიულ-კოლონიალურ ნაშთად, რომელიც აფერხებს საქართველოს სხვადასხვა ხალხების ინტეგრაციას. ამით არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება, რადგანაც სწორედ ეს გზა აქვთ არჩეული ჩვენს ყველა მეზობელ ერს. მაგალითად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ფრანგული ენისა და კულტურის მომხმარებელმა ზედაფენებმა ნაპოლეონის ომების შემდეგ უარყვეს ფრანგული ვითარცა დამპყრობლის ენა და კულტურა, რომლის ადგილი ნაციონალურმა (რუსულმა) დაიჭირა.

ქართული ენის გავრცელებას ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. საქართველოდ ის ტერიტორია მიიჩნეოდა, სადაც ქართული ენით ადიდებდნენ უფალს და ქართული ენით ლოცულობდნენ. დღეს მსოფლიოში მსგავსი პრობლემების გადაჭრა დაკისრებული აქვს მასმედიას, მასობრივ კულტურას, ტელევიზიას, განათლების სისტემებს. საყოველთაო განათლება - სკოლები საქართველოში უნდა იყოს ქართულენოვანი, ამის მიღწევა ალბათ ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ტელეპროგრამები საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ქართულენოვანი. არ შეიძლება სახელმწიფო და ქვეყნის მომცველი კერძო ტელეარხები გადასცემდნენ რუსულენოვან ფილმებსა და პროგრამებს, ეს სხვა ქვეყნებში წარმოუდგენელია. საქართველოს სამხრეთ რეგიონებში - ესაა ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და სხვა რეგიონებშიც ტელევიზია ძირითადად რუსულენოვანია, ქართული ენა გაძევებულია რუსული, სომხური და აზერბაიჯანული (თურქული) ენებით. თვით საზოგადოებრივი არხიც კი - რუსულენოვან ფილმებს აჩვენებს არცთუ იშვიათად, როგორც ითქვა, ეს სხვა ქვეყნებში - წარმოუდგენელია. სხვა სფეროშიც თითქმის ასეთი ვითარებაა, გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე და თქვენ იხილავთ გასაყიდი წიგნების უწყვეტ თაროებს - მაგრამ აი, საოცრება, ესაა ძირითადად რუსულენოვანი წიგნები, საქართველოს არც ერთი, არც სახელმწიფოებრივი და არც კულტურული ფენები ამას არც კი განიცდიან, იმდენადაა გამსჭვალული რუსული კულტურით საქართველოს საზოგადოებრივი სფერო - რუსული ენისა თუ წიგნების ეს ბატონობა შეუმჩნეველიც კი რჩება. ამის შედეგია ის, რომ არა თუ არაქართული ეთნიკური წარმომავლობის, არამედ თვით ქართველი ბავშვებიც კი საქართველოს ტელევიზიიდან სწავლობენ რუსულ ენას, ითავისებენ რუსულ კულტურას. ამის შედეგად ქართველებისათვის რუსული კულტურა თითქმის მშობლიურად იქცა, რუსული ენისა და კულტურის ათვისების გამო ქართველები რუსეთს თითქმის მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევენ, მიდიან იქ საცხოვრებლად და სამუშაოდ, ადვილად ეგუებიან გარემოს. მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს ან რუსეთზეა საქმიანობით დამოკიდებული, ეს იწვევს მათ სწრაფ ასიმილაცია გარუსებას, მეორე მხრივ, ქართველის მიერ რუსული კულტურის გათავისებით დაზარალდება საქართველოს სახელმწიფო. ამის შედეგი იქნება საქართველოს ვითარცა არ შემდგარი კულტურის სახელმწიფოს დაშლა-დანაწილება, რადგანაც ვერ გაავრცელა თავისი ეროვნული კულტურა და ახალ ეპოქაში, თანამედროვე ვითარებაში, ვერ დაიცვა სულიერი ეროვნული ღირებულებები.

მართალია, XX საუკუნეში უფალმა აღუდგინა თავისუფლება საქართველოს, მაგრამ ქართველმა ხალხმა თავისი ჯვარი ვერ მიიტანა ბოლომდე, ვერ ჩამოყალიბდა ნაციად და ამით ვერ გახდა მკვიდრი ამქვეყნიური მომავალი დიდებისა. უფალმა მოგვცა ჩვენი სახელმწიფო, ეროვნული ეკლესია, უძველესი კულტურა, ენა, ჩვენ მხოლოდ ერთი მოვალეობა დაგვაკისრა -

მათი დაცვა, განმტკიცება და განვრცობა.

რეგიონებში ქართული კულტურის განვრცობა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს აღორძინება ჩვენი ხალხის მოვალეობად და ღირსების საქმედ უნდა იქცეს უფლის შემწეობით.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას - კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. ამ პროცესის შესახვედრად თვით უძლიერესი ერებიც კი ემზადებოდნენ (ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოს დაარსებით, ფეოდალური დანაწევრების დაძლევით, საერთო შიდაეკონომიკური ბაზრის შექმნით, ერთიანი კულტურული სივრცის ჩამოყალიბებით, შიდაეთნიკური საზღვრების მოშლით).

უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე ქართული ენა და კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის 200 წლიანი (XIX-XX ს.ს.) ბატონობის შემდეგ, საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობის ენა არის არა ქართული, არამედ რუსული. ფაქტობრივად რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ეთნოსების კულტურებს (იგულისხმება აზერბაიჯანული, სომხური, თვით ქართული, ოსური, აფხაზური და სხვა). რუსული ენისა და კულტურის მიერ ქართულის შეზღუდავამ, ამ უკანასკნელს ჩამოართვა ფუნქცია ხალხთა გამაერთიანებლისა, რადგანაც კულტურა მოქალაქეთა მთლიანობის უმთავრესი ნიშანი და ერთობის საფუძველია. კულტურული ერთობის განცდა საქართველოს შვილების (ერის) მთლიანობის ნიშანი იყო ძველად, რაც დღესდღეისობით ჩანაცვლებულია არაეროვნულით (რუსულით), ეს ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ეთნოსების (ხალხების) შეფერხებული ინტეგრაციისა.

ამ ვითარების გამო აუცილებლად მივიჩნევთ, რომ სამომავლოდ ქართულ ენასა და კულტურას საქართველოში მიენიჭოს პრიორიტეტი რუსულთან შედარებით. იგულისხმება საქართველოს მოცვა ქართული ენით, ლიტერატურით, მუსიკით, ფილოსოფიით, კულტურით, ეკონომიკური დოქტრინებით. სახელმწიფომ ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

აღნიშნულის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საინფორმაციო საშუალებების (ტელეხედვის, რადიომაუწყებლობისა და ინტერნეტის) ქართულენოვანებას. ქართულმა ტელეარხებმა ყველა გადაცემა უნდა განახორციელონ სახელმწიფო ენით, ისევე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. ქართული კულტურისათვის დამამცირებელია, რომ საქართველოს მხარეების უდიდესი ნაწილი ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთის მთიანეთი, ქვეყნის სხვა ოლქები წარმოადგენს რუსულ და უცხოენოვან ტელე და რადიო სივრცეს და (არა ქართულს). თვით თბილისის რადიო და ტელეარხების 30-40% რუსულენოვანია, ქართველი ბავშვები ტელევიზიის საშუალებით სწავლობენ რუსულ ენას, ითვისებენ რუსულ კულტურას, ამის შედეგია ის, რომ რუსეთში სამუშაოდ გასული ასეულათასობით ქართველს უცხო გარემოსთან შეგუება უადვილდება ენის ცოდნის გამო. ამიტომაც ხდება რუსეთში მათი სწრაფი ასიმილაცია, საქართველოს სოფლების მნიშვნელოვანი ნაწილის დაცარიელება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტელე და რადიო დიქტორთა მეტყველებას. მათი საუბარი გასაგები უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის. არა მხოლოდ

თურქეთისა და ირანის მკვიდრ ქართველებს, არამედ თვით საქართველოს მსმენელს უჭირს ტელე და რადიო დიქტორთა უზომოდ აჩქარებული და აქცენტირებული მეტყველების აღქმა, მითუმეტეს, მათი მოსმენა უჭირთ საქართველოში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებსა თუ სომხებს, რომელთაც სახელმწიფო ენის ათვისება სურთ.

საქართველო, ვითარცა მცირერიცხოვანი ქვეყანა, როგორც აღინიშნა, უფრო მეტად უნდა შეემზადოს გლობალიზაციის პროცესის შესახვედრად ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებით, შესაბამისად, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიზნით, ამჟამად საქართველო არ უნდა დაიყოს კუთხური ნიშნით შექმნილ რეგიონალურ მხარეებად. ამან შეიძლება სამომავლოდ ქვეყნის მთლიანობას საფრთხე შეუქმნას. შესაძლოა, ამგვარმა დაყოფამ ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების ჩანერგვასა და განვითარებას რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან (მაგალითად ისე, როგორც ეს მოხდა ე.წ. "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში"), ფედერალური მოწყობა შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს საქართველოსათვის. მით უმეტეს სახიფათოა ამ ნიშნით ჯარის (თუნდაც სარეზერვოსი) ჩამოყალიბება, ასევე სამხარეო პროკურატურებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა და განათლების სისტემისა.

ივანე ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ საქართველოს ერთიანობას მუდამ ემუქრებოდა თემობრიობა, კუთხურობა, ერთიანი საქართველოს დაშლა-დანაწევრება XV-XVI სს-ში ამ მიზეზით მოხდა - "თემობრიობამ თავისი გაიტანა და სრულიად საქართველოს მეფე დამარცხდა" (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IV. ნაწ. I. გვ. 191).

ფეოდალიზმის დროისათვის დამახასიათებელი "ქართველი ერის წიაღში არსებული (ტომობრივ-გეოგრაფიული) თემობრივი თავისებურება" არყევდა საქართველოს მთლიანობას შუა საუკუნეებში. ფეოდალური დანაწევრების ეტაპი უკვე განვლეს გლობალიზაციის მომლოდინე სხვა ქვეყნებმა (მაგ. თურქეთმა, აზერბაიჯანმა, რუმინეთმა და სხვა) და ჩამოყალიბდნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად.

ამჟამად შუასაუკუნეობრივი სამართლებრივი მოდელის მიხედვით საქართველოს რეგიონებად დაქუცმაცება არის ეთნიკური სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების რეანიმაცია. ეს ძლიერ შეუშლის ხელს ქართველი ერის კონსოლიდაციასა და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასე ძლიერ სურთ ჩვენს იმპერიულ მეზობლებს და აიძულებენ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს საქართველო ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბონ, თუმცა ქართველ ერს ამის სურვილი არ აქვს (ამიტომაც წერდა ჩვენი პოეტი მურმან ლებანიძე "ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად, ვისაც ჩვენი დაყოფა და გათიშვა სწყურია ან ჭკვიანი მტერი არის ან უგნური მოყვარე").

გლობალიზაციის პროცესის ღირსეულად შესახვედრად ქართველმა ერმა უნდა განამტკიცოს თავისი სახელმწიფო, შეძლოს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის მოსახლეობის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული ენისა და კულტურის გავრცობას.

Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

SUMMARY

Metropolitan Anania Japaridze

THE LANGUAGE AND THE STATE

In the present work it is justified that Georgia must accelerate the internal consolidation of the Georgian people and unite firmly the multiethnic and multiconfessional population in the Georgian state. At the beginning of the XX century, the consolidation helped the Turkish to create the necessary prerequisites for establishment of the Turkish state. The Bulgarians, the Romanians, the Greeks and other nations realized similar consolidation at the end of the XIX century and at the beginning of the XX century.

The integration of the population of Georgia does not mean that, for example, the ethnic Azerbaijanians will become the ethnic Georgians. It is meant that the ethnic Azerbaijanians, living in Georgia, will keep their ethnic originality, but will speak fluently the Georgian language, will recognize Georgia as their native state and will become bearers of the Georgian culture and fully-fledged citizens of Georgia. What impedes the integration of peoples living in Georgia? – The absence of common culture, which is a great power uniting the peoples. Under Russia's sway, which lasted for 200 years, the Georgian language and culture lost their function of international communication inside Georgia and only the Russian language and culture were common for the people of different nations living in Georgia, which still impedes their integration in the uniform Georgian state.

ÐÅÇÞÌÅ

Ìèòðîïîëèò Àíàíèÿ Äæàïàðèäçå

ßÇÛÊÈ ÃÎÑÓÄÀÐÑÒÂÎ

(Î íåîáõîäèìîñòè ïåðåêîâêè ðóññêîé êóëüòóðû ãðóçèíñêîé êóëüòóðîé)

Ñ öåëüþ ñòàíîâëåíèÿ ñîðåìåííîé ãðóçèíñêîé íàöèè, Ãðóçèÿ äîëæíà óñêîðèòü âíóòðåííóþ êîíñîëèäàöèþ ãðóçèíñêîãî íàðîäà è îáúåäèíèòü ðàçíî-ýòíè÷åñêîå è êîíôåññèîíàëüíîå íàñåëåíèå â åäèíîì ãðóçèíñêîì ãîñóäàðñòâå.

Â íà÷àëå ÕÕ âåêà, èç-çà óñêîðåíèÿ íàöèîíàëüíîé êîíñîëèäàöèè, Òóðöèÿ ïîñòåäñòâîì ñâîåé èíòåëëåêòóåëüíîé ñîçäàëà è óçàêîíèëà ïîíÿòèå ñîâðåìåííîé íàöèè, ÷òî è ñîçäàëî ïðåäïîñûëêè ñîçäàíèÿ òóðåöêîãî ãîñóäàðñòâà. Àíàëîãè÷íàÿ êîíñîëèäàöèÿ Áîëãàð, Ðóìûí, Ãðåêîâ è äð. íàðîäîâ ïðîèçîøåë â êîíöå ÕIÕ è â íà÷àëå ÕÕ ââ.

Èíòåãðàöèÿ ïðîæèâàþùèõ íà òåðèòîðèé Ãðóçèè íàðîäîâ íå ïîäðàçóìåâàåò, ÷òî ê ïðèìåðó àçåðáàéäæàíöû ñòàíóò ãðóçèíñêèì ýòíîñîì, à ïîäðàçóìåâàåòñÿ òî, ÷òî àçåðáàéäæàíöû ñîõðàíÿò âíóòðè-ýòíè÷åñêóþ ñàìîáûòíîñòü, íî ñòàíóò ñîâðåìåííîé ãðóçèíñêîé íàöèåé ïîñðåäñòâîì çíàíèÿ ãðóçèíñêîãî ÿçûêà, ïðèçíàíèåì Ãðóçèè êàê ñîáñòâåííîãî ãîñóäàðñòâà, íàñëåäüñòâîì ãðóçèíñêîé êóëüòóðû, ñòàíîâëåíèåì ïîëíîöåííûì ãðàæäàíèíîì Ãðóçèè.

×òî ìåøàåò èíòåãðàöèè íàðîäàì Ãðóçèè? – îòñóòñòâèå åäèíîé êóëüòóðû. Êóëüòóðà âåëèêàÿ ñèëà îáúåäèíÿþùàÿ íàðîäû è ôóíäàìåíò åäèíñòâà. Âìåñòå ãîñóäàðñòâåííîñòü, îáùèì ãðàæäàíñòâîì è ïðàâî îáúåãðóçèíñêàÿ êóëüòóðà äîëæíà ñîçäàòü îáðàç ãðóçèíñêîé íàöèè è äîëæíà ñòàòü(êóëüòóðà) ïðèçíàêîì íàöèîíàëüíîãî åäèíñòâà. Èç-çà 200 ëåòíåãî ðîññèéñêîãî ãîñïîäñòâà, ãðóçèíñêèé ÿçûê è êóëüòóðà ïîòåðÿëè ôóíêöèþ ìåæíàöèîíàëüíîãî ñðåäñòâà îáùåíèÿ âíóòðè Ãðóçèè è òîëüêî ðóññêàÿ êóëüòóðà îáúåäèíÿåò ðàçëè÷íûå êóëüòóðû âíóòðè Ãðóçèè, ÷òî è ïðåðÿòñòâóåò èíòåãðàöèè íàðîäîâ Ãðóçèè â îäíî åäèíîå ãðóçèíñêîå ãîñóäàðñòâî.

Â Òóðöèè áûë çàìåíåí îòîìàíñêèé, èìïåðñêèé ÿçûê òóðåöêèì, êàê íàöèîíàëüíûì ÿçûêîì è ðåôîðìàòîðàìè âî ãëàâå Àòàòþðêîì, âñå îòîìàíñêîå áûë îáúÿâëåíî èìïåðñêèì.

×òî ìû ìîæåì âçÿòü èç îïûòà ñîñåäà? Âî èìÿ êîíñîëèäàöèè ãðóçèíñêîãî íàðîäà, íåîáõîäèìî ïåðåñìîòðåòü èìïåðñêîå íàñëåäñòâî, ò.å. **ïåðåêðûòü ðóññêóþ êóëüòóðó ãðóçèíñêîé êóëüòóðîé.**

სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი
Scientific-Historical Journal
სვეტიცხოველი
SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე:
"მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაყონ, ერი დაანაწევრონ..."

გაზეთი "საპატრიარქოს უწყებანი"
(26 იანვარი - 1 თებერვალი, 2006):

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II 2005 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით, საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა "ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო", რომელიც ორგანიზებას გაუწევს საეკლესიო ენისა და ქართველური ენა-კილოების ისტორიული ურთიერთმიმართების შესწავლას. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის რედაქციამ მას რამდენიმე კითხვით მიმართა.

– საქართველოს საპატრიარქოსთან ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭოს შექმნა მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საქართველოს ეკლესიისა და ქართული მეცნიერების დაახლოებისა და თანამშრომლობის გააქტიურების საკითხს. რა პროცესები უძღოდა წინ ხსენებული საბჭოს შექმნას და რა მიზნებს ისახავს იგი?

– მოგესალმებით. გლოცავთ და გაკურთხებთ უფლის სახელით. უწმიდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ინება და საქართველოს საპატრიარქოში დაარსდა ქართული ენისა და კულტურის სამეცნიერო საბჭო, რაც მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანი მოვლენაა და ვფიქრობ, რომ თავის სიტყვასაც იტყვის. მისი უწმიდესობა და მღვდელმთავრები შეაშფოთა ბოლო ხანს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც ქართული მედია ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ საჭიროა ითარგმნოს (უკვე ითარგმნება კიდეც) წმიდა წერილი ადგილობრივ ქართულ დიალექტებზე, კერძოდ, - სვანურად, მეგრულად და ასე, მთელს რეგიონალურ კილოებზე. რატომ არის ასე შემაშფოთებელი ეს ფაქტი?

ისტორიულად ცნობილია, რომ მსგავსი მიზანმიმართული პროცესი საქართველოში ერთი საუკუნის წინათაც დაიწყო. მაშინ ამ საქმეში ჩართული იყო რუსეთის იმპერიის ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელეები. ისინი ცდილობდნენ საქართველოს კუთხეებში დაენერგათ ახალი კულტურა, კერძოდ, ერთიანი ქართული კულტურისაგან როგორმე ჩამოეშორებინათ ქართველი ერის სხვადასხვა ნაწილები. ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა 100 წლის წინ, რადგან იმჟამად მთელი საზოგადოება დაირაზმა ამ მოძრაობის წინააღმდეგ. საპროტესტო პროცესს სათავეში დიმიტრი ყიფიანი ჩაუდგა, მას ეს პირდაპირ დაავალეს. დიმიტრი ყიფიანი ამ დროისთვის თავადაზნაურობის მარშალი იყო, ანუ თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღვარი, კერძოდ კი, დასავლეთ საქართველოს, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. მას, როგორც ოფიციალურ პირს, სამეგრელოს და სხვა კუთხეების მოსახლეობამ, და თავადაზნაურობამ სთხოვა, რომ რუსი მოხელეების მცდელობა, სამეგრელო

და სვანეთი ჩამოეშორებინათ ერთიანი ქართველი ერისაგან, ერთიანი ქართული კულტურისაგან, როგორმე შეეჩერებინა, პროტესტი გამოეხატა ისეთი ფორმით, რომ ეს ხმა თავად იმპერატორის კარზე მისულიყო. ამ პროცესში შემდეგ ილია მართალი და იაკობ გოგებაშვილიც ჩაერთვნენ.

დაწყებული პროცესის გაგრძელება იყო ის, რომ სასულიერო სემინარიის სტუდენტმა - ლადიაშვილმა მოკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, რომელიც ცდილობდა ქართული ერის დანაწევრება-დაშლას, ქართველი ენის გაძევებას სემინარიიდან, რაც იმჟამად ძალზე სათაკილო და სერიოზული მოვლენა გახლდათ. შემდგომ, როცა რექტორის პანაშვიდები და დაკრძალვა გაიმართა სიონში,რუსმა ეგზარქოსმა,რომელიც იქ სიტყვით გამოვიდა,დაწყევლა ლადიაშვილის "წარმომშობი ხალხი".

ეს "წარმომშობი ხალხი", როგორც მაშინ მიიჩნევდნენ, რა თქმა უნდა, ქართველი ერი იყო, ამიტომაც მთელმა საზოგადოებამ და მთელმა ინტელიგენციამ ეს შეაფასა და მიიღო, როგორც ქართველი ერის წყევლა. ამიტომაც მისწერა მაშინ დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოსს - შენ დაწყევლე შენი სამწყსო და ასეთი მწყემსი მოვალეა, დატოვოს იგი. ამის გამო დიმიტრი ყიფიანი დასაჯეს, რუსეთში გადაასახლეს და იქ მოკლეს. იგი ამ საქმეს შეეწირა. რუსების მცდელობის საწინააღმდეგოდ, როგორმე შემოეღოთ მეგრულენოვანი წირვა-ლოცვა, ანბანი, სამეგრელოში ტარდებოდა აღშფოთებული მოსახლეობის გამოსვლები. სამღვდელოებამ გამართა საეკლესიო კრებები (ამაზე არსებობს საგანგებო გამოკვლევები, კრების მასალები მოღწეულია ჩვენამდე), იმჟამინდელი პრესა სავსეა ამ მოვლენებთან დაკავშირებული ცნობებით. კრებებზე ნათქვამი იყო, რომ წმიდა მოციქულების დროიდან, ამ ხალხს აქვს საეკლესიო და საურთიერთო ენა - ქართული ენა. ამიტომ, წირვა-ლოცვა, სწავლა-განათლება სამეგრელოში, სასულიერო და საერო სასწავლებებში უნდა იყოს ქართულ ენაზე. ამასვე ამბობდა დიმიტრი ყიფიანიც. შემდეგ მოხდა რევოლუცია, ასე ვთქვათ, საქმე ჩაწყნარდა, იდეის განხორციელება რუსეთის იმპერიამ თითქოს ვერ შეძლო, მაგრამ შემდეგ, როცა კომუნისტურმა რუსეთმა ხელახლა დაიპყრო საქართველო, შექმნეს ავტონომიები, საქართველო დაშალეს და დაანაწილეს და როცა ეს საქმე დაამთავრეს, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, ხელახლა დაიწყეს ინტრიგები სამეგრელოში, კერძოდ, გამოსცემდნენ მეგრულ გაზეთებს და ა. შ. მაგრამ შემდგომ, ისევ ხალხისა და ერის წინააღმდეგობის გამო, მოვლენები ამ გზით აღარ განვითარდა, იგი ბოლშევიკებმავე შეაჩერეს. ამჯერად, ხელახლა, გარკვეული ინტერვალის შემდეგ უნდათ, რომ კვლავ დაიწყონ ეს პროცესი: ყოველ შემთხვევაში, გვეუბნებიან, რომ სახარება უნდა ითარგმნოს მეგრულად, სვანურად, ამას ეთანხმება თავად ოფიციალური პირიც კი, სახალხო დამცველი. თითქმის პარალელურად, დაპყრობილ აფხაზეთში გამოვიდა და ახლაც გამოდის გაზეთი "გალი", სადაც ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ჯორჯ ჰიუტი, რომელიც ათეული წლებია, ებრძვის ქართულ კულტურასა და მეცნიერებას, ქართველ ერს, გაზეთში აკეთებს პირდაპირ მოწოდებას, დროა, სახარება ითარგმნოს სვანურად და მეგრულად, შეიქმნას ადგილობრივი კულტურა და სხვა მსგავსი. აქ საინტერესო ის არის, რომ რასაც ამბობს ჰიუტი, იმავეს ამბობს გარკვეული წრეები თბილისში. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ერთმანეთის სიტყვებს იმეორებენ, ანუ ერთსა და იგივე საქმეს აკეთებენ. ვთქვათ, ვერ გავუგეთ თბილისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც წმიდა წერილის

მეგრულად და სვანურად თარგმნის მომხრეა, მაგრამ ხომ ვიცით, რა სურს ჰიუტს, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ დიდი როლი, მიუძღვის აფხაზეთის ომის დროს საქართველომ საინფორმაციო ომი რომ წააგო და რომელიც ათეული წლებია, არაქართული მოწოდებებით გამოდის. მეორე მიზეზი საბჭოს შექმნისა არის ქართული ენისა და კულტურის ლინგვისტური კუთხით შესწავლა, რომელიც, თავისთავად, სვანებისა და მეგრელების ენა და კულტურაა. როცა საქართველოში შემოვიდნენ მოციქულები, 2000 წლის წინ, მაშინ ის ენა, რომელზეც ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ, ჩამოყალიბებული არ იყო. ჩვენი წინაპრები საუბრობდნენ ფუძე ქართველურ ენაზე, ძველ ქართულზე, რომელიც საეკლესიო მწერლობამ დააფიქსირა. ჩვენი საერთო წინაპრები, როგორც ქართლელებისა, მეგრელებისა, სვანებისა, კახელებისა, იმერლებისა, ინგილოებისა, საუბრობდნენ ერთ ენაზე, რომელიც შემოინახა ეკლესიამ, მიიღო იგი, როგორც საღვთისმსახურო, საეკლესიო ენა ანუ ეკლესიამ შეინახა ძველი ქართული ენა, რომლზედაც დღეს საქართველოს ყველა კუთხეში წირვა-ლოცვა ტარდება, ის არ არის არც იმერეთის, არც კახეთის ენა, არამედ ენა, რომელიც ჰქონდა ჩვენს წინაპრებს. როცა ჩვენ გვქონდა ენობრივი მთლიანობა, სწორედ მაშინ ითარგმნა წმიდა წერილი ქართულ ენაზე, როგორც ეს სლავურ ქვეყნებში მოხდა. ახლა, როცა ზოგიერთებს სურთ, წაართვან მეგრელებს და სვანებს ეს ენა, ამით სინამდვილეში სულიერად აღარიბებენ ამ კუთხეებს, თავიანთ ეროვნულ კულტურას აცლიან.

ვფიქრობ, რომ ჩვენი საბჭოს არსებობის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს სწორედ ის, რომ ძველი ქართული საეკლესიო ენის, მისი ისტორიის შესახებ ჩვენს ერსა და ჩვენს მოსახლეობას როგორმე სწორი ინფორმაცია მიეწოდოს, რათა თავიდან ავირიდოთ ქართველი ერის დაშლა-დანაწილება. ეს ძალიან სურთ ჩვენს ავადმოსურნეებს, მათ სრულებით არ აინტერესებთ ქართული საეკლესიო ენა, არც ბიბლიის თარგმნა, სინამდვილეში განზრახული აქვთ, ამგვარი საშუალებებით ხალხი დაყონ, ერი დაანაწევრონ. ჩვენი მიზანია, სწორედ ამ პროცესს შევუშალოთ ხელი.

– საინტერესოა, როგორ აპირებთ საეკლესიო ენისა და ქართველური ენა-კილოების ურთიერთმიმართების შესწავლას იმ ფონზე, როცა ქართველური ენობრივი ერთეულების საბოლოო დიფერენციაციის საკითხზე ქართულ, და არა მარტო ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, არაერთი განსხვავებული მოსაზრება არსებობს?

– მართლაც, ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი აზრია გამოთქმული. ერთ-ერთი ცნობილი ენათმეცნიერი - გივი მაჭავარიანი ამბობს, რომ ფუძე ქართველური ენიდან ჯერ სვანურის გამოყოფა მოხდა, ამის შედეგად ჩამოყალიბდა ორი კილო - სვანური და ქართულ-ზანური. როდის დაშორდნენ ერთმანეთს ზანური და ქართული?

ხსენებული მეცნიერი ბრძანებს, რომ ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ანუ პირველ საუკუნეში, როცა ქართულ-ზანური ენობრივი ერთობა კვლავ არსებობდა. ეკლესიურად ეს ის დროა, როცა საქართველოში შემოდიან მოციქულები და ისინი ხალხისთვის გასაგებ ენაზე ქადაგებენ ქრისტეს სარწმუნოებას, ანუ ენაზე, რომელზეც საუბრობდა როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა, ასევე დასავლეთის. მოციქულების ეს ენა დააფიქსირა ეკლესიამაც. ჩვენამდე მოღწეული ქართული სასულიერო მწერლობის პირველი ნიმუშები შეიქმნა მოციქულთა ეპოქიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, წმინდა ნინოს დროს და ეს მწერლობა არ

აღმოცენებულა ქართულ-კახურ დიალექტზე, როგორც ამას ამტკიცებდნენ საბჭოთა მეცნიერები, იგი ჩამოყალიბდა ქართველთა ენობრივი მთლიანობის დროს, იგი არის საერთო ფუძე ენაზე დამკვიდრებული ენა, ენა როგორც სვანის, ასევე მეგრელის და ყოველი ქართველის. ამას ეკლესია აღიქვამს როგორც ფაქტს, ამას ამტკიცებს საეკლესიო წყაროები, ამასვე ამბობენ ჩვენი ძველი საეკლესიო მოღვაწეებიც და ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს, იგივე გავიმეორო. მოგახსენებთ რამდენიმე მაგალითს:

XI საუკუნის დიდი მოღვაწე, დავით აღმაშენებლის მოძღვარი არსენ ბერი ბრძანებს, ჩვენ შვილნი ვართ "არიან ქართლით გამოსულთანი და მათი ენა ვუწყით", ანუ ამბობს, რომ ენა, რომელიც ჩვენ ვიცით, არის საქართველოს საერთო ენა და არ წარმოადგენს მისი რომელიმე კუთხის საკუთრებას. უფრო ადრე,ეპისკოპოსი ლეონტი მროველი განმარტავს,რომ ენა,რომელიც ეკლესიაში გამოიყენება, ფარნავაზის დროს საერთო სახელმწიფოებრივ ენას წარმოადგენდა, ანუ "სხვა ენა, თვინიერ ქართულისა, არ იზრახებოდა" მთელ ამ მიწა -წყალზე, პონტოს ზღვისპირეთიდან, მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე ალბანეთამდე და სომხეთამდე, რომელსაც დღეს საქართველო ეწოდება.

აქედან გამომდინარე, ქრისტესშობამდე IV-III საუკუნეებში, მეფეების - ფარნავაზისა და აზონის დროს მხოლოდ ფუძე ქართული ენა გამოიყენებოდა. ანუ ის ძველი ქართული ენა მეგრელებისა და სვანების წინაპრების დედა ენაც იყო, სხვაგვარად, როცა ამას უარყოფენ, სვანები, მეგრელები ველურ ტომად გამოჰყავთ, რომელთაც დამწერლობა და კულტურა არ ჰქონიათ, რაც ასე არ არის, როცა სვანეთში კლდეებიც კი სავსეა X-XI საუკუნის დამწერლობით. ეს მხარე საუკუნეების მანძილზე ისეთ იზოლაციაში იყო, რომ იქ არავის შეეძლო ექსპანსია მოეხდინა, ყოველივე, რაც იქმნებოდა, ადგილობრივ კულტურას წარმოადგენდა.

– ძალიან ბევრი მეცნიერი იკვლევს ამ საკითხებს. არიან თუ არა ისინი საპატრიარქოს მიერ შექმნილი კომისიის წევრები?

– ჩვენი კომისია დაკომპლექტებულია ძალზედ სერიოზული და ცნობილი მეცნიერებით, მათ შორისაა: პროფესორი მანანა ტაბიძე, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, რომელმაც გამოსცა შესანიშნავი წიგნი სახელწოდებით - "ქართველები", სადაც მრავალი მნიშვნელოვანი საკითხია განხილული, ასევე პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე, პროფესორი ნომადი ბართაია, პოეტი, ენათმეცნიერი ნათელა ქუთელია, რომელმაც ასევე ახლახან გამოსცა წიგნი ლაზეთზე და მრავალი სხვა.

– აპირებთ თუ არა რაიმე გამოცემის დაარსებას?

- ჩვენი საზოგადოებისათვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ამგვარი გამოსვლები, რომ ჯერჯერობით ვცდილობთ, ჩამოვაყალიბოთ, თუ რა შეიძლება ვუპასუხოთ ქართველი საზოგადოების მტრებს. რა თქმა უნდა, ვფიქრობთ წიგნების, ბროშურების გამოცემას, კონფერენციების გამართვას, იქნებ ტელეარხებმაც დაგვითმონ დრო, რათა როგორმე ჩვენი ხმა მივაწოდოთ ქართველ საზოგადოებას. აქ მახსენდება IX საუკუნის უდიდესი მოღვაწის, ილარიონ ქართველის ცხოვრება. საბერძნეთში, ულუმბოს მთაზე, მან ერთ-ერთ ბერძნულ ეკლესიაში ქართული წირვა დააყენა. ბერძენმა მამასახლისმა ბრძანა, ქართველები მონასტრიდან გაეძევებინათ, იმ ღამეს მამასახლისს ღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა:

“მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხონებად არიან”, ცხონება ღვთის ნათელში ცხოვრებას ნიშნავს. აქვე გავიხსენებ იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებას, როდესაც ექვთიმე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ განიკურნა და რომელმაც მას ქართული ენით მიმართა: “რაი არს, რაი გელმის, ეფთვიმე? ...არარაი არს ვნებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ, და ქართულად ხსნილად უბნობდი!”

აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ღვთისმშობელი ქართულად მეტყველებდა და ამ ამბის შემდეგ ექვთიმეს პირიდან, რომელსაც ქართულად მეტყველება უჭირდა, როგორც წყალი, ისე გადმოდის ქართული სიტყვა და შეეწევა წიგნთაგან ნაკლულ საქართველოს.

სინას მთა არის მსოფლიოში ყველაზე წმიდა ადგილი, სადაც ბიბლიურ მოსეს უფალმა ათი მცნება გადასცა, ადგილი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, სადაც საუკუნეთა მანძილზე არსებობს მონასტრები, აქ, ქართულ მონასტერში ქართველ ბერებს ხელში ეჭირათ “მოქცევაი ქართლისაი”, სადაც ნათქვამია, რომ ქართული ენა არის ქართველთა დედაენა, რომლის საზღვრებში შედის როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი საქართველო. მათ ასევე ხელთ ჰქონდათ ლოცვა-სადიდებელი - “ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი”, რომელიც ძალიან ადრეული ეპოქისაა. ასურელი მამები, რომლებიც სირიიდან იყვნენ, ბუნებრივია, ქართულად ვერ მეტყველებდნენ, მაგრამ როგორც კი საქართველოში შემოვიდნენ, ერთ წამში სულიწმიდის მადლით ქართულად ამეტყველდნენ, ისევე როგორც მოციქულები, ამ ენას პატრონობს უფალი ღმერთი და ამ ენის დაკარგვა ღვთის მადლის დაკარგვასაც ნიშნავს. ექვთიმე ათონელის მთელი შემოქმედება ღვთის მადლის ნაყოფია, ისევე როგორც ასურელი მამებისა, მთელი საეკლესიო კულტურა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნამუშაკევია.

ესაუბრა: ნინო გაგოშაშვილი

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის ნაშრომი "ენა და სახელმწიფო" განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის და სრულ თანხვედრაშია იოანე ზოსიმესა და უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ფუძემდებლურ შეხედულებებთან ქართულ ენასთან დაკავშირებით.

უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებებიდან:

„ქართული ენა - ეს არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი."

„ჩვენ ვართ იმ მიწა-წყლის შვილები, სადაც ინახება მთელი ქრისტიანობის სანუკვარი სიწმინდე - კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც დაინთხა სისხლი მრავალი ათასი მოწამისა, რომელთაც თავისი სიცოცხლის ფასად დღემდე შემოგვინახეს ჩვენი ენა და რწმენა."

„ჩვენი ერი ჯვარცმული ერია. ჩვენი ქვეყანა აერთებს ევროპასა და აზიას. ბევრს სურდა ჩვენი დაპყრობა, მოსპობა, მაგრამ მტერმა ვერ წაგვართვა ის, რაც ყველაფერზე ძვირფასია - სული. ვერ წაგვართვა ნიჭი, ვერ წაგვართვა ჩვენი ქართული ენა... დღეს ზეციური და მიწიერი საქართველო ერთითა პირითა და ერთითა გულით მადლობას სწირავს შემოქმედს, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა ჟამთა სიავის ორომტრიალში, რომელმაც შეგვინარჩუნა რწმენა, ტკბილი ენა და კულტურა."

„საოცარი და ენით უთქმელი წყალობაა - მაშინ, როცა მთელი ქვეყნიერება სარწმუნოებას დაკარგავს, საქართველო, როგორც ეს ღვთისმშობელმა ათონის მთაზე ივერიის მონასტრის ბერს, გაბრიელს, აუწყა, გაბრწყინდება. ჩვენი ერის მიმართ უფლის განსაკუთრებულ წყალობაზე მრავალი ნიშანი მეტყველებს: მაცხოვრის კვართის ჩამობრძანება, ღვთისმშობლის წილხვდომილობა და სხვა. ალბათ ამით უნდა ავხსნათ იოანე-ზოსიმეს სიტყვები - მეორედ მოსვლის ჟამს კაცობრიობა ქართულითა ენითა განისჯებაო. ეს იქნება ალბათ ჯილდო იმისათვის, რომ საქართველო, თვით უკანასკნელ ჟამსაც კი, შეინარჩუნებს ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და სიყვარულს."

„განსაკუთრებული სიყვარულითა და მხურვალე გრძნობით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო. ჩვენ სისხლით და ხორცით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმინდა მიწაში. ნუ დაივიწყებთ, ვინ ხართ, სადაურნი ხართ, გახსოვდეთ ღვთისაგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე ნაკურთხი ქართული ტრადიციები."

„ჩვენს ეროვნულ არსს, ჩვენს ეროვნულ მთლიანობას, როგორც ბრძანებს წმინდა ილია მართალი, სამი მძლავრი ფესვი ასაზრდოებს: საკუთარი მიწა, ქრისტიანობა და ენა ქართული.

მათ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან თუ ქართველთა შორის დაიკარგა გრძნობა და განცდა ამ ჭეშმარიტებისა, გადამრჩენელ ბილიკს ვერასდროს მივაგნებთ."

„ჩვენი მხნე, სიცოცხლისა და თავისუფლების წყურვილით აღვსილი ხალხი საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ჩვენს დიდებულ, უნიკალურ ენას. ამ ენაზე შეიქმნა უძველესი ჩვენი მწერლობა, ამ ენაზე დაიწერა „წამება წმიდისა შუშანიკისი", მთელ მსოფლიოში უსაჩინოესი „ვეფხისტყაოსანი" და ბევრი სხვა. ამ ენაზე მეტყველებდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ეს ენა ჟღერდა სინას მთაზე, წმინდა ათონზე და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ ენაზე ქმნიან თავიანთ შრომებს ჩვენი ბრძენი მეცნიერები ჩვენს სახელოვან მეცნიერებათა აკადემიაში და ჩვენს კურთხეულ უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში. ქართველ ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!" (გრიგოლ ორბელიანი). ამიტომ უყვართ თავისი ენა საქართველოს გულკეთილ შვილებს."

„ჯერ კიდევ წმინდა ილია მართალი თავის პუბლიცისტურ წერილებში ებრძოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში შექმნილ ანტიქართულ ისტორიოგრაფიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ერთიანი ქართველი ერი წარმოდგენილი იყო განსხვავებული ტომების ხელოვნურ გაერთიანებად. აღნიშნული კამპანიის გაგრძელება იყო ის, რომ იმპერიულმა ძალებმა დაიწყეს მეგრულად და სვანურად საღვთისმსახურო წიგნების თარგმნა და სცადეს წირვა-ლოცვის ჩატარებაც, მაგრამ ამ კუთხის შვილებმა და მთელმა ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი გასცეს."

„რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შინაგანი ძალა, თავისი მოწამეების, განმანათლებლების, პოეტების, მხატვრებისა და თავისი უშიშარი და თავისუფლებისმოყვარე ხალხის სახით. ერთი მთავარი წყაროთაგანი, საიდანაც ქართველები იღებდნენ სულიერ ძალებს - ესაა უძველესი და მადლიანი ქართული ენა, რომელზეც საოცრად მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა, ესაა ენა, რომლის შესახებ ღირსმა მამამ, იოანე ზოსიმემ, თქვა: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს."

„არის ღირებულებანი, რომელნიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნება და ყალიბდება და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებელი სარწმუნოება, მოციქულთაგან ბოძებული; მუსიკა - ყველას რომ აღაფრთოვანებს; ჩვენი ენა და მწერლობა, იდუმალებით სავსე და დიდებული; გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა; ჩვენი მშვენიერი წეს-ჩვეულებანი. აღმოსავლეთის ან დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება მათ? სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ."

„სამშობლოს უკეთესი მომავლისთვის მეცადინეობა ყოველი ჩვენგანის ვალია, რათა „ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის, წმიდით საყდარით, ენით მდიდარით, სწავლისა შუქით განათებული!" ეს ეხება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, როგორც სულიერს, ისე მატერიალურს, პირველ ყოვლისა, ეს ეხება ქართულ ენას.

ძველქართული პოეზიის ბრწყინვალე ძეგლის, „ქება და დიდება ქართულისა ენისა ს", ავტორი, ღირსი მამა იოანე ზოსიმე ამბობს: „და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან".

წმინდა ოთხთავის მიხედვით, ლაზარე მეგობარი იყო ქრისტესი. იგი მკვდრეთით აღადგინა მაცხოვარმა, ხოლო მის დებს, როგორც ძმის ჭირისუფლებს, სამარადისო ცხოვრება აღუთქვა. აზრი ნათელია, ღვთის ნებით, ქართული ენა მკვდრეთით აღდგენილ წმინდა ლაზარესთან არის გაიგივებული, ხოლო მას ჭირისუფლად შერაცხულია მთელი ქართველი ერი, რომელიც ვალდებულია დღენიადაგ უფრთხილდებოდეს, ზრუნავდეს მისთვის, ვითარცა მართალი იოსები იფარავდა მტერთაგან ჩვილ ყრმას, მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს.

მადლობა უფალს, ჩვენს კურთხეულ მიწა-წყალზე წინაპართა ნაკვალევი სანთლით საძებარი არა გვაქვს. მიწიერი საქართველოს მთა და ბარიდან 15 ათასზე მეტი ისტორიული ძეგლი შეღაღადებს ზეციურ საქართველოს!.. ყოველი მათგანის მდიდარ ისტორიას მხოლოდ ძუნწი წარწერა გვამცნობს. დგას ქართველი კაცი დიდებული ქართული ტაძრის წინაშე და რაოდენ სავალალოა, რომ მასზე ამოტვიფრულ წარწერას ვერ კითხულობს... გვახსოვდეს, რომ ასომთავრული და ნუსხა-ხუცური დამწერლობის ხმარებიდან განდევნით ჩვენივე ნებით ვაშენებთ ყრუ კედელს წარსულსა და მომავალს შორის. თანამედროვე ქართველი კაცისთვის თანდათან უცხო და გაუგებარი ხდება უძველესი ქართული გამოცემები, თუმცაღა ისინი იმავე ღვთიური მადლით გასხივოსნებული, დინჯი და დარბაისლური ქართულით გვიამბობენ ერის გარდასული ცხოვრების ჭირსა და დალხინებას. ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენს დიდ წინაპრებს მთელი სიღრმით შეუცვნიათ მშობლიური ენის საღვთისმეტყველო ბუნება და რელიგიური ძალისხმევა: „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რა თა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა". ღვთის შთაგონებით ასეთი განუზომელი მისია დააკისრეს ქართულ ენას ქრისტიანობის შესანიშნავდა აპოლოგეტებმა, რაიც ავალებს ყოველ ქართველს უძველეს ანბანთა - ასომთავრულისა და ნუსხურის ცოდნას... ყოველმა საშუალოსკოლადამთავრებულმა უნდა იცოდეს ასომთავრული და ნუსხა-ხუცური წერა-კითხვა. ამ საშვილიშვილო საქმეში დაუფასებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ ძველი ქართული ენის მასწავლებლებს.

დღეს წმინდა ეკლესია ერთადერთი სავანეა, სადაც მოკრძალებით შეფარებულია და ყოველდღიურად იკითხება ძველქართული დამწერლობა, რამეთუ ყველა საეკლესიო წიგნი ხუცურადაა დაბეჭდილი...

ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა. არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ანამ, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ".

„ესა თუ ის ხალხი საუკუნეთა მანძილზე აყალიბებს თავის კულტურას, ენას ხასიათს; ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურის... დონე მისი გენიის მაჩვენებელია. მაგრამ ერის სულის ყველაზე ნათელი გამოხატულება მაინც ენაა. იგია იდუმალი და აუხსნელი საუნჯე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება.

ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისეთივე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია

მთელი საქართველო... გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ქართული ენის უჩვეულო სილამაზეს იმთავითვე გრძნობდნენ ჩვენი მწერლები. ამიტომაც მრავალი ლექსი და საგალობელი უძღვნეს შესამკობად. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს საიდუმლოებით მოცული „ქება და დიდება ქართულისა ენისა ”; ნუ დავივიწყებთ, რომ ენას - ღვთიბოძებულს ამ საგანძურს სასოებით დაცვა და გაფრთხილება უნდა, როგორც ერთ-ერთ საწინდარს ჩვენი ბედნიერებისას.

ღვთივკურთხეულნო ივერნო, ძენო და ასულნო უფლისანო, დადგა ჟამი დალოცვისა; დაგბედებოდეთ ჭეშმარიტი რწმენის სიმტკიცე, ენის სიწმინდე, სულის სინათლე, მრავალშვილიანობა, უხვი და ბარაქა. მშვიდობა სუფევდეს თქვენს გულში, ოჯახსა და სამშობლოში... ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა გადაგაფაროთ დედობრივი კალთა, დაგიცვათ და დაგიფაროთ.”

მოამზადა სერგო კერესელიძემ
ჟურნალი „კარიბჭე”, 7, 2006 წ.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საკვირაო ქადაგება[1]

სიონის საპატრიარქო ტაძარი, 16 იანვარი 2005 წ.

`samSoblos gareSe qarTveli adamiani Znelad xarobs,
ufro sworad ki - ver xarobs. samSoblo CvenSia, Cvens genebSia!~
saxeliTa mamisaTa da ZisaTa da wmidisa sulisaTa!

ჩვენთან არს ღმერთი!

საქართველო ღვთივკურთხეული ქვეყანაა! იგი უფლის განსაკუთრებული მადლითაა დაჯილდოებული და ჩვენ უნდა ვიფიქროთ, როგორ შევინარჩუნოთ ეს.

საქართველოს აქვს დიდი საუნჯენი, დიდი ფასეულობანი: როგორც სულიერი, ისე ეროვნული. მაგალითად, ქართული ენა ჩვენი საუნჯეა. თქვენ გახსოვთ, გთხოვეთ, დაგეწერათ თემა: „ქებაი და დიდება ქართულისა ენისა." თითქმის 250 ადამიანმა ჩამოაყალიბა და მოგვაწოდა ამის შესახებ თავისი შეხედულება. ამ წერილებში გამჟღავნებულია საოცარი სიყვარული და გაკეთებულია ღრმა ანალიზი იმისა, თუ რა არის ჩვენთვის ქართული ენა, რა თქმა უნდა, მათ შორის არის უფრო მარტივი ნააზრევიც, უბრალო ენით გამოთქმული გრძნობები, მაგრამ ყველას ახასიათებს ერთი რამ - დიდი სიყვარული ქართული ენისა.

დღეს მინდა, ახალი თემა მოგცეთ დასაწერად: სამშობლო. რა არის ჩვენთვის სამშობლო? რა არის ჩვენთვის საქართველო? ეს მხოლოდ ჩვენი ტერიტორიაა, ჩვენი მიწაა, თუ უფრო მეტია? თქვენ იცით, შესანიშნავი ლექსი აქვს დაწერილი რაფიელ ერისთავს. „სამშობლო ხევსურისა" თქვენ თითქმის ყველამ ზეპირად იცით. მაინც მინდა, ერთი პატარა მუხლი შეგახსენოთ: „სამშობლო - დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა; როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა."

ბოლომდე ალბათ ადამიანი ვერც იტყვის, თუ რა არის მისთვის სამშობლო და რამდენად ძვირფასია იგი მისთვის.

ჩვენ ყველას უსაზღვროდ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და ვიცით, რომ სამშობლოს გარეშე ქართველი ადამიანი ძნელად ხარობს, უფრო სწორად კი - ვერ ხარობს. სამშობლო ჩვენშია, ჩვენს გენებშია. მინდა გითხრათ, რომ სამშობლო არ არის მარტო მიწა-წყალი. იგი ჩვენს გონებაში, ჩვენს გულში, ჩვენს მუსიკაში, ჩვენს ხელოვნებაში, ჩვენს ენაში, ჩვენს აზროვნებაშია ჩადებული. აი, ეს თემა გეძლევათ თქვენ მოსაფიქრებლად და დასაწერად.

ავიღოთ ქართული ოქრომჭედლობა, ქართული ტიხრული მინანქარი.

ჩემთან ბრძანდებოდა ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტიხრულ მინანქარზე მუშაობს. იგი ამბობდა, რომ დღემდე არ არის დადგენილი,

პირველად სად წარმოიშვა ტიხრული მინანქარი, საქართველოში თუ ბიზანტიაში. კითხვა დღესაც პასუხგაუცემელია. მე ვფიქრობ, რომ ალბათ საქართველოში წარმოიშვა, იმდენად დახვეწილია, იმდენად ამაღლებულია ეს ხელოვნება ჩვენთან. მართალია, საბერძნეთშიც ასევე იყო, მაგრამ ეს ხელოვნება იქ დღეს თითქმის დაკარგულია. საქართველოში კი იგი კვლავ აღდგა და განვითარდა.

დღეს არის დიდი ადამიანის, ექვთიმე თაყაიშვილის ხსენება. იგი საქართველოს ეკლესიის მიერ აღიარებულია წმიდანად და ეწოდება წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი.

რა იყო მისთვის სამშობლო?

- ყველაფერი. ამიტომაც იყო, რომ როცა მისი თაოსნობით მუზეუმებში შეკრებილ ქართულ საუნჯეს დაკარგვის საშიშროება დაემუქრა (მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეეძლო სამშობლოს გარეშე არსებობა), იგი მცველად გაჰყვა მას უცხოეთში, რათა ეს განძი კვლავ სამშობლოსთვის დაებრუნებინა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მისი სიცოცხლის ფასად გვაქვს ის საუნჯე, რომლითაც ამაყობს არა მარტო ქართველი ადამიანი, არამედ მთელი მსოფლიო.

ექვთიმე თაყაიშვილი არის მაგალითი იმისა, თუ, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ვეპყრობოდეთ მას. როცა ექვთიმე 1945 წელს სამშობლოში დაბრუნდა, თვითმფრინავიდან ჩამოვიდა თუ არა, დაიხარა, აიღო ქართული მიწა და ემთხვია მას. მაგრამ როგორც გვჩვევია, ჩვენ ვერ ვხედავთ და სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ დიდ ადამიანებს.

დღეს ასევე ვიხსენებთ ჩვენ დიდ მეცნიერს, დიდ ფიზიოლოგს ივანე ბერიტაშვილს. მისი მამა მოძღვარი იყო. ივანე ბერიტაშვილი მშობლების მეთერთმეტე შვილი იყო. მან განსაცდელით სავსე ცხოვრება განვლო.

სულ ახლახან საქართველომ, უფრო სწორედ მეცნიერთა ვიწრო წრემ, აღნიშნა ბერიტაშვილის დაბადების 120 წლისთავი. იგი გახლდათ მსოფლიოში ცნობილი უდიდესი ფიზიოლოგი, რომელიც შეიძლება აღემატებოდა კიდეც პავლოვს და სხვა ცნობილ ფიზიოლოგებს. მაგრამ ჩვენ რატომღაც ნაკლებად ვაფასებთ ჩვენსას.

საერთოდ მინდა ვთქვა, რომ დღეს ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერებს და მეცნიერებას. დღეს განსაკუთრებით უჭირთ მათ. საქართველოს ეკლესია ქედს იხრის ჩვენი მეცნიერების წინაშე. და დიდად აფასებს მათ შრომას. მინდა ვთქვა, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს, ჩვენი მეცნიერები და ინტელიგენცია ძალიან ბევრს აკეთებდნენ საქართველოსათვის, ჩვენი ეროვნული და სულიერი ფასეულობების გადასარჩენად.

თქვენ ალბათ გსმენიათ, უწმიდესსა და უნეტარეს კალისტრატე ცინცაძესთან ხუთშაბათობით მიდიოდნენ მეცნიერები და მსჯელობდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვან, ქვეყნისთვის საჭირო თემებზე. ესეც სამშობლოა.

მინდა გითხრათ, რომ **ქართული ხასიათი განსაკუთრებით ვლინდება ქართულ საგალობელში, ქართულ ხალხურ სიმღერაში, ქართულ ცეკვაში.**

მე მქონდა საუბარი სომეხთა კათალიკოსთან და ის მეუბნებოდა, რომ მას ძალიან მოსწონს ქართული ცეცხლოვანი ცეკვები. კათოლიკოსს ურჩევია სომხური გუნდებისათვის,

გადაეღოთ ჩვენგან გარკვეული ელემენტები და სომხურ ცეკვაში შეეტანათ. ამის რამდენიმე მცდელობა ჰქონიათ, მაგრამ ვერ გაითავისეს იმიტომ, რომ მათ სულ სხვა გენეტიკური კოდი აქვთ, მათ თავისი კულტურა აქვთ. რა თქმა უნდა, მათი კულტურაც ძალიან მაღალია, მაგრამ განსხვავებულია ქართულისაგან.

ამით მინდა ვთქვა, რომ ყოველი ერი დაჯილდოებულია რაღაც განსაკუთრებული მადლით; და აი, ეს მადლი უნდა შევინარჩუნოთ. ამ მადლს უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენც.

მინდა, გთხოვოთ ყველას და გადაეცით სხვებსაც, თქვენს მეგობრებს, რომ დაწეროთ თემა: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა."

გულისტკივილით მინდა ისიც ვთქვა, რომ გვაქვს შემთხვევები იმისა, როცა ქართველი ადამიანი ღალატობს თავის სარწმუნოებას, თავის ეროვნებას და ფულის გულისთვის იცვლის მას. ეს სამარცხვინოა! რა პირით, რა გულით უნდა წარსდგეს ასეთი ადამიანი წინაშე ღვთისა და წინაპრებისა?! მთელი საქართველო ხომ მორწყულია ჩვენი მამაპაპათა სისხლით!

აი, ასეთია საქართველო, მაგრამ მადლიანია, იგი ხომ წილხვედრია ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. მადლს კი ჩვენს ფესვებთან კავშირით ვიღებთ. ამიტომაც არ უნდა მოვწყდეთ მშობლიურ წიაღს. სამშობლოდან გადახვეწილნი მაცოცხლებელ წყაროს განეშორებიან და კეთილ ნაყოფსაც ძნელად გამოიღებენ. ეს ჩვენი ხვედრია.

ჩვენთან არს ღმერთი!

1. http://www.orthodoxy.ge

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის ეპარქია

სად მდებარეობდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ლაზიკის სამიტროპოლიტო?

XX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, ეს საკითხი თითქოსდა გარკვეული იყო, რაც ასახულია მრავალ გამოკვლევაში. აღიარებული აზრით, ის დასავლეთ საქართველოში მდებარეობდა, მაგრამ უპირველესი წყაროს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეპისკოპოსოთა ნუსხების, ე.წ. ნოტიციების მონაცემები არ ეთანხმება ამ თვალსაზრისს. კერძოდ, ნოტიციების უმრავლეს ნუსხაში ჩამოთვლილია ლაზიკაში მდებარე ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს შემდეგი კათედრები: 1. ხერიანი; 2. ხამაძური (ხამუზური, ხამაზრი, ხამატოზური); 3. ხახეი (ხალი, ხაიონი, ხალხევი); 4. პაიპერტი (პაიპერი); 5. კერამევი; 6. ლერიონი; 7. ბიზანა (ბიზანტი); 8. ხავიძიტი; 9. ხანძიორძი; 10. ოლნუტი; 11. ფასიანი; 12. (ტო)სერმანძი; 13. ანდაკი; 14. ზარინაკი (გეორგიკა, IV, ნაწილი II, 1952, გვ. 185).

ეს სია ასახავს ძირითადად IX-ხ საუკუნეთა ვითარებას. მაშასადამე, მიწა-წყალზე, რომელსაც კონსტანტინოპოლი უწოდებდა ლაზიკას, განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო თავისი 14 კათედრით და ჩვენი განხილვის საგანია მოვიძიოთ ამ კათედრების გეოგრაფიული განლაგება. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ სამყაროში საეპისკოპოსო ცენტრები ხალხმრავალ ქალაქებში არსდებოდა, შესაბამისად, ლაზიკის ჩამოთვლილი კათედრები ალბათ მნიშვნელოვან ქალაქებში მდებარეობდნენ. აღნიშნულ ცხრილებში (ნოტიციებში) უცვლელად მეორდება ისეთი კათედრების სახელწოდებები, როგორიცაა ლერიონი, ოლნუტი, ანდაკი და სხვა. ამ სახელის მქონე ქალაქების ადგილმდებარეობა ცნობილია. კერძოდ, ლერიონი იყო ტრაპეზუნტის მთიანეთში, მისგან დაახლოებით 70კმ-ით დაშორებული. ანდაკი თეოდოსიოპოლისსა და კარს (ყარსს) შუა იყო, ხოლო ოლნუტი არაქსისა და ევფრატის სათავეებთან ახლოს. ყველანი ისინი განლაგებულნი იყვნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც რომაელები უფრო მეტად არმენიას უწოდებდნენ, მაგრამ იქვე, არაქსის იქით მიუთითებდნენ იბერიის საზღვარს. ერთი სიტყვით, ისინი მდებარეობდნენ ვანის ტბასა და ტრაპეზუნტს შორის. ხომ არ იყვნენ ამ რეგიონში სხვა საეპისკოპოსოებიც ლაზიკის ეპარქიისა?

ცხადია, აღნიშნული საეპისკოპოსოები ქალკედონურნი იყვნენ, ამავე დროს, არმენიად სახელწოდებულ ქვეყანაში მდებარეობდნენ. ამის გამო ჩვენმა ძიებამ მოითხოვა გავცნობოდით ისტორიულ სომხეთში ქალკედონური საეპისკოპოსოების განლაგებას, რაც აღმოჩნდა მოსკოვში დასტამბულ "პრავოსლავნაია ენციკლოპედიის" III ტომში. მართლაც, ამ ტომში სტატიაში "სომეხი ქალკედონიტები" ჩამოთვლილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოში შემავალი ეპარქიები, მათ შორის აღნიშნული ლერიონისა და სხვა კათედრები და აღნიშნულია, რომ ისინი მდებარეობდენენ "სომხურ მიწებზე", აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის ნოტიციებში ანუ წყაროებში, მათ უწოდებდნენ "საეპისკოპოსოებს

ლაზიკაში”, “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” სტატიაში კი მათ ეწოდებათ “სომხურ-ქალკედონიტური საეპისკოპოსოები სომხურ მიწებზე”. “პრავოსლავნაია ენციკლოპედიის” სტატიას თან ახლავს რუკა, რომელზეც თითქმის ყველა იმ საეპისკოპოსოს მდებარეობაა აღნიშნული, რომლებიც ნოტიციებში “ლაზიკის სამიტროპოლიტოში” იყვნენ.

(Ïðàâ. Ýíö., Ò. III, Ì. 2001) რუკაზე, როგორც ითქვა, აღნიშნულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის, ასევე ეკელესენის, ხორძენესა და ტარონის სამიტროპოლიტოების, ასევე ანტიოქიის საპატრიარქოს თეოდოსიოპოლისის (კარინის) ეპარქიის მართლმადიდებლური (ქალკედონური) კათედრები. რუკაზე აღნიშნულია ნოტიციებში ჩამოთვლილი ლერიონის, შარიანის (ხერიანის), ბიზანას, ბაიბერდის (პაიპერტის), ოლნუტის, ანდაკის, ხახის (ხახეის), ხანძიორძის (ან ხორძენა) და სხვა საეპისკოპოსოები, და ისინი განლაგებულნი არიან ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე.

ერთი სიტყვით, IX-X საუკუნეებში (X ს-ის დასაწყისიდან) ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი, ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე, სადაც აღნიშნული საეპისკოპოსოები იყვნენ განლაგებულნი.

ისმის კითხვა - რატომ უნდა ეწოდებინა ამ ვრცელი ტერიტორიისთვის (ვანის ტბის მომიჯნავე ქვეყნებიდან ტრაპეზუნტის ჩათვლით) კონსტანტინოპოლს ლაზიკა?

მართლაც, აღნიშნულ მიწა-წყალზე მრავალი მართლმადიდებლური საეპისკოპოსო იყო, მათ შორის ისეთებიც, რომელნიც მცხეთის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ. მაგალითად, არც თუ შორს ვანის ტბიდან, იყო ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალ ანდაკის კათედრიდან არც თუ მოშორებით იყვნენ ანისისა და კარის ქართული საეპისკოპოსოები.

შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლი “ლაზიკას” უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას, რომელნიც ქართულ წყაროებში მოიხსენებიან ვითარცა “ზემონი ქვეყანანი”.

ქართული “ზემო ქვეყნებისა” და მიმდებარე მიწა-წყალს რომ მოიცავდა კონსტანტინოპოლის სამიტროპოლიტო ლაზიკაში, იქიდანაც ჩანს, რომ აქაა განლაგებული მისი საეპისკოპოსოების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგალითად ანდაკის კათედრა - მდინარე არაქსზე (მის ზემო წელში), მანასკერტთან ახლოს, ევფრატის სათავეში მდებარე ოლნუტის კათედრა. თითქმის “ზემო ქვეყნების” მიწა-წყალზე მდებარეობდნენ ბიზანასა და ხორძენეს საეპისკოპოსოები, ხოლო ბაიბერდის, ხახის, კერჩანისისა, ხერიანისა და ლერიონის საეპისკოპოსოები ისტორიულ სპერსა, ჭანეთსა და მიმდებარე მიწებზე მდებარეობდნენ. მას შემდეგ, რაც აღნიშნული “ზემო ქვეყნები”, ანუ ტაოსა და ვანის ტბას შორის მოქცეული მიწა-წყალი ბიზანტიამ ჩამოართვა საქართველოს, მეფე გიორგი I-ის დროს, იქ ჩამოყალიბებულ მართლმადიდებლურ სამიტროპოლიტოსთვის “ლაზიკის ეპარქია” უწოდებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ მის ოდნავ ჩრდილოეთით ჩამოაყალიბეს ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული “იბერიის თემი”, ანუ ის მიწები, რომლებიც არაბობამდე “არმენიად” იწოდებოდა, X საუკუნის შემდეგ ლაზიკად და იბერიად იწოდა ტერიტორია ვანის ტბიდან ტრაპეზუნტ-ტაომდე.

ლაზიკის გეოგრაფია

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო IX-X საუკუნეებში ლაზიკას უწოდებდა ვრცელ მხარეს ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, სადაც ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები იყვნენ განლაგებულნი. ამ ვრცელი მიწა-წყლის შუაგულში სათავეს იღებს ისეთი ცნობილი მდინარეები, როგორიცა არაქსი და ევფრატი. ეს მიწა-წყალი ისტორიულად ქართული ტომებით იყო დასახლებული, სწორედ ამის ანარეკლი, ანდა რეალური ვითარების გადმოცემის შედეგია ის, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ "ლაზიკა" უწოდა აღნიშნულ მიწა-წყალს, ამით ხაზი გაესვა მის მცხოვრებთა ეთნიკურ ვინაობას. სახელწოდებები "ლაზიკის ეპარქია" და "იბერიის თემი" აღნიშნულ დროს წარმოაჩენს იმ რეალურ სურათს, რომ ბიზანტიამ ცნო ვანის ტბიდან (ჩრდილოეთით) ანისამდე და (დასავლეთით) ტრაპეზუნტამდე მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა - მათი ქართველობა, რადგანაც იქამდე, კერძოდ კი არაბობამდე, ამ მიწა-წყალს ბიზანტია ოფიციალურად "არმენიას" უწოდებდა. არაბთა შემოსევების ეპოქაში, როცა სომხურ ეკლესიას უნარი აღარ შესწევდა თავისი ზეწოლა განეხორციელებინა მკვიდრ ქართველებზე, IX-X სს-ში გამოცოცხლდა იქამდე შესუსტებული ეთნიკური თვითშემეცნება მკვიდრი ქართველებისა, ამიტომაც არაბებისაგან გათავისუფლებულ მიწა-წყალზე ბიზანტიელებს დახვდა სხვა სურათი - მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მცხოვრებნი ევფრატისა და არაქსის სათავეებში, ვიდრე ვანის ტბამდე და ანისამდე, მკვეთრად აცხადებდა, რომ ეთნიკურად იყვნენ არა სომხები, არამედ ქართველები. იყო თუ არა ამისათვის საფუძველი? საქმე ისაა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი იმთავითვე ქართული იყო. მისი ისტორიული წარსულის შესახებ წერს პავლე ინგოროყვა - "ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე II-I სს-მდე ძველი წელთაღრიცხვისა, ქართული ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეჭირათ აგრეთვე არაქსისა და ევფრატის ხეობათა ზემოწელი, სახელდობრ, ხორძენე, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი... კარინი, დერჭანი, აკილესენი, მუძური (ანტიტავროსის მხარე, იხ. სტრაბონი, წიგნი XI, თავი XVI, 5, ქსენეფონტე, ანაბასისი, წიგნი IV, თავი VI, 5, VII, 8, 25). ... სტრაბონის ცნობით, უმრავლესობა ამ პროვინციებისა საქართველომ დაკარგა პოლიტიკურად II-I სს-ში ძვ. წელთაღრიცხვისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ევფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე. თუმცა საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში VII საუკუნემდე, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან), ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შერჩენილი ქართული სახე. საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს ადრინდელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის "ზემონი ქვეყანანი", რომლის შემომტკიცებასაც ცდილობდა ქართველთა სამეფო X-XI საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 517).

მაშასადამე, I-II საუკუნეებში აღნიშნული მიწა-წყალი, რომელზეც X საუკუნისათვის განლაგებული იყო ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები - დასახლებული იყო ქართული

ტომებით, მართალია, შემდგომში ისინი მოექცნენ არმენიაში, შესაბამისად, იქაური მკვიდრი ქართველობა (იგულისხმება ვანის ტბიდან ტრაპეზუნტამდე მცხოვრები მოსახლეობა), განიცდიდა ეროვნულ და ენობრივ შევიწროებას და დაწყებულა კიდეც მათი არმენიზაცია, მაგრამ პ. ინგოროყვას კვლევით, მათ VII ს-მდე შეუნარჩუნებიათ ქართულენოვნება. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ქართული მოსახელობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა კიდევ უფრო დიდხანს შეინარჩუნა საკუთარი ეროვნება. ამას მიუითებს:

1. კონსტანტინე პორფიროგენეტის ხაზგასმითი მითითებანი, რომ თეოდოსიოპოლისის (კარინის) მოსახლეობა (ქალაქი და მისი შემოგარენი) დიდ წინააღმდეგობას (თითქმის ნახევარი საუკუნე) უწევდა ბიზანტიურ ჯარებს, ქართველები კი მათ იცავდენ, არ ანებებდნენ მკვიდრი მოსახლეობის ქალაქებისა და სოფლების ბლოკადას, როცა ბიზანტიელები მოითხოვდნენ მათ ფაქტიურად შიმშილით ამოხოცვას და სხვა, რომელსაც სხვა ადგილასაც ვეხებით;

2. აღნიშნულ მიწა-წყალზე ქართული საეპისკოპოსოების დაარსება;

3. ამ ადგილებიდან გამოსული ქართველი ბერების მუდმივი მითითებები იმის შესახებ, რომ ისინი ეთნიკურად არიან ქართველები, რომ ისინი არ არიან სომხები (მაგალითად, როცა გიორგი მთაწმიდელის ეპოქაში ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს იქვე მდგომი მონასტრის ბერების შესახებ - "არა ვუწყით ქართველნი არიან თუ სომეხნი");

4. ქართული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების ბოლო დრომდე არსებობა;

5. აღნიშნული მხარეებიდან გამოსული ქართველების დიდი ძალისხმევა, რომ სომხური რედაქტირების ყოველგვარი ნაკვალევი აღმოეფხვრათ ქართული წმიდა წიგნებიდან;

6. ძლიერი ქართულენოვანი სამრევლოების არსებობა. მაგალითად, ჩვენ ვიცით, თუ რა დიდი გავლენა და წონა ჰქონდა ვალაშკერტელ ეპისკოპოს ზაქარიას, რომ ის ბიზანტიის სამეფო კარზე იცავდა ქართველთა უფლებებს იმით, რომ ცდილობდა ბიზანტია-საქართველოს მორიგებას. ვფიქრობ, რომ ვალაშკერტის ქართველი მრევლი რომ არ ყოფილიყო მრავალრიცხოვანი და ძლიერი, მისი მღვდელმთავარიც არ იქნებოდა ისეთი გავლენის მქონე, როგორიც იყო ზაქარია, ანდა ანისის ქართული მრევლის სიძლიერე. ანისში ქართული მრევლი მრავალრიცხოვანი რომ იყო და მოიცავდა მოსახლეობის დაბალ ფენებსაც, ჩანს ამ ქალაქის ეკლესიის კედლის წარწერიდან. ქართლის კათალიკოსი არ ჩათვლიდა საჭიროდ უმნიშვნელო მრევლისა და მისი სამღვდელოების მორიგებას. ამასთან, მან ამ რეგიონში მრავალი სხვა ეკლესიებიც აკურთხა. მართალია, ანისი დაშორებულია ვალაშკერტს, მაგრამ აქ შეიძლება გავიხსენოთ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომ იბერიელებსა და არმენიელებს ერთ დროს არაქსი ჰყოფდათ, მაშასადამე, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, მათ შორის ანისში, ქართული მოსახლეობის ცხოვრება ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. ალბათ ამიტომ შეიყვანა ბიზანტიამ ანისი იბერიის თემში, ხოლო მისი სამხერეთი - ლაზიკის საეკლესიო თემში.

საბჭოთა პერიოდში სხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. თითქოსდა IX-X ს-ში მოხდა ქართიზაცია - გაქართველება მთელი ამ მხარეების, კლარჯეთისა და ტაოსი, (მათი აზრით, ალბათ ვალაშკერტის, ყარსისა და ანისის მოსახლეობისაც), ასევე მთელი დასავლეთ საქართველოსი (იმჟამინდელი აფხაზეთისა) და ჰერეთ-ქვემო ქართლისა. რა ძალა უნდა ჰქონოდა არაბების საამიროს გავლენის სფეროში მოქცეულ შიდა ქართლს, რომ ასეთი

ქართიზაციის პროცესი განეხორციელებინა მასზე 10-ჯერ და 20-ჯერ უფრო დიდ მხარეებში კლარჯეთიდან - ვალაშკერტ-ვანის ტბამდე, ლიხიდან - ნიკოფსიამდე და ბოდბედან - შამახამდე მაშინ, როცა შიდა ქართლი არც კი იყო პოლიტიკური ერთეული, ხოლო აღნიშნული მხარეები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში, ამ დამოუკიდებლობის მოპოვების წყალობით მოხდა აღორძინება იქამდე მინავლებული ეროვნულ-ქართული თვითშემეცნებისა.

სამხრეთის იბერია და სამხრეთის ლაზიკა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკა თავის იურისდიქციას ახორციელებდა შავიზღვისპირეთიდან ვიდრე ვანის ტბამდე, რადგანაც მისი უმთავრესი საეპისკოპოსო კათედრები ლერიონი, პაიპერტი (ბაიბერდი), ბიზანია, ოლნუტი, ანდაკი და სხვანი აღნიშნულ ტერიტორიაზეა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ლაზიკის ეპარქია X საუკუნისათვის მოიცავდა ჭოროხისა და ევფრატის სათავეებს ვანის ტბამდე. ჩვენი აზრით, ამ სამიტროპოლიტოს მიწა-წყლისთვის "ლაზიკის" სახელწოდების მიცემა გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი მოსახლეობის, ანუ ამ სამიტროპოლიტოს მრევლის ქართული წარმომავლობით. "ლაზიკის სამიტროპოლიტოს" თითქმის ეთანადებოდა "იბერიის თემი".

ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული იბერიის თემი, ანუ იბერიის საკატაპანო შეიქმნა ოდნავ მოგვიანებით, XI ს. დასაწყისში ტაოს მეფის დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1001) შემდეგ. მასში შედიოდა ჩვენთვის საინტერესო არაქს-ევფრატის აუზში მდებარე ვრცელი ტერიტორია, რომელიც ეთნიკურად არაერთგვაროვანი მოსახლეობით იყო დასახლებული. იბერიის თემში არაქს-ევფრატის სათავეების აუზის გარდა შედიოდა იმიერ ტაო, ჩრდილო ბასიანი, ოლთისი, შავშეთი, თორთომი, კოლა, არტაანი, იბერიის თემში კონსტანტინე X მონომაქოსის დროს (1042-55) - შირაქის სამეფო, თავისი მთავარი ქალაქით ანისით. ქ. ანისი იბერიის თემის დედაქალაქად იქცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იბერიის თემის და ლაზიკის ეპარქიის ტერიტორიები თითქმის ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ, ცხადია, ეს დამთხვევა ზუსტი არ არის. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვისის საინტერესო ჭოროხისა და ევფრატის სათავეების მომცველი ქვეყნები, ვიდრე ვანის ტბამდე, თითქმის ერთსა და იმავე დროს შედიოდა როგორც ლაზიკის ეპარქიაში, ისე იბერიის თემში. რატომ უწოდეს მას ლაზიკა და იბერია ერთდროულად? როგორც ვთქვით, ეს გამოწვევული უნდა ყოფილიყო ქართული ეთნიკური თვითშემეცნების გამოცოცხლებით აღნიშნულ რეგიონში ანისიდან და ვალაშკერტიდან ვიდრე ანდაკამდე და კარინამდე (არზრუმამდე), ისე ჭოროხისა და ევფრატის სათავეებში. ამ გამოცოცხლების შედეგი იყო, როგორც ითქვა, მცხეთის საპატრიარქოს ქართული საეპისკოპოსოების არსებობა ანისსა და კარში (ყარსში), ვალაშკერტსა და ბაიბერდში (პაიპერტში). იქამდე საუკუნეთა მანძილზე დევნილი ქართული ენა უკვე აღარ იდევნებოდა საყოფაცხოვრებო დონეზე, ანუ ქართულენოვან გლეხებსა და აზნაურებს მეზობლები ვეღარ უკრძალავდნენ მშობლიური ენის მოხმარებას, თუმცა კონსტანტინოპოლისადმი დაქვემდებარებული კათედრები კი ბერძნულენოვანნი იყვნენ.

აკად. გრ. გიორგაძე მიუთითებს ქართველური ტომების უძველესი კერების არსებობის შესახებ მდ. ჭოროხისა და ზემო ევფრატის სათავეებში ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე XII

საუკუნეში, რადგანაც მისი აზრით, ასურული წყაროების მუშქაიას და დაიაენის (დიაოხის) ქვეყნები იქ - ევფრატ-ჭოროხის სათავეებთან არსებობდნენ. იქ მცხოვრებთ ბერძნული "მოსოხის" სახელით იცნობდნენ (ვ. გოილაძე, ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, 2002, გვ. 20).

ვ. გოილაძე წერს - ძვ. წ. XII ს-ში მუშქების პოლიტიკური გავლენა ევფრატის ზემო დინების აღმოსავლეთით (თანამედროვე მდ. მურად სუს სამხრეთით) გავრცელდა. 50 წლით ადრე მათ იქ ალზისა და ფურულუმზის ქვეყნები დაუპყრიათ. როგორც ი. დიაკონოვი წერს, ესენი იყვნენ "აღმოსავლეთის მუშქები". მათი განსახლების ძირითადი ცენტრი ზემო ევფრატთან მდ. არცანიის (მურად სუ) შესართავთან მდებარე ალზის სამეფო იყო. ასურული წყაროები, დასძენს დიაკონოვი - ალზის უწოდებდნენ აგრეთვე "მუშქთა ქვეყანას". ი. დიაკონოვის თანახმად, ძვ. წ. X-IX საუკუნეებში აღმოსავლეთის მუშქები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე, მდ. ტიგროსის ჩრდილოეთ შენაკადების სათავეში მდებარე მთებიდან ზემო ევფრატის ველის დასავლეთით მდებარე ტავრის მთებამდე უნდა ყოფილიყვნენ განსახლებულნი. გრ. გიორგაძის თანახმად, "მუშქთა ძირითადი ტერიტორია ისტორიული სამხრეთ საქართველო იყო" (ვ. გოილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21).

მაშასადამე, ლაზიკის ეპარქია - ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ყოფილა. ჩვენ ქვემოთ კიდევ მრავალჯერ შევეხებით, რომ ლაზიკის ეპარქია მოიცავდა ისტორიული ალზის მიწებს, ხოლო თვით ამ ეპარქიის არსებობის ეპოქაში იქ არსებობდა "ალზნიკის", იგივე არზანენას ოლქი, რომელიც კორდუენას (კორჩაიკის) ოლქს ესაზღვრებოდა. შეუძლებელია ეტიმოლოგიურად ერთმანეთთან არ დავაკავშიროთ "ალზ" და "ლაზ". ასევე "კორდუ" და "ქართუ". ნ. ადონცის მოსაზრებით, არმენიელების მოსვლამდე აღნიშნული მიწა-წყალი, კორდუენადან ვიდრე კავკასიის მთებამდე, ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ მოსულ არმენიელებს ეს ქართული მოსახლეობა ორ ნაწილად გაუყვია - სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქართველებად, ხოლო მათ შუა თვით არმენიელები დასახლებულან. მართლაც, "კორდუენა" ანუ "კორდუს ქვეყანა" - მიგვანიშნებს ივ. ჯავახიშვილის თავდაპირველ "ქართუ" "კარდუ" ქვეყანას, საიდანაც გამოსულან ყველა ქართული ტომები, მათ შორის მეგრულ-ჭანურიც. სხვა საკითხია ის, რომ ნ. ადონცს ქართველები სემიტური წარმომავლობის ხალხად მიაჩნდა ნ. მარზე დაყრდნობით, მაგრამ ის დაბეჯითებით, რამდენჯერმე აღნიშნავს თავის ნაშრომში "არმენია იუსტინიანეს ეპოქაში", რომ სომეხი ხალხის ჩამოყალიბების საქმეში ქართველებს მიუღიათ მონაწილეობა იმით, რომ მომხდარა ქართული ტომების ტრანსფორმირება არმენიელებად. თუ ეტიმოლოგიურად "ლაზიკა" "ლაზი" დაკავშირებულია "ალზთან", უნდა ვიფიქროთ, რომ გასაგები ხდება, თუ რატომ ეწოდა "ალზის ქვეყნის" მომცველ ეპარქიას "ლაზიკისა". თუმცა სხვა მოსაზრებაც შეიძლება არსებობდეს.

ნ. ადონცი კორდუენას ქვეყანას აკავშირებდა ქართველებთან და აკრიტიკებდა ერთ-ერთი მეცნიერის შეხედულებას, რომელიც კორდუენას ქურთებთან აკავშირებდა. ეს მოსაზრება განხილულია შესაბამის ადგილას.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიწა-წყალი ლაზიკის ეპარქიისა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკეში,როგორც გაირკვა, მდებარეობდა მიწა-წყალზე ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე, რადგანაც აქ მდებარეობდნენ მისი კათედრები ანდაკისა, ოლნუტისა, ხორძენასი, ბიზანასი, პაიპერტისა (ბაიბერდისა), ლერიონისა და სხვა. როგორც თვით სამიტროპოლიტოს სახელი "ლაზიკა" უჩვენებს, კონსტანტინოპოლს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მიწა-წყალი ეთნიკური ქართველებით იყო დასახლებული. რამდენად შესაძლებელია, რომ ტრაპეზუნტიდან ვიდრე ვანის ტბამდე არეალი ქართველთა საცხოვრისი ყოფილიყო? პ. ინგოროყვას მიაჩნდა, რომ "საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ "აღმოსავლეთის" ეს ტერიტორიები ("ზემონი ქვეყანანი"), მდებარე ევფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინი-თეოპოლისის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები), ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ქართველი ტომებით იყნენ დასახლებულნი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მოზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში" (პ. ინგოროყვა, გ. მერჩულე, 1954, გვ. 65).

"აღმოსავლეთის ქვეყნებზე", ანუ ტერიტორიებზე (თეოდოსიოპოლისიდან, არზრუმიდან ვანის ტბამდე) ბიზანტია რომ აღიარებდა ქართველთა უფლებებს, მიუთითებს ის ხელშეკრულებები, რომელიც იდებოდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, რომლის მიხედვითაც იბერიელებს შეეძლოთ არაბების მიერ დაჭერილი თეოდოსიოპოლისის და "აღმოსავლეთის" ყველა იმ ქალაქების დაჭერა,რომელთაც გაათავისუფლებდნენ (იქვე,გვ. 65). მალე ქართულმა ლაშქარმა დიდ წარმატებას მიაღწია, რადგანაც აღნიშნული მიწა-წყლის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა ქართულ ლაშქარს ყოველმხრივ ეხმარებოდა, ხოლო ეს მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიურ ჯარს, თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით. საბოლოოდ, ბიზანტიამ დაადგინა საზღვარი საქართველოსთან კონსტანტინე პორფიროგენეტის ეპოქაში (X ს-ის შუა წლებში). ის გადიოდა მდ. არაქსზე. იმპერატორი თვითონვე წერს - "საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლისს, თავისი ციხეებითა და სოფლებით უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას). ასე რომ, მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის" (იქვე, გვ. 66). მაგრამ ქართული მხარე ამით არ დაკმაყოფილდა და ეძებდა საშუალებას, რათა ვანის ტბის მიმდებარე ქვეყნებიც გაეთავისუფლებინა. ეს მიმართულება საოცნებო და საინტერესო იყო ქართველებისათვის, რადგანაც იქაურ მკვიდრ მოსახლეობას გაუმძაფრდა ეროვნული თვითშემეცნება, მათ უკვე ეძლეოდათ საშუალება დაუფარავად განეცხადებინათ, რომ ეთნიკურად და ეროვნულად ქართველები იყვნენ. ამიტომაც ქართულ ლაშქარსა და ქართულ სახელმწიფოს აქ ყველა გზა ეხსნებოდა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერის გამო. ბიზანტიამაც გადაწყვიტა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ეს მხარეები გადაეცა საქართველოსათვის, კერძოდ, კი გადასცა დიდ დავით კურაპალატს - ქართველთა მეფეს. "სახელდობრ, საქართველოს X საუკუნის ბოლოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები: 1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე

არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ევფრატის ხეობაში მდებარეობს; 2. ციხე ხალტოიარიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ევფრატის ხეობაში; 3. ჩორმაირის თემი - მდინარე ჭოროხის სათავეებთან; 4. სამხრეთ ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში; 5. ციხე სევუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან; 6. ჰარქისა და 7. აპაჰუნის პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის (არაწანის) ხეობაში (იხ. ასოღიკი, 1883, გვ. 192)".

978-990 წლებში, ჩანს, იმის გამო, რომ ვალაშკერტისა და ბაგრევანდის ვინაობაგამოღვიძებულმა ქართველობამ მიიპატიჟა, საქართველომ შემოიერთა აღმოსავლეთ ევფრატის ხეობის მიწები.

990 წელს ამავე ხეობაში ქართველებმა აიღეს ქალაქი მანასკერტი და აქედან მუსულმანები განდევნეს, ქალაქი არა მარტო სომხებით, არამედ, ჩანს, ადგილობრივი ქართველებითაც დაუსახლებიათ. ტაოდან კლარჯეთიდან და, მით უმეტეს, შიდა ქართლიდან ისეთ დაშორებულ ვანის ტბასთან მდებარე ქალაქში ქართველებს ვერ ჩამოასახლებდენენ, ამიტომაც ასოღიკის ცნობა, რომ ქართველთა სამეფომ ქალაქი მანასკერტი ქართველებით დაასახლა, უნდა მიუთითებდეს მიმდებარე პროვინციებში მკვიდრი ქართველების მოსახლეობის შესახებ, თუმცა იქვე, ვალაშკერტის ქართული საეპისკოპოსოს არსებობა ამ ფაქტს ადასტურებს, მით უმეტეს, რომ ეს საეპისკოპოსო მრავალი საუკუნე არსებობდა, რაც მიუთითებს, რომ მისი მრევლი მახლობელ ქალაქებსა და სოფლებშიც ცხოვრობდა.

"X საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქ ხლათს, 998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არჭეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე) (იქვე, გვ. 68).

ქართულმა ჯარმა X საუკუნეში გმირულად გაათავისუფლა დამპყრობლებისაგან ეროვნული ტერიტორიები ვანის ტბამდე, მაგრამ ეს მოუთმენელი აღმოჩნდა ბიზანტიისათვის. მალე, მეფე გიორგი I-ის დროს, მან არაბებისაგან გათავისუფლებული აღნიშნული მიწა-წყალი საქართველოს ჩამოართვა და თავის იმპერიაში შეიყვანა, რამაც ასახვა ჰპოვა საეკლესიო იურისდიქციაშიც, კერძოდ, როგორც აღინიშნა, ამ მიწა-წყალზე დაარსებული იქნა კონსტანტინოპოლის ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს კათედრები (ვიდრე თითქმის ვანის ტბამდე). კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ რომ აღიარა ამ მიწა-წყლის მრევლის ეთნიკური ქართველობა, იქიდან ჩანს, რომ მან ამ ეპარქიას უწოდა "ლაზიკა", ანუ "ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტო ლაზიკაში".

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ სახელწოდება "ლაზიკა" მიუთითებს აღნიშნული რეგიონის მრევლის ქართველობის შესახებ.

ორი იურისდიქცია ვანის ტბამდე

ბერძნული წყაროების თანახმად, VI ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო იყო სპარსეთის ხელში. ჩვენს მიერ გარკვეულია, რომ სპარსეთის მეფე ხოსროს დასავლეთ საქართველოში არ ულაშქრია. ის პეტრას მიადგა არა ლიხის ქედის მხრიდან,არამედ არტაანი-

არტანუჯის გზით, თეოდოსიოპოლის-დვინის მხრიდან. იგი მიადგა არსიანის ქედს, რომელიც გადალახა არტანუჯის[1] გზით და შემდგომ ჭოროხის გაყოლებით მიადგა პეტრას. ეს გზა უმოკლესია იმ მიმართულებით,სადაც იდგა პეტრას ომის წის სპარსეთის ლაშქარი. ჯარისთვის არა მხოლოდ უსარგებლო იქნებოდა შორი ლიხის ქედის და მთელი დასავლეთ საქართველოს გავლით შესულიყო პეტრაში, არამედ არარაციონალურიც. ამას ვერც აიტანდა სპარსული ლაშქარი, თუნდაც დასავლეთ საქართველოს ჭაობების ციებ-ცხელების გამო. ცნობილია, რომ ქვეყანა პეტრასთან, რომელიც სპარსულმა ლაშქარმა გაიარა, ლაზიკად იწოდებოდა. პროკოფი კესარიელის დაბეჯითებული ცნობებით, ეს იყო კლდოვანი მხარე, როგორიცაა, მართლაც, არტაან-არტანუჯ-ჭოროხის ის მხარეები, სადაც გაიარა, ჩვენი აზრით, ხოსრომ და სწორედ ეს მხარე იწოდებოდა ლაზიკად სამხრეთით მიმდებარე (ხუფათ-რიზე) მხარესთან ერთად. ნ. ადონცის და ინგოროყვას კვლევითაც, აღნიშნული მხარე (ე.ი. კლარჯეთი და ე.წ. "ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი") ლაზიკას ეკუთვნოდა.

V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა აღნიშნული არტანუჯ-არტაანის გზით ისარგებლა, X საუკუნეში კი არტანუჯი ამ გზის წყალობით, რომელიც შავიზღვისპირეთს აერთებდა არმენიასთან და იბერიასთან – კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, დიდ ქალაქად იქცა. ვახტანგ გორგასალის დროს საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ხუფათზე იდო (ხოფთან), რადგანაც "ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი" საქართველოში შემოდიოდა. საქართველოს მეორე ჩრდილოეთის საზღვარი კი იდო მდინარე კლისურაზე (ცხუმთან).

VI საუკუნეში მთელი იბერია სპარსეთის ხელში აღმოჩნდა აღნიშნულ საზღვრებამდე. ამიტომაც იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში ბიზანტიის საზღვარი, ნ. ადონცის ცნობით, გადიოდა რიზეს ახლოს. იუსტინიანეს დასჭირდა ომი და ძალისხმევა, რათა ბიზანტიის საზღვარი გადაეტანა ჭოროხის შესართავამდე, სადაც მან პეტრას ციხე ააგო.

ყოველივე აღნიშნული გვესაჭიროება ლაზიკის ადგილმდებარეობის განსაზღვრისათვის. იქამდე, ანუ იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში, როცა იმპერიის საზღვარი რიზე იყო, ლაზიკა ერქვა ტერიტორიას ტრაპეზუნტის მაღლა – ზიგანადან რიზემდე. ეს იყო ძველი ლაზიკა. მაგრამ იუსტინიანეს დროს გაჩნდა ახალი ლაზიკა. ეს იყო რიზედან ჭოროხამდე მოქცეული ახლადდაპყრობილი ტერიტორია კლარჯეთის ჩათვლით. ერთი სიტყვით, ლაზიკა დაერქვა ახალ მიწებსაც პეტრას ციხის სამხრეთით.

ეს ჩანს იუსტინიანეს ნოველიდანაც, სადაც ის ლაზიკისა და ჭანეთის შესახებ ამბობს. სწორი იყო ნ. ადონცი, რომ "ლაზიკაში" ფაზისის მიტროპოლიტის საეპისკოპოსოები - როდოპოლისის, საისინისა, პეტრასი და ზიგანასი მდებარეობდნენ არა დასავლეთ საქართველოში, არამედ ტრაპეზუნტის მთიანეთში, ცნობილ ქალაქ ზიგანას რეგიონში. ამ ქვეყანას ერქვა კიდეც იმჟამად ლაზიკა, ე.ი. მხარეს ზიგანას ჩათვლით რიზეს გასწვრივ. ხოლო მას შემდეგ, რაც იუსტინიანემ რიზეს ჩრდილოეთით ვიდრე ჭოროხამდე ტერიტორიები მიუერთა თავის იმპერიას - ამ ახალ მიწებსაც "ლაზიკის" სახელი მიეკუთვნა (ეს მიტაცება მიწისა სპარსეთმა თავის

(1) არტანუჯი - სამხრეთ საქართველოშია, ერთ დროს დიდი სატახტო ქალაქი იყო. ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მისი სახელწოდება კოლხურ(ლაზურ) მოსახლეობაზე მიგვითითებს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: არტაანიშ და ყუჯი. არტაანი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს ერქვა, ყუჯი კი "ყურ" სიტყვის კოლხური ფორმაა. ამრიგად , არტანუჯი ნიშნავს "არტაანის ყურეს" (რედ.) .

წინააღმდეგ მიმართულ საქმედ მიიჩნია, რადგანაც იბერიის პოლიტიკური მემკვიდრეობა დასაკუთრებული ჰქონდა. იბერიის საზღვარი კი ბიზანტიასთან, როგორც აღინიშნა, ხუფათთან (ხოფთან) გადიოდა. მისი გადალახვა სპარსეთის საწინააღმდეგო ქმედება იყო. არაბების შემოსევის შემდეგ ბიზანტიამ დაკარგა ტერიტორიები ე.წ. "მაღალ არმენიასა" და, საერთოდ, "დიდ არმენიაში". დასავლეთ არმენიაში გაერთიანებული იყო ძველი ქართული მიწები. არაბებისაგან გათავისუფლების შემდეგ, ვრცელი მიწა-წყალი ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ეკლესიური თვალსაზრისით "ლაზიკად" იწოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ მიტროპოლიტი "ტრაპეზუნტისა ლაზიკაში" თავისი კათედრებით ამ ვრცელ ტერიტორიაზე იყო განფენილი (ტრაპეზუნტიდან თითქმის ვანის ტბამდე). მაშასადამე, ეკლესიური თვალსაზრისით, კონსტანტინოპოლი ლაზიკას უწოდებდა ვრცელ ტერიტორიას ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე. ამ ერთგვარი რკალის შიგნით მოქცეული იყო საქართველოს საპატრიარქოს საეპისკოპოსოები. მაშასადამე, აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჭოროხის შესართავიდან ტრაპეზუნტამდე და ტრაპეზუნტიდან ვანის ტბამდე, ხორციელდებოდა ორი მართლმადიდებლური იურისდიქცია – კონსტანტინოპოლისა და მცხეთისა, ანტიოქიასაც, როგორც მიიჩნევა, აქ რამდენიმე ეკლესია ეკუთვნოდა.

ლაზიკა - ე.წ. სომხეთში

პ. ინგოროყვასა და მ. ჩხარტიშვილს განხილული აქვთ ის არეალი, სადაც იქადაგეს წმიდა გრიგოლ განმანათლებელმა და წმიდა ნინომ. კერძოდ, გრიგოლის ცხოვრებაში მოხაზულია არეალი, სადაც იქადაგა წმიდა გრიგოლმა ტაოდან - კასპიის კარამდე, ასევე, მოვსეს ხორენაცის მიერ მოხაზულია წმიდა ნინოს ქადაგების არეალი - კლარჯეთიდან მასქუთებამდე, ანუ კასპიის კარამდე. ეს ორი არეალი ერთმანეთს არ კვეთს, თუმცა ერთმანეთს უშუალოდ ემიჯნებიან, კერძოდ, განსაზღვრულია წმიდა ნინოს სამწყსო. ესაა კლარჯეთის ჩრდილოეთით, უფრო სწორად, იმ ხაზის ჩრდილოეთით მოქცეული მხარე, რომელიც იქმნება კლარჯეთისა და მასქუთეთის შეერთებით, ხოლო მის სამხრეთით მდებარე არეალი, ანუ ტაოდან იგივე მასქუთეთამდე, ანუ კასპიის კარამდე - გრიგოლის არეალია. ასე რომ, განსაზღვრული იყო სამწყსო ქართული ეკლესიისა - ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ კლარჯეთის ჩრდილოეთით მდებარე მხარე, დასავლეთ საქართველო ვისი მოქმედების არეალშია, წმ. ნინოსი თუ წმიდა გრიგოლისა. ამ სქემის მიხედვით დასავლეთ საქართველო არ შეიძლება იყოს წმ. გრიგოლის მოქმედების არეალში, რადგან ის მდებარეობს კლარჯეთის ჩრდილოეთით (ჩრდილო-დასავლეთით), ე.ი. ის წმიდა ნინოს არეალია. ამ შემთხვევაში დგება საკითხი: წმ. გრიგოლის ცხოვრების მიხედვით, წმიდა გრიგოლმა ლაზეთში გააგზავნა თავისი ესპიკოპოსი, მაშასადამე, აღნიშნულიდან გამომდინარე,ეს ლაზეთი არის არა დასავლეთ საქართველო,არამედ კლარჯეთის სამხრეთით ანდა სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მხარე, ანუ ჭანიკა-ტრაპეზუნტის რეგიონი, რომელიც სომხური ტრადიციის შესაბამისად შედიოდა ე.წ. "დიდ არმენიაში", ან უშუალოდ სომხეთში და ეს მხარე ისევე მიიჩნეოდა არმენიის ხელდებულ ქვეყნად, როგორც აღმოსავლეთით ალბანეთი, ანუ სივნიეთის იქით ბარდავამდე მდებარე მხარე. ეს იყო გრიგოლის არეალი. მართლაც, სომხური წყაროებით ეგრის ქვეყანა მდებარეობდა არა დასავლეთ საქართველოში, არამედ მოიცავდა ტრაპეზუნტის მხარეებს. ეგრი, ქჭანივი, მანრილი და ლაზივი - თეოდოსიოპოლის-ტრაპეზუნტს შუა მდებარეობდა და არა დასავლეთ საქართველოში.

Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

SUMMARY

Metropolitan Anania Japaridze

LASICAN EPARCHY OF CONSTANTINOPLE PATRIARCHY

The information is provided that, according to the notations (rolls) of the episcopate of Constantinople Patriarchy, in the IX-X centuries, on the territory called Lasica (Constantinople), the Trapesunt Metropolitan with 14 chairs was located. That was a vast area from Lake Van to Trapesunt. In the ancient epoch (II-I B.C.), (according to strabon and Xenofont) the Georgian ethnic group inhabited not only the Kura and Chorokhii Ravines, but also the upper reaches of the Arax and the Euphrates, in particular Khordzen, Mount Pariadr, the Basian Land, the Arax Province etc., i.e. the regions where the chairs of the Trapesunt Metropolitan were located in the X century. By analyzing the historiographic sources, it could be inferred that the Lasican Eparchy was located in historical South Georgia.

ÐÅÇÞÌÅ

Ìèòðîïîëèò Àíàíèÿ Äæàïàðèäçå

ËÀÇÈÊÑÊÀß ÝÏÀÐÕÈß ÊÎÍÑÒÀÍÒÈÍÎÏÎËÜÑÊÎÉ ÏÀÒÐÈÀÐÕÈÈ

Â ñòàòüå, ñîãëàñíî íîòèöèÿì(ñïèñêàì) åïèñêîïñòâà Êîíñòàíòèíîïîëüñêîé Ïàòðèàðõèè, âîñïðîèçâåäåíî îáñòîÿòåëüñòâî IX-X ââ. è íà òåðèòîðèè, êîòîðàÿ èìåíóåòñÿ Ëàçèêî(Êîíñòàíòèíîïîëåì) áûëî ðàñïîëîæåíî Òðàïåçóíñêîå Ìèòðîïîëèòñòâî ñâîèì 14-þ êàôåäðàìè. Ýòî áûë îáøèðíûé êðàé îò îç. Âàíè äî Òðàïåçóíòà. Â àíòè÷íîé ýïîõå (ïî Ñòðàáîíó è Êñåíîôîíòó) II-I ââ. ä.í.ý. ãðóçèíñêèì ýòíîñîì áûëî íàñåëåíî Íå òîëüêî óùåëüÿ Êóðû è ×îðîõè, íî è âåðõíàÿ ÷àñòü Àðàêñà è Ýâôðàòà, à òî÷íåå: Õîðäçåíå, ãîðè Ïàðèàäðà, Áàñèàíñêèé êðàé, Ñàñïåðñòâî Àðàêñà è äð., ò.å. òå ðåãèîíû ãäå X âåêå áûëè ðàñïîëîæåíû êàôåäðû Òðàïåçóíòñêîãî Ìèòðîïîëèòñòâà.

Ïîñðåäñòâîì àíàëèçà èñòîðèîãðàôè÷åñêèõ äàííûõ, ïðèâåäåííûõ â ñòàòüå, ìîæíî ñäåëàòü âûâîä, ÷òî Ëàçèêñêàÿ Ýïàðõèÿ áûëà â èñòîðè÷åñêîé þæíîé Ãðóçèè.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

ნაოსნობა, ნავთმშენებლობა და ნავმისადგომები მდ. ჭოროხზე, ვეიდენბაუმის და ბაქრაძის მიხედვით

საბჭოური ეპოქის სამეცნიერო წრეებში, გამოთქმული იყო მოსაზრება, თითქოსდა მდინარე ჭოროხი არ იყო სანაოსნო, მისი ჩქარი დინების გამო. მკვლევარი წერს - "ცნობილია, რომ მდინარე რიონი შორაპანამდე სანაოსნოდ გამოსადეგი იყო და მისი მეშვეობით ხორციელდება სატრანზიტო საქონლის გადაზიდვა, რასაც ვერ გავიზიარებთ მდინარე ჭოროხზე, მისი ჩქარი დინებისა და მაღალი მთებიდან ქვა-ღორღის შავ ზღვაში ჩადინების მიზეზით" (კრებული "ცოტნეიდელი" ტ. II, 2008, გვ.98). სინამდვილეში ჭოროხი იყო თითქმის ერთადერთი არტერია მისი აუზის მიმდებარე რეგიონებისათვის, საიდანაც ამ მდინარის საშუალებით ნავებით გადაიზიდებოდა ხორბალი, პროდუქტები, ზეთისხილი, სამშენებლო მასალა (კრამიტი, აგური). ხე-ტყის დახერხილი მასალა ბათუმისაკენ, ხოლო ბათუმიდან ისევ ნავებით ართვინისაკენ გადაიზიდებოდა ძირითადად ქსოვილები და ფუფუნების საგნები. ამის შესახებ კარგად აღწერენ დ. ბაქრაძე, ე. ვეიდენბაუმი და სხვები. ასე რომ მდინარე ჭოროხი იყო სანაოსნო, მასზე არსებობდა ნავმისადგომები, ადგილობრივი მოსახლეობა კი საუკეთესო ნავთმშენებელნი და მენავენი იყვნენ. საბჭოთა ეპოქაში საზღვრის ჩაკეტვის გამო აიკრძალა ნავებით ცურვა ართვინიდან ბათუმამდე და ისეთი შთაბეჭდილება ჩამოყალიბდა, თითქოსდა ჭოროხი საერთოდ არ იყო სანაოსნო. ამიტომაც საინტერესოა ე. ვეიდენბაუმის მონათხრობი ამასთან დაკავშირებით. ეს საკითხი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ უკავშირდება საეკლესიო იურისდიქციის საკითხს. მდინარე ფაზისის შესართავთან მარცხივ მდებარეობდა ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრი. მისი საეპისკოპოსოები საისინისა, პეტრასი, როდოპოლისისა და ზიგანასი. ყველა ისინი, მსოფლიო დონის მეცნიერის ნ. ადონცის კვლევით მდებარეობდა მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროს რეგიონში ვიდრე ტრაპეზუნტამდე, თუმცა ჩვენს ეპოქაში სხვაგვარი თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. ამიტომაც საინტერესოა რომელი მდინარე იგულისხმება ფაზისის ქვეშ, რომლის სანაპიროებზეც ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია ვრცელდებოდა. ქართული წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველო წმ. ნინოს ეპოქიდანვე საქართველოს წმიდა ეკლესიის იურისდიქციაში იყო, მაშინ როცა ჭოროხის აუზის ქვეყნებში უფრო რთული ვითარება იყო და ხშირად ბერძნულ საეკლესიო იურისდიქციაში ექცეოდნენ. ამ კუთხით იყო თუ არა ნაოსნობა მდინარე ჭოროხზე მნიშვნელოვანი მომენტია, რადგანაც მდინარე ფაზისზე ნამდვილად იყო ნაოსნობა შესართავიდან 30 კმ. მანძილზე, პუნქტ სარაპანამდე. სად იყო სარაპანა, რომელი მდინარეა ფაზისი, ამ საკითხის კვლევისათვის, როგორც ვთქვით, საინტერესოა ე. ვეიდენბაუმის მონათხრობი.

1878 წელს რუსეთის ხელისუფლების დავალებით, თავისი დროის დაკვირვებულმა მეცნიერმა ევგენი ვეიდენბაუმმა ნავით (კაიუკით) იმოგზაურა ართვინიდან ბათუმამდე. სამდინარო გზა, რომლითაც იქამდე მნიშვნელოვანი ტვირთები გადაჰქონდათ ინგლისელ და სომეხ ვაჭრებს, რეგიონის შემოერთების შემდგომ რუსების ინტერესის საგნად იქცა. ე. ვეიდენბაუმი ასე აღწერს ამ სამდინარო გზას ჭოროხზე:

“ზუსტად 8 საათზე გავუდექით გზას. ნავში ექვსნი ვიყავით, თუ არ ჩავთვლით სამ მენიჩბეს. ნავი ბრტყელძირიანია, მისი ძირი ორ საჟენს უდრის, ცხვირი და კიჩო ერთნაირად მსხვილწვერიანი აქვს და კონსტრუქციით არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნავები მზდადდება წაბლის ხისაგან, სოფელ მარადიდში. ერთ ნავს შეუძლია ზიდოს 100 ფუთიანი ტვირთი და იმისდამიხედვით, თუ რა რაოდენობისაა იგი. ფრახტი ართვინიდან ბათუმამდე ღირს 10-დან 15 მანეთამდე. ჩვენ გადავიხადეთ 12 მანეთი, იმის გამო, რომ ნავი მთლად მყარი არ არის. მგზავრები თავსდებიან მის ძირში მჯდომარე ან დაწოლილ მდგომარეობაში. მის სამართავად ოთხი ადამიანია საჭირო - სამი ზის ნავის ცხვირზე, მოკლე ნიჩბებით ხელში, რომლებიც დამაგრებულია პალუბზე ლაფნის რგოლებით. ნიჩბების დანიშნულებაა, არა იმდენად ნავის მოძრაობის აჩქარება, რამდენადაც მისთვის სათანადო მიმართულების მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში წყალი შემოაბრუნებს მას დინების გარდი-გარდმო. ნიჩბების მოსმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებში, სადაც ვიწრობი, ან ჩქერია და სადაც წყალი მკვეთრად უხვევს. ნავი მკვეთრად მიემართება გამოშვერილი კლდისკენ, რომელსაც დინება ეხეთქება. მარჯვე მესაჭე კლდისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით სწრაფად აბრუნებს საჭეს. მენიჩბეები მთელი ძალით აწვებიან ნიჩბებს და ნავი მიექანება დინების მიმართულებით ისე, რომ კლდეს ოდნავ ააცდენს კიჩოს. ზოგჯერ ეს ფანდები საკმარისი არ არის, დინება ისეთი სწრაფია და ისეთ მკვეთრ შემობრუნებას აკეთებს, რომ ნავი აუცილებლად შეეჯახებოდა კლდეს თუ არა მენიჩბეები. ისინი ჭოკებით, რომლებიც დაწყობილია ქიმის გაყოლებით, მოხერხებულად აიცდენენ ხოლმე შეჯახებას.

მესაჭე დგას კიჩოზე ხელში ნიჩბებით, რომლებიც ამყოფებს ნავს სათანადო მდგომარეობაში, ან ეხმარება მოხვევების დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორი ნიჩაბი აუცილებელია, რათა ნავი უფრო სწრაფად მობრუნდეს. მესაჭე ერთი ნიჩბით უსვამს წინ, მეორეთი კი უკუმოძრაობას აკეთებს. ნავის მართვა ასეთ სწრაფ და მიხვეულ-მოხვეულ მდინარეებზე დიდ გაწაფულობას მოითხოვს, ზოგჯერ ისეთი ადგილებიც კი გვხვდება, რომ წარმოუდგენელია გავლა საფრთხის გარეშე, მაგრამ მესაჭის მოხერხებულობის, სიმამაცისა და მისი თვალის სიზუსტის წყალობით ასეთ ჩქერებს ისინი მშვიდობიანად უვლიან გვერდს. ამბობენ რომ უბედური შემთხვევები აქ ძალიან იშვიათია.

ზოგჯერ საჭესთან ნავის მეპატრონე დგას, ხან დაქირავებული პირი, ისევე როგორც მენიჩბეები. ყველას ერთნაირი ანაზღაურება აქვს. მესაჭეს მთელი უპირატესობა კი ის არის, რომ მას არ უწევს საჭმლის მომზადება, ეს მენიჩბეთა მოვალეობაა.

ბათუმში მიმავალი მგზავრები იშვიათად გაივლიან მთელ გზას ჭოროხით, ე.ი. არ გადიან ზღვაზე, რადგან ეს გზა გრძელია და თანაც ნავს ზღვაში ცოტა უჭირს. ისინი გადმოსხდებიან კოპანდიბის საზღვართან, სოფელ ელგის ცოტა ქვემოთ და ბათუმამდე რჩება რაღაც 10 ვერსის მანძილი. ამ გზის განვლას ნავი ანდომებს შვიდ საათს. ჩვენი მენავე, რომელიც წარმოშობით ბორჩხადან არის, გვიმტკიცებდა, რომ წყალდიდობისას, ე.ი. აპრილსა და მაისში ის გადის ამ გზას მხოლოდ საათნახევარში. ამან ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ არ გვქონდა არავითარი მიზეზი არ დაგვეჯერებინა მისი ნათქვამი. დიდ წყალში ნავები ასევე დადიან იმერხევის ხიდიდან ართვინამდე, იმერხევის ხიდის ზემოთ სანაოსნო კავშირი არ არის. ჩვენი მოგზაურობის

დროს წყლის დონე ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, წყლის ფსკერს მხოლოდ ორ ადგილას ჩქერზე შეეხო.

ჭოროხზე მოგზაურება დაღმა დიდ სიამოვნებას გვგვრის, თითქოს გაჰყურებ სწრაფად მოძრავ პანორამას. ნავი ხან ისრის სისწრაფით მიქრის ჩქერებზე და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ციგით ეშვები ყინულოვანი მთიდან, ხან კი ნელა მიდის წყალზე, სამაგიეროდ მდინარის აღმა მოგზაურობა ძალიან მომქანცველია, იგი გრძელდება (იმისდა მიხედვით თუ რაოდენობითაა წყალი მდინარეში და როგორია ტვირთის მოცულობა) 4-5 დღეს, წყალდიდობისას კი მოგზაურობა საერთოდ შეჩერებულია, რადგან წარმოუდგენელია ამ დროს მდინარის დაძლევა. მენავეების შრომა აღმა ცურვისას, მართლაც რომ კატორღულია - ორი-სამი ფეხშიშველა ადამიანი, მუხლებამდე წყალში მიათრევს ნავს. ორი, ან ერთი აწვება ნავს ჭოკით, რომ არ მისცეს მას ნაპირზე ამოვარდნის საშუალება. ჩვენ ბევრი ესეთი ნავი შეგვხვდა გზაზე. მათ დანახვაზე გაგვახსენდა ბურლაკები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ გაისმოდა მათი სევდიანი სიმღერა. ოთხისნახევარზე გავიარეთ აჭარისწყლის შესართავი, ოთხ საათზე მარცხენა მხრიდან სოფელი სიმორისი (რუკაზე, აჰმედ-ეფენდის თქმით - სიმონეთი), შემდეგ სოფელი ელგა და 4 საათსა და 20 წუთზე მივადეგით ნაპირს კოპან-დიბის მახლობლად, სადაც წინასწარ შეთანხმებით ცხენები უნდა დაგვხვედროდა... და ბოლოს გამოჩნდა განათებული ბათუმი და შვიდის ნახევარზე მოგზაურობა დავასრულეთ. მანძილი ართვინიდან კოპან-დიბამდე, წყლით რომ გავიანგარიშოთ, რუკის მიხედვით უდრის 42 ვერსს. ჩვენი მოგზაურობა მდინარით, თუ არ ჩავთვლით შეჩერებებს, გრძელდებოდა 6 საათს. აქედან გამომდინარე თუ მანძილზე რუკაზე სწორედ არის ნაჩვენები, ნავი მცირეწყლიან მდინარეში გაივლის დაახლოებით 7 ვერსს" (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 72-74,78).

ე. ვეიდენბაუმის ცნობით ართვინის გარდა კიდევ რამდენიმე ადგილას მდინარე ჭოროხზე არსებობდა ნავმისადგომი (ნავსადგური) და ასევე აშენებდნენ ნავებს. ადგილობრივი მოსახლეობა ნავთმშენებლობით იყო დაკავებული. ასეთი პუნქტები ართვინის გარდა ყოფილა ბორჩხასთან და მარადიდთთან. ის წერს: „სოფელი ბორჩხა მდებარეობს იქ, სადაც ჩაირსუ ჩაედინება მდინარე ჭოროხში. ადგილობრივები ამ შენაკადს ჩხალის წყალს უწოდებენ. სოფელი ჭოროხის ნაპირიდან სადაც მდებარეობს კაიუკების (ნავების) ნავმისადგომები, ამფითეატრივით მიემართება მთაში. ბორჩხელების მთავარი საქმიანობა აგურის, კრამიტის და დოქების კეთებაა. ამ ნაკეთობებით ამარაგებენ ჭოროხისა და ბათუმის სანაპიროებს. ხვნა-თესვას ნაკლებად ეტანებიან... ხნულები პატარაა, მდებარეობს ციცაბო მაღლობზე...

ბორჩხაში, როგორც აღვნიშნეთ არის კაიუკების (ნავების) ნავსადგური. ყველანი ჭოროხზე ზემოთ და ქვემოთ დასასვენებლად მიმავალნი აქ ჩერდებიან. ამასთან დაკავშირებით აქ დუქნებიც კი არის სასმელებითა და ნუგბარით... ნავები (კაიუკები) ბორჩხიდან ბათუმამდე იღებენ 10 მანეთს, ხებადან ბორჩხამდე ნავები (კაიუკები) ანდომებენ 4 საათს (იქვე გვ. 58).

ე. ვეიდენბაუმის თქმით, კლდოვანების გამო ჭოროხის აუზში ურმის ან ეტლის სახეობები უცნობია, რადგანაც "წარმოუდგენელიც კი იქნება მათი გამოჩენა ვიწრო, ციცაბო და მაღალ ბილიკებზე, რომლებიც გზების როლს ასრულებენ" (იქვე, გვ. 60). ამიტომ აქ ყველა მგზავრობს ფეხით ან ნავით (კაიუკით) (იქვე, გვ. 61). ართვინში არ იყო ეტლი, სამაგიეროდ ჰქონდათ კატარღები.

ჭოროხის აუზის ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქ ართვინშიც კი „იმის გამო, რომ ქუჩები ვიწრო და ციცაბოა ეტლით გავლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ურმებიც კი არ ჩანს ართვინის ქუჩებში. სამაგიეროდ დიდი გასავალი აქვთ კატარღებს, რომლებიც ძალიან ძვირი ფასობს“ (ე. ვედენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, 2005, გვ. 67).

ჭოროხის აუზში როგორც ითქვა გადაადგილება შეიძლებოდა ფეხით ან ნავით. ცხენებიც კი გ. ყაზბეგისა და ე. ვეიდენბაუმის დაკვირვებით აქ ძალზე ცოტა, შეიძლება ითქვას არც კი იყო კლდიანობის გამო, ციცაბო და მაღალ ბილიკებზე (გზებზე) - “ცხენებიც კი თითქმის არ გამოიყენება არც ცხენოსნობისათვის და არც საპალნედ, ჩვენს მიერ განვლილ გზაზე ბათუმიდან ართვინამდე კახაბერთან მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ორი ცხენი და ერთი სახედარი საპალნით აჭარიდან, საერთოდ ყველა ფეხით დადის, ზურგზე მოგდებული კალათებითა და თოფით... ისინი შესანიშნავი ფეხით მავალნი არიან... ყველა მათგანი რაღაცნაირად, თავისებურად დადის, თითქოს ოდნავ ჩაიმუხლებენ სიარულისას“ (იქვე, გვ. 61). გ. ყაზბეგი იმასაც აღნიშნავს, რომ კლდოვანების გამო ჭოროხის აუზის რეგიონებში ნაკლებია ცხენების საკვები ბალახი. ამის გამო (ე.ი. კლდიანობის და უბალახობის გამო) ე. ვედენბაუმის ცნობით აქ მესაქონლეობაც არ არის განვითარებული (იქვე, გვ. 63). ეს მომენტი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ ეთანადება პროკოფი კესარიელის ცნობას, სპარსელებს ფაზისთან, კერძოდ კი არქეოპოლისთან 20 000 ცხენი დაეღუპათ უბალახობის ანუ ცუდი კვების გამო. როგორც ვიცით რიონის ხეობაში ძალზე კარგი ბალახი იზრდება, ჭოროხის ხეობაში კი ე. ვეიდენბაუმის ცნობით პირიქით - ბალახი ცოტაა და მეცხენეობა ნაკლებ განვითარებულია უბალახობისა და კლდიანობის გამო.

ჭოროხზე ნავსაშენი და ნავმისადგომი ე. ვეიდენბაუმმა დააფიქსირა სოფელ მარადიდში, ის წერს - “ჩავუარეთ მთელს ქვემო მარადიდს, ჭოროხის მარცხენა მხარეს, სანაპიროს გასწვრივ. აქ შენდებოდა ნავები (კაიუკები). აქვე ნავმისადგომი” (იქვე, გვ. 49). ჭოროხის ძალზე ვრცელი აუხის ტვირთები, როგორც აღნიშნა, მდინარით გადაიზიდებოდა ბათუმისაკენ, კერძოდ კრამიტი, სხვადასხვა პროდუქტები, ხორბალი, ზეთისხილი, აგური და სხვა. წინათ ხე-ტყის მასალა, კოჭები და ფიცრებიც გადაიზიდებოდაო წერს ის, მაგრამ ახლა - “ჭოროხის აუზის მთელი ტყე, რომლის მოჭრასაც კი შეიძლებოდა, დიდი ხანია მოჭრილი და დაცურებულია... ამიტომაც ძალიან ძვირია” (ე. ვეიდენბაუმი, ბათუმიდან - ართვინამდე, გვ. 38).

ჩანს, არა მხოლოდ XIX ს-ში, არამედ VI საუკუნეშიც ხომალდმშენებლობისათვის, ანუ საზღვაო გემებისათვის, საჭირო ხის მასალა ძნელად მოიპოვებოდა ჭოროხზე (შესაძლოა კლდეებიდან მოჭრისა და გადმოგდების დროს ხის ტანი იბზარებოდა და ხომალდმშენებ-ლობისათვის უვარგისი ხდებოდა), პროკოფის ცნობით სპარსელებს შავი ზღვის ხომალდებისათვის საჭირო მასალა პეტრასაკენ შორი გზიდან მიუზიდავთ. ამ მხრივ ვეიდენბაუმისა და პროკოფის მონათხრობი ერთმანეთს ემსგავსება, ისევე, როგორც სხვა საკითხების აღწერის დროსაც. ასე, რომ ჭოროხი სამდინარო-სავაჭრო დიდი მაგისტრალი იყო XIX საუკუნეშიც, როგორც ფაზისი I-VI საუკუნეებში სტრაბონისა და პროკოფი კესარიელის ცნობებით.

SUMMARY

Metropolitan Anania Japaridze

NAVIGATION, SHIPBUILDING AND PIERS ON THE CHOROKHI RIVER

(ACCORDING TO VEDENBAUM AND BAKRADZE)

In the Soviet scientific circles, the opinion that the Chorokhi River was unfit for river navigation because of its fast flow and the imposing stone-detritus mass in the river bed used to exist. In fact the Chorokhi used to be almost the only traffic artery for all the regions of the Chorokhi Basin.

According to D. Bakradze and E. Vedenbaum, by the Chorokhi River way, food stuffs, wheat, olives, building materials (bricks, tiling etc.), cut wood and other were transported to Batumi.

Leisure things and textiles were transported from Batumi to Artvin. The historiographic sources support the fact that the Chorokhi was an important trade road in the XIX century, as was the Phasis in the I-VI centuries.

ÐÅÇÞÌÅ

Ìèòðîïîëèò Àíàíèÿ Äæàïàðèäçå

ÌÎÐÅÕÎÄÑÒÂÎ, ÊÎÐÀÁÅÛÑÒÐÎÅÍÈÅ È ÏÐÈÑÒÀÍÈ ÍÀ ÐÅÊÅ × ÎÐÎÕÈ ÏÎ ÂÅÄÅÍÁÀÓÌÓ È ÁÀÊÐÀÄÇÅ

Â ðàáîòå èññëåäóåòñÿ ìíåíèå ñîâåòñêîé ýïîõè, ÷òî ðåêà ×îðîõè ÿêîáû íå áûëî ïðèãîäíî äëÿ ðå÷íîãî ðàíñïîðòà, èç-çà áûñòðîãî òåå÷åíèÿ è âíóøèòåëüíîé êàìíå-ùåáåíííé ìàññû â ðóñëå ðåêè ñ âûñîêîãîðüÿ.

Â ñòàòüå äîêàçàíî, ÷òî íà ñàìîì äåëå, ðåêà ×îðîõè áûëà, ïî÷òè åäèíñòâåííîé òðàíñïîðòíîé àðòåðèåé äëÿ âñåõ ðåãèîíîâ ÷îðîõñêîãî áàññåéíà.

Ïî ñâèäåòåëüñòâîì Ä.Áàêðàäçå è Å.Âåäåááàóìà ÷îðîõñêèì ðå÷íûì òðàíñïîðòîì ïåðåâîçèëè ïèùåïðîäóêòû, ïùåíèöó, ìàñëèíû, ñòðîéìàòåðèàëû(÷åðåïèöà, êèðïè÷), ðàñïèëåííóþ äðåâåñèíó äî Áàòóìè. Îò Áàòóìè ê Àðòâèíó ïåðåâîçèëè ïðåäìåòû ðîñêîøè è òåêñòèëü.

Ïîñðåäñòâîì ìíîãî÷èñëåííûì èñòîðèãðàôè÷åñêèì äàííûì ðåêà ×îðîõè áûëà áîëüøèì ðå÷íûì òîðãîâûì ìàãèñòðàëåì è â XIX âåêå, êàê Ôàçèñ I-VI ââ. ïî ñïðàâêàì Ñòðàáîíà è Ïðîêîôèÿ Êåñàðèéñêîãî.

შალვა ნაჭყებია

სულიერების დიდი კერა

შვიდმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თეოლოგიის კათედრა იქნა დაფუძნებული. იგი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პერიოდში მიღწეული უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II სახელთან არის დაკავშირებული.

2001 წლის 4 იანვარს მქონდა ბედნიერება საპატრიარქოს რეზიდენციაში მივსულიყავი მენჯის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის მოძღვართან არქიმანდრიტ მელქისედეკთან, სტუ-ს სენაკის ფაკულტეტის დეკანთან, დოცენტ კობა გვაზავასთან და სხვა ღირსეულ ადამიანებთან ერთად უწმიდესისა და უნეტარესისათვის დაბადებიდან 68-ე წლისთავის მისალოცად.

ეს იყო ღვთის ზეციური მადლით განათებული დღე, რომელიც ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეულ და დაუვიწყარ დღედ იქცა. პატრიარქთან შორიახლოს ყოფნისას ვგრძნოდი თუ რაოდენ უსაზღვროა განგება ღვთისა. ამ ბედნიერ დღეს მის უწმიდესობას გვერდს უმშვენებდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, წმიდა სინოდის წევრი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი, მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, რომლის პიროვნებაზედაც ბევრი მსმენოდა. წაკითხული მქონდა მისი ფუნდამენტური შრომები: "საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია", "დედა ეკლესია-ქადაგებანი და წერილები", "ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე" და სხვა. იმ სადღესასწაულო წუთებში უფლის ნებით საშუალება მოგვეცა მეუფე ანანიასათვის გაგვეზიარებია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ წრეებსა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში მომწიფებული აზრი უნივერსიტეტის კედლებში თეოლოგიის კათედრის დაარსების თაობაზე. მეუფე უდიდესი სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას, მით უფრო, რომ იგი უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ რამაზ ხუროძის მხარდაჭერით იყო ნაკარნახევი. მომდევნო დღეებში რექტორთან შეხვედრის შემდეგ შეიქმნა მუშა ჯგუფი მეუფის ხელმძღვანელობით, რომელმაც ითავა თეოლოგიის კათედრის ჩამოსაყალიბებლად საჭირო სამუშაოების გაწევა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საფუძველი ეყრებოდა ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის სრულიად ახალ კერას, რომლის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო მსოფლიოში არსებული ურთულესი ვითარებითაც, როდესაც სახეზეა რელიგიათა შორის დაპირისპირება, მძვინვარებს ტერორიზმი, მორალური უბადრუკობა და აღვირახსნილობა, ნარკომანია, პროსტიტუცია, ტრეფინგი და სხვა სოციალური კატაკლიზმები, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანთა სულიერი დეგრადაციის იმ უმძიმეს მემკვიდრეობაზე, რაც კომუნისტურმა რეჟიმმა დატოვა ქვეყანაში.

2001 წლის 1 სექტემბერს უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად მისმა მაღალყოვლად-უსამღვდელოესობამ, მთავარეპისკოპოსმა ანანიამ ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სტუდენტ-ახალგაზრდობას და პროფესორ მასწავლებლობას და დალოცა ისინი. დაიწყო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემობრუნება ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ...

2001 წლის 28 სექტემბერს გაიმართა უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თეოლოგიის კათედრის დაარსების თაობაზე. დიდი საბჭოს მთელმა შემადგენლობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კათედრის გამგის თანამდებობაზე წმინდა სინოდის წევრს მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოს მეუფე ანანიას მოსვლას, რომელიც საბჭოს წინაშე წარსდგა ვრცელი მოხსენებით თეოლოგიის კათედრის სამომავლო მიზნების შესახებ. უნივერსიტეტის დიდი საბჭოს სხდომის შემდეგ თეოლოგიის კათედრის დაარსების თაობაზე თხოვნით მივმართეთ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II და ვაახლეთ შემდეგი შინაარსის წერილი:

თქვენო უწმიდესობავ,

გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს 28.09. 2001 წ. ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უნივერსიტეტში დაარსდა თეოლოგიის კათედრა. გთხოვთ თეოლოგიის კათედრის წინამძღოლად მოავლინოთ მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის წევრი მეუფე ანანია.

თქვენო უწმიდესობავ.

უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლობა და სტუდენტობა უმორჩილესად ითხოვს თქვენგან ლოცვა-კურთხევას.

უღრმესი პატივისცემით
რექტორი, პროფესორი რამაზ ხუროძე.
29.09.2001წ.

დაუვიწყარია ის წუთები, როდესაც პატრიარქმა მიგვიღო, მეუფე ანანიასთან ერთად, სტუ-ს დიდი საბჭოს სწავლული მდივანი პროფესორი ნიკო ჩხაიძე და ამ სტატიის ავტორი. მან დიდი ყურადღებით მოისმინა ტექნიკური უნივერსიტეტის თხოვნა და დაწვრილებით გამოგვკითხა თუ როგორ გვქონდა გააზრებული ამ ერთობ საპასუხისმგებლო და უკეთილშობილესი ჩანაფიქრის განხორციელება. მოისმინა რა ჩვენი მოსაზრებები, უწმიდესმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა ამ დიდი საქმის წამოწყებასთან დაკავშირებით და ბრძანა - "იესო ქრისტე ბეთლემში იშვა, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ის უნდა იშვას ყოველი ადამიანის გულში და არამარტო იშვას, არამედ მუდამ იმყოფებოდეს მასთან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის მისაწვდომი ის ზეციური მადლი, რომელიც დედამიწაზე საუკუნეთუწინარესმა ლოგოსმა მოგვიტანა - მშვიდობა ღმერთთან, მშვიდობა მოყვასთან, მშვიდობა საკუთარ თავთან". უწმიდესმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის მნიშვნელობას და ამ უკეთილშობილეს საქმეში თეოლოგიის კათედრის მისიას. იგი კმაყოფილებით შეხვდა უნივერსიტეტის რექტორატის წინადადებას თეოლოგიის კათედრის გამგედ ცნობილი საეკლესიო

მოღვაწისა და მეცნიერის, მთავარეპისკოპოს ანანიას წამოყენების თაობაზე და მოგვცა კურთხევა.

დადგა ნანატრი დღეც. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ევროპის გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებელთა დარად, 2001 წლის 19 ოქტომბერს საბოლოოდ დაარსდა თეოლოგიის კათედრა. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, წმიდა სინოდის წევრები. თავის გამოსვლაში სრულიად საქართველოს პატრიარქმა ბრძანა: "დიდი მეცნიერი კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, რომ არა არის საკმარისი ადამიანი იყოს მორწმუნე, მას აუცილებლად ცოდნა უნდა ახლდესო და ასეთ დასკვნას აკეთებს: "მხოლოდ მორწმუნე ადამიანი, არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა".

უწმიდესმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: "მე გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს და მოგახსენებთ, რომ კათედრის გამგედ არჩეულია მთავარეპისკოპოსი მეუფე ანანია, რომელიც წმიდა სინოდში თავისი ერუდიციითა და ღრმა აზროვნებოთ გამოირჩევა და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგი არჩევანია. ეს არის თქვენი დიდი დამსახურება და უპირველესად ყოვლისა ეს არის ბატონი რექტორის დამსახურება და მადლობას ვწირავ მას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს საბერძნეთის ათონის ივერთა მონასტერში დაცული XIII-XIV საუკუნეების სახარების მოოქროვილი გარეკანის ასლი გადასცა საჩუქრად და იქ მოღვაწე მამების იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მადლით დალოცა დამსწრე საზოგადოება და სრულიად საქართველო.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს ქართველი ერის სულიერ და ინტელექტუალურ განვითარებაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის სტუ-ს უმაღლესი ჯილდო "გიორგი ნიკოლაძის მედალი" გადასცა.

დიდი საბჭოს გაფართოებულ სხდომის მონაწილეთა წინაშე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა თეოლოგიის კათედრის გამგე, მაღალყოვლადუსამღვდელოესი მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი ანანია, რომელმაც შემდეგნაირად ჩამოაყალიბა კათედრის უმთავრესი მიზანი:

"საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მთელი ქართველი ერისათვის წარმოადგენს მეცნიერების, კულტურისა და განათლების საამაყო კერას, ამიტომაც აქ თეოლოგიის კათედრის დაარსებას და მის კურთხევას უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. თეოლოგიის კათედრის დაფუძვნება ერთი ნაწილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ დიდი პროგრამისა, რომლის მიხედვითაც საუნივერსიტეტო ტექნიკური განათლება, ამასთანავე, ჰუმანიტარული განათლების სრულიად ახალ საფეხურზე აყვანას, პროფესიონალი ინჟინრის მიერ ეროვნული სულიერი კულტურის გათავისებასა და ეროვნული ფენომენის მატარებელ მოქალაქედ აღზრდას გულისხმობს. თეოლოგიის კათედრას ამ მხრივ დიდი მისია ეკისრება; მის მუშაობას საფუძვლად დაედება უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სწავლება რწმენისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ; კერძოდ: "საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, თუნდაც მატერიალური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს. მეცნიერების

და მის წარმომადგენელთა სულიერება იქნება სათავე ჩვენი ქვეყნის განახლებისა. ინტელიგენციაში დიდი პოტენციური ძალაა. წარსული დროის უმძიმეს პერიოდებშიც კი მოაზროვნე ფენა ჩვენი ქვეყნისა ხალხში ნერგავდა განათლებისა და სოციალური პროგრესის მაღალ იდეალებს. ერთადერთი რაც მას აკლდა, ეს იყო ჭეშმარიტი სარწმუნოების სრული გააზრება. თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგს".

სარწმუნოებისა და მეცნიერების დაკავშირების შესახებ მთავარეპისკოპოსმა ანანიამ წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) ცნობილი მოძღვრებაც გაიხსენა: "ბევრს ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი არიან, მაგრამ ამ ორ სამფლობელოს შორის შემაერთებელი ხიდი არის სიბრძნე. გამეცნიერებული სარწმუნოება და გასარწმუნოებული მეცნიერება არის წყარო ერის მსახურებისა, ღვაწლისა, მადლისა და საქმისა, რადგანაც კაცთათვის მსახურება, მსახურებაა ღვთისა"; და შემდეგ დასძინა: "ილიას უკვდავი იდეები ცხადია საყრდენი იქნება ჩვენი კათედრის მუშაობისა. დაარსება ამ მნიშვნელოვანი კათედრისა კიდევ უფრო წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესია დღეს აღმავლობის გზაზეა. ეს მიგვითითებს, რომ ერის ქრისტიანული სული ცოცხალია და ერი იმედით უყურებს მომავალს".

ახლად დაფუძნებული კათედრის პედაგოგთა შემადგენლობის შერჩევა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის რეკომენდაციით და ლოცვა კურთხევით აღსრულდა. ჩემთვის როგორც უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელისათვის დიდი პატივი იყო დავსწრებოდი თეოლოგიის კათედრის პედაგოგთა პირველ შეკრებას უწმიდესთან საპატრიაქოში, სადაც მან დამოძღვრა ისინი და მათი ყურადღება მიაპყრო იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა აკისრია თეოლოგიის კათედრას არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე; კათედრის სრულფასოვანი მუშაობისათვის კი პედაგოგებს მიზნად დაუსახა: უნივერსიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღებისა და გულისხმიერების გამომჟღავნება სტუდენტებთან და სხვა დარგის პროფესორ მასწავლებლებთან ურთიერთობისას, ლექციებისა და სემინარული მეცადინეობისათვის სერიოზული მომზადება, თითოეული ლექტორის მიერ სამუშაო გეგმის შედგენა, კონსპექტების წარმოება და სხვა.

თეოლოგიის კათედრის პირველი წევრები გახდნენ საქართველოს საპატრიაქოს დაქვემდებარებაში არსებული სასწავლებლების პედაგოგები და ეკლესია მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირები, რომელთაც სასწავლო აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეუფე ანანიას უდიდესი ძალისხმევა კათედრის საგანმანათებლო გეგმებისა და პროგრამების შედგენის საქმეში. პირველი ლექცია ღვთისმეტყველებაში წაიკითხა მეუფე ანანიამ და ასე დაიწყო ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლების დაუფლება. ათასობით სტუდენტმა უდიდესი ინტერესი გამოავლინა ამ უკეთილშობილესი წამოწყებისადმი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი დაინტერესება საღვთისმეტყველო ლიტერატურითა და საქართველოს

ეკლესიის ისტორიით. აღნიშვნის ღირსია ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე თეოლოგიის სექციის მონაწილეთა მრავალრიცხოვნება და აქტივობა.

2002 წლის 25 მარტს სტუ-ში გაიმართა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, უწმიდესი სინოდის წევრები. კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი ინტერესით მოისმინეს თეოლოგიის კათედრის გამგის, მეუფე ანანიას მოხსენება, სადაც მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო წარმოჩინებული დედა ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიული ასპექტები და მათი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში. საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე თეოლოგიის კათედრის თანამშრომლები: დიაკონი ბიძინა გუნია და პედაგოგი გოჩა გუგუშვილი, რომელთაც დიდი ღვაწლი გასწიეს თეოლოგიის კათედრაზე სასწავლო პროცესის ჩამოყალიბების საქმეში. სამეცნიერო კონფერენციის შესახებ ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდა საქართველოს განათლების სამინისტროს გაზეთში "ახალი განათლება" [4-10 აპრილი 2002წ. 11-12 (149-150)].

საეკლესიო მსახურებასა და ტაძრის აგებულების სტრუქტურაში სტუდენტთა უკეთ გარკვევის მიზნით მეუფე ანანიამ რექტორატის მხარდაჭერით სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში 2002წლის აღდგომის წინა დღეს დააფუძნა და აკურთხა წმინდა გიორგის სამლოცველო, რასაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა. მოგვიანებით, სასწავლო კორპუსებშიც დაფუძნდა და იკურთხა წმიდა ნინოს და წმიდა დავით აღმაშენებელის სახელობის სამლოცველოები.

აღსანიშნავია, რომ თეოლოგიის კათედრასა და უნივერსიტეტის სტუდენტურ კავშირის შორის თავიდანვე მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა. შედეგად საფუძველი ჩაეყარა მეტად კარგ ტრადიციას. 2001 წლიდან მეუფე ანანიას ლოცვა კურთხევით სტუდენტური რაზმები სისტემატურად მონაწილეობენ საქართველოს ეპარქიებში ეკლესია-მონასტრებისა და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების კონსერვაციის დამხმარე სამუშაოებში.

თეოლოგიის კათედრის წარმატებული მუშაობა დადებითად იქნა შეფასებული როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის მიერ. 2002 წლის 15 ნოემბერს ქართული ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისა და სამეცნიერო საქმიანობაში თვალსაჩინო ღვაწლისთვის მანგლისის უძველეს საკათედრო ტაძარში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი, სტუ-ს თეოლოგიის კათედრის გამგე, მეუფე ანანია აღავლინა მიტროპოლიტის რანგში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ, გამოჩენილ ქართველ თეოლოგს პროფესორის მაღალი წოდება მიანიჭა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2002 წლის 25 დეკემბერს განსაკუთრებული მოწიწებითა და სიყვარულით აღინიშნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების 25-ე წლისთავი. ტექნიკური უნივერსიტეტიდან რექტორატისა და თეოლოგიის კათედრის სახელით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შემდეგი შინაარსის მილოცვა გაეგზავნა:

„ქართველთა დიდო მეუფეო,

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მრავალათასიანი მრევლის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენო უწმიდესობა და უნეტარესობავ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების 25-ე წლისთავს. ეს მთელი ეპოქაა ჩვენი სულიერი ცხოვრების ისტორიაში. თქვენი დიდი ძალისხმევით ეს ეპოქა ქართველი ერის ქრისტიანული სარწმუნოებისაკენ შემობრუნებისა და მოქცევის ხანად იქცა. 25 წელია თქვენი ძლიერი მხრებით ღირსეულად ეზიდებით იმ უმძიმეს ჯვარს, რომელსაც პატრიარქის ჯვარი ჰქვია. უდიდესია თქვენი ღვაწლი დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.

მოწიწებით ვხრით თავს თქვენს წინაშე ქართველთა დიდო მეუფეო, ლოცვა-კურთხევას ვითხოვთ თქვენგან და უფალს ვევედრებით, მრავალ წელიწადს ყოფილიყავით პატრიარქის ტახტზე მყარად მდგომი ქართველთა დამცველი ღვთის წინაშე.”

როდესაც თვალს ვავლებთ განვლილ პერიოდს და ვიგონებთ თეოლოგიის კათედრის ისტორიის პირველი წლების მოვლენებს, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იკვეთება ის გარემოება, რომ კათედრაზე სულ უფრო ფართო მაშტაბები მიიღო და სასწავლო პროცესს ორგანულად დაუკავშირდა სამეცნიერო მუშაობა, რაზედაც მეტყველებს თეოლოგიის კათედრის ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო თუ რესპუბლიკური კონფერენციები. ასე მაგალითად, 2004 წლის 4-10 ოქტომბერს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა დისციპლინათაშორისო რესპუბლიკური კონფერენცია - “ეროვნული და სარწმუნოებრივი იდენტობა” რომლის ორგანიზატორთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ მეცნიერების დოქტორი მარიამ ჩხარტიშვილი.

თეოლოგიის კათედრის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა პირველი საერთაშორისო კონფერენცია დევიზით “მეცნიერება და რელიგია”, რომელიც 2005 წლის 23-24 მაისს ჩატარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს საინჟინრო აკადემია, საერთაშორისო საინჟინრო აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემია, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა. ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება.

კონფერენციას ესწრებოდნენ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, წმიდა სინოდის წევრები, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, საზღვარგარეთელი სტუმრები. კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენება – “საქართველოს სახელმწიფო წყობა ფარნავაზიან და ბაგრატიონ მეფეთა მმართველობის ეპოქაში”.

მოხსენება თემაზე “მეცნიერებისა და რელიგიის, ცოდნისა და რწმენის, სისტემური ურთიერთმიმართებანი” გააკეთა საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვ.ა ტრაპეზნიკოვის სახელობის მართვის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა აღნიშნული კონფერენციის ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა მაღალი შეფასება მისცა კონფერენციის

შედეგებს და წარმატება უსურვა მის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს. ნიშანდობლივია, რომ კონფერენციის დახურვის შემდეგ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აკადემიკოსები ი. ფრანგიშვილ, კ.ფროლოვი, ა. გუსევი, ვ.ბურკოვი, პროფესორი ჯეიმს რობერტ ხაუკროფტი და ქართველ მეცნიერთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: პროფესორები ზ. გასიტაშვილი, ი.გორგიძე, შ.ნაჭყებია, რ.ჩიქოვანი, გ.ჯავახაძე, რ.ხუროძე, დეკანოზი ბიძინა გუნია, მიწვეულ იყვნენ საპატრიარქოში, სადაც უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პატრიარქის საპატიო სიგელებითა და ქრისტეშობიდან 2000 წლისთავის აღსანიშნავად დამზადებული ვერცხლის ჯვრებით დააჯილდოვა ისინი. ეს იყო სულიერების, რწმენისა და მეცნიერების დიდი ზეიმი. “რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას: პირიქით მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისათვის თვითონაც იღვწის” - ბრძანა საქართველოს პატრიარქმა.

კონფერენციის მსვლელობისას, 2005 წლის 23 მაისს, მეცნიერების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “საპატიო დოქტორის” წოდება მიენიჭათ პროფესორებს: ჯ. ხაუკროფტს, კ.ფროლოვს, ა. გუსევს, ვ.ბურკოვს.

მომდევნო კონფერენცია „მეცნიერება და რელიგია” ჩატარდა 2006 წლის 6 ივნისს და იგი სასიქადულო მამულიშვილის, ცნობილი მკვლევარისა და მეცნიერების დიდი ორგანიზატორის, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს და სტუ-ს თეოლოგიის კათედრის გამგეს, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტს, პროფესორ ანანია ჯაფარიძეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსის დიპლომები გადასცა აკადემიკოს-მდივანმა, პროფესორმა ი.გორგიძემ, რომელმაც საზოგადოებას ამცნო, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II და მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე არჩეულ იქნენ რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის საპატიო წევრებად.

უდიდესი ინტერესით იქნა მოსმენილი კონფერენციაზე მეუფე ანანიას მოხსენება “დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იურისდიქცია IV-IX საუკუნეებში”.

როდესაც სტუ-ს თეოლოგიის კათედრაზე გაშლილ სამეცნიერო შემოქმედებით მოღვაწეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს კათედრის წევრთა ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ, რის შედეგადაც დეკანოზმა მიქაელ ჭაბაშვილმა, დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, პედაგოგმა გოჩა გუგუშვილმა წარმატებით დაიცვეს დისერტაციები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. კათედრის თანამშრომელთა მიერ მრავალი მეცნიერული შრომა გამოქვეყნდა, გამოიცა საეკლესიო წიგნები, კრებულები და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2003 წელს გამოცემული მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს საეკლესიო კრებები” 3 ტომად, რომელიც წარდგენილ იქნა სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. 1996-2003 წლებში გამოიცა „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” 4 ტომად, რაც მეუფე ანანიას სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს და იგი მთელი ქართული ისტორიოგრაფიისათვის უდიდესი შენაძენია.

2005 წელს გამოიცა გამოჩენილი თანამედროვე ისტორიკოსებისა და მკვლევარების

პროფესორების გიული ალასანიას, შოთა ბადრიძის, ბონდო არველაძის, ვახტანგ გოილაძის, ბიჭიკო დიასამიძის, სერგო ვარდოსანიძის, ზაზა აბაშიძისა და ვახტანგ გურულის ნარკვევების კრებული მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ნაშრომების შესახებ, სადაც ღირსეულადაა შეფასებული მეუფე ანანიას, როგორც თეოლოგისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწორუპოვარი მკვლევარის დამსახურება დედა ეკლესიის და ქართველთა ერის წინაშე. განსაკუთრებული პატივისცემით უნდა აღინიშნოს ამ მეცნიერთა დიდი მხარდაჭერა და აქტიური მონაწილეობა სტუ-ს თეოლოგიის კათედრის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სხვა ღონისძიებებში.

მეუფე ანანიას, როგორც უმაღლესი იერარქის, სახელგანთქმული მღვდელთმსახურისა და მეცნიერ-აღმზრდელის საყოველთაო ავტორიტეტმა, მისმა დიდმა გამოცდილებამ და დაუღალავმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა სულ მოკლე ხანში ჩამოყალიბდა სარწმუნოებისა და მეცნიერების მძლავრ კერად, სადაც ღვთისმეტყველების საფუძვლებს 30000-ზე მეტი სტუდენტი დაეუფლა და რაც ასე თვალნათლივ გამობრწყინდა კათედრის დაარსებიდან მეხუთე წლისთავის აღნიშვნის დღეებში. ამ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა 2007 წლის 14 თებერვალს გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში. კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა არჩილ მოწონელიძემ. საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციას დაესწრნენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II და წმიდა სინოდის წევრები. “მე ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ერთად და აღვნიშნავთ თეოლოგიის კათედრის დაარსების ხუთი წლისთავს. ხუთი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა” - ბრძანა უწმიდესმა და უნეტარესმა თავის გამოსვლაში. “მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ხუთმა წელმა, რომლის დროსაც აქ დიდი მუშაობა მიდიოდა, თავისი კარგი შედეგი გამოიღო და პირველყოვლისა მინდა მადლობა ვუთხრა მეუფე ანანიას და ამ კათედრის მუშა ჯგუფს იმ დიდი შრომისათვის, რასაც თქვენ ეწევით აქ, ტექნიკურ უნივერსიტეტში. მე გილოცავთ ამ თარიღს და დარწმუნებული ვარ, რომ ის პრობლემები, რომელთა წინაშე დგას დღეს საერთოდ განათლება და კერძოდ, ტექნიკური უნივერსიტეტი, იქნება დაძლეული და დადებითად გადაწყდება მომავლის საკითხი, რომელიც თქვენს წინაშეა. მე მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ეკლესია მუდამ თქვენში იყო და იქნება. ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ”. ამ მაღალი შეფასებისა და გულითადი დალოცვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სტუ-ს რექტორს, პროფესორ ა.მოწონელიძეს გადასცა ქრისტეშობიდან 2000 წლისთავის აღსანიშნავად საპატრიარქოს მიერ გამოცემული უნიკალური საგანძური, რომელსაც ეწოდება “ნათელი ქრისტესი საქართველო”. საიუბილეო სხდომის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს თეოლოგიის კათედრის დამაარსებლისა და წინამძღოლის, მანგლისისა და წალკის ეპარქიის მმართველის, მიტროპოლიტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ათასობით სტუდენტისა და პედაგოგისათვის სათაყვანო ადამიანის, პროფესორ ანანია ჯაფარიძის ფუნდამეტური მოხსენება თეოლოგიის კათედრის მიერ ხუთი წლის მანძილზე გაწეული საქმიანობის შედეგებისა და ახალგაზრდობის სულიერი აღზრდის სამომავლო

ამოცანების შესახებ. მეუფე ანანიამ თავისი მოხსენების დასასრულს ბრძანა:

“საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინების შემდეგ ქართველთა ევროპულ ოჯახში საბოლოოდ დასამკვიდრებლად უთუოდ უნდა გავამრავლოთ უდიდესი სიმდიდრე ქართველი ერისა - გავაძლიეროთ უდიდესი ეროვნული საგანძური - ქრისტიანობა. ევროპა, ძირითადად ქრისტიან ერთა კავშირი არის. ამ კავშირის ბუნებრივი წევრი გახლავთ საქართველო უკვე 2000 წელია, წმიდა მოციქულებისა და წმიდა ნინოს შემდგომ. იმედი გვაქვს თეოლოგიის კათედრა მისი უწმიდესობის ლოცვით ერის ამ სიმდიდრეს კიდევ უფრო გაამრავლებს.

ბოლოს კიდევ უფრო უღრმეს მადლობას ვწირავთ მის უწმიდესობას თეოლოგიის კათედრის კურთხევისათვის. იმედი გვაქვს ღვთის დიდი მოწყალებითა და მისი უწმიდესობის ლოცვით თეოლოგიის კათედრა იქცევა მნიშვნელოვან სასულიერო და კულტურულ ცენტრად. უღრმესად გმადლობთ ათეულობით პროფესორ მასწავლებლებსა და მოღვაწეებს, რომლებმაც მართლაც თავდადებულად იშრომეს თეოლოგიის კათედრის დასაარსებლად და მის გასაძლიერებლად. უღრმესად გმადლობთ და გლოცავთ მისი უწმიდესობის ლოცვით”.

აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რაც გასწია კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი შემადგენლობით: მთავარეპისკოპოსი გერასიმე შარაშენიძე, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი გიორგი მალხაზიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები ა.ფრანგიშვილი, ზ.გასიტაშვილი, ი.გორგიძე, დ.გორგიძე, ს.ესაძე, შ.ნაჭყებია, ა.შვგულიძე, რ.ჩიქოვანი, გ.ჯავახაძე, ქუთაისის აკაკი წერეთელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ტ.ფუტკარაძე, თბილისის სასულიერო აკადემიის პედაგოგი გ. გუგუშვილი, სტუ-ს სტუდენტთა თვით-მართველობის პრეზიდენტი თ.დუნდუა, სტუ-ს სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო განყოფილების უფროსი ნ. ვანიშვილი, რომელთაგან თითქმის ყველანი გამოვიდნენ მისასალმებელი სიტყვებით პლენარულ სხდომაზე და ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ მეუფე ანანიას ხელმძღვანელობით ამ მოკლე ხანში თეოლოგიის კათედრა სულიერებისა და რწმენის ნამდვილ კერად იქცა, სადაც ათასობით სტუდენტი ეზიარა ღვთისმეტყველების საფუძვლებს, საქართველოს ეკლესიის ისტორიას, გაუძლიერდა მართლმადიდებური რწმენა და ეროვნულობა, გაიდო ხიდი მეცნიერებასა და რწმენას შორის.

საიუბილეო კონფერენციას განსაკუთრებული შინაარსი შესძინა მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოხსენებამ – “საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულება საქართველოს ეკლესიის პროზელიტიზმის შესახებ და მისი კრიტიკა”, აგრეთვე პროფესორების ნ.ბართაიას, ვ.გურულის ტ.ფუტკარაძის, თ.გვანცელაძის, მ.ტაბიძის, მ.ნაჭყებიას, მ.ჩუხუას, რ.გუჯეჯიანის, გ.პაპუაშვილის, მამა მიქაელ ჭაბაშვილის და მამა ლევან მათეშვილის მოხსენებებმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრის საქმიანობასა და გამოჩენილი ქართველი თეოლოგის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოღვაწეობას მიეძღვნა წიგნი, რომელიც 2007 წელს გამოიცა საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით.

ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად "მადალთა შინა ღმერთმა ინება" საინჟინრო აზროვნებისა და ცოდნის დიდ ტაძარში თეოლოგიის კათედრის დაფუძნება. მისი არსებობის განვლილმა პერიოდმა ნათლად დაადასტურა ამ ისტრიული მონაპოვარის განსაკუთრებული აუცილებლობა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უდიდესი ეროვნული და საშვილიშვილო მისიის ღირსეულად გაგრძელების საქმეს.

თავს მდაბლად ვხრით თეოლოგიის კათედრის მთელი შემადგენლობის წინაშე, ვუსურვებთ წინსვლასა და კეთილდღეობას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

SUMMARY

Shalva Nachkebia

A BIG HEARTH OF SPIRITUALITY

Some facts and peripetia, which have already gone down to history, associated with the formation of the Chair of Theology at the Georgian Technical University are cited. It is emphasized that Ilia II, Catholicos-Patriarch of the Georgian Orthodox Church, played a key role in the establishment of theological trend at the Technical University.

ÐÅÇÞÌÅ

Øàëâà Íà÷êåáèÿ

ÁÎËÜØÎÉ Î×ÀÃ ÄÓÕÎÂÍÎÑÒÈ

Â ñòàòüå ïðèâåäåíû íåêîòîðûå ôàêòû è óæå ñòàâøèì èñòîðèåé ïðèïåòèè ñòàíîâëåíèÿ êàôåäðû òåîëîãèè Òåõíè÷åñêîãî Óíèâåðñèòåòà Ãðóçèè.

Ïðèâåäåíî îòíîøåíèå Ïàòðèàðõà Ãðóçèíñêîé Ïðàâîñëàâíîé Öåðêâè Èëüè II-ãî ê ñîçäàíèþ òåîëîãè÷åñêîãî íàïðàâëåíèÿ â ñðåäó òåõíè÷åñêîé âûñøåé øêîëû.

მკითხველი აქ იხილავს კვლევებს მეცნიერების რამდენიმე მნიშვნელოვანი სფეროდან: ისტორიის, ეთნოლოგიის, ქართველოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, ცოდნისა და რწმენის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა ნუსხიდან.

თეიმურაზ გვანცელაძე
მერაბ ნაჭყებია
მანანა ტაბიძე

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი[1]

(ბრძოლა დედაენისათვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში)

გრიგოლ დადიანი - XIX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთ უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ქართული ენისა და კულტურის დიდი მოამაგე, ჩვენი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდში, რუსული ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის ჟამს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი.

1. *წყარო: საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა"; გვ.60-80; თბილისი 2006.*

გრ. დადიანი დაიბადა 1827 წელს სამეგრელოს მთავართა შთამომავლის ელიზბარის ოჯახში. 1849 წელს დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ - თბილისის სასულიერო სემინარია. 1849 წელს ბერად აღიკვეცა. 1862 წელს უკვე არქიმანდრიტია. 1865 წელს მოღვაწეობს ბოდბის მონასტერში. 1875 წელს აირჩიეს საქართველოს სინოდალური კანტორის წევრად. 1886 წელს დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად.

1898 წელს პირადად რუსეთის ეპისკოპოსის ბრძანებით მოსკოვის სინოდალური კანტორის წევრად გადაიყვანეს, რასაც გვატყობინებს გაზეთ „ივერია-ს" 1898 წლის 16 აპრილის (#89) ცნობა, რომელიც, გრიგოლ დადიანის მოღვაწეობას დიდი ყურადღებითა და პატივისცემით აშუქებს სხვა დროსაც (გაზეთ „ივერიაში" არის ასახული მისი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ხელდასხმაც). გრიგოლ დადიანის განსწავლულობასა და ღრმა სულიერებაზე მიუთითებს მისი ნაწერები; ორატორული ოსტატობისა და ქრისტიანული თავმდაბლობის ნიმუშს წარმოადგენს მისი მოსკოვში გადაყვანასთან დაკავშირებით წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა მრევლისადმი. სახასიათოა, რომ დიდი თედო ჟორდანია გრიგოლ დადიანს „დიდ მამულიშვილს" უწოდებს. სამწუხაროდ, ჯერ ვერ დავადგინეთ გრიგოლ დადიანის გარდაცვალების თარიღი, ვიცით კი, რომ 1904 წელს იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, რასაც ადასტურებს იონა მეუნარგიასადმი გაგზავნილი პირადი წერილი, რომელიც ინახება ზუგდიდის მუზეუმში.

ამჯერად ჩვენ გრიგოლ დადიანის ხელმძღვანელობით შედგენილ ერთ დოკუმენტზე გვექნება საუბარი. ესაა გრ. დადიანის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც საყოველდღეო ლოცვათა და ათი მცნების მეგრულად გადატანას ეხება.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა,ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა,მეგრული და ლაზური დიალექტების ცნობილმა მკვლევარმა, ქალბატონმა ირინე ასათიანმა ამ ცოტა ხნის წინ გადმოგვცა მეტად საყურადღებო დოკუმენტთა კრებულის ასლი (დედანი ინახება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პირად არქივში). დოკუმენტთა კრებული თარიღდება 1895 წლის 15 მარტიდან - 2 ივნისამდე პერიოდით და ასახავს სამეგრელოს სასულიერო და საერო მოღვაწეთა ბრძოლას ქართველი ერის ერთიანობის გადასარჩენად, ღვთისმსახურების სფეროში ქართული ენის გამოყენების შესანარჩუნებლად, საყოველდღეო ლოცვათა და ათი მცნების მეგრულად გადაღების საწინააღმდეგოდ. დოკუმენტთა ეს კრებული, ანუ „ჟურნალი" შედგენილია რუსულ ენაზე და მოიცავს სტამბური წესით აწყობილ 26 გვერდს.

„ჟურნალის" შინაარსის სწორად გაგებისა და მართებული ანალიზისათვის აუცილებელია ზოგი საკითხის წინასწარი გახსენება. კერძოდ:

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე ჩვენში გავრცელებული იყო ერთადერთი შეხედულება იმის შესახებ,რომ ქართველი ერი ლაპარაკობს ერთ ზოგადქართველურ ენაზე, ყოველთა ქართველთა დედაენაზე - ქართულად, რომლის ტერიტორიულ ვარიანტებად მოიაზრებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გავრცელებული უკლებლივ ყველა კუთხური სამეტყველო ერთეული: ქართლური და ლაზური, კახური და მეგრული, მესხური და სვანური, იმერული და თუშური, ხევსურული და აჭარული, რაჭული და ჰერული (ინგილოური), ფშაური და გურული, მთიულური და შავშური, იმერხეული და ლეჩხუმური... სწორედ ერთადერთი

ზოგადქართველური ენის მქონებლობა იყო ის მტკიცე საფუძველი, რომელიც განსაზღვრავდა ქართველი ერის ერთიანობასაც და ყოველი რეგიონის მცხოვრებთა ქართველური ცნობიერების შენარჩუნებასაც მაშინაც კი, როცა XV საუკუნის შემდგომ დაიშალა ერთიანი ქართული სახელმწიფო და შეიქმნა მცირე „საქართველოები". ყოველი „მცირე საქართველო" დანარჩენებს ქართველობაში, დედაენის სიყვარულში, ქართული კულტურის მესვეურობაში ეჯიბრებოდა, სწორედ ამიტომ იყო,რომ XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი,ერთი მხრივ, არამცთუ არ ემორჩილებოდა იმერეთის მეფეს, არამედ საკუთარ თავს ხელმწიფედ მოიხსენიებდა და ამას რუსეთის მეფეც კი აღიარებდა, მეორე მხრივ კი მას ჰქონდა პრეტენზია ქართული კულტურის განვითარებაში ლიდერობისა, რაც იმით გამოიხატა, რომ გორიდან ზუგდიდში ჩაიყვანა საუკეთესო გადამწერები და ქართული წიგნები გადააწერინა. ლევან დადიანს ფიქრადაც არ მოსვლია თავი არაქართველად მიეჩნია და წიგნების შექმნა მეგრულად დაეწყებინებინა. იგი ვერც კი იფიქრებდა იმას, თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, ვინაიდან მაშინ არა მარტო მეგრული კილო, არამედ საქართველოს უკლებლივ ყველა სხვა მხარეში გავრცელებული კილოები, როგორც ითქვა, ქართული სამწიგნობრო ენის ტერიტორიულ ვარიანტებად მიიჩნეოდა, რომლებზეც დამწერლობის შექმნა წარმოუდგენელი იყო. მეტიც, არსებობდა მტკიცედ ფეხმოკიდებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ერთადერთი სწორი, გამართული, ამაღლებული და დახვეწილი ფორმა ენისა სამწიგნობრო ქართული იყო, კილოები კი იწოდებოდა „დაღვლარჭნილ", „დამახინჯებულ", „შერყვნილ", „ავენოვან" მეტყველებებად, რომელთაც სხვაგვარად „დამხე", „მდაბიურ" თუ „მსოფლიოთა" (ე.ი. გლეხურ) საუბრად მიიჩნევდნენ. რა თქმა უნდა, ამგვარი ეპითეტებით მარკირებულ დიალექტებზე დამწერლობის შექმნა დედაენის შეურაცხყოფა იქნებოდა, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ძველ საქართველოში ცუდ ტონად მიიჩნეოდა უკიდურესად პირადული შინაარსის წერილების წერაც კი დიალექტებზე - წერა და ნორმირებული სამწიგნობრო ენა ერთ დონეზე განიხილებოდა (ეს ტრადიცია დღემდე ძალაში რჩება).

შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართველები ერთადერთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო მეგრული, ლაზური და სვანური ჯგუფის კილოები ამ ენის ისეთივე დიალექტებია, როგორც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ხევსურული, ფშაური და სხვანი, გავრცელებული იყო უძველესი დროიდან XX საუკუნის 40-იან წლებამდე. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები: სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, სერგეი მესხი, რაფიელ ერისთავი, მოსე ჯანაშვილი, სილოვან ხუნდაძე, ვალერიან გუნია, სოსიკო მერკვილაძე, პეტრე ჭარაია, თედო ჟორდანია, ნოე ჟორდანია, თედო სახოკია, დუტუ მეგრელი, გერონტი ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა, კონსტანტინე გამსახურდია..., სასულიერო პირებიდან: წმ.კირიონი (საძაგლიშვილი),წმ. ამბროსი (ხელაია), წმ. ალექსი (შუშანია), კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ოქროპირიძე), კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), მღვდელი იოანე მარგიანი და მრავალი სხვა.

ამ საყოველთაოდ გაზიარებულ თვალსაზრისს XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დაუპირისპირა მოსაზრება, თითქოს მეგრული, ლაზური და სვანური ზოგადქართული (ქართველური) ენის კილოები კი არა, არამედ დამოუკიდებელი ენები იყოს. ეს ახალი მოსაზრება არავითარ მეცნიერულ საფუძველს არ ეყრდნობოდა და მას წმინდა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, კერძოდ, ქართველი ერის ერთიანობის საბოლოო მოშლა და ქართველთა ნაწილ-ნაწილ გარუსება-გადაჯიშება. ცარიზმის მოხელეები უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში, როცა თითქმის დამთავრდა რუსეთის მიერ კავკასიის უდიდესი ნაწილის დაპყრობა, აღარ სჯერდებოდნენ მხოლოდ იმის განცხადებას, რომ მეგრელები, ლაზები და სვანები ქართველები არ არიან, ხოლო მათი კუთხური მეტყველებანი დამოუკიდებელი ენებია. ისინი აშკარა შეტევაზე გადმოვიდნენ და სცადეს მეგრულისა და სვანურის სამწიგნობრო ენებად გადაქცევა:

1860 წელს რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი მეგრული ანბანის გამოყენებით მეგრულ დიალექტზე გადაიღეს წმინდა წერილის ცალკეული ადგილები, 1864 წელს კი ასევე რუსული გრაფიკის გამოყენებით გამოსცეს „ლუშნუ ანბან" („სვანური ანბანი"), რასაც მოჰყვა მეგრული საანბანო სახელმძღვანელოების სამჯერ გამოცემა (ავტორები იყვნენ: თადა აშორდია, ფ. ლევიტსკი და ალექსანდრე გრენი).

ამ ქმედებათა ჭეშმარიტი პროვოკაციული მიზნები დაუფარავადაა განცხადებული 1899 წელს ა.გრენის მიერ გამოცემული მეგრული საანბანო სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, სადაც ავტორი აცხადებს:

„ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ეროვნული ბრძოლისათვის მეგრელები, რომლებსაც ფეხქვეშ თელავს უფრო ძლიერი ქართველი ხალხი. ჭეშმარიტად, ასეთი ბრძოლა სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა,] რომლითაც მეგრელი ისევე გამოხატავდა თავის აზრებს, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი" (ხუნდაძე, 1940, გვ.104).

საყურადღებოა, რომ იმპერიის მესვეურთა ამ ღონისძიებებს უარყოფითი გამოხმაურება ჰქონდა თვით სამეგრელოში. მაგალითად, პროფ. გივი როგავას ცნობით, 1860 წელს, როცა მეგრულად გადაიღეს წმინდა წერილის ნაწყვეტები და სცადეს სამეგრელოში ღვთისმსახურების შემოღება მეგრულად, ახალ სენაკში გაიმართა სამღვდელოების ყრილობა, რომელზეც ეს მცდელობანი ერთხმად შეფასდა როგორც მწვალებლობა, კუთხურობისა და განკერძოების გაღვივება და წმინდა წერილის გამასხრება (როგავა, 1999, გვ.13-14).

ამგვარი გამოხმაურების გამო ცარიზმმა დროებით დაიხია უკან, თუმცა მალე სხვა ხერხს მიმართა: ბრძოლა გადაიტანა ენათმეცნიერების სფეროში, რათა შეექმნა „მყარი მეცნიერული საფუძვლები" და ახალი ძალით მიეტანა იერიში ქართველთა ერთიანობის წინააღმდეგ. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ის ფაქტი, რომ გერმანელ ლინგვისტს გეორგ როზენს 1844-45 წლებში გამოთქმული ჰქონდა უარგუმენტო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მეგრული, ლაზური და სვანური დამოუკიდებელი ენები ყოფილა და არა ქართველური ენის დიალექტები. რა თქმა უნდა, იმპერიისათვის იდეალური იქნებოდა, თუ გ.როზენის დაუსაბუთებელ თვალსაზრისს გაიმეორებდა რომელიმე ავტორიტეტიანი ქართველი მეცნიერი. ასეთი კაციც მოიძებნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალექსანდრე ცაგარლის სახით, რომელმაც 1872 და

1880 წლებში გამოცემულ ნაშრომებში მეგრულს, ლაზურსა და სვანურს ენები უწოდა. თუმცა იმავე ავტორს 1873 წელს მეგრული, ლაზური და სვანური იბერიული ფუძე-ენის დიალექტებად მიაჩნდა და გურულის, თუშურის, ფშაურისა და ხევსურულისაგან მხოლოდ იმით ასხვავებდა, რომ ამ უკანასკნელთ კილოკავებად (íàðå÷èå) აცხადებდა. არა მარტო სამეგრელოში, არამედ სრულიად საქართველოშიც განსაკუთრებით მძაფრად გამოეხმაურნენ 1880 წელს გამოცემულ ა.ცაგარლის ორტომეულს Ìèíãðåëüñêèå ýòþäû. როგორც წმ. ექვთიმე (თაყაიშვილი) და აკად. ივანე ჯავახიშვილი იგონებენ, ა. ცაგარლის საქციელი ერის ღალატად იქნა შერაცხული დიდი ილიასა და მის თანამებრძოლთა მიერ, ცარიზმის მოხელეებმა კი (მაგალითად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე იანოვსკიმ,ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა,შავრაზმელმა იოანე ვოსტორგოვმა...) ხელზე დაიხვიეს ეს „სამეცნიერო ფაქტი" და ახალი იერიში მიიტანეს ქართველი ერის ერთიანობაზე XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან (ვრცლად ამის შესახებ იხ.: გვანცელაძე, ტაბიძე, შეროზია, ჭანტურია, 2001; გვანცელაძე, 2003; გვანცელაძე, 2006; ტაბიძე, 2005).

ალ. ცაგარელმა ამ რეაქციის გამო საერთოდ შეწყვიტა ენათმეცნიერებაში მუშაობა და სიგელთმცოდნეობაში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, მას სინდისი ქენჯნიდა და ცდილობდა დანაშაულის გამოსყიდვას: როცა 1902 წელს იმპერიამ კიდევ ერთხელ სცადა სამეგრელოს დაწყებით სკოლებში მეგრულის სწავლების შემოღება, იაკობ გოგებაშვილმა ამ აქციის საწინააღმდეგოდ დაწერა წერილი „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის," რომელიც სწორედ ა. ცაგარელს გადაუგზავნა პეტერბურგში და სთხოვა დახმარება მის გამოქვეყნებაში. მეცნიერმა იაკობის თხოვნა გადაჭარბებით შეასრულა - მან იაკობის წერილი გამოაქვეყნებინა ჯერ გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტის" 1903 წლის 27 თებერვლის ნომერში, შემდეგ კი იგივე წერილი ბროშურადაც გამოსცა იქვე (ორივე პუბლიკაცია დაიბეჭდა „ვარიანელის" ფსევდონიმით).

ამით ა.ცაგარელმა დაადასტურა, რომ 1872 და 1880 წლებში იგი აიძულეს მეგრული, ლაზური და სვანური ენებად გამოეცხადებინა, სინამდვილეში კი ეს მეტყველებანი დიალექტებად მიაჩნდა. სხვაგვარად ამ ფაქტების ახსნა ალოგიკურია.

ამ ექსკურსის შემდგომ მივუბრუნდეთ აკად. არნ.ჩიქობავას არქივში დაცული დოკუმენტების კრებულს, გურია-სამეგრელოს ეპარქიის 1895 წლის „ჟურნალს," რომელიც მეტად ძვირფასია მრავალი თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმ მხრივ, რომ მასში თვალნათლივ ჩანს, თუ რა თავდადებით იბრძოდა გრიგოლ დადიანის მეთაურობით გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოება და სამეგრელოს ინტელიგენცია რუსეთის იმპერიის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ და ქართველი ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად, ქართული ენის უფლებების დასაცავად.

ეპარქიის „ჟურნალიდან" ირკვევა, რომ 1892 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კირილე იანოვსკის (იგი ამ პოსტზე მუშაობდა 1878 წლის დეკემბრიდან 1900 წლამდე) სპეციალური მოხსენება გაუგზავნია იმპერიის სახალხო განათლების მინისტრისათვის, რომელშიც მოითხოვდა, რომ საქართველოს სამღვდელოებისათვის ჩამოერთმიათ საეკლესიო-სამრევლო და ე.წ. წერა-კითხვის სკოლების მართვის უფლება, ვინაიდან სამღვდელოთა უმრავლესობა ქართველები არიან და მათმა დიდმა ნაწილმა არ იცის რუსული ენა, თანაც ქართველი სასულიერო პირები დააბრკოლებენ მთავრობის მისწრაფების განხორციელებას განაპირა მხარეების იმპერიასთან

შესარწყმელადო. კ. იანოვსკი თავის მოხსენებაში სხვადასხვა ხალხებად აცხადებს მეგრელებსა და დანარჩენ ქართველებს. მეგრელებს ქართულისაგან განსხვავებული ენა აქვთ და მეგრულზე აუცილებელია გადავიღოთ საეკლესიო წიგნები და ლოცვათა ტექსტებიო, წერდა იანოვსკი. იანოვსკის ამ მოხსენებაში წამოჭრილი საკითხების განხილვა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს დაუვალებია საქართველოს ეგზარქოსის პალადისათვის 1892 წლის 24 მაისის 2729 წერილით, ეგზარქოსმა კი იმავე წლის 5 ივნისის 2646 წერილით საკითხის გამოკვლევა და დასკვნის წარდგენა მოსთხოვა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს (დადიანს). იმავე წლის 12 აგვისტოს №2168 წერილში ეპისკოპოსმა გრიგოლმა გამანადგურებელი პასუხი გასცა კ.იანოვსკის, განსაკუთრებით მის „დებულებებს" მეგრელების არაქართველობისა და მეგრული „ენის" არსებობის შესახებ.

იანოვსკის მეგრელთა არაქართველებად გამოცხადებისა და მეგრული ენის არსებობის „მტკიცებაში" გამოცდილება უკვე ჰქონდა: 1880 წელს ახალსენაკის სკოლაში სტუმრობისას მან განაცხადა, რაკიდა მეგრელები ქართველები არ არიან, მათ ქართული ენა არ უნდა ვასწავლოთ და ბავშვებმა განათლება მეგრულად უნდა მიიღონო. ამ განცხადებამ ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ინციდენტს გამოეხმაურა გაზეთი „დროება" (1880 წლის 30 ნოემბერი, 253), რასაც მოჰყვა საპროტესტო წერილები „დროებასა" და „ივერიაში" ილია ჭავჭავაძისა, სერგეი მესხისა, დიმიტრი ყიფიანისა, იაკობ გოგებაშვილისა, გერონტი ქიქოძისა, რაფიელ ერისთავისა. იანოვსკი იძულებული გახდა უკან დაეხია, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, შეტევა განაახლა უმაღლეს სახელისუფლო დონეზე 1892 წელს.

ეპისკოპოს გრიგოლს უკვე ნახსენებ წერილში ეგზარქოსისადმი, რომელიც მთლიანადაა შეტანილი ეპარქიის „ჟურნალში", მრავალი საბუთი მოაქვს იანოვსკის პროექტის საწინააღმდეგოდ. იგი მიიჩნევს, რომ მეგრულად საეკლესიო წიგნების გადაღება გაუმართლებელია შემდეგ მიზეზთა გამო: მეგრული ქართული ენის დიალექტია და არა დამოუკიდებელი ენა."მეგრელი ქართულ ენას აღიქვამს როგორც თავის ძირეულ საკუთრებას."

რაკი მეგრული მხოლოდ კილოა და არა ენა, შეუძლებელია ღვთაებრივ ჭეშმარიებათა შემცველი საეკლესიო წიგნების გადაღება არასრულყოფილ, მცირესიტყვიან და წერილობითი თხრობისათვის სრულიად გამოუსადეგარ მეტყველებაზე.

პატივი უნდა მიეგოს სამეგრელოში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე (მეგრელთა დედაენაზე) აღსრულების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

მეგრულად საეკლესიო წიგნების გადაღება მწვალებლობაა. საერო სკოლებში ახლახან შემოღებულ მეგრულის სწავლებას მოსახლეობა მოწონებით არ უყურებს.

მეგრულის სწავლება ამუხრუჭებს რუსული ენის შესწავლის საქმეს.

ეპარქიაში მოქმედ 89 სამრევლო და ე.წ. წერა-კითხვის სკოლაში სწავლებას უძღვებიან აკადემიური განათლების მქონე პირები.

დასასრულს ეპისკოპოსი გრიგოლი აცხადებს, „...მე არ ვიზიარებ მისი უდიდებულესობის, კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონ მზრუნველის შეხედულებებს და ჩემდამი რწმუნებული სამღვდელოების ამჟამინდელი მდგომარეობა მიმაჩნია სრულიად დამაკმაყოფილებლად თავისი სკოლების დამოუკიდებლად მართვისათვის"-ო.

ეგზარქოსმა პალადიმ მეუფე გრიგოლს მხარი დაუჭირა. მას, რა თქმა უნდა, მეგრელების დარდი სულაც არ ჰქონდა, - სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების იანოვსკის უწყებისათვის დათმობა არ სურდა, - მაგრამ ამით მან თავისდაუნებურად დროებით შეაჩერა იმპერიის შეტევა ქართველი ერის ერთიანობის წინააღმდეგ. ესეც დიდი საქმე იყო!

მალე ასპარეზზე „დაჩაგრულ" მეგრელთა ახალი „ქომაგები" გამოჩნდნენ თვით რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და ეგზარქოს ვლადიმირის მითითებებით მოქმედი ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის სახით. (კანტორას რუსულად Ãðóçèíî-Èìåðåòèíñêàÿ ñèíîäàëüíàÿ êîíòîрქვა. ამ სახელწოდებიდან ჩანს, რომ ცარიზმი არა მარტო მეგრელებს, არამედ იმერლებსაც კი არ მიიჩნევდა ქართველებად!). იმპერატორის ბრძანებულებით მეგრულად გადაიღეს ათი მცნება და საყოველდღეო ლოცვების ტექსტი. 1894 წლის 28 იანვარს „ამ თარგმანის" შესახებ დასკვნა დაწერეს ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა (იგივე ამბროსი ხელაია), თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა თევდორე (თედო) ჟორდანიამ და მღვდელმა გიორგი ჩაგუნავამ. დასკვნის ავტორები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ როგორც ამ ტექსტთა მეგრულად გადაღებას, ისე პროექტს წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღების შესახებ. მათი დასკვნა (4) განუხილავს ქართლ-იმერეთის სინოდალურ კანტორას და არ დასთანხმებია მას. იმავე წლის 9 მარტის 2132 ბრძანებულებით სინოდალურმა კანტორამ დაავალა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს: შეემოწმებინა ტექსტების „თარგმანის" სიზუსტე, დაერთო გაუგებარ სიტყვათა განმარტებანი და კანტორისათვის წარედგინა დასკვნა იმის შესახებ, გამოიწვევდა თუ არა ამ პროექტის დანერგვა უკმაყოფილებას მოსახლეობაში. მეუფე გრიგოლმა 1894 წლის 30 მაისს თავისი თავმჯდომარეობით შექმნა კომისია ამ საკითხზე სამუშაოდ. კომისიაში შევიდნენ ბლაღოჩინები: დეკანოზი მიხეილ მეუნარგია, დეკანოზი გიორგი ბერიძე, მღვდელი ნესტორ ალშიბაია, მღვდელი კაპიტონ გაწერელია, მღვდელი ანტონ კეკელია, აგრეთვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი სტეფანე ძიმისტარიშვილი. მეუფე გრიგოლმა დასკვნის წარმოდგენა სთხოვა აგრეთვე თავადებს: დავით გიორგის ძე დადიანსა და მწერალსა და მთარგმნელს ნიკოლოზ ტარიელის ძე დადიანს (ილიას თანამებრძოლს, მწერალ შალვა დადიანის მამას). აზრის გამოთქმა დაევალა აგრეთვე სამეგრელოში არსებული ყველა საბლაღოჩინოს ხელმძღვანელს.

კომისიას თავიანთი მოსაზრებანი წარმოუდგინეს როგორც კომისიის წევრებმა, ისე საბლაღოჩინოთა ხელმძღვანელებმა: კ. ბერიძემ, პ. გოშუამ, ნ. თოლორაიამ, ი. გრიგოლიამ, ა. რევიამ, ს. ქავთარაძემ, კ. ჩაჩიბაიამ, ა. კეკელიამ, კ. გაწერელიამ, კ. ჭანტურაიამ, მ. მეუნარგიამ (მწერალ იონა მეუნარგიას მამამ), ე. შენგელაიამ, ნ. ალშიბაიამ, გ. ბერიძემ, ა. კალანდარიშვილმა, ა. ქვარცხავამ, თ. ხოშტარიამ, ასევე დ. დადიანმა და ნ. დადიანმა. ამათგან ყველა, გარდა ბლაღოჩინ დეკანოზ თევდორე ხოშტარიასი, წინააღმდეგი იყო „ათი მცნებისა" და საყოველდღეო ლოცვების მეგრულად გადაღებისა და წირვა-ლოცვის ამ „ენაზე" აღსრულებისა (დეკანოზი თ.ხოშტარია წერდა, ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის შეფასება ჩემს ძალებს აღემატება და არ ძალმიძს თანხმობა ან უარი ვთქვა ასეთი პროექტის შესახებო). ეს დასკვნები გრიგოლ ეპისკოპოსს იმით გაუმყარებია, რომ მოუწვევია სამეგრელოს სამღვდელოების ყრილობა, რომელმაც დაასკვნა, რომ „ათი მცნებისა" და საყოველდღეო ლოცვების გადაღება მეგრულად დამღუპველ ზეგავლენას მოახდენდა ხალხის რელიგიურ გრძნობებზე.



იმისათვის, რომ მკითხველს შეექმნას ზუსტი წარმოდგენა მეუფე გრიგოლის მიერ შექმნილი კომისიის არგუმენტაციის შესახებ, წარმოვადგენთ „ჟურნალში" შეტანილი ერთ-ერთი დასკვნის ძირითად დებულებებს. მისი ავტორია ბლაღოჩინი მღვდელი კაპიტონ გაწერელია, რომელიც კომისიის წევრი ყოფილა. მამა კაპიტონს თავისი არგუმენტები დაყოფილი აქვს 3 პუნქტად:

1. ლოცვებისა და საეკლესიო წიგნების გადაღება მეგრულად შეუძლებელია. ამ დასკვნის საფუძველია შემდეგი გარემოებანი:

ყოველი უმწიგნობრო (არასალიტერატურო) ენა განუვითარებელია, რადგან მათ არა აქვთ აზრის გადმოცემის ის საშუალებები, რაც მოეპოვებათ ხანგრძლივი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ენებს. რაც შეეხება მეგრულს, იგი ენაც კი არ არის - ქართული ენის კილოა და არა აქვს არც რელიგიური შინაარსის გადმოსაცემად სამყოფი ლექსიკა და არც დამწერლობა. რელიგიური წიგნების სათარგმნელად აუცილებელია სიზუსტისა და დოგმატურობის დაცვა, რათა არ დამახინჯდეს მათი ღრმა აზრი. ენა, რომელზეც ასეთი წიგნები უნდა ითარგმნოს, განვითარების მაღალ დონეზე უნდა იდგეს და სათანადოდ იყოს დამუშავებული. მეგრული ვერ უპასუხებს ამ მოთხოვნებს.

რელიგიური ტექსტების ქართული სამწიგნობრო ენიდან მეგრულ კილოზე გადაღებისას აღმოჩნდება, რომ სამწიგნობრო ქართული სიტყვებისა და ფრაზების ერთ ნაწილს საერთოდ არა აქვს შესატყვისი მეგრულში, მეორე ნაწილი განსხვავებულია შინაარსით (მნიშვნელობით) და არღვევს ტექსტის სიზუსტეს, მესამე ნაწილი კი იქნება იგივე ქართული სიტყვები, მცირედ სახეცვლილი მეგრულში.

მთარგმნელს უნდა ჰქონდეს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება, მაგრამ ეს თვისება

მაინც ვერ იქნება თარგმანის სიზუსტის გარანტია ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო. ამიტომ მომავალში აუცილებლად გაჩნდება საჭიროება თარგმანის დაზუსტებისა და შეცვლისა.

განსახილველად წარმოდგენილ თარგმანის ნიმუშებში ხშირია შემთხვევები, როცა მეგრულში შერჩეული სიტყვები მეგრელთათვის სრულიად გაუგებარი, ან ძნელად გასაგებია, ვიდრე სამწიგნობრო ქართულის სიტყვებია, სიტყვათა ერთი ნაწილი კი სულაც არ გამოხატავს იმ აზრს, რაც სინამდვილეში უნდა გადმოიცეს. ავტორს იქვე მოჰყავს 23 ასეთი მაგალითი. მამა კაპიტონი იმასაც აღნიშნავს, თარგმანის ნიმუში ისეთია, რომ ხალხში ან სიცილს იწვევს, ანდა ზიზღს, რაც ყოვლად დაუშვებელიაო.

წმინდა წერილისა და ლოცვათა თარგმნა წმინდა საქმეა და უნდა შესრულდეს ღვთაებრივი შთაგონების საფუძველზე, გარდა ამისა, ამ საქმისათვის აუცილებელია ზებუნებრივი ნიჭიც. ჩვენ კი სამეგრელოში ამჟამად არა გვყავს ასეთი ღვთის რჩეულნი და იმის მტკიცება, რომ ასეთნი არსებობენ, მძიმე ცოდვაა.

საეკლესიო წიგნებისა და ლოცვათა ტექსტი, უნდა იყოს ზუსტი, უნდა ახასიათებდეს სიწმინდე და სერიოზულობა, რაც მხოლოდ საეკლესიო ენის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. საეკლესიო ენას უნდა ჰქონდეს თავისი გრამატიკა (იგულისხმება სამწიგნობრო ენის ნორმები - თ.გ., მ.ნ., მ.ტ.). მეგრული არ არის საეკლესიო ენა და არც გრამატიკა (ე.ი. მართლწერის წესები) მოეპოვება. საეკლესიო ენის ჩამოყალიბებას საუკუნეები სჭირდება. ერთდროულად რელიგიური წიგნების თარგმნა და საეკლესიო ენის შექმნა შეუძლებელია.

2. რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად სახიფათოა ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით. ამ დებულებას კ. გაწერელია შემდეგნაირად ასაბუთებს:

საეკლესიო წიგნების გადაღება მეგრულად თავისებური რეფორმაა. მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ რელიგიის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს ხშირად მოსდევს განხეთქილებანი. ასე გაითიშა ერთმანეთისაგან რომის ეკლესია და მართლმადიდებლობა, რომაულ ეკლესიაში გაჩნდა პროტესტანტობა, წარმოიშვა ათასგვარი სექტები და დაჯგუფებანი. განხეთქილება არ ასცდენია არც რუსულ ეკლესიას: საშინელი დაპირისპირება გამოიწვია წმინდა წერილის თარგმანის ტექსტის გადასინჯვა-დაზუტების მცდელობებმა, გაჩნდა „სტაროობრიადცობა"... იგივე მოხდება სამეგრელოშიც. მეგრულ თარგმანს უამრავი კრიტიკოსი გაუჩნდება, მრევლში გაჩნდება განხეთქილება, რასაც ხელს ისიც შეუწყობს, რომ მეგრულს არა აქვს სამწიგნობრო ტრადიცია, მყარი სალიტერატურო ნორმები, „და დაიწყება რელიგიური კამათი, დაუნდობელი ბრძოლა დაჯგუფებათა შორის, ჩამოყალიბდება განცალკევებული სექტები და ... სამეგრელო შემდგომში შეიძლება გადაიქცეს განდგომილთა ცემა-ტყეპის ადგილად, სხვაგვარად მოფიქრალთა ბუნაგად და თავშესაფრად."

3. რელიგიური ტექსტების გადაღება მეგრულად ზედმეტია. ავტორს ამ დასკვნის გამოსატანად ასეთი საბუთები მოაქვს:

ნებისმიერ სფეროში სიახლის დანერგვას აუცილებლობა უნდა განაპირობებდეს. მეგრულად რელიგიური ტექსტების გადაღების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან მეგრელს აქვს დედაენა ქართულის სახით და კარგად ესმის ქართული წიგნებისა და ქართული წირვა-ლოცვის შინაარსი. მეგრული მეტყველება ქართული ენის კილოა და მასზე არასოდეს არსებულა

დამწერლობა. ეს იმიტომ, რომ საამისო მოთხოვნილება არასოდეს გაჩენილა. სამეგრელო მუდამ იმართებოდა ქართული ენის გამოყენებით, მეგრელები მხოლოდ ამ ენაზე ისმენდნენ ლოცვებსა და ღვთისმსახურებას, მათ შესანიშნავად ესმით ქართული, კარგად იგებენ ღვთის სიტყვის აზრსა და მნიშვნელობას. ამრიგად, მრევლის ზნეობრივ-რელიგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიზანი დიდი ხანია მიღწეულია, რაც გამორიცხავს რელიგიური წიგნების მეგრულად გადაღების საჭიროებას. გარდა ამისა, თვით მეგრელებს არც წარსულში და არც ამჟამად არასოდეს მოუთხოვიათ ამგვარი რამ, ვინაიდან „...ლოცვების კითხვა და ღვთისმსახურების აღსრულება საეკლესიო ქართულ ენაზე სრულად ეხმატკბილებოდა მეგრელთა სულიერ წყობასა და რელიგიურ მოთხოვნილებებს; სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მეგრელები ლოცვათა თარგმნას სასაცილო და ცოდვიან საქმედაც კი, როგორც მე დავრწმუნდი მათთან ამ საკითხზე გამართული კერძო საუბრისას...” დასახელებული ტექსტების მეგრულად გადაღება ზედმეტია იმიტომაც, რომ ეს იქნება დროისა და სახსრების ამაო ხარჯვა.

მეგრული დიალექტის სამწიგნობრო ენად გადაქცევა არაბუნებრივიც იქნება და ღვთის ნების საწინააღმდეგო საქმეცო, - დასძენს კ. გაწერელია. - თავის დროზე უფალმა ადამიანებს ერთადერთი ენა შეუქმნა, მაგრამ ადამიანები ზედმეტად გათავხედდნენ, რის გამოც ღმერთმა ისინი დასაჯა მრავალი ენის შექმნით. ამ ახალ ენათა შორის მეგრული არ ყოფილა, ახლა კი ცდილობენ არარსებული ენის ხელოვნურად შექმნას, რაც ღვთის საქმეში უხეში ჩარევა და დიდი მკრეხელობაა. ამგვარი მცდელობით ავ ხსოვნას დავუტოვებთ სამშობლოსაც და ეკლესიის ისტორიასაცო, აცხადებს მამა კაპიტონი.

აი, ამგვარი არგუმენტების საფუძველზე ეპისკოპოს გრიგოლის თავმჯდომარეობით მომუშავე კომისიამ 1895 წლის 2 ივნისს დაადგინა: „ათი მცნებისა” და საყოველდღეო ლოცვების გადაღება მეგრულად შეუძლებელია, ზნეობრივ-რელიგიური თვალსაზრისით მავნე და ზედმეტია, ვინაიდან მეგრული კილო არის მეგრელი მოსახლეობისათვის გასაგები ქართული ენის დიალექტი.”

გურია-სამეგრელოს ეპარქიის „ჟურნალი” ნათლად გვიჩვენებს, რომ 1892-95 წლებში ცარიზმის პროვოკაციულ პოლიტიკას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სამეგრელოს სამღვდელოებამ, ინტელიგენციამ და მოსახლეობამ. მათ სანიმუშო მამულიშვილობა და დიდი შეგნება გამოამჟღავნეს. იმპერია სამეგრელოსა და აფხაზეთ-სამურზაყანოში ხან დროებით იხევდა უკან, ხან კი კვლავ უტევდა საქართველოსა და ქართველი ერის ერთიანობას. მაგალითად, 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით ქართლ-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ აფხაზეთისა და სამურზაყანოს სამრევლო სკოლებში აკრძალა ქართული ენის სწავლება, თუმცა იმავე 1898 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულებით რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ნება დართო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულებისა იმ ეკლესიებში, რომელთა მრევლის უმრავლესობას ქართველები ქმნიდნენ, მაგრამ სოხუმის ეპისკოპოსმა არსენიმ (ზოტოვმა) არ შეასრულა ეს ბრძანებულება, აქაოდა სამურზაყანოელები ქართველები არ არიანო. არსენის ქმედებამ მძაფრი პროტესტი გამოიწვია აფხაზეთის ქართველთა შორის და საქმეში თედო სახოკიას ხელმძღვანელობით მოქმედი „ქართული პარტია” ჩაერთო.”ქართული პარტიის” გააქტიურებას

მის მეთაურთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოჰყვა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ საქმე განიხილა კავკასიის მთავარმართებლის საბჭომ ინფანტერიის გენერალ ა. ფრეზეს თამჯდომარეობით, რომელმაც 1904 წლის 1 მაისს „ქართული პარტიის" წევრებს - თედო სახოკიას, ანთიმოზ ჯუღელს, ივანე გეგიას, გრიგოლ კანდელაკს, ივანე ბურჭულაძეს, ფარნა დავითაიას (აკად. თეოფანე დავითაიას მამას), სპირიდონ ნორაკიძეს, აკაკი ჩხენკელს (შემდგომში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს), რომლებიც საბჭოს განაჩენის თანახმად, „ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის ღონისძიებებს (სოხუმის ოლქის) მოსახლეობის გასარუსებლად," მიესაჯათ კავკასიაში ცხოვრების უვადოდ აკრძალვა (ვრცლად იხ.: სილაგაძე, გურული, 1999).

სამეგრელოს, სამურზაყანოსა და აფხაზეთის ქართველობას დედაენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია არც 1900-1917 წლებისა და არც 1921-36 წლების პერიოდში, როცა ჯერ ცარიზმი, შემდგომ კი მისი მემკვიდრე საბჭოთა რეჟიმი ცდილობდნენ მეგრელთა მოწყვეტას დანარჩენი საქართველოსაგან მეგრული დიალექტის სამწიგნობრო „ენად" გადაქცევის გზით. მაგრამ ეს უკვე სხვა ნაშრომის განხილვის თემაა და მასზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვით.

მეუფე გრიგოლის (დადიანის) დიდბუნებოვნებას, განსწავლულობასა და ღვაწლს საუკეთესოდ წარმოაჩენს მისი მიმართვა მრევლისადმი, რომელიც წმინდა მოღვაწემ საქართველოდან გამგზავრების წინ დაწერა;

საყვარელო სამწყსო!

თორმეტი წელიწადი გმსახურე შენ. აღზრდილი ჭყონდიდის საკათედრო ადგილსა, განსწავლული საქმეთა ღ[მრ]თის მეტყველებისათა, მასვე წმიდასა ადგილსა წიგნთაგან წ[მიდა]თა მამათა საქართველოს ეკლესიისათა, მე ვევედრებოდი ღმერთსა დაუსაბამოსა გულითა, განმსჭვალულითა მხურვალისა სარწმუნოებითა, რათა მან მოგანიჭოს შენ ცხოვრება ბედნიერი ჭეშმარიტის ქრისტიანისა, ცხოვრება, აღსავსე ამა სოფლისა დიდებითა, განმშვენებული მაგალითებითა სწავლათა და მცნებათა იესოსთა. სიმდაბლესა შ[ინ]ა ჩემსა მე ვგრძნობდი თავსა ჩემსა განმაგრძობელად ლოცვათა და ვედრებათა წინაშე ღ[მრთ]ისა დედისა მის[ი]სა წილხდომილ საქართველოს, მისსა მლოცველსა საქართველოს ერსა, მრავლად ტანჯულსა; მაგრამ სარწმუნოებასა შ[ინ]ა მტკიცესა და მტერთაგან უძლეველსა მისსავე მფარველობასა ვევედრებდი მხარესა, რომელსა განაშენებდნენ ძეგლნი, მადიდებელნი წარსულთა დროთა საქართველოს ქრისტიანობისა; მარტვილი, ხობი, შემოქმედი და ჯუმათი.

სამსახური ჩემი წინაშე გურია-სამენგრელოს ეკლესიისა იყო შედეგი აღზრდისა ჩემისა, რომელიცა მივიღე მე მემკვიდრეობით ღირსთა სამენგრელოს ეპისკოპოსთაგან. როგორც ესენი, მეცა ვიყავ თავი მლოცველის ჩემის სამწყსოსა, რომლისა ფიქრი მარადჟამ განუშორებელ იყო დიდება საქართველოს ეკკლესიისა, სუფევა ქართულის წიგნისა, ქართულის კითხვისა, ქართული საეკლესიო გალობისა. ძალა ჩემი არ აღემატებოდა ძალასა წინა-მოადგილეთა ჩემთა, მე შორს ვსდეგ მათგან, რომელნიცა მაღალის თვისის სწავლითა და სათნოებით მოაქუსთ ამა სოფლად საუკუნო რამ სიკეთე. სიმდაბლე ჩემი ერთგულებდა წარსულთა დროთა და პირთა, რომელთა მეოხებითა დღესაცა ვეგებით ჩვენ მართლმადიდებელ ქრისტიანედ. ამისგან უმთავრესი ზრუნვა ჩემი იყო მიმართული განშვენებისადმი ამა საუკუნოისა ძეგლისა ჩვენის ქვეყნისა, რომელიცა

იყო განწმედილ ფერხთაგან პირველწოდებულისა ანდრიასა და რომელიცა შეიქმნა წყაროდ განვრცელებისა ქრისტიანობისა ჩვენს ღ[მრ]თისაგან კურთხეულს საქართველოში. იგივე აზრი ერთგულებისა საუკუნოისა მის ადგილისადმი მითქმიდა მე მიყვანებად მსახურებისადმი გურია-სამენგრელოს ეკკლესიისა პირთა, რომელთაცა ისწავლეს საეკკლესიო წიგნი და გალობა მონასტერთა და ეკკლესიათა შინა ჩვენთა და ეზიარნენ ღ[მრ]თისა შიშსა და სათნოებასა სამღუდელო მსახურთაგან ამა წმიდათა ადგილთა. მსგავსისავე გულსმოდგინებით ვცდილობდი მე წარმატებისათვის სასულიეროთა სასწავლებელთა გურია-სამენგრელოსათა და გამრავლებისათვის სამრევლოთა შკოლათა.

1-დ, დაარსდა ყ[ოვლა]დ მოწყალე ხელმწიფის ნებართვით სასულიერო წოდების ქვრივ-ობოლთათვის სამზრუნველო.

2-დ, მარტვილის მონასტერი განვაშვენე საარქიერო სახლის აშენებით, სასწავლებლის სახლით, ძმათათვის სახლებით და სხვა საჭირო სახლებით, რომელიც ეღირება უმეტეს 40-ი ათას მანეთამდი.

3-დ, აღშენდა ბათუმში სობორი, რომლის საფუძვლის კურთხევის დროს დაესწრო დიდი ხელმწიფე ჩვენი იმპერატორი ალექსანდრე მესამე და მიიღო მონაწილეობა ქვების ჩაწყობაში თავისის უაღუსტესის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ ფეოდორეს ასულით ერთად უაღუსტესის შვილებითა, და მასთან ბათუმშივე აღშენდნენ თვით ქალაქში ეკკლესიები, რომელნიც არიან ჩემნი ნაკურთხნი, ჩემივე თაოსნობით აღშენებულნი.

4-დ, ბათუმის ახალშემოერთებულ ოკრუღში თათრების [მაჰმადიანების- რედ.] სოფლებში აღშენებულ იქმნენ ხუთნი მშვენიერი ქვის ეკკლესიები, ბერძენთაგან შეუწევნელად, ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ქობულეთში, კვირიკეში, დაგვაში, აჭკოვში [უნდა ყოფილიყო: აჭყვაში-რედ.] და ახალშენში, ხუთივე პრიხოდები დაკმაყოფილებულნი არიან ჯამაგირით.

5-ე, თვით ამ ფოთში დრტვინავდა საზოგადოება სასაფლაოზედ ეკლესიის უქონლობაზედ, რომელიც გულსმოდგინე და მღვიძარე ადგილობითის მღვდლის მეცადინეობით აღშენდა, შესაფერი ეკლესია და განეწყო ყ[ოვ]ლის საჭირო სამკაულით. ამითი მრავალნი სარგებლობენ და დაუკლებლის საღმრთო მსახურების აღსრულებით დიდი წარმატება მიეცა ქრისტიანეთა მცხოვრებთა. ამასთან აღშენდა ორი პრიხოდის შკოლა, რომელთა მოაქუთ დიდი სარგებლობა.

6-ე, სხვადასხვა მხარეში ამავე ეპარხიაში აღაშენეს არა უმცირეს სამოცი ეკკლესიები ქვიტკირისა თუ ხისა.

7-ე, აღშენებულ იქმნენ ორი დედათ მონასტერი თავიანთ ეკლესიებით, ერთი სენაკის უეზდში სახარბედიოს თეკლათში და მეორე ოზურგეთის უეზდში, ჯიხეთში, ორივეში სცხოვრებენ დანი ნიადაგ ას ორმოცი სულისა და მესამეც ეხლა აპირებს თვით პოთში [ფოთში-რედ.] ზღვით პირათ დაარსებას.

8-ე, განათლების შესახებ: ჩემის შუამდგომლობით გაიხსნა უმაღლესის მთავრობის გარდაწყვეტილებით სამუდამოდ შვიდი ორკლასიანი სასწავლებლები: მარტვილში, ბანძაში, კიწიაში, ხეთაში, ქობულეთში, თამაკონში და ეწერში, ყველას ამათ ეძლევათ ხაზინიდან საჭირო ხარჯი, როგორც უჩიტლებს ჯამაგირები, ეგრეთვე სახლის ასაშენებელი და შესანახი, რამდენიმე

ათასი მანეთი. ამეებში იზრდება რამდენიმე ასი სული ორივე სქესისა და სარწმუნოებისა. პრიხოდის შკოლა და შკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელია ას სამოცამდე გახსნილი, რომელშიდაც ირიცხვიან 2500 სულზე მეტი ორივე სქესისანი.

9-ე, მართლმადიდებელ ეკკლესიას შემოუერთდნენ მახმედიანნი, ურიანი და წარმართნი სამასამდი. ყველა ესეები დაწყობილი და გზაგაკვალული არიან ჩემის თაოსნობით ჩემს დროშივე და მმართველობაში, რომელიც მაიმედებენ, მომავალში თანდათან აღყვავდებიან, გავრცელდებიან, განმტკიცდებიან და მხარე მიიღებს ჯეროანს წარმატებას, რომლისა სმენით მე, სადაც უნდა ვიყო, ყოველგან მომცემს დიდ ნუგეშს, ვ[ითარც]ა ჩემ მიერ დაწყობილი სასულიერო და სამოქალაქო წარმატების მხრით. გარეშე სარწმუნოების განმტკიცებისა და განათლებისა სწავლითა, მხარე ვერ იქმნების კეთილდღეობაში. ამისთვის ვილოცავ წინაშე ღ[მრთ]ისა, რომ მისცეს ამ სამწყსოს წარმატება ყოველს კეთილსა შ[ინ]ა და სიყვარული ღ[მრ]თისა და ხელმწიფისა, რომელიც ესოდენ მფარველი, გამომზრდელი და მოწყალეა ჩუ ნი.

საშვალ ჩემისა ესევითარის სიყვარულისა სამწყსოისა ქვეყნისადმი, ნებითა ღ[მრ]თისათა და ბრძანებითა ყ[ოვლა]დ მოწყალე ხელმწიფისათა მე ვიქმენ გარდაყვანილ სატახტოსა ქალაქსა მოსკოვს წევრად უწმინდესის სინოდის კანტორისა და დღეს უკანასკნელად ვსახავ ჯვარსა საყვარელსა ჩემსა სამწყსოსა. მშვიდობით, სულიერნო შვილნო, მშვიდობით, მამანო და ძმანო, დედანო და ასულნო, მშვიდობით, თანამსახურნო ჩემნო სამღვდელონო და სამონაზვნო პირნო, მშვიდობით, რომელთა ისმინეთ ლოცვა ჩემი და ვერა ისმინეთ, მშვიდობით დაბანო და სოფელნო, მშვიდობით, პატიოსანო სამწყსოვ საკათედროსა ქალაქისა ფოთისა! უკუეთუ რაიმე გცოდეთ, მომიტევეთ, რათა თქვენცა მოგიტეოს მამამან ზეცათამან. მე დღეს გშორდებით თქვენ, მაგრამ სულით და გულით თქვენთანა ვარ, როგორც დღემდის, ისე დღეის შემდეგ მე ვილოცავ თქვენის ბედნიერებისათვის. დღემდის მე მუხლმოდრეკით ვევედრებოდი მარტვილისა ღ[მრ]თისმშობელს და წ[მიდ]ასა ჯუმათს თქვენის ბედნიერებისათვის. დღეის შემდეგ მე ვილოცავ თქვენთვის წინაშე მოსკოვის ივერიის ღ[მრ]თისმშობლისა, რომელიცა არის კავშირი უმაღლესი შეერთებისა ორთა ღირსთა მართლმადიდებელთა ერთა.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო
ქრისტესი იყავნ თქვენ ყ[ოვე]ლთა თანა. ამინ.

თქმული ფოთის საკათედრო სობოროში ყ[ოვლა]დ
სამღვდელო გრიგორისაგან 1898-ს წელს 18-ს მაისის რიცხვში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. თეიმურაზ გვანცელაძე, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები და ქართველური ენობრივი სამყარო. - „ქართველური მემკვიდრეობა", ტ.VII, ქუთაისი, 2003.

2. თეიმურაზ გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში., გამომც.: „უნივერსალი" თბილისი, 2006

3. თეიმურაზ გვანცელაძე, მანანა ტაბიძე, რევაზ შეროზია, რევაზ ჭანტურია, ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენა როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება. - „ქართველური მემკვიდრეობა", ტ.V ქუთაისი, 2001.

4. გივი როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (1801-1917), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი, 1999.

5. აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II, თედო სახოკიას ქართული პარტია აფხაზეთში (1895-1904), თბილისი, 1999.

6. მანანა ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, გამომც. „ქართული ენა". თბილისი, 2005.

7. ტ.ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (XIX ს. 80-იანი წლები). თბილისი, 1940.

SUMMARY

Teimuraz Gvantseladze, Merab Nachkebia and Manana Tabidze

GURIAN-MEGRELIAN BISHOP GREGORY DADIANI (STRUGGLE FOR THE *DEDAENA* (THE MOTHER TONGUE) IN THE SECOND HALF OF THE XIX CENTURY)

One of the documents from Acad. A. Chikobava's archive, the Journal of Gurian-Megrelian Eparchy for 1895, was studied. The Journal reflected the struggle of Gurian-Megrelian Eparchy headed by Bishop Gregory Dadiani against the policy of Russification, pursued by the Russian Empire, and in favor of keeping the unity of Georgian people.

The opinion that the Georgians spoke the single language, while Megrelian, Lasian and Svan were its dialects, dominated till the 40-ies of the XX century. A vast majority of public figures and scientists shared those views.

In spite of that widespread view, the Government of the Russian Empire began spreading the opposite view that Megrelian, Lasian and Svan had been independent languages. Those new views did not have any scientific grounds. They pursued ideological-political objects, in particular, they were aimed at destroying the unity of the Georgian nation and gradual Russfication of the population of Georgia. In the 60-ies of the XIX century, when the most part of the Caucasus was enthralled, the officials of the Empire assumed the offensive and tried to make Megrelian and Svan writing languages. They considered holding of religious services in the Megrelian dialect in Samegrelo as an important step in that direction.

In this article the discussion about the issues of unity of the Georgian language and culture held at the end of the XIX century is analyzed. Rev. Gregory Dadiani and like-minded people's remarkable contribution to the objective assessment of those problems is noted.

ÐÅÇÞÌÅ

Òåéìóðàç Ãâàíöåëàäçå, Ìåðàá Íà÷êåáèÿ, Ìàíàíà Òàáèäçå

ÃÓÐÈÉÑÊÎ-ÌÅÃÐÅËÜÑÊÈÉ ÅÏÈÑÊÎÏ ÃÐÈÃÎÐÈÉ ÄÀÄÈÀÍÈ

(Áîðüáà çà «Äåäàýíà» âî âòîðîé ïîëîâèíå XIX âåêà)

Â ñòàòüå ðàññìîòðåí îäèí èç ñáîðíèêîâ èç àðõèâà äîêóìåíòîâ àêàä. À.Ñ. ×èêîáàâà, æóðíàë 1895 ãîäà ãóðèéñêî-ìåãðåëüñêîé åïàðõèè, â êîòîðîì âèäíî, êàê ñàìîîòâåðæåíîé áîðîëüñü äóõîâåíñòâî ãóðèéñêî-ìåãðåëüñêîé

åïàðõèè âî ãëàâå ñ ãóðèéñêî-ìåãðåëüñêèì åïèñêîïîì Ãðèãîðåì Äàäèàíè âìåñòå ñ èíòåëëèãåíöèåé Ñàìåãðåëî ïðîòèâ ïîëèòèêè îáðóñåíèÿ Ðîññèéñêîé è ìåðèè è çà ñîõðàíåíèå åäèíñòâà ãðóçèíñêîãî íàðîäà.

Ìíåíèå î òîì, ÷òî ãðóçèíû ãîâîðÿò íà îäíîì åäèíñòâåííîì ÿçûêå, à ìåãðåëüñêèé, ëàçñêèé è ñâàíñêèé ÿâëÿþòñÿ òàêèìè æå äèàëåêòàìè ýòîãî ÿçûêà, êàê êàðòâåëèé, õåâñóðñêèé, ïøàâñêèé è äóóãèå, áûëî ðàñïðîñòðàíåíî äî 40-õ ãîäîâ XX âåêà. Ýòî ìíåíèå ðàçäåëÿëè èçâåñòíûå îáùåñòâåííûå äåÿòåëè è ó÷¸íûå: Ñóëõàí-Ñàáà Îðáåëèàíè, Âàõóøòè Áàãðàòèîíè, Èëüÿ ×àâ÷àâàäçå, Àêàêèé Öåðåòåëè, ßêîâ Ãîãåáàøâèëè, Äìèòðèé Áàêðàäçå, Ñåðãåé Ìåñõè, Ðàôèýëü Ýðèñòàâè, Ìîñå Äæàíàøâèëè, Ñèëîâàí Õóíäàäçå, Âàëåðèàí Ãóíèà, Ñîñèêî Ìåðêâèëèäçå, Ï¸òð ×àðàèà, Òåäî Æîðäàíèà, Íîý Æîðäàíèà, Òåäî Ñàõîêèà, Äóòó Ìåãðåëè, Ãåðîíòèé Êèêîäçå, Ëóàðñàá Ëîëóà, Êîíñòàíòèíý Ãàìñàõóðäèà... Èç äóõîâíûõ ëèö: Ñâ.Êèðèîí (Ñääçàãëèøâèëè), Ñâ.Àìâðîñèé (Õåëèàà), Ñâ.Àëåêñèé (Øóøàíèà), êàòîëèêîñ-ïàòðèàðõ Ëåîíèä (Îêðîïèðèäçå), êàòîëèêîñ-ïàòðèàðõ Êàëèñòðàò (Öèíöàäçå), ãóðèéñêî-ìåãðåëüñêèé åïèñêîï Àëåêñàíäð (Îêðîïèðèäçå), ãóðèéñêî-ìåãðåëüñêèé åïèñêîï Ãðèãîðèé (Äàäèàíè) è ìíîãèå äðóãèå.

Âîïðåêè ýòîìó ðàñïðîñòðàíåíí¸ííóó ìíåíèþ ñ ïðåâîé ïîëîâèíû XIX âåêà ïðàâèòåëüñòâî Ðîññèéñêîé èìïåðèè ñòàëî ðàñïðîñòðàíÿòü ïðîòèâîïîëîæíîå ìíåíèå î òîì, áóäòî ìåãðåëüñêèé, ëàçñêèé è ñâàíñêèé ÿâëÿþòñÿ íå ãîâîðàìè îáùåãðóçèíñêîãî (êàðòâåëüñêîãî) ÿçûêà, à ñàìîñòîÿòåëüíûìè ÿçûêàìè. Ýòî íîâîå ìíåíèå íå èìåëî íèêàêîé íàó÷íîé îñíîâû è ïðåñëåäîâàëî ÷èñòî èäåéíî-ïîëèòè÷åñêèå öåëè, â ÷àñòíîñòè, îêî÷àòåëüíîå ðàçðóøåíèå åäèíñòâà ãðóçèíñêîãî íàðîäà è ïîñòåïåííîå îáðóñåíèå ãðóçèí. Â 60-õ ãîäàõ XIX âåêà, êîãäà ïî-òè çàêîí÷èëîñü ïîðàáîùåíèå áîëüøåé ÷àñòè Êàâêàçà, ÷èíîâíèêè öàðèçìà óæå íå äîâîëüñòâîâàëèñü ëèøü çàÿâëåíèåì î òîì, ÷òî ìåãðåëû, ëàçû è ñâàíû íå ÿâëÿþòñÿ ãðóçèíàìè, à èõ ãîâîðû – ñàìîñòîÿòåëüíûìè ÿçûêàìè. Îíè ïåðåøëè â íàñòóïëåíèå è ïîñòàðàëèñü ïðåâðàòèòü ìåãðåëüñêèé è ñâàíñêèé â ïèñüìåííûå ÿçûêè, à âàæíûì øàãîì â ýòîì íàïðàâëåíèè ñ÷èòàëè ïðîâåäåíèå öåðêîâíûõ ñëóæá â Ìåãðåëèè íà ìåãðåëüñêîì äèàëåêòå. Àâòîðû ñòàòüè àíàëèçèðóþò äèñêóññèþ êîíöà XIX âåêà î âîïðîñàõ ãðóçèíñêîãî ÿçûêîâîãî è êóëüòóðíîãî åäèíñòâà è ïîä÷¸ðêèâàþò îãðîìíûé âêëàä Ãðèãîðèÿ Äàäèàíè è åãî äèíìîûëåíèêîâ â äåëî îáúåêòèâíîé îöåíêè ýòèõ ïðîáëåì; áëàãîäàðÿ Ãðèãîðèþ Äàäèàíè è äóõèì ãðóçèíñêèì äåÿòåëÿì áûëè âûÿâëåíû çàìûñëû òåõ, êòî ñòàðàëñÿ ðàçäðîáèòü Ãðóçèþ íà îòäåëüíûå ÷àñòè, è èõ âåñêèìè àðãóìåíòàìè èñêîðåíèëàñü âñÿêàÿ ïîïûòêà ðàçäåëåíèÿ ãðóçèíñêîãî ÿçûêà.

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

როზეტა გუჯეჯიანი

"ერთობილნი სვანნი" საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ - დეკანოზი იოანე მარგიანი

დეკანოზი იოანე (ივანე მარგიანი) მიეკუთვნება ქართველ სასულიერო პირთა იმ სახელოვან პლეადას, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ღვთისმსახურების აღდგენისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში. სვანეთის სამღვდელოება (მამა გიორგი მარგიანი, მამა ლაზარე დადვანი, დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, მამა გიორგი პირველი, დეკანოზი იოანე მარგიანი...) XIX ს-ის 60-70-იანი წლებიდან გაბრიელ ეპისკოპოსისა და ილია ჭავჭავაძის გვერდით აქტიურად იბრძვის ქართველი ერის ინტერესების დასაცავად.

ცხადია, სვანი სასულიერო პირები ძველთაგანვე ერისა და ქვეყნის სამსახურში იდგნენ. წერილობითი წყაროებით ცნობილია სვანეთში ან საქართველოს სხვა მხარეებსა თუ უცხოეთის ქართულ სამონასტრო კოლონიებში მოღვაწე სვანი სასულიერო პირებისა და მწიგნობრების სახელები (გ. გასვიანი, 1973; ვ. სილოგავა, 1986), რომლებიც სხვა მოღვაწეებთან ერთად ქმნიდნენ ზოგადქართულ კულტურას (ტ. ფუტკარაძე, 2005). ხოლო დღეს უკვე აღიარებული დაკვირვება, რომ "ქრისტიანობა ქართველობის ტოლფასი კატეგორია იყო და ქრისტიანობაზე ზრუნვა ქართველობის შენარჩუნებისათვის ზრუნვას უდრიდა" (ა. ჯაფარიძე,1999,გვ. 319) - ლაიტმოტივად გასდევს შუა საუკუნეების სვანეთში შექმნილ დოკუმენტებს. ამ საბუთებით ("დაწერილი ქვეყნის სამაგრობელი", "წიგნი და ნიშანი ხევის ერთპირობისა", "დაწერილი სვანეთის ერთობილი ხევის ერთობისა და გაუყრელობისა"...) მკაფიოდ იკვეთება სვანის ზოგადქართული მენტალობის უმთავრესი მახასიათებლები: ერთგულება დედა-სამშობლოსა და დედა-ეკლესიისადმი. პრინციპული დამოკიდებულება ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფასეულობისადმი განსაკუთრებით აქტუალური ქვეყნის ძნელბედობის ჟამს ხდება: დეცენტრალიზაციის დაწყებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაყოფის პროცესს სვანეთის საზოგადოება საოცარი მამულიშვილური მუხტით ანთებულ ლოცვას აგებებს: "წმ. მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატონიანნი... და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სვანნი" - ვკითხულობთ XIV ს-ის ერთ-ერთ ხატზე. ხატის წარწერაში გაცხადებული ზნეობრივი კრედო სვანეთის ტრადიციული საზოგადოების მენტალობის მასაზრდოებელი წყაროა მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზეც, XIX საუკუნეში კი ამ იდეის ამღორძინებლად სწორედ ზემოთ დასახელებული სასულიერო პირები გვევლინებიან და მათ შორის განსაკუთრებული ადგილი დეკანოზ იოანეს (ივანე მარგიანს) უკავია.

ივანე მარგიანი 1872 წელს დაიბადა სვანეთში ცნობილი მღვდლის გიორგი მარგიანის ოჯახში. მამა გიორგი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმული იყო. ეს ოჯახი ქართული კულტურის კერასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა ზემო სვანეთში. ივანე მარგიანი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. მღვდლად კურთხევის შემდეგ

მამა იოანე ქვემო სვანეთის ჩოლურის თემში განაწესეს, სადაც იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მოგვიანებით ივანე მარგიანი ცაგერში გადაიყვანეს (“ბლადოჩინის” ხარისხში) რაჭა-ლეჩხუმის სამღვდელოების დეკანოზად. ამავე დროს, დეკანოზი იოანე ცაგერის სკოლაში ქართულ, რუსულ ენებსა და ფიზიკას ასწავლიდა. 90-იანი წლებიდან ივანე მარგიანი აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნული სულისკვეთების მქონე ქართულ პერიოდულ გამოცემებთან (“ივერია”, “მოამბე”, “ცნობის ფურცელი”, “მოგზაური”, “მწყემსი”...). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ივანე მარგიანის მეგობრობა და თანამშრომლობა გაზეთ “შინაური საქმეების” გამომცემლებთან. იგი მღვდელ სვმონ მჭედლიძის მეგობარი და თანამოაზრე გახლდათ. ივანე მარგიანი ზოგიერთ წერილს სრულად აწერდა სახელსა და გვარს, ზოგსაც ფსევდონიმით აქვეყნებდა (“მუჟალელი”, “სვანი მ-ნი”, “ბლადოჩინი მ-ნი” და ა. შ.) იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას: მხარში ედგა ყოველ სასიკეთო წამოწყებას და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ანტიქართულ და ანტირელიგიურ გამოხდომებს.

ბოლშევიკთაგან საქართველოს ოკუპირების შემდგომ, ივანე მარგიანს, ცხადია, ღვთისმსახურება აუკრძალეს. საოცარია, მაგრამ ივანე მარგიანი კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების ხანაშიც ახერხებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის კეთებას: ეწეოდა ქართული ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას, სათავეში ედგა ცაგერის განათლების განყოფილებას და ბარიტის წარმოებას.

1928 წელს კი ჩამოაყალიბა ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, თავი მოუყარა და დაკარგვას გადაარჩინა უამრავი ძველქართული (სვანური) სიმღერა, მათ შორის, საეკლესიო საგალობლებიც. 1931 წელს ივანე მარგიანი დააპატიმრეს, რეპრესიების მთელი სიმძიმე იწვნია მისმა ოჯახმაც. ქვეყნის თავისუფლების დაკარგვითა და ღვთისმსახურების აკრძალვით გამოწვეულმა სევდამ ივანე მარგიანის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია. იგი 61 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1933 წელს. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე (თ. ლეჟავა, 2006; ეთნოგრაფიული წერილები, 1973, გვ. 113-115). ივანე მარგიანის რამდენიმე ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომი 1973 წელს გამოაქვეყნეს გ. ავალიანმა და გ. ზურაბიანმა (ეთნოგრაფიული წერილები... 1973). ამ სასიქადულო მოღვაწისადმი მიძღვნილი წერილები გამოსცა მისმა შვილიშვილმა ბატონმა თამაზ ლეჟავამ (თ. ლეჟავა, 2006). ხოლო ამ სტატიის მიზანია სამეცნიერო და ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს ქვეყნის ერთ-ერთი მოჭირნახულე და ამაგდარი მოღვაწე - ივანე მარგიანი.

ი. მარგიანის მამულიშვილური პოზიცია მკვეთრად მოჩანს მის ერთ-ერთ პირველსავე პუბლიკაციაში: 1891 წელს ზემო სვანეთში სკოლა გაიხსნა, მაგრამ ამ სასიხარულო მოვლენას უარყოფითი დატვირთვაც ახლდა და ეს ფაქტი მყისვე გაახმაურა ივანე მარგიანმა: “ქართულს არ ასწავლიან და ეს გარემოებაღა დაგვრჩენია სამწუხაროდ”-ო (მუჟალელი, 1891) ამ აზრს ივანე მარგიანი სხვა წერილებშიც ავითარებს. “მოვიხსენიებ ხალხის აზრს ქართულის ენის შესახებ: “ქართული ძლიერ საჭიროა ჩვენთვისო”, ამბობენ სვანები” (ეთნოგრაფიული წერილები, 1973, 127).

ივანე მარგიანის პუბლიკაციებში სამი ძირითადი მიმართულება იკვეთება:

1. სვანეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვება და შენარჩუნება.
2. მტკიცება იმ უცილობელი ჭეშმარიტებისა, რომ სვანეთისათვის სწორედ ქართულია

მშობლიური, სამწიგნობრო და საეკლესიო ენა.

3. ბრძოლა სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში ღვთის სჯულის სლავურ გრაფიკას მორგებული სვანური სიტყვებით სწავლების წინააღმდეგ.

ივანე მარგიანი გეგმაზომიერად და მეთოდურად ავითარებდა ამ შეხედულებებს, საზრდოობდა რა გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებითა და ილია ჭავჭავაძის იდეებით. ილიას მკვლელობის შემდეგ კი იგი უერთდება მღვდელ სვიმონ მჭედლიძის მიერ დაარსებულ გაზეთ "შინაური საქმეების" გარშემო დარაზმულ მოღვაწეებს. ცნობილია, რომ XX საუკუნის პირველი ათწლეული მეტად მძიმე პერიოდია საქართველოსათვის. ათეიზმით დაავადებული ქართველი საზოგადოების ნაწილი ქვეყანას შემდგომში თავსდატეხილი უბედურების მიზეზი ხდება. ასეთ მძიმე ვითარებაში სწორედ "შინაური საქმეები" ყალიბდება დასავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვრების ცენტრად. სვიმონ მჭედლიძე და მისი თანამშრომლები აგრძელებენ ილიას გზას და მიზნად ისახავენ "რწმენადაკარგული, დაბნეული და პარტიებად დაქსაქსული საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივ აღზრდას" (დ. მელიქიშვილი, 1998).

წერილში "სვანეთი" ი. მარგიანი დაბეჯითებით ამტკიცებს: "ჩვენი ფიქრით, სვანები ეკუთვნიან ქართველების ტომს. მართალია, ასეთის აზრის წარმოთქმას ზოგიერთნი აჩქარებად ჩამოგვართმევენ, მაგრამ... აზრს ვერ შეგვაცვლევინებენ" (ი. მარგიანი, 1973, 131).

ი. მარგიანის ამ სიტყვების მნიშვნელობის წარმოსაჩენად მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც იმჟამინდელი რუსიფიკატორი ისტორიოგრაფების დებულებების თვალსაჩინო ნიმუშია. მკვლევარ-მოგზაური ა. სტოიანოვი სვანებს არა მხოლოდ ცალკე ეთნოსად, არამედ არც მეტი, არც ნაკლები - მალოროსიელების და ზაპოროჟიელების შთამომავლებად მიიჩევს (ა. სტოიანოვი, 1876). ა. სტოიანოვის "დაკვირვებას" პამფლეტით პასუხობს ი. მარგიანი და აცამტვერებს რა რუსი მოგზაურის შორსმიმავალ იდეებს,იქვე გვთავაზობს სვანური კილოების მცირე ლექსიკონს. მასში თავმოყრილია XIX ს-ის II ნახევრის სალიტერატურო ქართულის იდენტური შესატყვისობები სვანურში. ყველა მათგანის ფუძე ქართულია და განსხვავება მხოლოდ თავსართ-ბოლოსართებში შეინიშნება (ი. მარგიანი, 1973; 181-193). ასევე, ი. მარგიანი ეხმიანება ქართული პრესის ინფორმაციას - ახალი ქართული ლექსიკონის შექმნის შესახებ. იგი ლექსიკოგრაფთა ყურადღებას მიაპყრობს სვანურ, მეგრულ კილოკავებსა და ლეჩხუმურ მეტყველებას, სადაც, მისი დაკვირვებით, ჯერ კიდევ შემონახულია სალიტერატურო ქართულში უკვე დაკარგული მრავალი ძირძველი ქართული სიტყვა, მათ შორის, სახარებისეული ტერმინებიც. "თამამად ვიტყვი, რომ სვანური... უშრეტი სალაროა ძველებური ქართულის ენისა და საზოგადოდ ხალხური პოეზია და სასულიერო ენა სავსეა მარგალიტი სიტყვებით". ბევრ სხვა სიტყვასთან ერთად ი. მარგიანს მოჰყავს შემდეგი მაგალითიც: "სვანურად" ბინძურს ეძახიან "წიდაარს" და ადარებს ამ სიტყვას სახარებისეულ ტერმინ "წიდოვანს" (ი. მარგიანი, 1911ა).

უაღრესად მნიშვნელოვანია ი. მარგიანის კიდევ ერთი მოსაზრება. მან, როგორც სასულიერო პირმა, ბრწყინვალედ იცოდა ძველი ქართული სამწიგნობრო და საეკლესიო ენა, ცხადია, ერკვეოდა სვანურ კილოკავებში და ამიტომ სრულიად ადვილად პოულობდა მათი ერთიანობის დამადასტურებელ მრავალ მაგალითს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა ი. მარგიანის შემდეგი

დასკვნაც:

კილოკავებისა და ქართული ენის შედარება უნდა მოხდეს არა XIX ს-ის მიწურულის გამარტივებულ-გაღარიბებული სალიტერატურო ქართულის მიხედვით, არამედ ძველი ქართული ენის საფუძველზე. ამავე დროს, ი. მარგიანი ერთ-ერთი პირველთაგანია მათ შორის, ვინც ეჭვქვეშ დააყენა სვანური კილოკავების, როგორც ცალკე ენის, არსებობის საკითხი: "სვანური "ენა" (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც პირველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეოთხედი სვანურის სიტყვების, ნამდვილად ქართული სიტყვებია... სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვია. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია" (ი. მარგიანი, 1973; 131). ი. მარგიანს სხვა საგულისხმო არგუმენტიც მოჰყავს სვანების ქართველობის დასამტკიცებლად: "რისთვის უნდა ეშენებიათ სვანეთში ქართველებს ამდენი აუარებელი ეკლესიები, ან რისთვის უნდა ეგზავნათ ამდენი სიმდიდრე, თუ კი არა სთვლიდნენ სვანებს თავის მონათესავე ხალხად?" (ი. მარგიანი, 1973, 132).

ი. მარგიანი ბედავს და შავრაზმელების მძვინვარების პერიოდში ხმამაღლა საუბრობს პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, პოლიტიკურ დაკვეთებზე: "თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერელედ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან... დღეს ამ გვარი გარეწრობით ვერავის ვერ დაუბნელებს თვალებს... საზოგადოება... ყოველთვის აფასებდა... ამგვარ ვაჟბატონთა "პოლიტიკანობა - გაიძვერობას" (ი. მარგიანი, 1911-ბ).

ი. მარგიანი, ბ. ნიჟარაძის მხარდამხარ, ილაშქრებდა სვანეთის ეკლესიებსა და სკოლებში სლავურ გრაფიკას მისადაგებული სვანური სიტყვებით საღვთო სჯულის გადმოცემის წინააღმდეგ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. მარგიანის ერთი პამფლეტი "სვანური ენა და ახალი აშორდია" (ი. მარგიანი, 1911ბ). მასში მკითხველი ადვილად ამოიცნობს დიდი ილიას პუბლიცისტური სტილის მემკვიდრეს. ეს არის მიმართვა სვანეთის ბოქაულად ნამყოფი ა.

წერეთლისადმი, რომელსაც სვანეთის სამღვდელოება ეგზარხოსთან დაუსმენია - ნაცვლად სვანურისა, მღვდელმსახურებას ქართულად ასრულებენო. საოცარი პათოსი გამოსჭვივის ი. მარგიანის პასუხში: "ნუ სწუხდები, ბ. წერეთელო, ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა... ქართული ენა ჩვენთვის ღვიძლი ენაა, გასაგებიცა და საუკუნოებისაგან ნაკურთხიც". ი. მარგიანსვე ეკუთვნის ასეთივე მძაფრი კრიტიკით გაჟღენთილი წერილი - "სვანეთის ჭირისუფალს ბ. ლეონადოს". ვინმე ლეონადოს, სოციალ-დემოკრატს, დაუსაბუთებელი ბრალდებები გამოუთქვამს სვანეთის სამღვდელოების მიმართ. "რა უფლება გაქვთ უკიჟინოთ უმოქმედობა მათ, ვინც თქვენზე მეტს მოქმედობს და თქვენზე მეტს არგია ხალხს?" - წერს ი. მარგიანი" (ი. მარგიანი, 1911დ).

ი. მარგიანის კალამს ეკუთვნის ასევე საყურადღებო წერილი 'რა ენაზედ ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთს" (ი. მარგიანი, 1904). 'მათი ენა ნამდვილი ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილი. იქ ღვთის დიდება ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს. რომელ მათთვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიაჩნიათ?!".

აღსანიშნავია, რომ ი. მარგიანმა ერთ-ერთმა პირველმა წამოჭრა საკითხი სვანეთში საეკლესიო მუზეუმის შექმნის საჭიროების შესახებ. "ვგონებ მართლაც არსად არ არის ამისთანა ქვეყანა, რომ სვანეთსავით მდიდარი იყოს ძველი ეკლესიებით, ხატებით და საეკლესიო წიგნებით... სასურველია, რომ სვანეთის ერთ-ერთს ეკლესიასთან დაარსდეს მუზეუმი - ძველი ნივთების შესანახი, რომლის დანიშნულება იქნება შეკრება - შენახვა საეკლესიო წიგნებისა და სხვა ძველი ნივთებისა, რომლებიც ეკლესიისათვის არ იქნებიან საჭირო" (ი. მარგიანი, 1901).

ი.მარგიანი ბევრს წერდა სვანეთის სამღვდელოების შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობის შესახებ (ი. მარგიანი, 1901). ილაშქრებდა სვანეთის ეპარქიის სოხუმის ეპარქიასთან შეერთების წინააღმდეგ (ი. მარგიანი, 1903). ამავე დროს ი. მარგიანი, აქტიურ ქველმოქმედადაც მოჩანს (შინაური საქმეები, 1910).

სრულიად ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა ი. მარგიანის ეთნოგრაფიული წერილები. სვანეთის ტრადიციული ყოფის ბრწყინვალე მცოდნე, ძირისძირობამდე სწვდება ყოველი სვანური საწესჩვეულებო რიტუალის (ხალხური საბურველით შემოსილის) ჭეშმარიტ ქრისტიანულ არსს. წარმოაჩენს სვანური ჩვეულებითი სამართლის იმ დანაშრევებს, რომლებიც ძველქართული ფეოდალური ხანის საერო და საეკლესიო კანონმდებლობის ძირითადი პოსტულატებითაა ნასაზრდოები. აღწერს მატერიალური ყოფის საგულისხმო ნიუანსებს. ხატოვნად გვისურათებს სვანეთის ყოფით კულტურას და ხშირად იუმორისტული პასაჟებითაც ალამაზებს სვანების მენტალობის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას. განსაკუთრებით გამოვყოფთ ერთ წერილს - "ვინ იყვნენ "პაპები" ანუ "ბაპები?", რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს მთიანეთის კულტურის ისტორიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი (ეთნოგრაფიული წერილები, 1973; 165-170). ამ წერილში აღწერილია სვანეთის მოკლე ისტორია და სამღვდელოების როლი ქრისტიანობის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში. "სვანების პაპების სასიქადულოდ ჩაითვლება, ის ამბავი, რომ მაჰმადიანობას არ გაამარჯვებინეს ქრისტიანობაზე" (ეთნოგრაფიული წერილები, 1973).

ი. მარგიანი დაწვრილებით აცნობდა მკითხველს ქვემო სვანეთის პრობლემატიკას, მაგალითად, "ძლიერ საჭიროა სადადიანო სვანეთისათვის ნასწავლი მღვდლები (მეტადრე სვანთაგანი) და საეკლესიო სკოლები, რომლებისგანაც უნდა მოველოდეთ... ხსნას" (ი. მარგიანი, 1902).

ცალკე საუბრის თემაა ამ მრავალმხრივი მოღვაწის შემოქმედებითი ცხოვრების კიდევ ერთი პლასტი. ი. მარგიანი მწერალიც გახლდათ. ჯერჯერობით მის ორ მოთხრობას მივაკვლიეთ "საშინელი დანაშაული" (ი. მარგიანი, 1911დ) და "მაგის რა ბრალია?!" (ი. მარგიანი, 1911ე).

ამრიგად, ი. მარგიანს ღირსეული ადგილი უკავია XIX ს-ის მიწურულისა და XX ს-ის დასაწყისის ქართველ სასულიერო მოღვაწეთა შორის და უთუოდ, საჭიროა, მისი სახელი ფართო საზოგადოებისთვისაც გახდეს ცნობილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გ. გასვიანი, 1973 - გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

ეთნოგრაფიული წერილები, 1973 - ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, კრებული, თბ., 1973.

თ. ლეჟავა,2006 - თ. ლეჟავა,ვინ იყო ივანე მარგიანი? "ჩვენი მწერლობა",№12,9 ივნისი. 2006.

ი. მარგიანი, 1901 - მღ. ი. მარგიანი, "მწყემსი" №16, 1901.

ი. მარგიანი, 1902 - ი. მარგიანი, "ცნობის ფურცელი", 8 ივნისი, №1831, 1902.

ი. მარგიანი, 1903 - ი. მარგიანი, "ცნობის ფურცელი", 11 ოქტომბერი, №1950, 1903.

ი. მარგიანი, 1904 - ბ. მ-ნი, 'რა ენაზედ ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთსა", 'ივერია", 4 თებერვალი, №28, 1904.

ი. მარგიანი,1911-ა - ი. მარგიანი,ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ,"შინაური საქმეები",№9,1911.

ი. მარგიანი, 1911-ბ - ი. მარგიანი (სვანი), სვანური ენა და ახალი აშორდია, "შინაური საქმეები", №25, 1911.

ი. მარგიანი,1911-გ - ი. მარგიანი (სვანი) სვანეთის ჭირისუფალს,ბ. ლეონადოს,შინაური საქმეები,№12,1911.

ი. მარგიანი, 1911-დ - ი. მარგიანი, საშინელი დანაშაული, "შინაური საქმეები", №39, 1911.

ი. მარგიანი, 1911-ე - ი. მარგიანი, მაგის რა ბრალია?! "შინაური საქმეები", 18-19, 1911.

დ. მელიქიშვილი, 1998 - დ. მელიქიშვილი, დასავლეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაზეთი ,,"შინაური საქმეები'" (1908-1916 წწ.) და ,,იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა წმიდისა მთავარმოწამისა, ძლევამოსილისა, და საკვირველმოქმედისა გიორგისა" - საქართველოს ეკლესიის ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები, თბ., 1998.

მუჟალელი, 1891 - მუჟალელი, 'ივერია", 25 სექტემბერი, №204, 1891.

ვ. სილოგავა, 1986 - ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, , თბ., 1986.

სტოიანოვი, 1876 - À. ß. Ñòîÿíîâ, Ïóòåøåñòâèå ïî Ñâàíåòèè, ÇÊÎÈÐÃÎ, êí. Õ, âû ï. 2, Òèôëè., 1876. ñòð. 269-279.

ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი , ქუთაისი, 2005.

შინაური საქმეები, 1910 - შინაური საქმეები, №24, 1910.

აჯაფარიძე, 1999 - მთავარეპისკოპოსი ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტომი III, თბ; 1999.

წყარო: საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა"; გვ.98-108; თბილისი - 2006

Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

SUMMARY

Rosetta Gujejiani

ALL SVANS ARE AGAINST THE POLICY OF RUSSIFICATION

Archpriest John Margiani

The article is devoted to Archpriest John Margiani's activities at the end of the XIX century and at the beginning of the XX century. Some facts of his biography are described.

A valuable contribution of the clergy of Svaneti to the cause of formation of common Georgian culture is emphasized. Archpriest John watched closely the public life in Georgia, supported good undertakings and opposed anti-Georgian and anti-religious attacks. Archpriest John Margiani was loyal to Bishop Gabriel and Ilia Chavchavadze's religious and public ideas. The basic ideas of Rev. Margiani's Publications were the following: to achieve the right of teaching the Georgian language at schools in Svaneti; the claim that just Georgian was the native, literary and church language for the Svans; the struggle against teaching God's Law by using the Svan words represented by the Slav alphabet at churches and schools in Svaneti. Rev. Margiani was a faithful friend of Rev. Simon Mchedlidze's; he was in the staff of national-religious newspaper The Shinauri Sakmeebi (The Internal Affairs). Rev. Marguiani's other activities are also mentioned. He was one of the first who posed the issue of establishing the Church Museum in Svaneti and so on. It is recommended to popularize the name of that outstanding clergyman and to acquaint the general public with his deeds.

ÐÅÇÞÌÅ

Ðîçåòòà Ãóäæåäæèàíè

«ÂÑÅÑÂÀÍÛ» ÏÐÎÒÈÂÐÓÑÑÈÔÈÊÀÒÎÐÑÊÎÉ ÏÎËÈÒÈÊÈ

Ïðîòîèåðåé Èîàí Ìàðãèàíè

Â ðàáîòå ãîâîðèòñÿ î äåÿòåëüíîñòè Ïðîòîèåðåÿ Èîàíà Ìàðãèàíè â êîíöå XIX è íà÷àëå XX âåêà. Ðàññêàçûâàåòñÿ î åãî áîãàòàòèè è ïîä÷¸ðêèâàåòñÿ âêëàä äóõîâåíñòâà Ñâàíåòèè â äåëî ñîçäàíèÿ è ôîðìèðîâàíèÿ îáùåðóçèíñêîé êóëüòóðû.

Ïîêàçàíû âàæíåéøèå ñòîðîíû äåÿòåëüíîñòè È.Ìàðãèàíè: îí âíèìàòåëüíî ñëåäèò çà îáùåñòâåííîé æèçíüþ Ãðóçèè, ïîääåðæèâàåò âñå ïîëåçíûå íà÷èíàíèÿ è âûñòóïàåò ïðîòèâ àíòèãðóçèíñêèõ è àíòèðåëèãèîçíûõ âûïàäîâ. Ñëåäóåò ïîä÷åðêíóòü âåðíîñòü È.Ìàðãèàíè ðåëèãèîçíûì è îáùåñòâåííûì èäåÿì è âçãëÿäàì Åïèñêîïà Ãàâðèèëà è Èëüè ×àâ÷àâàäçå. Âûäåëåíû îñíîâíûå èäåè ïóáëèêàöèé È.Ìàðãèàíè: 1.Äîáèòüñÿ ïðàâà ïðåïîäàâàíèÿ â ñâàíñêèõ øêîëàõ Ñâàíåòèè ãðóçèíñêîãî ÿçûêà; 2.Òòâåðæäåíèå òîé áåçóñëîâíîé èñòèíû, ÷òî èìåííî ãðóçèíñêèé ÿâëÿåòñÿ ðîäíûì, ëèòåðàòóðíûì è öåðêîâíûì ÿçûêîì; 3.Áîðüáà ïðîòèâ èçó÷åíèÿ Áîæåñòâî Çàêîíà ïåðåäàííûìè ñëàâÿíñêîé ãðàôèêîé ñâàíñêèìè ñëîâàìè â öåðêâÿõ è øêîëàõ Ñâàíåòèè. È.Ìàðãèàíè ïðåäñòà¸ò òàêæå êàê âåðíûé äóóã Ñâÿùåííèêà Ñèìîíà Ì÷ääëèäçå è ñîòðóäíèêîì íàöèîíàëüíî-ðåëèãèîçíîé ãàçåòû «Øèíàóðè ñàêìåáàè» («Âíóòðåííåå äåëà»). Ïîêàçàíû è äóóãåå ñòîðîíû äåÿòåëüíîñòè È.Ìàðãèàíè. Î í îäåí èç ïåðâûõ ïîñòàâèë âîïðîñ î ñîçäàíèè öåðêîâíîãî ìóçåÿ â Ñâàíåòèè è ò.ä. Âûðàæàåòñÿ æåëàíèå ïîïóëÿðèçàöèè èìåíè ýòîãî äîñòîéíîãî äåÿòåëÿ è îçíàêîìëåíèÿ åãî ñ øèðîêîé îáùåñòâåííîñòüþ.

სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი
Scientific-Historical Journal
სვეტიცხოველი
SVETITSKHOVELI

ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ისტორიის შესწავლა შეუძლებელია, თუ შესაბამისი პერიოდის გეოგრაფია არ იქნა გამოკვლეული. ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს მეცნიერი სხვადასხვა ნაშრომში ეხება და მეტად ფასეულ მოსაზრებებს გამოთქვამს. მისი ნაშრომი "საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" ფუნდამენტური გამოკვლევაა. ივ. ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს ქართულ ისტორიულ წყაროებს (ლეონტი მროველის თხზულება და სხვა), ითვალისწინებს ვახუშტი ბაგრატიონის მეტად მნიშვნელოვან მემკვიდრეობასა და ადგენს ქართლის, კახეთის, ეგრისის, ტაო-კლარჯეთის საზღვრებს; აზუსტებს საგზაო მაგისტრალებს. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრები ჰქონდა, იგი თავისებურ შემოზღუდულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეცნიერი მიუთითებდა, რომ "თვით ბუნებას შეუქმნია ქართველი ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული". შემთხვევითი არ იყო ბუნებრივი საზღვრების მოხერხებულობაზე ხაზგასმა. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული გარემო არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამა თუ იმ ისტორიული პროცესის მსვლელობაში, იგი მაინც რჩება მნიშვნელოვნად ქვეყნის თავდაცვასა თუ სამეურნეო საქმიანობაში. გეოგრაფიულმა გარემომ დადებითი როლი შეასრულა ქართველი ხალხის გადარჩენის საქმეში. როცა მრავალრიცხოვანი მტერი მოადგებოდა ქვეყანას, ხალხი მთებსა და ხევებში აფარებდა თავს.
ივანე ჯავახიშვილმა პრაქტიკულად განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ადგილმდებარეობა და სახელწოდება. გაარკვია ამა თუ იმ კუთხის მნიშვნელობა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის.
უაღრესად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული საქართველოს რუკა. ესაა ერთიანი საქართველო, "ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე". ნიშანდობლივია რომ რუკაზე საქართველოს ყველა სოფელია დატანილი.

ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს საზღვრები

შესავალი

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოს სამზღვრები ტომობრივ მოსახლეობის სამზღვრებს არა ერთხელ გასცილებია, და ძლიერების ხანაში XI-XIII საუკუნემდე, განსაკუთრებით მე-XII საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს საქართველოს, მთელი ამიერი კავკასიაც კი ეკუთვნოდა. ქვემო მოყვანილს მონოგრაფიაში განხილულია საქართველოს მხოლოდ მჭიდროდ შემოფარგლული სამზღვრები, ისე როგორც თვით იგი ისტორიული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი. აგრეთვე გეოგრაფიულ და ეკონომიური პირობების წყალობით ჩამოყალიბდა. თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ

გარემოზღუდვილს ქვეყანასწარმოადგენს. სხვათა შორის ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავი ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალ, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არა-ერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოდვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდენ.

წინამდებარე მონოგრაფია სწორედ საქართველოს სამზღვრებს არკვევს ისტორიულადაც, — თუ როგორი მოხაზულობა ჰქონდა მას წარსულში ან როგორ იცავდა ამ სამზღვრებს ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში, — და თანამედროვე ცხოვრებისა და აწინდელი პირობებისდა მიხედვით, — თუ რა ნაირად უნდა შემოიხაზოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამზღვრები ამ ჟამად, რომ საერთაშორისო სამართლისა, 1783 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობითა და ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფილი ქართველი ერის პოლიტიკური უფლებები არ შეილახოს და სამართლიანობა აღდგენილი იქმნას.

სამზღვრების მიმოხილვა ჯერ დასავლეთ-ჩრდილოეთითგან იწყობა, შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიდის, მერმე აღმოსავლეთის სანაპირო ხაზს და სულ ბოლოს სამხრეთის სამზღვარს ეხება აღმოსავლეთითგან მოყოლებული დასავლეთის ხაზის უკიდურეს წერტილამდე.

თ ა ვ ი I. ჩრდილოეთის სამზღვარი.

§ 1. ჩრდილო-დასავლეთის ხაზი. აფხაზეთ-ჯიქეთი.

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის უკიდურეს სამზღვარზე აბხაზეთი იყო და ეხლაც იგივე კუთხე ჰსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკას. ისტორიულის ცნობების მიხედვით მე-XI-ე საუკუნეში ეს მოსამზღვრე ხაზი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ძალიან ჩრდილოეთით მდებარეობდა, სახელდობრ, იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყობოდა. მოსამზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიის ქედის წვერი ითვლებოდა (ლ. მროველი იხ. ქართველი ერის ისტ. II, 311 და 266). ასე ჩრდილოეთით იმიტომ იყო სამზღვარი წაწეული, რომ მაშინ ჯიქეთი და ალანთა ქვეყანაც აბხაზეთს ეკუთვნოდა. თუ ჯიქნი აბხაზთა მოძმე ტომი იყო და მათი აბხაზეთთან ერთობა სრულებით ბუნებრივად უნდა მიჩნეული იქმნას, ალანთა შესახებ ამის თქმა არ შეიძლება.

მაინცა და მაინც ცხადია, რომ დოაბზუ ანუ ტუაფსე აფხაზთა საკუთრება იყო იმიტომ, რომ თვით ეს საგეოგრაფიო სახელი სწორედ ამასა ნიშნავს. მაგრამ საკუთრივ აბხაზების ჩრდილოეთის სამზღვარი ბიჭვინტის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა. (იხ. ქართველი ერის ისტ. II, 315). ხოლო ამის შემდგომ უკვე აბხაზთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყობოდა.

ვახუშტის სიტყვით მის დროინდელს, მე-XVIII-ე საუკუნის, აბხაზეთსა და ჯიქეთს შორის სამზღვრად ზღვა და კაპოეტის წყალი იყო (გეოგრაფია 406 და 408), ჯიქეთის ჩრდილოეთის

სამზღვარი კი წინანდებურად კავკასიონის ქედი ყოფილა. დასავლეთ საქართველოს 1732 წ. რუკაზეც ჯერ სწერია "კაპოეტის წყალი", შემდეგ ხაზია გასმული და ნათქვამია "აქეთ ჯიქეთიო" (იხ. რუკა), ე. ი. ჯიქეთი კაპოეტის წყლის იქით, ანუ ჩრდილოეთით მდებარეობსო. თანამედროვე რუკებზე კაპოეტის წყალი არ არის აღნიშნული, მაგრამ 1732 წ. ალექსანდრე მეფის ბრძანებით შედგენილს დასავლეთ საქართველოს რუკაზე და სრულიად საქართველოს მოსკოვში 1743 წ. გადახატულ რუკაზე ეს მდინარე ბიჭვინტის ჩრდილოეთით არის აღნიშნული. მაშასადამე კაპოეტი ეხლანდელი მდ. ბზიბის ძველი სახელი უნდა იყოს.

თუ 1743 რუკას დავხედავთ, იქითგან სჩანს, რომ სამზღვარი მდ. კაპოეტის წყალზე ანუ ბზიბზე კი არა ყოფილა, არამედ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე კავკასიონის ქედ-ქედ. ბურნაშევის მიერ შედგენილს რუკაზედაც სამზღვარი კაპოეტის წყლის ანუ ბზიბის საკმაოდ მოშორებით, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მიმდინარეობს. ყველა ამ საბუთების გამო უნდა დავასკვნათ, რომ მდ. ბზიბი მთლად თავის შემდინარეებით აფხაზეთის სამზღვრებში იყო, ამიტომ მოსამზღვრე ხაზი უეჭველია ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდებარე გამყოფელი ქედის-ქედ უნდა ყოფილიყო გავლებული.

ამ ადგილითგან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი სამზღვრის ხაზი კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედ-ქედ მიდიოდა და ეხლაც მიდის სვანეთამდის.

ტომობრივ მოსახლეობის მხრივ მე-XVIII-ე ს.-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იმყოფებოდა: ერთი იყო ბზიბის ხეობა, რომელიც შეიცავდა მდ. ბზიბის ქვემო ნაწილისა და აღმოსავლეთით გუდაუთამდე, მეორე გუდაუთსა და მდ. კოდორს შუა საკუთრივ აფხაზთა სათემო იყო. მესამე, აფშილეთი, მდ. კოდორსა და ღალიძგას შუა მდებარეობდა. მეოთხე სამურზაყანო, რომელშიაც მოსახლეობა მეგრული იყთ და ეხლაც არის, მხოლოდ აბხაზური ენა და ზნე-ჩვეულებაც შეთვისებული აქვთ, მოთავსებული იყო ღალიძგასა და ენგურს შორის შავი ზღვის ნაპირას და მეხუთეს, წიბელდას მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი ეკავა.

ცნობილია, რომ აღმ. საქართველოს 1783 წ. რუსეთთან დადებულმა ხელშეკრულობამ და შემდეგ 1801 წ. შეერთებამ მთელი საქართველოს ბედ-იღბალიც გადასწყვიტა და სრულიად საქართველოს რუსეთის მიერ შეერთება მხოლოდ-და-მხოლოდ ხელსაყრელ დროზე იყო დამოკიდებული. ვერც აფხაზეთი გადურჩა ამ ბედს.

თუმცა 17 თებერ. 1810 წ. აბხაზეთის მთავარმა სეფერბეი შარვაშიძემაც რუსეთის მფარველობა მიიღო, მაგრამ კარგა ხანს მე-XIX-ე საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგამდე აბხაზეთში მაინც რუსებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს და მხოლოდ 1 მაისს 1864 წელს აბხაზეთი რუსეთთან საბოლოოდ შეერთებული იყო, თვით აბხაზეთის მთავარს-კი მთელის შთამომავლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა.

აბხაზები უბრძოლველად არ შეჰრიგებიან დამოუკიდებლობის მოსპობას და 1866 წელს აბხაზეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც რუსთა ძლიერ ჯარის მოსვლისთანავე ჩაქრა. მაგრამ 1877 - 8 წ. ომის დროს აბხაზეთში კვლავ აჯანყება მოხდა.

ყველაზე ძლიერსა და მედგარს წინაარმდეგობას რუსეთის გაბატონებას აბხაზეთში წიბელდა უწევდა. მე-XIX-ე საუკუნის 30 წლებითგან მოყოლებული რუსეთის მთავრობა არა

ერთხელ ამ კუთხეში დამსჯელ რაზმებსა გზავნიდა ხოლმე და ბოლოს მკვიდრი მცხოვრებნი იქითგან აყრილ და განდევნილ იქმნენ (Ìàåâñê³é. Êóòàèññêàÿ ãóáåðí³ÿ. Âîåíí î-ñòàòèñòé÷åñêîå îïèñàí³å. ტფილისი, I 96 წ. დამატ. 1, გვ. . 4).

1884 წ. ატეხილ ამბოხების გამო ამ კუთხის მაღლობი ადგილებითგან, დალითგანაც, რუსებმა ყველა მეკომურნი აჰყარეს (იქვე 6). ხოლო 1867 წლის აბხაზეთის აჯანყების შემდგომ, წიბელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო (იქვე 57). ჯერ კიდევ 1850 წელს აქ 14000 სახლობა ითვლებოდა. 1867 წელს-კი მთელს ამ კუთხეში რუსთა წყალობით 27 ოჯახის მეტი აღარავინ იყო (Èâàíåíêî. Ãðàæä. óïð. 430). ამ დროითგან მოყოლებული კოდორის და მის შემდინარეების ხეობანი სრულებით გაუკაცრიელდა. ამის შემდგომ რუსეთის მთავრობა მთელს თავის პოლიტიკას შავი ზღვის ნაპირას ადგილობრივ მკვიდრთა, განსაკუთრებით-კი ქართველთა საწინააღმდეგოდ აწარმოებდა. ქართველებს აქ დასახლება და უძრავი ქონების შეძენა აკრძალული ჰქონდათ, რუსებს-კი, განსაკუთრებით მოხელეებსა და სამხედრო პირებს, ჩალის ფასად აძლევდენ ამ სამოთხესავით მშვენიერსა და ბუნებით უხვად დაჯილდოვებულს მხარეს. მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის წყალობით გაჩნდა ქართველების გვერდით სხვა ეროვნების ხალხიც.

რუსეთის მთავრობის ზემოაღწერილი პოლიტიკისა და საახალშენო მოღვაწეობისდა მიუხედავად სამურზაყანო აბხაზეთში და ჯიქეთის სამხრეთის მცირე ზოლში, ანუ სოხუმისა და სოჭის ოლქებში 1916 წ. აღწერისდა თანახმად 141.000 მცხოვრებთა შორის 71.000 ქართველი და 43.000 აბხაზი იყო, 6.000 სომეხი და 21.000 სულ სხვადასხვა ეროვნებისა.

§ 2. ჩრდილოეთის ხაზი. დვალეთი.

საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი აფხაზეთის შემდგომ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ეს ხაზი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ ზღუდეს მისდევს, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარადთოვლიანს ქედს რაჭის სამზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თემი რაჭაა და მისი სამზღვრის ხაზიც ჩრდილოეთით იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე მიდის დვალეთამდე.

დვალეთის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ იგი კავკასიონის უღელტეხილის ორ მთავარსა და პირიქითელს, ქედებს შუა არის მოქცეული. ეს ქვეყანა ყოველმხრივ მარადთოვლიან მთებით არის გარშემოზღუდული, ისე-კი, რომ ჩრდილოეთით მდებარე ქედი. ე. ი. პირიქითელი სამხრეთისაზე უფრო მაღალია და ერთს ალაგს გარდა სრულიათ გაუვალია. ეს დვალეთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო.

ძველითგანვე დვალეთი საქართველოს ეკუთვნოდა. მაგრამ ამ სამღვარს განსაკუთრებული ყურადღება მე-XII-ე ს-ითგან მიექცია და პოლიტიკურადა მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებელის დროს მოიკიდა (ცხოვრება მეფისა. დავითისი, გვ. 301, ქართველი ერის ისტ. II. 515). შემდეგშიაც, თვით საქართველოს პოლიტიკურ დაუძლურების დროსაც, მე-XVIII-ე ს.-ის დამდეგსაც, დვალეთი ქართველთა ხელში იყო და ვახუშტის მოწმობით "მეფეთა ქართველთა... მისცემენ დღემდე ხარკსა (გეოგრაფია 460). Vახტანგ მე-VI-ე იყო ის მეფე, რომელმაც საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის ეს მონაპირე კუთხე 1711 წელს ჯარითურთ შემოიარა, შევიდა შიგ.

“ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ღელის-ხევი და გარდმოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული... სწორედ მან კვლავინდებულად მტკიცედ “დაიპყრა დვალეთი და დასდვა ხარკნი... (ვახუშტი. საქართველოს ცხორება 118 გვ.).

აღმოსავლეთით მას საზღვრავს “თრუსოს და ხევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდან ჩდილოდ და დასწყდების ხევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე.

სამხრით მზღვრის კავკასი ხევის ყელიდამ წარსული დასავლეთად, რომელ არს ბრუცსაბძელამდე და ზეკარ-კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიან შორისი კავკასნი, ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი... და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი... (იქვე 428 – 430 გვ.) ეხლანდელს რუსულს საგეოგრაფიო რუკებზე მიღებული სახელები რომ ვიხმაროთ, მაშინ დვალეთის სამზღვარი ასე გვეხატება, ჩრდილოეთით ადაი-ხოხითგან (ქართულ ხოხის მთას) ხაზი მიდის აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ არხონამდის (ქართულ ახოტს), ხოლო დასავლეთით ამავე ადაი-ხოხის მმწვერვალითგან ხაზი სამხრეთისაკენ მიდის ქედ-ქედ მწვერვალ ყაზი-ხოხამდის. შემდეგ სამხრეთის სამზღვარი იწყობა ამ ადგილითგან და ქედ-ქედ მიდის საუხოხზე, ხალიწაზე, ზეკარზე, ბრუტსაბძელზე, ხოხზე, შემდეგ როქზე არხონამდის.

დვალეთი ძველადაც და ეხლაც რამდენიმე ხეობად იმყოფებოდა. კასრის ხევად, ზრამაგად, ღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად (ვახუშტი. გეოგრაფია 428).

ამ დვალეთზე “გარდავლენან გზანი დიგორსა... და... გზანი ვალაგირსა და ფაიქომსა” (ვახუშტი. გეოგრაფია 444 გვ.). იქ, სადაც კასრის ხეობა “მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდითა და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა.., გაკეთებული ყოფილა “კარი კლდისაგან და ქვითკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი მდინარესა ზედა. ეს კარი-ბჭე თურმე საქართველოს “მეფეთაგან ქმნული ყოფილა იმ მიზნით, რომ “არა ვიდოდენ თეინიერ მათსა ოვსნი...” ამგვარად ბუნებრივადაც და ხელოვნურადაც “არს ხეობა ესე ფრიად მაგარი და შეუვალი. (იქვე. 444 გვ.).

ძველად ამ კუთხეს საქართველოსთან პოლიტიკურს გარდა სარწმუნოებრივი და კულტურული კავშირიც ჰქონდა: ქრისტიანობა აქ ქართველი მქადაგებლების მიერ იყო გავრცელებული და თვით ეკლესიის ნანგრევებს, მაგ. როქის ხეობაში ეხლაც ეტყობა ქართული ასომთავრული წარწერები. ვახუშტის სიტყვით ამ ქვეყნის მკვიდრნი იყვნენ “სამწყსონი ნიქოზლისანი.” (გეოგრაფია 434 გვ.). მე-XVIII-ე ს.-ის დამდეგს ბლომად ყოფილა “ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვითკირისანი...” რომელნიც საქართველოს “მეფეთაგან ნაშენნი” ყოფილან. თვით ხალხში ამ ძეგლების შესახებ თქმულებები ყოფილა და ვახუშტის ცნობით “უმეტეს იტყვიან... თამარ მეფისაგან” აგებულადო (იქვე 438).

მე-XVIII-ე ს-ში ეს კუთხე ეკონომიურადაც საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული. მარილს. ცხვრის ტყავს, სვიას და სხვა სახმარს, რაც-კი თავიანთ ცივს ქვეყანაში ვერ შოულობდენ, თურმე ქართლითგან და რაჭითგან ზიდავდენ (ვახუშტი. გეოგრაფია 438).

ბუნებამ დვალეთი მადნით უხვად დააჯილდოვა და იქ ვახუშტის სიტყვით “გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა (იქვე 438), ამასთანავე “ლითონი ბრპენისა მრავალი

ყოფილა. ხოლო "გოგირდი ფრიად კარგი". ზემოაღნიშნულს გარდა იქ არსებობდა "ლითონიცა ვერცხლისა (იქვე 444).

ამ ჟამად ამ კუთხეს არდონის ანუ ნარდონის ქვაბ-ხეობა ეწოდება. ეს არდონის ქვაბა-ხეობა, რომელიც ყოველმხრივ გარშემოზღუდულია, მაგრამ რომელსაც ჩრდილოეთისაკენ მხოლოდ ერთად-ერთი ზემოაღნიშნული ხეობაზე მდებარე გასავალი აქვს, სამხრეთით-კი საქართველოსთან მას 11 გარდმოსავალი აერთებს, მე-XIX-ე საუკუნეშიც თავდაპირველად ტფილისის გუბერნიის სამზღერებში იყო მოქცეული და ამ გუბერნიის მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა, (Ôèëèíîâú. Âîåííûé îáçîðú Òèôëèñ. Ãóá. ÑÏÁ. 1872 წ. გვ. 7-8). მისი სივრცე 497 ოთხკუთხ ვერსს არ აღემატება. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დვალეთი ანუ არდონის ქვაბ-ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერგის ოლქს შეუერთა.

საუკუნეთა განმავლობაში, როგორც დავინახეთ, საქართველოს მთავრობა ამ კუთხეს საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან კარად სთვლიდა და ამის გამო მას ფხიზელ დარაჯად უდგა, საგანგებოდ არდონის გასავალთან ზღუდეც-კი ააგო, რომ თუ საჭირო იქმნებოდა მტრის შემოსვლის მხრივ ამ სახიფათო გზის კარის დახშვა ადვილად შესძლებოდა. ამ კუთხის ბუნებრივ აგებულებასა და თვისებას თუ დავაკვირდებით, ცხადი იქმნება, რომ იგი საქართველოსთან უფრო მრავალრიცხოვან გზებით, სხვადასხვა მხრით თერთმეტი გარდმოსავლით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოსთან არის შედარებით მჭიდროდ დაკავშირებული. ჩრდილოეთთან-კი მას მხოლოდ ერთი გასავალი აერთებს. ყველა ამ მოსაზრების გამო უფრო ბუნებრივია და ხელსაყრელი, რომ წინანდელი მდგომარეობა კვლავ აღდგენილ იქმნას. რუსეთის მთავრობის შეცდომა შესწორდეს და დვალეთი, ანუ არდონის ქვაბ-ხეობა ისევ აღმოსავლეთს საქართველოს, ტფილისის გუბერნიას დაუბრუნდეს, მაშინ ამ ადგილას საქართველოს სახელმწიფო სამზღვარი იმ ხაზს გაჰყვება, რომელიც ხოხის მთას (ადაი ხოხ) და ახოტის მთას (არხონ) შუა გაივლება.

§ 3. ჩრდილოეთის ხაზი. დარიალანი და საქართველოს კარი.

დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ქედზე მიდის და მხოლოდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. მისაბჯენ ციხედ ჰქონდა "გორის ციხე, ფრიად ძველი, ძველებურ წესზე აგებული, კოშკებით შემკული სიმაგრე, რომელიც მდ. თერგის სათავის მიდამოებში, მთებში მდებარეობდა". ამ ციხეს "ფრიად მაგარი მდებარეობა ჰქონდა (Áóðíàøâúí. Êàðòèíà Ãóóçèè èëè îïèñàíå ïîëèò. ñîñòîÿíèè öàðñòâú Êàðòàëèíñêàãî è Êàõåòèíñêàãî. Òèôëèñú èçä. Áåãè÷âà 1896 წ. გვ. 9). ეხლანდელ რუკებზე ამგვარი საგეოგრაფიო სახელი არ არის აღნიშნული, ამის გამო ამ ციხის მდებარეობაც გამოურკვეველი რჩება.

მაგრამ უფრო დაწვრილებითი და მკაფიო ცნობები საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრის შესახებ ბატონიშვილს ვახუშტსა აქვს. მისი სიტყვით თერგს "გველეთს ქვეით ერთვის... ხევი", რომელიც "სამხრეთ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა... ამ ხევს ქვეით დავიწროვდების ხევი ესე კლდითა და აქა არს ციხე დავითისა... აღმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელა.., თერგის "აღმოსავლით კიდესა ზედა მეფის მირვანის მიერ" აგებული. მან "შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოსვთათვის, რათა უმისოთ

ვერაღარა ვიდოდნენ... ხოლო "ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა. ოდეს გაილაშქრიან თვსეთად მუნ დადგიან"-ო (გეოგრაფია 228).

სახელოვან ქართველ გეოგრაფის აღდწერილობა იმდენად ნიშანდობლივია, რომ თვითეული მის მიერ დასახელებული ადგილის პოვნა ეხლანდელს 5-ვერსიან რუკაზე ძნელი არ არის. ამაში მისივე შედგენილი რუკაც დიდად გვშველის. გველეთის ჩრდილოეთით თერგს მართლაც სამხრეთ-აღმოსავლეთითგან ერთი პატარა წყალი ერთვის, რომელსაც ქისტურა (Êèñòèíêà) ეწოდება. აქ ვიწრო ხეობაში ყოფილა მეფე დავით აღმაშენებელის მიერ აგებული ციხე. ეს ის ადგილი უნდა იყოს, რომელსაც საქართველოს-სამხედრო გზაზე რუსებმა სად. დარიალისა "Äàð³àëüñêîå " უწოდეს. აქ მართლაც რუკაზე ნათქვამია ("Áûâøåå óêðåïëåíèå") "ციხის ნანგრევიო". ამის ჩრდილოეთით მირვან მეფის მიერ აგებული ყოფილა დარიალის კარი, რომელიც ოს-ხაზართათვის გზის შესაკრავად იყო განკუთვნილი. ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც ეხლა სად. ლარსია. ამაზე უფრო ჩრდილოეთით კი ყოფილა საქართველოს სამფლობელოს უკანასკნელი ფეხმოსაკიდებელი ადგილი "ნასასახლევი მეფეთა", რომელიც დაახლოებით ეხლანდელს "ჯერახოვსკოე"-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო. აქაც, 5-ვერსიან რუკაზეც ნათქვამია ციხის ნანგრევიო (Áûâøåå óêðåïëåí³å) თვით ბატონიშვილ ვახუშტის დაწერილებითს რუკაზე (იხ. ბროსსეს გამოც. 3, Karthli au N. du Kour) "ნასასახლევი მეფეთა (Résidence royale) მართლაც "ჯარიეხის" (ეხლანდელს "ჯერახოვსკოე"-ს) მახლობლად, ცოტა სამხრეთით არის აღნიშნული და სწორედ საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოეთის სამზღვარი ამ ადგილის წინ, დაახლოვებით ჯარიეხითგან ერთი ვერსით, სამხრეთით მიდიოდა (იხ. იგივე რუკა).

ზემოაღნიშნულ მოსამზღვრე ადგილითგან მოყოლებული სამზღვარი მდ. ქისტურის ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ იხევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარს ქედს აღწევდა, ხოლო შემდეგ საქართველოს სამზღვარი მუდამ სწორედ ამ მთავარ უღელტეხილს ქედ-ქედ მიდიოდა იმგვარადვე როგორც მე-XIX-ე საუკუნეშიაც რუსთა მფლობელობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს, ტფილისის გუბერნიის სამზღვარი იყო მოხაზული.

თ ა ვ ი II. აღმოსავლეთის სამზღვარი.

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი.

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთს კუთხეს მტკვრამდის ძველ დროს ჰერეთი ეწოდებოდა. ჯერ ამ კუთხის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომლის სამზღვრად ჩრდილო-აღმოსავლეთით დაღესტანის მთები იყო, სახელდობრ კავკასიონის მთავარ უღელტეხილის ალაზნის შემდინარეების გამყოფელი ქედი. ჩრდილოეთით მას არიშის წყალი, სამხრეთით-კი ჯერ ალაზნისა და იორის შესართავი ჰსაზღვრავდა, ხოლო შემდეგ საზღვარი ალაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადგილამდის, საცა გიშის წყალი ალაზანს ერთვის. მერმე მოსამზღვრე ხაზი ამ გიშის წყალს სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო (ქართველი ერის ისტ. II, 309 და ვახუშტი. გეოგრაფია 304). რომ სამზღვარი გიშის წყლის სამხრეთით იყო, ეს ბურნაშევის 1784 წ. რუკითაც მტკიცდება (იხ. რუკა).

მაგრამ სამხრეთის ამ ხაზის მდებარეობა ჩვენთვის მხოლოდ მაშინ გახდება ცხადი, თუ-კი გიშის წყლის მდებარეობა გამორკვეული გვექმნება. თანამედროვე რუსულ რუკებზე ამგვარი

მდინარე და ციხე არსად არის აღნიშნული, მაგრამ ძველ ქართულს გიშს 5-ვერსიან რუკის მდ. კიში (ð. Êèøú) უდრის, ხოლო გიშის ციხე დაახლოვებით იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლა კიშ-კიშლაღი (Êèøú-êèøëàõú) არის აღნიშნული (ჟ 9,64 30-4.1). ამ ჟამად რუკებზე სახელები ისე სწერია, რომ გიშის წყალი არსად ერთვის ალაზანს, არამედ იგი ე. წ. აგრი-ჩაის შემდინარეა. ცხადია, რომ ძველ დროს თვით ეხლანდელს აკრი-ჩაისაც იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ეხლანდელი გიში (Êèøú) ერთვის, გიშის წყალი რქმევია. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გიშის წყალი მართლაც ალაზნის შემდინარედ გამოვა და ამ ადგილას საქართველოს განმსაზღვრელი ხაზის მდებარეობა სრულებით ნათლად წარმოგვიდგება.

საქართველოს ამ ნაწილს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა. აქეთგან ავრცელებდა ქართველობა თავის გონებრივსა და სარწმუნოებრივს გავლენას დაღესტანზე და შაქზე. მაშინაც-კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დადესტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია. ის ტორიას შენახული აქვს ცნობა, რომ მე-XIII-ე ს-ის დასასრულს გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ პიმენ სალოსმა ბელაქნითგან თავისი ქადაგება ლეკეთშიც-კი გადაიტანა, "ნათესავი ლეკთა წარმათობისაგან მოაქცივნა" და გააქრისტიანა (ჟამთააღ. 89, გვ. 731). წერილობითი მოწმობის გარდა ქართველთა დაღესტანში განმანათლებელ მოღვაწეობის ძეგლებიც, ეკლესიის ნანგრევების სახით არის შენახული და თვით ხუნზახშიაც-კი იყო შერჩენილი იქაურ ეკლესიის ნანგრევის ქვა, ქართული ასომთავრული წარწერით შემკული (იხ. ე. თაყაიშვილი Àðõ. ýêñêóðñ³ÿ II, 63).

ვითარცა მოსამზღვრე კუთხეს საქართველოს ამ ნაწილსაც ბედმა მრავალჯერ მიაყენა ზიანი და არა ერთხელ გაანადგურა. პირველად ჯერ კიდევ მე- XIII ს.-ში მონღოლთა ბატონობის წყალობით სხვათა შორის ჰრეთიც ძალზე დაზიანდა (ჟამთააღ. * 875, გვ. 719).

მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰაბაზმა მიაქცია თავისი მსახვრელი ყურადღება და ჯერ ისე ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, ხოლო შემდეგ მათ მაგიერ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-XVI1-ე ს-ითგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტანელთა შემოსევის და დაშენების გამო, მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობას დაძლევა დაუწყო და ქართველი მოსახლეობაც შემცირდა. ძველი საგეოგრაფო სახელების მაგიერ ახალი გაჩნდა. გარეშე ძალის გავლენით ეს კუთხე სამ ერთეულად გაიყო. ერთს დაერქვა "ალის-სასულთნო", მეორეს "ელისენი", მესამეს "ჭარი".

უკანასკნელი სახელი ფიფინეთის ხეობას დაერქვა. ვახუშტის ცნობით ეს ხეობა არჩილ მეფის "შემდგომად იწოდა ჭარი". (გეოგრაფია 306).

რუსულ 5-ვერსიან რუკაზე ფიფინეთის მაგიერ მთა ფიფანი (დიდი და პატარა — Ïèïàíú, Á-Ïèïàíú) არის აღნიშნული, ჭარის მაგიერ-კი "ჯარი"-ა (Äæàðû) დაბეჭდილი. მეფე ლევანმა ვახუშტის სიტყვით აქ თურმე ლეკები დაასახლა და ყოველწლიურად გადასახადად მხოლოდ ის მოვალეობა დააკისრა, "რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული" (იქვე 306). მაშასადამე ფიფინეთის ხეობა ანუ ჭარი დაღესტნის მოსამზღვრე ნაწილია ელისენად იწოდებოდა ქვეყანა ბელაქნის "წყალსა

და გიშის წყალს შორისი ალაზნამდე და კავკასამდე. (ვახუშტი. გეოგრაფია 306) მაგრამ ნამდვილად-კი ელისენსა და კავკასიონის ქედსშუა, შუაგულში მაინც, ჭარი იდვა. ამიტომ ცხადია, რომ ამ ადგილას ელისენი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ვერ აღწევდა.

ალისულთნის სამფლობელოს სამზხღვრები ვახუშტს გარკვევით არა აქვს აღნიშნული (გეოგრაფია გვ. 304, შეად. 306). ანტონ კათალიკოზს თავის 1757 წ, დაწერილს თხზულებაში ნათქვამი აქვს ალისულტანი თაედაპირველად "კახის სულტნად სახელდებული" ყოფილა (იხ. მ. ჯანაშვილის საინგილო. ძველი საქართველო. II, 14). მაგრამ სამზღვრები არც მას, აქვს დასახელებული.

ე. წ. თათრებისა და დაღესტნითგან ლეკების ჩამოსახლებამ საქართველოს მტრებს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრითგან შემოსევა გაუადვილა, რათგან სარწმუნოებრივი ერთობის წყალობით სპარსეთის შაჰის ჯარს ადვილად ემხრობოდენ ხოლმე. საქართველოს მეფეებსა და იმ დროინდელს მოღვაწეებს კარგად ესმოდათ ამ კუთხის უაღრესი მნიშვნელობა, რომ რაკი "არს ქვეყანა ეს. ძნელად შესასვლელი, ტყიანი, მრავალ-წყლიანი და მაგარი" (კათალიკოს ანტონი, იხ. მ. ჯანაშვილის საინგილოში, გვ. 15), ამიტომ საქართველოსთვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საუცხოვო საფარს წარმოადგენდა. თუმცა ლეკები, რომელნიც ჭარში იყვნენ ჩასახლებულნი დრო-გამოშვებით არამც თუ ურჩობდნენ. არამედ ცარცვაგლეჯასაც-კი მისდევდნენ კახეთში, მაგრამ მაინც ერეკლე მეფის დროს, რუსეთთან 1783 წ. ხელშეკრულობის დადების დროსაც ეს კუთხე, როგორც საქართველოში მყოფ რუსეთის იმდროინდელ ელჩის ბურნაშევის რუკაზეც აღნიშნულია, საქართველოს სამზღვრებში შედიოდა და კახეთის ნაწილად ითვლებოდა.

როდესაც რუსეთის მთავრობამ აღმ. საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და შეიერთა, ჭარი და ბელაქნის ოლქი, როგორც მას რუსები უწოდებდენ, ანუ საინგილო, როგორც ქართველები ეძახიან, ამ დროს არ დაუპყრიათ, არამედ მხოლოდ 1803 წ. დაიდო საინგილომ ხარკი და მორჩილება განაცხადა, საბოლოოდ-კი 1830 წ. იყო შემოერთებული.

1886 წელს ზაქათალის ოლქში სულ 74449 მცხოვრები ითვლებოდა, აქეთგან 40225 ლეკი იყო, 21090 მუდანლო და 12430 ქართველი, 521 სომეხი (მ. ჯანაშვილი საინგილო 6).

1916 წელს ზაქათალის ოლქში მცხოვრებთა საერთო რიცხვი 76000 იყო. აქეთგან 19000 ქართველი და 45000 ლეკი, ხოლო თურქები, სპარსელები და ქურთები 12000 ითვლებოდა.

თ ა ვ ი III. სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი.

§ 1. ჰერეთი: ქიზიყი, ყარაია.

ზაქათალის ოლქის შემდგომ საქართველოს უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი ეწყობა. ძველ დროს მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილიც მტკვრამდე და დებედას წყალთ-გამყოფელ მთებამდე ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ ეკერის კამბეჩოანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. ძველი ქიზიყის, რომელიც ეხლა სიღნაღის მაზრად იწოდება, სამზღვრად იყო "სამხრით უფადარი და წინამინდორ ხორანთამდე... (ვახუშტი. გეოგრაფია 310). წინამინდორად

იწოდებოდა ის ველი, რომელიც სამხრეთით იორისა და ალაზნის შესართავთან თავდებოდა (იხ. ვახუშტის რუკა . - 4).

იგი დაახლოვებით ეხლანდელს ელდარის მინდორს უდრის, უფადარად-კი, დაახლოვებით ის სამხრეთით მდებარე ადგილი იყო, რომელსაც ეხლა ჯეირან-ჩელი ეწოდება. მაშასადამე სამზღვარი იწყობა ჯერ იქ, სადაც გიში ალაზანს ერთვის, შემდეგ სამხეთისაკენ მიდის ალაზნის გასწვრივ მისი და იორის შესართავამდე. აქეთგან დაწყობილი სამზღვარი პირდაპირ მტკვარზე გადადიოდა (ვახუშტი გეოგრ. 310-312 და ბურნაშევის 1784 წ. რუკა) და მერმე საქართველოს სამხრეთის სამზღვარი ამ მდინარის პირს დასავლეთ-ჩრდილოეთით მიმართულებით მისდევდა დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც მდ. აღსტაფურა მტკვარს ერთვის. ძველად საქართველოს ეს სამხრეთის კუთხე, როგორც აღნიშნული იყო, ჰერეთის ნაწილად ითვლებოდა.

საქართველოს სამხრეთის მოსამზღვრე ქვეყნის აღმოსავლეთს კიდეს იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც სამზხღვრის ხაზი იორ-ალაზნის შესართავითგან მტკვარზე გადმოდიოდა ყარაიამდე ჯეირან-უდურეთის ველის სახელი ერქვა. შედეგ-კი ყარაია იწყობოდა. ამ ყარაიას ველის მდებარეობის შესახებ ვახუშტს ნათქვამი აქვს, რომ მთა "იალღუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები"-ო. ამ ნაგებისა და მაშასადამე იალღუჯის "აღმოსავლით და სამხრით არის ველი დიდი ყარაიისა. (ვახუშტი. გეოგრ. 180 გვ.). აი სწორედ ეს ველიც ძველად ჰერეთს ეკუთვნოდა, და შემდეგში-კი, და უკვე ვახუშტის დროს, მას თურმე "ყარაიას" უწოდებდენ (იქვე 182 გვ.). ეს სახელი მას ეხლაც შერჩენილი აქვს.

ჰერეთის ამ ნაწილს სამზღვრად ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა გარეჯისა მწარე-წყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარე წყალი (იქვე 180 გვ.), ე. ი. დაახლოვებით იმ ადგილამდის, სადაც აღსტაფურას წყლის შესართავია.

ეს კუთხე ოდესღაც ქართული კულტურის დიდებული კერა იყო (იქვე 182 გვ.). საკმარისია ადამიანმა დაათვალიეროს ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი შესანიშნავი ძეგლი და ქართული მხატვრობის მრავალი განმაცვიფრებელი ნაწარმოები, რომელნიც დავით გარეჯის უდაბნოში შენახული არიან და რვა საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ მტრის გამანადგურებელ შემოსევას გადურჩენ. რომ ნათლად წარმოიდგინოს ადამიანმა რამდენად დაწინაურებული ქართული კულტურული ცხოვრების ასპარეზი იყო ეს კუთხე.

სამხედრო ბედის ულმობელმა ტრიალმა მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით ეს ქვეყანაც გააუკაცრიელა და უდაბნოდ აქცია. შემდეგში სპარსთა შაჰების გეგმისაებრ აქ უბინადრო ელი დემურჩიასანლუ შემოვიდა, რომელიც თარაქამათა ტომს ეკუთვნოდა და მესაქონლეობას მისდევდა (ვახუშტი. გეოგრ. 182 გვ.).

ჰერეთის იმ ნაწილს, რომელი ბოლოს დროს ყარაიად იწოდა, დასავლეთ-სამხრეთით უკვე ქვემო-ქართლი ეკვროდა და ამ ადგილითგან მოყოლებული სწორედ ეს ქვეყანა იყო იმავე დროს საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის სამზღვარი და მონაპირე კუთხე.

§ 2. საქართველოს სახელმწიფოებრივ სამზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ხაზი.

ქვემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი და სამზღვარი იმავე დროს გარდაბანის საერისთავოს ნაწილი და სამზღვარი იყო და მას ჰსაზღვრავდა "აღმოსავლეთით მტკვარი და ხუნანის

გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა.” (ვახუშტი. გეოგრ. 178). მაშასადამე ქვემო ქართლის ანუ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთის სამზღვრად ჯერ მდ. მტკვარია დაახლოვებით ყიზყალას ციხის ნანგრევების ცოტა აღმოსავლეთ-სამხრეთით, ხოლო შემდეგ ქურდ-ვაჭრის ხეობის ქედი, რომელიც დებედას აღმოსავლეთით მდებარეობს და დებედას შემდინარეების გამყოფელი მთა არის.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი სამზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით საქართველოს პოლიტიკურ სისუსტის დროსაც. თუნდა მე-XVIII-ეშიც. იქ-კი არ თავდებოდა, სადაც ქვემოქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვარი იყო, არამედ გაცილებით უფრო შორს მიდიოდა. თუნდაც, რომ განჯისა და ერევნის სახანოებს თავი დავანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხოლმე დამტკიცებულნი (Áóðíàøâáú, Êàðòèíà å1ñ. 12, 13—14 da Èíñòðóê³ÿ èçú Ãîñóä. Êîëëåã³è, Êîâàëåíñêîìó 1799 წ. À. Ê. À. Ã. Ê- წ 1, 94, § 7), ყაზახი, შამშადილი და შამქორი ხომ საქართველოსთან უმჭიდროესად იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველთა ერთგულობას იჩენდენ. ამ ორთავე ქვეყნითგან ომიანობის დროს საქართველოს საუკეთესო, 6000 კაცისაგან შემდგარი, ცხენოსანი ჯარი მოსდიოდა ხოლმე (იქვე, 6, 16). განსაკუთრებით საყურადღებოა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეს მაჰმადიანი ხანები საქართველოსთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველობის უფრო ერთგულნი ყოფილან, ვიდრე თვით ერთმორწმუნე და თანამონათესავე სპარსეთის შაჰებისა. ამ მხრივ მეტად საგულისხმიეროა, რომ ერევნისა და ყარაბაღის ხანები სპარსეთის შაჰს აღამამედხანს-კი არ მიემხრენ, არამედ ერეკლე მეფესთან შაჰის საწინააღმდეგოდ საგანგებოდ ხელშეკრულება დასდეს და ფულიც მიაშველეს ამ საქმის განსახორციელებლად (. . . . . წ. 1. გვ. 118). ამიტომაც არის, რომ ბურნაშევის მიერ 1784 წ-ს შედგენილს საქართველოს რუკაზე ყაზახი, შამშადილი, შამქორი განჯითურთ ქართლის სამზღვრებივი წითელი ფერით არის შემოხაზული.

თ ა ვ ი IV. ქვემო ქართლი.

გამყოფელი ხაზი საქართველოსა და სომხეთს შორის.

§ 1. აღმოსავლეთის ხაზი. ჰერეთი.

ქვემო ქართლი სამხრეთის სანაპირო ხაზი იმავე დროს ქართველთა და სომეხთა სამფლობელოს გამყოფელი სამზღვარი იყო ძველ დროითგანვე მოყოლებული.

§ 1-1. ისტორიული მიმოხილვა. ბრძოლა ამ საზღვრის გამო II ს.ქ. წ. - X ს. ქ. შ.

ჯერ კიდევ ქრისტეს წინათ საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან. მაგრამ თავდაპირველად სომხეთს მცირე მიწაწყალი ეკავა და მხოლოდ მას შემდგომ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსიმ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომეხთა სამეფო დაარსეს, თვით სომხეთის ვითარცა პოლიტიკურ ერთეულის სამზღვრებიც გაფართოვდა. (ჩემი ქართული ერის ისტ. I, 59 და Àäîíöú, Àðìåí³ÿ âú ýïîõó Þñòèí³àíà, 395). ეს ზრდა მათი მოსახლეობის ბუნებრივ განვითარებისა და გამრავლების შედეგი არა ყოფილა. სტრაბონის ცნობით სომხეთის მეფეებმა მეზობლებს მიწები წაართვეს. სხვათა შორის მაშინ ქართველთა ტომებისათვისაც

წაურთმევიათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სპერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ხალიბებსა და მოსინიკებს — კარინი და დერქსინი (იქვე). ეს ამბავი 191 წ. (ქ. წ.) შემდეგ მომხდარა და სომეხთა პირველი იერიშია ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად. ამ დაპყრობილი ქვეყნების ბედი ამით სამუდამოდ და საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

სტრაბონის გუგარენა ანუ გუბარეთი ეხლანდელ ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილს უდრიდა, რომელიც დაახლოვებით ჭოჭკანისა, ბოლნის-დბანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა, ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკურ მიზეზების გამო უფრო ვრცელი მნიშნელობა ენიჭებოდა და უფრო ფართოდაც იყო ხოლმე შემოხაზული. ამ ქვეყნის წინანდელი სახელის კვალი შერჩენილა ეხლანდელ საგეოგრაფიო სახელ გუჯარეთში (Àäîíöú, Àðìåíÿ 426 შენ.). ქართული საგეოგრაფიო ტერმინთლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს მაზრის სახელით არის ცნობილი.

ტოპოგრაფიულად ეს გუგარეთი ანუ ქეემო ქართლი სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით თვით ბუნების მიერ არის გარემოზღუდული. სამხრეთით მას უდარაჯებენ მაღალი (8000 ფ.) ციცაბო, ორ ადგილს გარდა გარდაუვალი, ტყით მოცულნი ერევნის მთები, რომელთაც რუსული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ბამბაკის ქედი ეწოდება. ამ მთების გასწვრივ ჩრდილოეთით მდებარეობენ ე. წ. სომხეთის მთები, რომელიც აგრეთვე მაღალია ისე, რომ ზოგიერთი მწვერვალი 8000 ფ-დე აღწევს. მთელი ეს ქვეყანა გეოგრაფიულად ისე მჭიდროდ არის საქართველოსთან დაკავშირებული, რომ როგორც თვით ქვეყანას, ისევე ყველა იქაურ მდინარეებსა და რასაკვირველია გზებსაც ჩრდილოეთისაკენ, მტკვრისა და ტფილისისაკენ აქვთ პირი მიბრუნებული.

სტრაბონის დროსაც I ს.-ის დასასრულს ქ. წ. და I ს.-ის დამდეგს ქ. შ. ეს კუთხე ჯერ კიდევ სომეხთა ხელში ყოფილა. მაგრამ უკვე 35 წ-ითგან ქ. შ. მოყოლებული, როდესაც ტაციტის სიტყვით იბერიის მეფეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ სომხეთში შემოჭრილ სპარსელებს ებრძოდნენ, და როცა თვით სომხეთშიც-კი ქართველი უფლისწული გამეფდა ცხადია მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა შეცვლილიყო.

შესაძლებელია ამავე დროს ქართველებს სომეხთა მიერ მითვისებული გუგარეთიც უკან დაებრუნებინათ (ქართველ ერის ისტ. I, 173-177 გვ.). ამას ის მეგობრული განწყობილებაც გვაფიქრებინებს, რომელიც აღმოს. საქართველოს მეფეებს რომის კეისრებთან ჰქონდათ (იქვე 178-179 გვ.).

პლინიუსის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ თეზი და თრიალეთი მაინც, რომელიც აგრეთვე ფართოდ ნაგულისხმევ გუგარეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, პირველ საუკუნეში ქ. შ. უკვე იბერთ ჰკუთნებიათ (Natur, his. cap. VI. § 26, ქართველი ერის ისტ. I, 60).

მაგრამ გუგარეთის ქართველთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ გარკვეული პირდაპირი ცნობები მე-V1-ე ს-ითგან ქ. შ. მოიპოვება. 374 წ. სომეხთა მეფე პაპი მოკლულ იქმნა და ამის შემდგომ სომეხ არშაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლივ ეცემოდა. ამ სამეფოს პოლიტიკურს დაუძლურებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომელიც ამ ქვეყანაში უფლისწულების არშაკისა და ხოსროს შორის ატყდა სომხეთის სამეფო ტახტის გამო. ეს ცილობა 387 წ.

სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა და სწორედ ამ დროს ქართველებსაც სომხებისაგან თავიანთი ქვეყნები გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი უკან დაუბრუნებიათ (Àäîíöú, Àðìåíÿ 225-226).

მალე თვით სომეხთა ამ სამეფოების დამოუკიდებელი არსებობაც მოისპო და სომხეთი სპარსეთისა და ბიზანტიას შორის იქმნა განაწილებული: სომეხთა ამგვარმა დაუძლურებამ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების ბედი და საქართველოსთან შეერთება ხანგრძლივობით განამტკიცა (იქვე 230). იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გუგარეთი სომეხთა ხელში იყო, ამ კუთხეში სომხობაც შეერია და ქართულის გარდა სომხურიც გავრცელდა (იქვე).

მე-V-ე საუკუნეშიაც მაგ. ვახტანგ გორგასლანის მეფობაში გუგარეთი წინანდებურად იბერიის სამეფოს საზღვრებში შედიოდა (Àäîíöú, Àðìåíèÿ, 222). მაგრამ მარტო პოლიტიკურად კი არა, არამედ საეკლესიო წესწყობილების მხრივაც, იგი საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეადგენდა: როგორც მე-VI-ე საუკუნის დამდეგს მომხდარ საეკლესიო კრების მონაწილე მღვდელმთავართა სიითგან სჩანს, ბოლნისის, ცურტავის და რუსთავის საეფისკოპოსოები მცხეთის კათალიკოსს ექვემდებარებოდენ.

გუგარეთის საქართველოსთან დაკავშირების სიმტკიცე და მისი განუყრელი კუთვნილება შემდეგში მომხდარ უბედურებამაც გამოააშკარავა, როდესაც სპარსთა მიერ 532 წ. აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა ძალმომრეობით მოსპობილ იქმნა და ქვეყანას თვით სპარსთა შაჰები დაეპატრონენ (ქართველ ერის ისტ. I, 195-197).

ასეთ უკიდურეს გაჭირვების და პოლიტიკურ ბედის უკუღმართობის დროსაც გუგარეთი საქართველოს სამზღვრებში შედიოდა. მე-V11-ე საუკუნის დამდეგსაც, როცა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება და მტრობა ჩამოვარდა, რომელიც ამ ორი ერის ეკლესიების სრული განხეთქილებითა და განშორებით დამთავრდა, იგი კვლავინდებურად ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა (იხ. ჩემი Èñòîðÿ öåðêîâ. ðàçðûâà). საქართველოს ამ პოლიტიკურ დაკნინებისა და განსაცდელის ხანაშიაც რომ გუგარეთი მართლა კვლავ საქართველოს ეკუთვნოდა, სულიერად და პოლიტიკურად მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ამას თვით სომხურივე მე-VII-ე საუკუნეში შედგენილი საისტორიო გეოგრაფიაც ცხადად ამტკიცებს. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა ამ დროს ქართველების ხელში იყო (იქვე გვ. 20 და ჩემი ქართველ ერის ისტორია I, 60).

643-645 წელში არაბთა ლაშქარი და სარდალი ეწვია კავკასიას და საქართველოს მთელი სამხრეთი და აღმოსავლეთი კავკასია და აღმოსავლეთი საქართველოც არაბთა ბატონობის ქვეშ მოექცა. სომხეთიცა და აღმოსავლეთი საქართველოც მათ ემორჩილებოდა. თავისდა თავად ცხადია, რომ ამ დროს შეუძლებელი იყო საქართველო-სომხეთის სამზღვრებში რაიმე ცვლილება მომხდარიყო: გუგარეთი წინანდებურად ქართველთა უცილობელი კუთვნილება იყო. არაბთა პოლიტიკურმა ძლიერებამ რომ შემდეგში თანდათანობით იკლო და მათი შეუჩერებელი მიდრეკილება განკერძოებისადმი ცხადი გახდა იმ მხრივაც, რომ ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი სხეულის მაგიერ მრავალი სანახევროდ დამოუკიდებელი დაარსდა, დაპყრობილმა ქვეყნებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სხვათა შორის ტფილისისა და ქართლის საამიროც შეიქმნა. ტფილისის ამ რათა ურჩობა ასუსტებდა არაბთა ბატონობას კავკასიაში

საქართველოს და სომხეთის აღდგენას კი ხელს უწყობდა. ტფილისისა და ქართლის საამიროს სამზღვრებში შედიოდა სხვათაშორის ქვენა ქართლის ის ნაწილი, რომელსაც გუგარეთი ერქეა.

მე-IX-ე საუკუნითგან მოყოლებული საქართველოსა და სომხეთს პოლიტიკური მოღონიერება დაეტყო. ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა. ჯერ რამდენიმე საერისთავო-ერისთავოები გაჩნდა, შემდეგ დაიწყო ცალცალკე ბრძოლა საქართველოსა და სომხეთისა გაერთიანებისათვის. ასეთ პირობებში ბრძოლა ტფილისისა და ქართლის ამირასთანა და ურთიერთთან აუცილებელი იყო: არაბებს უნდა ჩამორთმეოდათ მათ მიერ დაპყრობილი აღმ. საქართველოს მიწა-წყალი, ქართველ ერისთავთ ერისთავთა ურთიერთშორის ბრძოლას-კი მიზნად დანაწილებული საქართველოს გაერთიანება ჰქონდა. ყოველი ქართველი მთავარი და მეფე ხან პირადად, ცალცალკე, ხან ჯგუფობრივ, შეერთებულის ძალით ამ საქმის განხორციელებას ცდილობდა. სხვათა შორის საქართველოს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებას გუარამ მამფალიც (+882 წ.) მამაცურად ცდილობდა ხელის შეწყობას და მედგარი ბრძოლის წყალობით მან დაიპყრა კიდეც ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტაანი (მატიანე ქართლისა* 445, გვ. 223. ქართველი ერის ისტ. II, 378). თრიალეთი, ტაშირი და აბოცი როგორ ვიცით სწორედ ძველ გუგარეთს ეკუთნოდენ. მაშასადამე საქართველოს განახლების განთიადზე ქართველმა მთავრებმა ეს კუთხე ისევ საქართველოს სამზღვრებში მოაქციეს. მაგრამ საქართველოს გაერთიანების პროცესში მალე გარეშე ძალაც ჩაერია. სომეხთა ერისთავმა აშოტ ბაგრატუნიმ ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ რასაკვირველია თავის სასარგებლოდ.

სომეხთა ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელმაც სომხეთის სამეფო აღადგინა, თავის სამფლობელოს სამზღვრების გასაფართოებლად ჩრდილოეთისკენ მოისწრაფებოდა და ქართლის დაპყრობას ლამობდა (ქართველი ერის ისტ. II, 379). იგი ამ ქვეყანას აფხაზთა მეფეს ეცილებოდა, რომელიც თავის მხრივ კარგა ხანია საქართველოს გაერთიანებისთვის იღვწოდა (იქვე 380). სომეხთა მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მხარს უჭერდა. გვარამ მამფალმა სამაგიეროდ "აბოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა" (მატიანე ქართლისა* 445 -446, 223 გვ. ქართველი ერის ისტ. II, 380 გვ.). ამგვარად საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლთა შორის სომეხთა მეფეც გაერია და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ჩადგა. ამის წყალობით სომეხთა მეფეებს ქვემო ქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილები ჩაუგდია ხელში, სხვათა შორის ტაშირი (იქვე 380-381). ამ გაერთიანებას აშოტ ბაგრატუნი ესეოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რომ მან თავის თავისათვის სომეხთა და ქართველთა ერისთავთ-ერისთავის სახელწოდება მიუკუთვნებია (ასოღიკ, ქართველ ერის ისტ. 380 გვ.). აქეთგან ცხადია, რომ გუგარეთი მასაც ქართლად და ქართველთა მიწაწყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთ ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთ-ერისთავი დაარქვა. ალბად მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქართველოს თავდაცვისათვის.

ამგვარად ეს სომეხთა მეორე იერიში იყო საქართველოს სამხრეთის სამზღვრების გადმოსალახავად და ქვენა ქართლის, ყოფილ გუგარათის დასაპყრობად. საგულისხმიერია, რომ სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემოსევით

დაიწყო.

სტეფანე მტბევარის მიერ 814-918 წ. (იხ. ჩემი ისტორიის მიზნი, 44 გვ.) დაწერილი გობრონის წამება ამტკიცებს, რომ შემდეგშიაც "ტაშირი და კადფაქარი" მეფის სუბატის ხელში ყოფილა (საქართველოს სამოთხე 394). შემდეგშიაც ეს კუთხე მათ ხელითგან არ გაუშვიათ. რაკი სამხრეთით და დასავლეთით ძლიერი მეტოქეები, არაბები და ბიზანტიელნი, ჰყავდათ, ჩრდილოეთით-კი მათ იმ დროს ღონიერი მოწინაღმდეგე არ ეგულებოდათ, რათგან საქართველოს ჯერ კიდევ ძალა მთლად მოკრებილი არ ჰქონდა, ამიტომ სომეხთა ენერგია იქითკენ მიისწრაფებოდა, სადაც ნაკლებ წინაღმდეგობას მოელოდნენ.

მე-X-ე საუკ.-ის დასასრულსაც ტაშირი და "ქართველთა ველი" ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომხეთ ეჭირათ და დავით გურგენის შვილს ეპყრა. ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია და ქ. დმანისიც აიღო. გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი, თუმცა გრიგორიანი იყო, მაგრამ მოინათლა და ქართველებს მიემხრო. მისი შვილი ტაშირის "მამფალი" იყო. დავით გურგენის შვილმა იგი გაგითგან განდევნა, მაგრამ უკვე 1001 წ. თვით დავითიც მისი ბიძის სომეხთა მეფის გაგიკის მიერ დამორჩილებული იქმნა (ქართველი ერის ისტ. II, 420- 421 გვ).

§1-2. ქვემო ქართლის ვითარება და მნიშვნელობა XI-XII-ს საუკუნეებში.

ვერც ამ მეორეგზისმა სომეხთა მიერ დაპყრობამ შესცვალა არსებითად ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის ძირითადი კუთვნილების საკითხი. თუმცა მართალია თავიანთ მფლობელობის დროს სომხებმა აქა-იქ საეკლესიო ძეგლები და კულტურული კერა შექმნეს, რომელთაც სომეხთათვის თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდათ და თვით მოსახლეობაშიაც დროებითი პოლიტიკური ბატონობის წყალობით სომხობა წინანდელთან შედარებით უფრო უნდა გაძლიერებულიყო. მაგრამ თვით ქვეყანა წინანდებურად ქართული იყო და ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილად ითვლებოდა.

ამიტომაც იყო,რომ მე-XI-ე საუკუნეს ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველს ქართლის სამზღვრად აღნიშნული აქვს "აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდაოჯისი... სამხრითა მთა, რომელი მიჰყუების ბერდაოჯის მდინარის თავსა". (ლ. მროველი, ცხორება მეფეთა 97, გვ. 2. ქართველი ერის ისტ. II,283 გვ). მაშასადამე ტაშირიც, ლორეც, ბოლნის-დმანისის ხეობანიც მას წინანდებურად ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა.

საისტორიო გეოგრაფიას სომეხთა დროის ამ კუთხეში პოლიტიკური მბრძანებლობის სახსოვრად ტერმინი "სომხითი" შერჩა. ეს სახელი ძველად სრულებით უცნობი იყო და მხოლოდ მე-X-ე საუკუნითგან მოყოლებული გვხდება. "სომხითი" ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც და საყურადღებო ისაა. რომ ვითარცა საგეოგრაფიო ტერმინი მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა. სომხები და სომხური საისტორიო მწერლობა ამ ქეყანას "სომხითს" არ ეძახდენ. პირიქით ისინი ლორე-ტაშირის ველს "ქართველთა ველს" უწოდებდენ (იხ. ზევით და Brosset Description geographique de la Georgie 148 გვრ. 2). ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავიანთ პოლიტიკურ ბატონობისდა მიუხედავად თვით ქვეყანას სომხებიც თავისდა-თავად ქართველთა კუთვნილებად სთვლიდენ.

მე-XI-ე საუკ-ის პირველ ნახევრითგან მოყოლებული თანდათან მდგომარეობა იცვლება.

მას შემდგომ რაც ბაგრატ III-ემ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოოდ გააერთიანა, ქართველობამ წელი გაიმაგრა და საქართველოს მერმინდელი მეფეები ჩვენი ქვეყნის იმ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგენ, რომელიც ჯერ კიდევ უცხო, გარეშე ძალის ხელში შერჩენილი იყო. თბილისის საამირო და სომეხთა მიერ დაპყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და მე-XI-ე ს-ში ქართველთა მთელი ძალ-ღონე სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოხმარდა.

1032 წ. ლიპარიტ ერისთავმა და იოანე აბასასძემ ბაგრატ IV თანხმობით ტფილისის ამირას ჯაფარს ბირთვისი წაართვეს (ქართველი ერის ისტ. II 433 გვ.) ხოლო ცოტა ხნის შემდგომ 1037-1038 წ. იმავე ტფილისის ამირას ხელითგან გამოაცალეს ციხეები ორბეთი და ფარცხისი (იქვე 434 გვ.). ამ გვარად ქართველობა ტფილისს ზურგით მოექცა და იქითგან ტფილისის მაჰმადიან ამირებს სამხრეთის დანარჩენ მაჰმადიანობასთან კავშირი მოუსპო. და გზები შეუკრა.

უფრო სამხრეთით სომეხთა მიერ დაპყრობილი ქვეყანა იწყობოდა. აქ 1065 წ. სამშვილდეში "სომეხთა მეფედ" კვირიკე იჯდა, რომლის ძმასაც სუმბატი ერქვა. მას ემორჩილებოდენ "ორნი ერისთავნი": "ლოკის ერისთავი და კაქვაქარისა", რომელთა ხელთ იყვნენ ოფრეთისა, ქობა(ირ)ისა და ვარზაქარის ციხეები. ბაგრატ IV-მ კვირიკე მეფე ქუეშის ჭალაში დააჭერინა და თუმცა სომეხთა ერისთავები სამსავე ციხეს აძლევდენ, მაგრამ "შეეწყალნეს ბაგრატ მეფესა და ამიტომ სამშვილდის მეტი არა ჩამოურთმევია რა. სამაგიეროდ საქართველოს მეფის მონებდეს სომეხნი. (ქართვვლი ერის ისტორია, II, 449 გვ.).

ამგვარად ამ "სომხითის" დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკედ იქცნენ.

ამის შემდგომ თვით ტფილისიც კვლავინდებურად საქართველოს მეფეს დაემორჩილა. 1068 წელს ბაგრატ IV ტფილისის ამირობა სითილ არაბს უწყალობა, მაგრამ თავის მოხარკედ გახადა და სხვა ციხე-ქალაქებიც ჩამოართვა (ქართველ ერის ისტ. II, 455 გვ.).

სელჩუკიან თურქთა შემოსევამ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიაც გიორგი II-ის მეფობაში გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი ქვემო ქართლის კუთხის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა: თურქობა კვლავ ტფილისს, სამშვილდეს, აგარათ, რუსთავს დაეპატრონა. მათვე დაიპყრეს მთელი "სომხითიც" (ქართველ ერის ისტ. II,447-453 გვ.). იმის შემდგომ ქართლის სამხრეთს ნაწილში "სომხითის" მეფობის არსებობაც მოისპო. ამიტომ როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წ. ძერნა და სამშვილდე კვლავ დაუბრუნა საქართველოს (იქვე 511 გვ.), ხოლო ამის შემდგომ თავზარდაცემულმა თურქებმა უბრძოლველად დასცალეს "უმრავლესნი ციხენი სომხითისანი." (იქვე 512 გვ.), 1118 წელს-კი მან მტერს ციხე ლორე და აგარანი წაართვა (იქვე 514 გვ.), ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო, — მაშინ ხომ "სომხითი" ვითარცა პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, — არამედ სელჩუკიან თურქთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა. ამიერითგან მოყოლებული მთელი ეს კუთხე საქართველოს სამხრეთი ნაწილი და თვით "სომხითიც საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომხებს არას დროს აღარა სჭერიათ.

ძველ დროსაც რომ ქართველებს ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილის ე. წ. სომხითის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს თავდაცვისათვის კარგად ესმოდათ და მას განსკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდენ, ეს იქითგანაც სჩანს, რომ საქართველოს მეფეებმა ჯერ მიზნად ამ კუთხის უცხო ძალისგან განთავისუფლება დაისახეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართველთა ხელში იყო, თვით საქართველოს დედაქალაქის შემოერთებას შეუდგენ. თვით ტფილისის აღების შემდგომაც "სომხითს საქართველოს მთავრობის თვალში თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ "სომხითის ციხე ლორე" საქართველოს ჯარის მთავარსარდლისა და სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის "საჯდომა"-დ ანუ რეზიდენციად ითვლებოდა, უეჭველია იმ აზრით, რომ აქეთგან სამხრეთით მომავალი მტრისაგან საქართველოს დაცვა საუკეთესოდ შეიძლებოდა და აქ მცხოვრებ სამხედრო მინისტრს უფრო ფხიზლად ეჭირებოდა თვალი სახელმწიფოს ამ ფრიად მნიშვნელოვან საზღვრებზე.

§1-3. საქართველოს ვითარცა მფარველ და თავშესაფარ სახელმწიფოს მნიშვნელობა და მიმზიდველობა სომეხთათვის.

დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.) მეფობითგან მოყოლებული საქართველო იმდენად ძლიერ სახელმწიფოდ იქცა, რომ მისი ზრდა შეუჩერებლივ წინ მიდიოდა მე-XIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედამდის. ვითარცა ერთად-ერთი ძლევამოსილი საქრისტიანო სახელმწიფო მცირე აზიაში, საქართველო მაჰმადიანთა მონობაში მყოფ სხვადასხვა ქრისტიან ერების მფარველად და მხსნელად იყო. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში და შევიწროებული იყო სომხის ერი, რომელიც ამიერკავკასიაში რამოდენსამე მაჰმადიანს სახელმწიფოს შორის განაწილებული და იმდენსავე სულტანის ან მთავრის (შირვანშის, არმენშა, ისკარის ამირას, რუმის სულტანის და სხვათა) თვითნებობას ემორჩილებოდა. მაშინ სომეხნი პირადადაც შევიწროებულნი იყვნენ და მათი სარწმუნოებრივი და ეროვნული გრძნობაც იმდენად შელახული იყო, რომ მათი საუკეთეს სალოცავი კათოლიკე ეკლესია ანისში მიზგითად იყო გადაკეთებული (მათე ურჰაელის ისტ. 451-445 გვ. და ვარდანის მსოფლიო ისტ. I56-157 გვ. და ქართველ. ერის ისტ. II, 526-527 გვ.), ხოლო წირვის დარეკვის უფლებაც არა ჰქონდათ.

ამიტომაც იყო რომ სომხობა ასეთი სიხარულით ეგებებოდა საქართველოს სამხრეთისაკენ ძლევამოსილს წინსვლას. ქართველთა ბატონობას მათთვის ფიზიკური განადგურებისაგან და მაჰმადიან ქართველთა აუტანელი და თავმოყვარეობის შემლახველი ძალმომრეობისაგან ხსნა მოჰქონდა.

სწორედ ამ დროს, დავით აღმაშენებელის, დიმიტრი I, გიორგი III და თამარის მეფობაში, როდესაც საქართველომ მცირე აზიაში აზრუმის სულტანს მოახრეინა ქედი, ხოლო სპარსეთში ქ. ყაზმინამდე და გურგანამდე მოაღწია. შავი ზღვითგან კასპის ზღვამდე იყო გადაჭიმული, სომხებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. მათ ძლიერი მფარველი ჰყავდათ. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ქ. ანისის კულტურული და მოქალაქეობრივი უადრესი აყვავების ხანა სწორედ ქართველთა პოლიტიკური ბატონობის დროს იყო. უეჭველია, საქართველოს ძლევამოსილმა წინსვლამ სამხრეთისაკენ სომეხთა ერს საუკეთესო საშუალება მისცა თავისი ფიზიკური არსებობაც შეენარჩუნებინა და მომავალ განსაცდელის საბრძოლველადაც მოღონიერებულიყო.

§ 1- 4. ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის და სამხრეთის სამზღვრები XVI-XVIII საუკუნეში.

შემდეგში როცა საქართველო პოლიტიკურად დაუძლურდა და რამდენიმე სამეფოდ იქცა, სახელმწიფოებრივი სამზღვრებიც მე-XII-ე საუკუნესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, ქვემო ქართლის ანუ ლორე-ტაშირ-სომხითის საქართველოსთვის გარეშე მტრისაგან თავდაცვის დროს უაღრესი მნიშვნელობა უფრო ცხადი და თვალსაჩინო გახდა. ამიტომაც იყო, რომ მთელი ეს ტფილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით "მეწინავე დროშა"-დ იწოდებოდა. ეს კუთხე იყო, რომ სამხრეთით მდებარე ქვეყანა ქართული სახელმწიფო სამართლის მიწაწყალზე უნდა გაეწია ქართველ ჯარს მისთვის პირველი და გადამწყვეტი წინააღმდეგობა.

საქართველოს მტრებსაც ამ ქვეყნის უდიდესი მნიშვნელობა მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული. მათ ესმოდათ, რომ მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელ კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა. აკი საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰაბაზმა გიორგი მეფეს მოსთხოვა: "ჯერ-არს რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდურჯის მდინარით"-ო. მაშინ ბერდუჯის მდინარე სამზღვარი იყო ქართლის სამეფოსი და ძალზე შეწუხდა, "შეუძნდა ესე ფრიად მეფესა". ჯილდოს შენგან მოველოდდი და არა წართმევას "მიხმასა საზღვართა ჩემთასა"-ო. მაგრამ შაჰაბაზმა იცოდა რასაც თხოულობდა და სწორედ მიტომაც მისი სურვილი შეუდრეკელი იყო (ვახუშტი, საქართველოს ცხორება, ჭიჭ. 52 გვ.). სახელოვანი ქართველი მეცნიერი ბატონიშვილი ვახუშტი სრულებით მართალი იყო, როდესაც ამ გარემოების შესახებ ამბობდა, ეს ქვეყანა "შაჰაბაზ ამისის განზრახვით მიიღო რამეთუ "მექმნებისო შესავალ-გასავალი ქართლსა შინა-ო" (გეოგრაფია 140-142 გვ.). სწორედ ეს გარემოება იყო და არის, რომ საქართველოს მტრებს ეს კუთხე ასე იზიდავდა და ყურადღებას იპყრობდა.

იგივე გარემოება მეორეს მხრით თვით საქართველოს მმართველ წრეებს და ერს საქართველოს ამ მართლადაც "მეწინავე დროშისა" და სამხრეთის ერთად-ერთ საფარის დარაჯად ხდიდა და თუმცა სპარსეთის ბრძანებელიც, ოსმალეთის ფაშებიც მუდამ ამ კუთხის დაპყრობას ლამობდენ, მაგრამ ქართველობას ამ ქვეყნის შესანარჩუნებლად თავისი სიცოცხლე არ დაუზოგია. და ამიტომაც იყო, რომ მან გაიმარჯვა. თვით აღმ. საქართველოს დაკნინების დროსაც-კი, ვახტანგ VI მეფობაში და მე-XVIII-ე ს-ის პირველ ნახევარშიაც, ქართლის სამეფოს სამზღვარი სამხრეთით იყო იქვე, სადაც თავდაპირველად. წერილობითი ცნობებს გარდა ამას ის საქართველოს 1743 წ. რუკაც ამტკიცებს, რომელიც ინახება რუსეთის მთავარ შტაბის სამხედრო-სამეცნიერო არქივში N-ით 505 «Èâåðñêàÿ Çåìëÿ».1

ერეკლე მეფის დროსაც, თუნდა 1783 წ., როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულება დაიდო, სამხრეთით სამზღვარი და მთელი ქვენა-ქართლი, ანუ სომხით-ლორე-ფამბაკ-ბორჩალო საქართველოს უცილობელს საკუთრებას შეადგენდა და კვლავინდებურად სამზღვარი უფრო სამხრეთისაკენაც მდებარეობდა და გამყოფელ ხაზად ერევნის (ფამბაკის) მთები ითვლებოდენ. ეს შეურყევლად მტკიცდება საქართველოში იმ დროს მყოფ რუსეთის ელჩის ბურნაშევის, როგორც წერილობით აღწერილობითგან (იხ. Êàðòèíà Ãðóçèè, ïîëí. îïèñàíèå ტ ., გვ. 2), რომელიც მის მიერ 1786 წ. არის შედგენილი, ისევე და უფრო თვალსაჩინოდ მის

მიერვე 1784 წ. დახატული საქართველოს საერთო რუკითგან, სადაც სამზღვარი წითლად არის შემოხაზული (იხ. Ñ. Í. Áóðíàøåâú-ის Íîâûå Ìàò. რუკა მეორე).

დასასრულ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აღამაჰმადხანის შემოსევის შემდგომაც და აღმ. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროსაც ეგრედ წოდებული "სომხითი" ბორჩალო, ფამბაკი, ყაზახი და შამშადილი საქართველოს უცილობელს კუთვნილებას შეადგენდა და შურაგელიც მასვე ეკუთვნოდა (Äóáðîâèíú. Èñòîð. I, ტ. II 38I-382).

განმსაზღვრელ ხაზის მდებარეობის გამოსარკვევად მკაფიო ცნობები ვახუშტსა აქვს მოყვანილი. მისი სიტყვით "სომხით-ერევნისა და ამისი (ე. ი. ბაბიკის) გამყოფელ არს მთა დიდი მაღალი და მარადის თოვლიანი და კალთათა ტყიანი, რომელი წარვლის დასავლით არტაანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსამდე მივალს. მთისა ამისა სამხრით კერძი სომხით-ერევნისა არის, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა... ხოლო მთა მცირე ბერდუჯის ძეს ჩრდილოეთით და სამხრით და მიადგების წინ-თქმულსა ერევნის მთას აღმოსავლეთის კერძი მთისა ამის რანისა და დასავლეთით კერძი არს ბერდუჯისა" (ვახუშტი. გეოგრაფია, 140).

ამ სიტყვებითგან სჩანს, რომ ვახუშტი ორ მთას ასახელებს საქართველოს სამხრეთით. ერთს, რომელიც დიდი და მაღალია იმდენად, რომ მარადის - თოვლიანად მიაჩნდა, დასავლეთით არტაანამდის აღწევს, აღმოსავლეთით კი რანსა და გელაქუნს შუა გადის და რახსამდე მიდის, ერევნის მთა ჰრქმევია. ხოლო მეორე მთა პატარა ყოფილა და როგორც ეტყობა ორ ტოტად იყოფოდა ისე, რომ ვახუშტის სიტყვით ეს მთა "ძეს ჩრდილოეთით და სამხრით" ამასთაავე იგი თითქოს ერევნის მთის შტოდ ამოდის და მას "მოადგბის"-ო. ამ მთას ბერდუჯის მთა ჰრქმევია.

ამ ტექსტის ფრანგულს თარგმანში აკად. მ. ბროსსეს შენიშვნაში აღნიშნული აქვს, ვითომც იგი რუსულს ბეზობდალის მთას უდრიდეს (გეოგ. 141, შენ. I). მაგრამ საკმარისი იყო ბროსსეს თავის გამოცემული ვახუშტის მიერ დახატული რუკა აეღო, სადაც ქეემო ქართლია (2, არტჰლი აუ . დუ ოურ) და იქ ჩაეხედა, რომ მაშინვე დარწმუნებულიყო, რამდენად შემცდარი იყო მისი ზემოაღნიშნული აზრი. იქ სახელდობრ ერევნის მთა მდ. ბამბაკის სამხრეთით არის დახატული. მაშასადამე ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვახუშტის ერევნის მთები რუსთა საგეოგრაფიო სახელს ბეზობდალის მთებს უდრიდეს იმიტომ, რომ ეხლანდელი ბეზობდალი მთები ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარეობენ. იგივე გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ვახუშტის "ერევნის მთები" აწინდელს რუსულს რუკაზე აღნიშნულს "ბამბაკის მთებს" უდრიდეს, რომელთა მიმდინარეობაც აღმოსავლეთით მართლაც ისეთია, როგორც ვახუშტს აქვს აღწერილი, და გელაქუნის ანუ გოგჩის ტბის ჩრდილოეთით უვლის.

ვახუშტის იგივე რუკა ამტკიცებს, რომ ბერდუჯის მთები უნდა მდ. ბერდუჯის ანუ დებედას, რომელსაც ამ ადგილას რუსები კამენკას უწოდებენ. სამხრეთით მდებარედ ვიგულისხმოთ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ვახუშტის ბეოდუჯის მთა უნდა რუსების მეზობდალის მთებს უდრიდეს.

ამგვარად ირკვევა, რომ საქართვეოლოს სამხრეთით (სომხეთისაგან) ერევნის სახანოსაგან გამყოფელ ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა, რომელთაც ეხლა "ბამბაკის მთები" ეწოდება. ამ დასკვნის სიმართლეს მოსკოვში 1743 წ. დახატული რუსულ-ქართული რუკაც ადასტურებს,

რათგან ამ რუკაზეც საქართველოს სამხრეთის სამღვარი ბამბაკის მდინარის სამხრეთით არის გახაზული. ბურნაშევის მიერ 1743 წ.-ს შედგენილ საქართველოს რუკაც ამასვე ამტკიცებს: იქაც ეს სამზღვარი მდ. ბამბაკის კარგა სამხრეთით ხატია. მაშასადამე მე-XVII-ე ს.-ს დასასრულსაც, საქართველოს რუსეთთან 1783 ხელშეკრულობის დადების ჟამსაც საქართველოს სამხრეთის სამზღვრად კვლავინდებურად ერევნის ანუ როგორც ეხლაა მიღებული "ბამბაკის მთები" ყოფილა.

§1-5. ქვემო - ქართლის უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოსთვის.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ქვემო ქართლი მარტო სამხედრო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით კი არ იყო დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, არამედ მაშინაც მთელ თავის მდებარეობით და გზებით. მთელ თავის ქონებრივი ძალღონითაც, ეკონომიურადაც ის დანარჩენ საქართველოსთან და აღმ. საქართველო მასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულებითგან სჩანს, რომ ტფილისი სამხრეთითგან, სომხით-ბორჩალოთგან შემოსულ სურსათით იკვებებოდა. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. თუმცა აღმოს. საქართველოს სხვა და სხვა ადგილას ოქროს და ვერცხლისა, უფრო-კი სპილენძის მადნები ქონდა. განსაკუთრებით მაინც მადნეულობა იმ მთებში მოიპოვება უხვად. საქართველოს რომ ერევნისაგან ჰსაზღვრავენ (ბურნაშევ. Êàðòèíà 2).

ქვემო-ქართლში ან ე. წ. "სომხით"ში მდებარე ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის მაღაროების საქართველოს ეკონომიურ კეთილდღეობისა და ძლიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ვახტანგ VI-ეს და ერეკლე მეფეს, რომელთაც არაფერი დაუზოგიათ, რომ დროთა ვითარების გამო მიტოვებული და მივიწყებული სამთამადნო საქმე კვლავ განახლებულიყო და გაცხოველებულიყო.

ეს მადნები საქართველოს სახელმწიფოს ფულის მოსაჭრელ ლითონსაც აძლევდენ, — ამით სჭრიდენ მეფეები ქართულ ფულს, — და ამასგარდა წმინდა შემოსავალსაც, რომელსაც მეფეები ჩვენი ქვეყნის გარეშე მტრისაგან დაცვას ახმარებდენ. ნ. ბუტკოვს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს 1778 წ. ერეკლე მეფემაც თავის სახელმწიფოს ყოველ-წლიური შემოსავალი გააძლიერა ახტალაში და სხვა ადგილებში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის მადნეულობით, რომ მან ამ მადნების დასამუშავებლად ბერძნები გამოიწერა და შემოსავლით ნაქირავებ ჯარს ინახავდა საქართველოს დასაცავად (Ìàòåð³àëû äëÿ èñòî÷³è Êàâêàçà, I, 337).

საქართველოს მეფეების მზრუნველობა ქვამადნის განვითარებაზე რომ ბრძნული იყო და ანგარიშში არ მოტყუებულან, ამას ის მრავალმეტყველი გარემოებაც ამტკიცებს, რომ ერეკლეს მეფობის უკანასკნელ წლებშიაც-კი, მე-XVIII-ე ს.-ის დასასრულს, მადნის მაღაროების წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ყოველწლიურს ოქროსა და ვერცხლის ფულად შემოსავლის ერთს მეოთხედს უდრიდა: 400.000 მინ.-ში (ბურნაშევი, Êàðòèíà 5) 100000 მინ.-მდი მადნების წმინდა შემოსავალი იყო.

§1 - 6. ამ კუთხის მოსახლეობის ბედ-იღბალი XVII - XVIII ს.ს. და სომეხთა გადასახლება.

თვით ქვემო-ქართლის სტრატეგიული მდგომარეობის გამო, ვითარცა საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანს ქვეყანასა და "მეწინავე სადროშოს", მას ხშირად ბრძოლისა და

მტრის თავდასხმის ასპარეზად ხდიდა და ამის გამო მოსახლეობა აქ მრავალჯერ დაზარალებულა და არა ერთხელ სრულებით ამოწყვეტილა კიდეც. უფრო ძველ დროსაც რომ თავი დავანებოთ, მარტო შაჰაბაზის შემოსევამაც ამ მხრივ დიდი ზიანი მოუტანა. ამას გარდა, სპარსეთის შაჰებს რომ საქართველოში მუდამ ერთგული წინამავალნნი და მომხრენი ჰყოლოდენ, შაჰაბაზმა აქ თურქთა ერი ბორძალუ ჩაასახლა. თანდათანობით ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანებიც გაჩდენ (ვახუშტი 70). ხშირი სამხედრო მოქმედების გამო ეს ქვემო-ქართლი, "თრიალეთი, ტაშირი და აბოცი" მთლად აოხრებული იყო. იქ "კაცნი არღარა იყუნენ" და მხოლოდ ვახტანგ V-ემ კვლავ დაასახლა იგი (იქვე 82 გვ.).

თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა მე-XVI-XVIII-ე საუკუნეში შეწუხებული იყო გარეშე მტრისაგან, ადვილი წარმოსადგენია რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელიც მე-XI-ე ს-ითგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრივობას მოკლებული იყო და მე-XVI-ე ს-ითგან მოყოლებული ხომ სახანოების ქვეშევრდომებად ითვლებოდა. აუტანელ მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივ და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნისგან იყრებოდა, მამა-პაპევულს მიწაწყალს სტოვებდა და სხვა უფრო მყუდრო ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეძებდა თავშესაფარს. საქართვვლო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, — საქართვეოლოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა, — და თანაც საქართველოში შემოხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ გარემოება მათთვის ხელსაყრელად შეიცვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნებულიყვენ. ამიტომ იყო, რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდენ. ჩვენში ეძებდენ და პოულობდენ კიდეც თავიანთვის თავშესაფარს.

სრულებით ბუნებრივია, რომ ისინი სახლდებოდენ განსაკუთრებით იმ კუთხეში, რომელიც სომხეთის მოსაზღვრე იყო და სადაც თავისუფალი სამოსახლო ადგილი მოიპოვებოდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისინი შემოიხიზნებოდენ ხოლმე სწორედ ქვემო ქართლში, რომელი ჩრდილოეთით ერევნის მთებს ეკრა ე. წ. სომხითში, ლორეში, ტაშირში და სხვაგან. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ "სომხით"-ში ვახტანგ VI დროს "მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა"-ო (გეოგრაფია 146). ტაშირის შესახებაც მას ნათქვამი აქვს, რომ იქ მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი, ავფერადი უშვერად. გარნა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათ, შინა გამოუცდელნი უხმარნი"-ო. (იქვე 148 გვ.).

მაგრამ არც ეს სომხური შემოხიზნული მოსახლეობა შერჩენილა აქ დიდ ხანს. თურქების შემოსევის დროითგან მოყოლებული მე-XVIII-ე ს.-ის მეორე მეოთხედშიც, თურქებისა და ლეკებისაგან სხვებზე უფრო ძლიერად ეს კუთხე დაზიანდა (ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 122, 137, 1.39. პ. ორბელიანი).

ამ ხნის განმავლობაში ს. საქართველოს სამხრეთის კუთხე ისე აოხრდა და გაუკაცრიელდა, რომ 1760 წლსათვის როგორც რუსეთის ხელმწიფისათვის გაგზავნილს აღწერილობაში ერეკლე მეფე სხვათა შორის ამბობს, მოსახლეობის 1-2%-ზე მეტი შერჩენილი არ იყო.

მე-XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამგვარ აოხრებისა და ხალხის გადასახლების წყალობით სომეხთა მოსახლეობა თვით მათს მკვიდრს მიწა-წყალზეც ისე შემცირდა, რომ ერევანის სახანოში ითვლებოდა 3000 სახლობა, ნახჭავანში 500, ყარაბაღში 7000, ყარადაღში 300, განჯაში 1500. დანარჩენნი მათ სამშობლოში აღარა სცხოვრობდენ. დარუბანდში 1000, მარაღაში 2000, ხოიში 1000 სახლობა ითვლებოდა (ნ. ბუტკოვი - Ìàòåð³àëû, II, 142). ამგვარად სომეხთა რიცხვის ჯამი მთელს ამიერკავკასიაში 17000 ოჯახობას უდრიდა.

§1 - 7. სომეხთა გადმოსახლების განსაკუთრებული ხასიათი XVIII-XIX ს.-ში.

ერეკლე მეფის დროს სომეხთა საქართველოში შემოხიზნის ხასიათი, როგორც ეხლა ირკვევა, თვალსაჩინოდ იცვლება. თუ წინათ ეს გადმოსახლება სტიქიური თვისებისა იყო და მას არავითარი პოლიტიკური მიდრეკილება და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე-XVIII-ე საუკ.-ის დასასრულს გარკვეული პოლიტიკური ელფერიც ზედ დაერთო. თუ წინათ საქართველოში მომავალი სომხები საქართველოს მფარველობისა და ქვეშევრდომობის მოიმედენი იყვნენ ხოლმე, ამიერითგან ისინი უკვე გარეშე ძალის მფარველობას ეძებდენ და მათის დახმარებით ცდილობდენ საქართველოში თავიანთ საქმის გაკეთებას. როდესაც სომხებმა შეიტყეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთთან ხელშეკრულობასა სდებდა და რუსეთის კავშირსა და მფარველობას ეძებდა. ჯერ კიდევ ხელშეკრულობა დადებული და ხელმოწერილი არ იყო, რომ სომეხთა ეპისკოპოსებმა, მელიქებმა და სხვა წარჩინებულმა პირებმა რუსეთის მთავრობას 1783 წ. 3 მარტს შედგენილ თხოვნა მიართვეს, რომელშიაც ყარაბაღისა და ყარადაღის სომხები რუსეთის სამეფო სახლობას ერთგულებას უცხადებდენ და თანაც უცხელთა ბატონობისან განთავისუფლებას სთხოვდენ. რუსეთის მთავრობას ეს რასაკვირველია მოეწონა და მან გადასწყვიტა მეფე ერეკლეს დახმარებით შუშის ხანი დაემხო და ყარაბაღითგან და ყარადაღითგან ერთი სომხური ოლქი (îáëàñòú) შეედგინა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რუსეთისაგან უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ამ ოლქს მართვა-გამგეობა სომეხთა თანამემამულეს უნდა ჩაჰბარებოდა და კარგად უნდა მოწყობილიყო, რომ დანარჩენ სომხების ოლქებსაც ყარაბაღელი სომხებისათვის მიებაძათ და მათთან შეერთებულიყვნენ. ამ გზით რუსეთის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ აზიაში საქრისტიანო სახელმწიფოს ააღორძინებდა (Í. Áóòêîâú Ìàòåð³àëû II, 142).

ეს უკვე გარკვეული პოლიტიკური გეგმაა, რომელიც თითქოს სომეხთა საკეთილდღეოდ იყო შედგენილი, მაგრამ რომლის განხორციელებაც რუსეთს ამიერკავკასიაში მტკიცედ ფეხს მოაკიდინებდა. საქრისტიანო სომხურ სახელმწიფოს აღორძინება სომეხთა გულითადი ნატვრა იყო და უეჭველია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ სწორედ მათ მისაზიდავად და აღსაფრთოვანებლად იყო ამ გეგმაში ეს აზრი შეტანილი.

ამიერითგან მოყოლებული უცნაური მდგომარეობა შეიქმნა. სომხები ორმაგს კავშირს იჭერდენ ერთის მხრით საქართველოსთან, მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან, საქართველოში შემოიხიზნებოდენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი, და შედარებით მყუდრო თავშესაფარს პოულობდენ. იმავე დროს, მეორე მხრით-კი იდუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდენ ხოლმე და რუსეთის მთავრობის დახმარებით საქართველოში თავიანთ საქმეს იკეთებდენ.

როგორც არა ერთხელ ეს ქართველებსაც შემთხვევიათ, სომხებმაც პირადად გამოსცადეს, რამდენად სახიფათო იყო რუსეთის დახმარების მოიმედეობა. რუსეთმა. რომ ერეკლე მეფესთან

დადებული ხელშეკრულობისდა მიუხედავად საქართველოთგან მეშეელი ჯარი მთლად გაიყვანა და ჩვენი ქვეყანა გააფთრებულ მტრების პირისპირ დასტოვა. ამის საბედისწერო შედეგი მარტო საქართველომ კი არ იგრძნო, არამედ სომხებმაც და თვით ყარაბაღის მფლობელმა იბრაჰიმ ხანმაც. აღამახმედ ხანის შემოსევის დროს ყარაბაღის ხანი იძულებული იყო ყველა სომხებისათვის, ვისაცა-კი იარაღის ხმარების უნარი არ ჰქონდა ან ციხეში არ დაეტივნენ, მეზობელთა სამფლობელოებში საქართველოში გახიზვნის ნება მიეცა იმ იმედით, რომ როცა ქარიშხალი დაწყნარდებოდა ისევ უკან დაებრუნებინა, მაგრამ არამც თუ გახიზნებული სომხები ყარაბაღში აღარ დაბრუნებულან, სხვებმაც-კი მათ მიჰბაძეს. თავიანთ მელიქების წინამძღოლობით აიყარნენ და ზოგი განჯაში, ზოგი კიდევ ისევ საქართველოში გადასახლდენ (იხ. Çàïèñêà Êîâàëåíñêàãî î Ãðóçèè ÀÊÀÃÊ ò. I, გვ. 120).

იმ დროს, როდესაც ერთი მხრით სომეხთა კათალიკოზმა ლუკამ საქართველოს ასაოხრებლად 1795 წ. მომავალს სპარსეთის შაჰს აღამაჰმედხანს, ალბად შიშით, "სამხედრო ხარჯების დასაფარავად 100.000 მ. მისცა, მეორე მხრით და იმავე დროს შეძლებული სომხები ყარაბაღითგან, ერევნითგან, ნახჭავნითგან და სხვა ადგილებითგან მაჰმედიან მცხოვრებლებთან ერთად საქართველოში გამორბოდენ და იქ ბამბაკის ხეობაში იხიზნებოდნენ იმ იმედით, რომ აღამაჰმედხანი საქართველოში შესევას ვერ გაბედავდა (Áóòêîâú Ìàòåð³àëû II, 337).

ტფილისის აოხრების შემდგომაც მელიქები აბოვი და მეჯლუმი თავის ყმებიანად ისევ ერეკლე მეფეს შეეხეეწნენ და საქართველოში დასახლების ნებართვა სთხოვეს (ÀÊÀÃÊ ò. I, 113 და 134). ერეკლე მეფემ მელიქ აბოვის ვედრება შეისმინა, ს. ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა ვალად დააკისრა (იქვე. 1, 116 შენ.).

დანარჩენმა სომეხმა მელიქებმა სხვა გზა ირჩიეს: მელიქების ჯიმშედისა და ფრიდონის მეთაურობით საქართველოს მეფეს ზურგი უქციეს და პირდაპირ რუსეთის მთავრობასთან დაიჭირეს საქმე, წავიდენ და ხუთივე სომეხ მელიქის სახელით რუსთ ხელმწიფეს იდუმალი თხოვნა მიართვეს, თქვენ ქვეშევრდომებად და მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო. ამასთანავე ისინი თხთულობდენ, რომ მათ რუსთ ხელმწიფესაგან, ან რუსეთში შეხიზვნის, ან იმავე პიროობით საქართველოში დასახლების ნებართვა მისცემოდათ (იქეე I, 123. 134).

უეჭველია ეს უკვე სრულებით შეუწყნარებელი საქციელი იყო: საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის წყალობით სომხები თავიანთთვის საქართველოში აუცილებელ განადგურებისაგან თავშესაფარს პოულობდენ, მადლობის მაგიერ-კი საქართველოს შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევისათვის ცდილობდენ და რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის მიღებით ჩვენში მიწა-წყლის მიღება ჰსურდათ. მათი საქციელი საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და ჩვენს ქვეყანაში რუსეთის გაბატონებას უწყობდა ხელს. როგორც ეტყობა სომეხი მელიქები ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ რათგან დარწმუნებული იყვნენ. რომ თავიანთ მიზანს მიაღწევდენ.

მართლაც, რუსეთმა ისინი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და, თუმცა ეს დადებული ხელშეკრულობის დარღვევა იყო, მაგრამ მაინც რუსთ ხელმწიფეს მათთვის სხვის სახელმწიფოში დასახლების ნებართვა მიუცია. ასე იყო ეს საქმე მოწყობილი ფარულად. ოფიციალურად კი რუსეთის ელჩს საქართველოში დავალებული ჰქონდა, რომ ის საქართველოს მეფესთან ცდილიყო

და სომეხ მელიქებისა და მათ ყმებისთვის დასასახლებელი მიწები განსაკუთრებით შეღავათიან პირობით დაეთმებინებინა. მიწერილობაში ნათქვამი იყო, რომ ელჩს უნდა ჩაეგონებინა მეფისთვის, ვითომცდა რუსეთის მთავრობა იმ შემთხვევაში თვით საქართველოს საკეთილდღეოდ ცდილობდა (იხ. Èíñòð. èçú Ãîñóä. Êîë, Èíîñò, äåëú Êîâàëåíêîìó, ÀÊÀÃÊ ò. I 94 § 10).

ყველამ კარგად იცის, რომ დიდ მფარველ სახელმწიფოს თხოვნა პატარასთვის იძულებას უდრის. ამის წყალობით სომხებმა და რუსეთის მთავრობამ თავიანთ წადილს მიაღწიეს. სომხებმა მიწები მიიღეს, რუსებმა კი საქართველოში იდუმალი ქვეშევრდომები და თავიანთ გაბატონების უერთგულესი წინამავალი რაზმი გაიჩინეს. ერეკლე მეფემ დაასახლა ისინი ზოგი თელავში, ზოგი სიღნაღში.

ქვემო ქართლში ე. წ. სომხითში და ლორეში, მელიქ აბოს გარდა არავინ დასახლებულა. ის მაშინაც, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-29 წლებში, როდესაც ოსმალეთითგან 100000 სული მცხოვრები. ხოლო სპარსეთითგან 30000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოს მაზრაში, ნაწილი ერევნის გუბერნიაში დაეშენა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლე ობა (ივანენკო Èñòîð³ÿ ãðàæä. óïð. და Øàõàòóíÿíú Àäìèí. ïåðää. 168-179).

§1 - 8. ქვემო ქართლის კუთვნილების საკითხი ისტორიულისა და თანამედროვე თვალსაზრისით.

ამგვარად ორი გარემოებაა სრულებით ცხადი. ერთი ის, რომ ამ კუთხის ახალშენი სომხები იმ სომეხთა მემკვიდრეები არ არიან, რომლნიც საქართველოს ამ კუთხის სომეხთა მიერ ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ მოტაცებისა და ბატონობის გამო აქ ქართველ მკვიდრ მცხოვრებთა შორის გაჩნდენ, არც იმ სომეხთა მემკვიდრენი არიან, რომელნიც შემდეგ სუკუნეებში საქართველოს მთავრობის ნებართვით დროგამოშევბით სახლდებოდენ. (ის მოსახლეობა ხომ რამდენჯერმე ხან აიყარა სამუდამოდ, ხან მტრის მრავალ გზის შემოსევისაგან მკვიდრ ქართველებთან ერთად ამოწყდა), — მეორეც ის, რომ სომეხ მცხოვრებთა ეხლანდელი სიმრავლე საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე გარემოებათა ბუნებრივი შედეგი კი არ იყო, არამედ მხოლოდ რუსთა მთავრობის პოლიტიკურ გეგმის წყალობით მათი უცხოეთითგან ხელოვნური გადმოსახლების შედეგი.

ამ ხელოვნურ ხელშემწყობ პირობებისდა მიუხედავად სომხები მაინც მცხოვრებთა შორის აბსოლუტურ სიმრავლეს კი არ შეადგენენ, არამედ მხოლოდ შედარებითს. 1897 წ-ის საყოველთაო აღწერის თანახმად ბორჩალოს მაზრაში სულ 128587 მცხოვრები ითვლებოდა და მათ შორის სომხები 48609, თურქ-თათრები 37609, ბერძნები 21347 და ქართველები 6685 (იხ. აგრეთვე Øàõàòóíÿíú Àäìèí. ïåðää. 72).

საგულისხმიეროა და დამახასიათებელი, რომ საქართველოს და სომხეთის პოლიტიკური განახლება და დამოუკიდებლობის აღდგენა ამჟამადაც სომეხთა იერიშით და ომით დაიწყო ისევ საქართველოს სამხრეთის სამზღვარზე მდებარე ქვეყნის ქვემო ქართლის, ანუ როგორც იგი რუსების მიერ წოდებულია, ბორჩალოს მაზრის დასაპყრობად.

ზემოთქმული ვრცელი მიმოხილვის შემდგომ. რომელშიაც აღნუსხული იყო საუკუნეთა

განმავლობაში საქართველოს ამ კუთხის მგომარეობა. დასკვნა ძნელი არ არის. თავისდათავად ცხადია სომეხთა უკანასკნელი დასახლება ქვემოქართლში საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილების მდგომარეობას ვერც ერთის მხრით ვერ შესცვლიდა.

რუსეთთან 1783 წ. დადებული ხელშეკრულების ძალითაც და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს რეალური მფლობელობითაც პოლიტიკურად იგი საქრთველოს უცილობელი კუთვნილება იყო, ხოლო რუსეთთან შეკრულ კავშირსა და მფარველობის ერთად-ერთი მიზანი საქართველოსთვის ჩვენი ქვეყნის მიწაწყლისა და დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა შეადგენდა. ეს დებულება თვით ხელკრულებაშიც არის შეტანილი და იქ მეორე მუხლში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელმწიფე თავდებობას კისრულობს, რომ მეფე ერეკლეს მაშინდელ სამფლობელოს ანუ სამეფოს მთლიანობა და ხელშეუხებლობა დაცული იქნებოდა (Å. Â. äàåòü Èì ïåðàòîðñêîå ñâîå ðó÷àòåëüñòâî íà ñîõðàíåí³å öåëîñòè íàñòîÿùèõú âëàäåí³é Å. Ñ. Öàðÿ Èðàêë³ÿ Òåéìóðçîâè÷à).

მაშასადამე, როდესაც რუსეთის მთავრობა ამ ქვემო ქართლში სომხებს დასახლების ნებას აძლევდა, ეს შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნოგრაფიული თვისების მოვლენა ყოფილიყო და თვით საქართველო და ქართველობა ამ გარემოებას ვერას გზით მის მიწა-წყლის სახელმწიფოებრივ სამზღვრებს შემცვლელ გარემოებად ვერ ჩასვთვლის მით უმეტეს, რომ სომეხთა სამშობლოთგან აყრა და საქართველოში გადმოსახლება მათი ოსმალეთისა და სპარსეთს მიერ დევნის შედეგი იყო და ცხადია, რა წამს მდგომარეობა მათთვის საკეთილდღეოდ შეიცვლებოდა, ისინი ისევ თავიანთ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნ.

რაკი სომეხთა დასახლებით ქვემო-ქართლში, ბორჩალოს მაზრაში, იმ კუთხის გეოგრაფიული თვისებებიც, თავის-თავად ცხადია, არ შეცვლებოდა, საუკეთესო გზებიც ტოპოგრაფიული პირობების გამო ტფილისისაკენ არის მიმართული და ამის გამო ეს მხარე წინანდებურად დანარჩენ საქართველოსთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული, ამიტომ ეკონომიურ დამუკიდებულების ვითარებაც მისი და ჩვენი ქვეყნის დანარჩენ ადგილებს შორის არ შეცვლილა, — კვლავინდებურად ეხლაც ეს კუთხე საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს გარემოება ამ კუთხის თვით ადგილობრივ დაწესებულებთა წარმომაგენლებსაც არა-ერთხელ ხმამაღლა აღუნიშნავთ ამ დროსაც, როდესასაც პოლიტიკური საკითხის წამოყენება ჯერ ფიქრადაც არავის მოუვიდოდა, იმ დროს, როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა თავგამოდებულ მომხრეობით ცნობილი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი იყო. სომხებმა ისარგებლეს ამ ხელსაყრელ შემხთვევით და ვორონცოვ-დაშკოვის წყალობით წამოაყენეს საკითხი ბორჩალოს და აქალქაქის მაზრების ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფისა და გუმ-ბრთან შეერთების შეასხებ, რომ ამგვარი სრულებით ხელოვნური საშუალებით გუმბრის (ალექსანდროპოლის) გუბერნია შეექმნათ.

სომეხთა სურვილი რომ განხორციელებულიყო ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა ეს საკითხი შეესწავლათ და შესაფერისი მოხსენება დაემზადებინათ. ამიტომ 1913 წელს 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორმა ბორჩალოს სამაზრო კომისიას მწერლობა გაუგზავნა, რომ მას მცოდნე პირთა თანდასწრებით ადგილობრვ გამოერკეია, შესაძლებელია თუ არა, რომ ბორჩალოს მაზრა გუმბრს (ალექსანდროპოლს) შეუერთდეს ერთ საგუბერნიო ერობის შესადგენად. ამ სამაზრო კომისიამ, რომელშიც ერთი რუსი იყო (მომრიგებელი

მოსამართლე ბურნაშოვი), 6 სომეხი (გადასახადთა ინსპექტორი ზახარიანცი, შულავერის საზოგადოების წარმომადგენელნი ერიბეკევი და ვ. მეჰრაბოვი, ჯალალოღლის საზოგადოების წარმომდგენელნი ვ. სააკოვი და მ. ბახშინოვი, ბოლნის-ხაჩინის საზოგადოების წარმომადგენელი ვ. ავეტისოვი), 4 თათარი (მეჰტი-აღა-სულთანოვი, ახმედ მირზა მამედ-ოღლი შამილი, აბბას-ოღლი და აბდურახმან გაიბმოვი), 1 გერმანელი (იაკობ ტაუში) და 2 ქართველი (მაზრის უფროსის თანაშემწე ინალიშვილი, გადასახადთა ინსპექტორი ბარათაშვილი), ერთმხრივ დადგინა, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის (“âäèíî-ãëàñíî âûñêàçàëèñü çà íåæåëàòåëüíîñòü âûäåëåøÿ Áîð÷. ó. èçú ñîñòàâà Òèôë. ã.”). თავიანთი დასკვნა მათ იმ მოსაზრებით აქვთ დასაბუთებული, რომ ეს მაზრა აღმოსაელეთით და სამხრეთით მთებით არის მორთული და გუმბრისაკენ მიმართული ორი საურმო (ბეზობდალისა და გულიბულახის) გზატკეცილი ზამთარში ნამქერების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული, იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება.

ბორჩალოს სამაზრო კომისიის ეს დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომ, რომელშიაც 11 რუსი სხვადასხვა მოხელე იღებდა მონაწილეობას გუბერნატორითგან მოყოლებული (ჩერნიავსკი, ს. პ. ნოვი, სმირნოვი, კორვინ-პავლოვსკი, კ. სლავინსკი, მ. შესტაკოვი, ე. ციგანკოვი, მ. მისენკო, ს. პერშკე, იზიუმსკი და ჟდანოვი), 3 ქართველი (კ. აბხაზი, ი. აბხაზი და ტ. ქიქოძე) და 2 სომეხი (კ. იუზბაშევი და ელიმიზროვი), მოიწონა და თითონაც სრულებით მიემხრო (ი.ხ. ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ივ. აბხაზის მოხსენება).

ამ ერთმხრივ დასკვნას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში და ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიის სამზღვრებითგან გამოყოფისა და გუმბრთან შეერთების აზრის ამ ერთმხრივს უარყოფას ორსავე განსაკუთრებულ საბჭოში მითუმეტეს აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ თვით ამ საბჭოების მონაწილეებმა კარგად იცოდენ, რამდენად თანაუგრძნობდენ ამ აზრის განხორციელებას თვით მეფის მოადგილე და მისი თანაშემწე, ამიტომ მოსალოდნელი იყო კიდეც, რომ ისინი კავკასიის უმაღლეს მთავრობისა და სომეხთა გულისწადილს კვერს დაუკრავდენ. თუ ამისდა მიუხედავად ეს აზრი ერთმხრივ უარყოფილი იყო ორჯერვე, ცხადია, რომ ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან შეერთება სრულებით შეუწყნარებელი და ბუნებრივ პირობების მოუხეშავი დარღვევა იქმნებოდა.

თ ა ვ ი V. სამხრთ-დასავლეთის სამზღვარი. მესხეთი ანუ ზემო ქართლი.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილს საზოგადო სახელად ზემოქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ-კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ და სწორედ ამ სახელით იქმნება იგი ქვემოთ ნახსენები ხოლმე.

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთითგან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჯაეახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმ-ისპირი. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის

პირას ტრაპიზონამდის უკვე ლაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო.

§ 1. პალაკაციო, ანუ აბოცი და საქართველოს ამ სამზღვრის ხაზი.

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ვითარცა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შუა მდებარე თემი ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა. მაგრამ ხშირად მე-XVII-XVIII-ე ს. ში განსაკუთრებით ქვემო-ქართლის საზღვრებში იყო მოქცული.

აბოცს ძველად პალაკაციოსაც ეძახდენ. შემდეგში-კი, თუნდა მაგ. ვახტანგ VI მეფის დროს. ყაიყული ეწოდებოდა. იგი "გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა". (ვახუშტი. გეოგრაფია 148-150 გვ.). აბოცს ტაშირისაგან იმგვარადვე, როგორც ბერდუჯს, ანუ დებედას ბამბაკისაგან ,ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარადაჯად წოდებული. (იქვე 148 გვ.). ამავე უკანასკნელ სახელით არის ეს მთა ეხლაც ცნობილი. მას ჩრდილო-სამხრეთით აქვს მიმართულება, "მდებარებს სამხრიდამ ჩრდილოთ კერძ" (იქვე). მაღალია, "მარადის თოვლიანი და უტყეო და კალთათა ბალახოვანი" (იქვე).

დასავლეთ-სამხრეთით აბოცს სამზღვრად აღაბას მთა ჰქონდა, რომელიც ერთის მხრით ტბა "პალაკაციოს (×àëäûðñêîå) და აბოცს" შორის მდებარეობდა და ამასთანავე იყო "საზღვარი ქართლისა და ყარსისა ვიდრე თეთრციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა (ვახუშტი. გეოგრაფია 150).

ამ აბოცში მდებარეობდა "ყაზანჩი", რომელიც თურმე "იყო ქალაქი მცირე." (იქვე). ორივე სახელი ყაიყული და ყაზანჩიც ვითარცა ნაშთი ეხლაც არის საგეოგრაფიო სახელად შენახული რუკაზე. "ყაიყული-ყაზანჩის" სახით სწორედ ყარადაჯის ქედსა და აღაბაბის მთას შორის მდებარე მაღლობ ვაკეზე.

მაშასადამე, აბოცის სამხრეთის სამზღვარი იწყობა იქ, სადაც ირჯინის ანუ ყარა-დაჯისა და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარია აქეთგან ხაზი მიდის ბაბას მთების ქედ-ქედ დიდ აღბაბის მწვერვალამდე, შემდეგ უკვე საკუთრი მესხეთის სამზღვარი იწყება და იმ ძველად ყარსის მთებად წოდებული მთავარი წყალთგამყფელი მთების ქედს მისდევს, რომელიც მტკვრისა და ჭოროხის შემდინარეების აუზს არეზის აუზისაგან ჰყოფს და რომელნიც ამ ჟამად ჯერ ყარსის გუბერნიის არტაანის ოლქისა და ხოლო მერმე ოლთისის ოლქის სამხრეთ აღმოსავლეთს სამღვარს ჰქმნის. შემდეგ სამზღვარი მიდის ძველ დროს ირიჯლუს მთებად წოდებულ ჭოროხისა და არეზის შემდინარეების წყალთგამყოფელი მთების ქედზე, მერმე ჩრდილო-დასავლეთით უხვევს, სანამ ლაზისტანის სამზღვარს არ მიადგება.

§ 2. ტაო - ისპირის მოსახლეობა უძველეს დროს და VIII-XII ს. ს.

უძველეს დროს ლაზისტანვით ტაო და ისპირიც ქართველთა ტომს ლაზებს (ხალიბებს) ეკუთვნოდა. მაგრამ მე-II ს. ქ. წ. სომხებმა მათ ტაო წაართვეს და ამის წყალობით აქ შერეული მოსახლეობა გაჩნდა. გაქრისტიანების დროსა ეს ქვეყანა თითქოს ისევ სომეხთა ხელში უნდა ყოფილიყო. სპარსეთ-ბიზანტიის. შორის მე-VI ს. გამწვავებული და ხანგრძლივი ომიანობისა და ხოლერის მსგავსი საშინელი მოარული მძვინვარების გამო თითქმის მთელს ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, განსაკუთრებით-კი სამცხეში. შავშეთ-კლარჯეთში და ტაოში, ხალხი თითქმის სრულებით მოისპო (იხ. ქართველი ერის ისტ. 1, 320, 327 333). სხვათა შორის ტაოში ყოფილი შერეული მოსახლეობაც ამოწყდა და თითქმის მთელი ტაო უდაბურ ტყით შეიმოსა. მხოლოდ მე-IX ს.-ში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება. შიდა ქართლითგან ჯერ მეუდაბნოენი და მონაზონები შემოვიდენ და დასახლდენ, ხოლო მათ კვალს მდაბიო ხალხიც გაჰყვა, დაბურული

ტყეები გაჩეხა, დასახლდა და ბერებისა და ახალშენთა დაუღალვი შრომის წყალობით ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. მე-IX-XIV ს.ს.-ების ქართული ხელოვნების მრავალი საუცხოვო ძეგლები, რომელთა ნაშთებმა მთელს მესხეთში მრავლად მოაღწია ჩვენამდისაც კი, ამ გარემოების მჭერმეტყველი დამამტკიცებელი საბუთია მესხთა მოღვაწეთა და მწერლების ენაც საუკეთესო ქართულად ითვლებოდა.

§ 3. მესხეთის მდგომარეობა და პოლიტიკური ბედიღბალი XIII-XVIII ს. და მისი გამაჰმადიანება.

ზემო ქართლი, ანუ მესხეთი საცხე-ჯავახეთითგან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთს საგამგეო ერთეულს, საერისთავთ-საერისთაოს და სამთავროს შეადგენდა. მე-XIII.ს-ის მეორე ნახევარში მესხების მთავრის განსაგებელი იწყობოდა ბორჯომის ხეობითგან ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა (ჟამთააღ.* 875, გვ. 719). მე-XIII ს.-ის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულის ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა ლაზისტანი, ანუ ჭანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთავარს, შემდეგ გურიელს ეჭირა, ხოლო 1511 წ. სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა (ვახუშტი. საქართ. ცხოვრება 241).

ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო. საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფას და მშვენიერ ნაწილის ჩაყლაპვას ლამობ და ყოველგარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიური შევიწროებით და ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის დაემხო და ქვეყანა გაემაჰმადიანებინა. ჯერ უმაღლეს წრითგან დაიწყო, შემდეგ ხანგძლივ ბრძოლის საშუალებით მაჰმადიანობა თვით ხალხშიც გაავრცელეს. მე-XVII-ე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი (ვახუშტი. საქართველოს ცხ-ა 254-247) და მთელს მე-XVIII-ე და მე-XIX-ე საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. წინანდელი დამოუკიდებლობისა და ქართველობის ხსენებაც-კი რომ მოესპოთ ოსმალებმა სამცხის მფლობელნი "ახალციხის ფაშა"-დ გახადეს, მხოლოდ ეს ღირსება ამავე საგვარეულოს მემკვიდრეობითი კუთვნილებად დასტოვეს. ამ საშუალებით ოსმალეთმა ეს მშვენიერი ქვეყანა საქართველოს მოსწყვიტა და მთლად შთანთქა. ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო (ფაშალიკ) კვლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც შეიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იმყოფებოდა. თვითეულს თემს ან სანჯაყს სათავეში მემკვიდრეობითი მფლობელები სანჯაყბეგები უდგნენ.

§ 4. უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და მესხეთს შორის XVII1 ს.

ადვილი წარმოსადგენია, რომ საქართველო ასეთი კუთხის დაკარგვას და ამოდენი მოძმე ქართველობის მოწყვეტას ისე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. უფრო ძველ დროითგანაც რომ არ დავიწყოთ ისიც საკმარისი იქნებოდა, თუ გავიხსენებდით, რომ მე-XV1II-ე ს-შიაც მაგ. თეიმურაზ II-ისა და ერეკლე მეფის დროს, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ახალციხის ფაშებებთან, რომელთაც მაჰმადიანობისდა მიუხედავადათ თავიანთი ქართველობა დავიწყებული არ ჰქონდათ, ერთის მხრით განსაკუთრებით კეთილი მეზობლურ კავშირი ჰქონდათ, ეს ცდა უნაყოფო არ ყოფილა (Ñ Í. Áóðíàøâúí. Êàðòèíà Ãðóçèè 14 და Í. Áóòêîâú Ìàòåðèàëû 11 141-

142). — მეორე მხრით ყოველ ხელსაყრელ შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავიანთი უფლება მესხეთზე ანუ ახალციხის საფაშოზე გამოეაშკარავებინთ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფეები თავიანთ თავს სამეფო სახელწოდებაში ასე ხაზ-გასმით ამ ქვეყნის მემკვიდრეობითი მფლობელად აცხადებდენ (იხ. Ñ Í. Áóðíàøåâú. op. cit. 14 da Í. Áóòêîâú Ìàòåð³àëû 11 130). ამავე მიზნის მისაღწევად, სრულიად საქართველოს გაერთიანების განხორციელების ხელშემწყობ პირობების შესაქმნელად განსაკუთრებით-კი სწორედ ამ ძველ ქვემო ქართლის, ახალციხის საფაშოს, საქართველოსთან შემოსაერთებლად იყო სხვათ შორის 1783 წ. ხელშეკრულება ერეკლე მეფისა და ეკატერინე II შორის დადებული. ერეკლე მეფის წარმომადგენლებმა ამ ხელშეკრულებაში მეორე მუხლად შეატანინეს, რომ რუსეთის ხელმწიფე არამცთუ ერეკლე მაშინდელ სამეფოს სამფლობელოს ხელშეუხებლობის თავდებობას კისრულობდა, არამედ ისეთისაც, რომელიც შემდეგში შეძენილი იქნებოდა. და რომ ეს მუხლი სწორედ იმ აზრით იყო ჩართული ხელშეკრულებაში, ამას იმდროინდელი რუსეთი ერთ-ერთ წარმომაგენელის ნ. ბუტკოვის სიტყვებიც ცხადყოფენ, რომ ამ "მეორე მუხლის შინაარსი სწორედ საქართველოს მეფეთა ძველ სამფლობელოს, ახალციხის საფაშოს, ანუ სამცხო-საათაბაგოს ეხებოდა"-ო (Í. Áóòêîâú Ìàòåð³àëû 11 14*). სწორედ ასე გაიგო ამ ხელშეკრულების შინაარსი იმდროინდელმა ახალციხის ფაშამ და რაკი დარწმუნდა, რომ საქართველოს მეფისგან ის მეფობას განსაცდელი მოელის, ამიტომ რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ მეფე ერეკლეს გადაეკიდა და მტრობა დაუწყო (Í. Áóòêîâú Ìàòåð³àëû 11 142).

§ 5. რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთება და მისი შედეგი. სომეხთა გადმოსასლება ამ კუთხეში.

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი, ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ 1828 წ.-ს დაპყრობილ იქნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი, ანდრიანოპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24-თიგან მხოლოდ 10 სანჯაყი. ქობლიანისა, ოძრხისა. (აბასთუმანისა), ახალციხისა, აწყვერისა, ასპინძისა, ხერთვისისა, ახალქალაქის, ჯარაქისა, ფოცხოვისა და პალაკაციოსი (ჩალდირისა) რაც ძველსა სამცხეს, ჯავახეთს, პალაკაციოს და ერუშეთს უდრის. ეს მხარე რუსთა მიერ შემდეგში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წ. ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი, აქეთგან სამი პირველი თემი, ანუ სანჯაყი ბათუმის ოლქად იქმნა წოდებული, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი რუსეთის მთავრობამ ყარსის ოლქის სამზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილია და ფოცხოვის უბნის ბოქაული ამის გამო იძულებულია ახალციხეში იცხოვროს.

მთელ ამ კუთხეში, განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდენ (Èâàíåíêî. Èñòîðèÿ ãðàæäàíñêàãî óïðàâ, íà Êàâêàçå. 265, 260). რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს ამ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთითგან (ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზრა). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგენ და

საქართველოს მეფე და წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და იმ საბუთების ძალით თავიანთ უფლების აღდგენას თხოულობდენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით განრისხდა კიდეც (ÀÊÀÃÊ VIII 291 და Èâàíåíêî. ოპ. ციტ. 199) ამავ დროს ოსმალეთითგან, ყარსსა და არზუმის საფაშოებითგან იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფრს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში (Èâàíåíêî ოპ. ციტ. 265 — 266).

ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა. წინათ აქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ კი დაამტკიცა, რომ ამ მთელს ახლად შემოერთებულ ქვეყანაში 50 000 ორთავე სქესის მცხოვრებიც კი აღარ იყო. უწინ. მაგ. 1828 წ. ამოდენი ხალხი მარტო ქ. ახალციხეში ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრივაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მაზრაში ძირ-ფესვიანად შეიცვალა. თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ-ლს. ქართველთა მანგიერ უმრავლესობას უკვე სომხები შეადგენდენ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილიღა ეიჭრათ (Èâàíåíêî ოპ. ციტ. 267). ასე შემთხვევით და ამ გზით გაჩნდენ სომხები ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველის ძველს კერაში.

§ 6. სომეხთა წამოდავება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული.

სომხებმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილნი, რომ სრულებით შემთხვევით უძველეს დროითგან საქართველოს უცილიბელს კუთხეში ისინი უმრავლესობად იქცენ და ამ გარემოებისდა მიუხედავად მაინც ახალქალაქის მაზრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს (. .

70-72 და 132—133 გვ.). ეს რომ განხორციელებულიყო, მათ ამ მაზრის ტფილისის გუბერნიის-ანუ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებითგან გამოყოფა მოითხოვეს, იმ მიზნით, რომ იგი დანარჩენ სომხურ მაზრებთან შეეერთებინათ და ამ გზით ერთი მთლიანი სომხური საერობო თვითმართველი ოლქი შეექმნათ, ეს აზრი წამოყენებული იყო სომხების მიერ 1913 წ., როდესაც კავკასიაში მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ილ. ვორონცოვ-დაშკოვი იყო. მათი წადილი რომ უფრო სამართლიანად და ობიექტურ მოსაზრებით ნაკარნახევად სჩვენებოდა ადამიანს, სომხებმა საბუთად ისიც კი წამოაყენეს, ვითომც ჯავახეთი ანუ ახალქალაქის მაზრა ეკონომიურად ტფილისის გუბერნიასთან კი არა, არამედ გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული.

ვორონცოვის სურვილსდა თანახმად, იმავე წელს ბრძანება იყო გაცემული, რომ ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის სამაზრო კომისია შემდგარიყო და გამოერკვია, შეიძლება თუ არა და რამდენად ხელსაყრელია, რომ ახალქლაქის მაზრა ტფილისის გუბერნიას ჩამოსცილდეს და გუმბრისას ალექსანდროპოლს) მიემატოს, რომ მასთან ერთად ცალკე განსაკუთრებით

სომხობით დასახლებული გუბერნია შემდგარიყო. ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ 14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთგან 8 კაცი რუსი იყო (თავმჯდომარე მაზრის უფროსი პოდპოლკ. კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მიტკევიჩი. ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი დელიბაში,სამაზრო ბეითალი ტოროპოვი,საუბნო ბოქაულები ჩაპლიგინი და ლაზარევი. დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი), 4 ქართველი (გადასახადთა ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელეი ქართველ-მაჰმადიანნი მამედ-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი ფალავანდიშვილები, ბარალეთის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯიკნელი), და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწატუნიანცი და ბოგდანოვკის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კაროიანცი).

ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთმხრივ უარჰყო ჯავახეთის ანუ ახალქალქის მაზრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუმბრთან (ალექსანდროპოლთან) და ერევანთან შეერთება. თავის აზრის დასასაბუთებლად კომისია, სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მაზრა ქ. გუმბრთან (ალექსანდროპთლთან) ყოფილიყოს დაკავშირებული. მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირბოროტო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონელს, სანოვაგესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ასაღებს და საითგანაც მოაქვთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მაზრისათვის. ამასათანავე საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარაგზით. აგრეთვე როდიონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საურმო გზით. რომელიც ზამთარშიაც-კი არ იკვრება ხოლმე. გუმბრთან-კი (ალექსანდროპოლთან) ზამთარში ნამქერების გამო, ხოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო მთელ თვეობით ყოველგვარი კავშირი, საფოსტოც-კი სრულებით შეწყეტილია ხოლმე. ზაფხულშიც-კი, როდესაც გუმბრის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი სავაჭრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაზ.) მაინც ახალციხეზედ, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მაზრის ბოგდანოვკის უბნის სამხრეთს ნაწილს, ზოგიერთი საქონელი, მეტადრე ბრინჯი, ზაფხულობით გუმბრითგან (ალექსანდროპოლთგან) მოსდის ხოლმე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის ზემო აღნიშნული ერთმხრივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ იმავე შემადგენლობით, როგორიც ბორჩალოს სამაზრო კომისრის მსგავსივე საკითხის შესახები დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, ერთმხრივ დაამტკიცა (იხ. Äîêëàäú ÷ëåíà Òèôëèñê. ãó-áåðí. ïî êðåñòüÿíñêèì äåëàì Ïðèñóòñòâèÿ È. Àáõàçè Ïðåäñåäàòåëþ Îñîáàãî Çàêàâêàçñêàãî Êîìèòåòà êú ¹ 2651).

§ 7. ჯავახეთ - სამცხის უმჭიდროესი ეკონომიური კავშირი საქართველოსთან წარსულშიცა და ახლაც.

თუ იმისდა მიუხედავად რომ ზემოაღნიშნულ ორთავე საბჭოს წევრებმა რუსმა მოხელეებმა მეფის მოადგილის სურვილი იცოდენდნენ - მათ გაგონილი ჰქონდათ, რომ ის ამ გამოყოფას თანაუგრძნობდა, მაინც ეს აზრი ერთმხრივ უარჰყვეს, ცხადია ჯავახეთის ჩამოშორება ტფილისის გუბერნიისგან და გუმბრთან შეერთება მართლაც სრულებით შეუწყნარებელი

და ნაძალადევი გეგმა ყოფილა. მართლაც-და საკმარისია ადამიანმა ახალქალაქის გეოგრაფიული პირობები გაითვალისწინოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რამდენად თვით ამ ქვეყნის ბუნებრივი აგებულობა ეწინააღმდეგება მის შეერთებას გუმბრთან (ალექსანდროპოლთან). ერევნის გუბერნიისა და გუმბრსა და ყარსისაგან ჯავახეთს და სამცხეს ერუშეთს ანუ ახალაქისა და ახალციხის მაზრებს და ყარსის ოლქის ფოცხოვის უბანს მაღალი 7-8 თვის განმავლობაში თოვლიანი და გაუვალი ჯერ ბერდუჯის მთების (რუსულს Áåçîáäàëüñê³é õðåá.) დასავლეთი ნაწილი, შემდეგ აბოცის მთების (რუსულს Ìàäàòàïèíñê³é õðåá.), მერმე ნიალისყურის მთის (რუსულს ×àääûðñê³é õðåá. და Óëüàðñê³é õðåá. აღმოსავლეთს ნაწილს) დასასრული ერუშეთის მთის (რუსულს Óëüãàðñê³é õðåá.) სახელებით ცნობილი უღელტეხილი ჰყოფს. ამგვარ ოროგრაფიული თვისების გამო ეს მთები მტკვრის შემდინარეების წყალთ-გამყოფველი ქედია და გზებსაც ბუნებრივი მიმართულება სწორედ მტკვრის ხეობისაკენ, ე. ი. ჩრდილოეთისაკენ, აქვს და არა სამხრეთისაკენ. ამიტომაც არის, რომ ეკონომიურადაც ამ კუთხეს მხოლოდ საქართველოსთან შეეძლო რომ ჰქონოდა კავშირი. ასე იყო ყოველთვის წარსულშიც. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის სიტყვები მაგ. ცხად-ჰყოფენ, რომ მე-XVIII-ე ს.-შიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით-კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად (იხ. ბროსსეს გამოც. Histoire Le Géorgie II, 466 გვ. და გორელი ქედხუდების არზა ერეკლე II-სადმი მირთმეული).

ჯავახეთის (ახალქალაქის) სამაზრო კომისიის ზემომოყვანილი დადგენილება ამტკიცებს, რომ ეხლაც ეკონომიური დამოკიდებულების ვითარება და მიმართულება არ შეცვლილა: კვლავინდებურად იქითგან საქონელი ტფილისში ჩამოდის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ჯავახეთსა და სამცხეს, ანუ ახალაქალაქისა და ახალციხის მაზრებს, როგორც რკინის გზის საკომერციო განყოფილების ყოველწლიური ანგარიშებითგანა სჩანს, მარტო აღმოსავლეთ საქართველოსთან კი არ ჰქონია ეკონომიური კავშირი (საქონელი მარტო რკინის გზით კი არა, იქითგან პირდაპირი შარა და საურმე გზებითაც მოდის), არამედ დასავლეთ საქართველოსთანაც, ქუთაისის გუბერნიასთანაც. აი მაგ. ომამდის რამდენი პური და სხვა მარცვლეულობა გამოდიოდა ყოველწლივ ამ კუთხიდან დასავლეთ აღმოსავლეთ საქართველოში და რამდენი მთელს დანარჩენს ამიერკავკასიაში, სომხეთში და ადერბეჯანში მიდიოდა (ყარსში, ერევანში, ქამარულაში, ბაქოში და სხვაგან):

	საქართველოში:	**დანარჩენ ამიერკავკასიაში:**
1910 წ.	60557 ფ.	462 ფ.
1911 წ.	152858 ფ.	1800 ფ.
1912 წ.	207752 ფ.	3588 ფ.
1913 წ.	96074 ფ.	1312 ფ.
1914 წ.	17144 ფ.	1238 ფ.

მაგრამ მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის მთელი მეურნეობა საქართველოში უმჭიდროესად, შეიძლება ითქვას განუყრელად, ამ კუთხესთან და ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრებთან არის დაკავშირებული. ასე იყო ძველად, მაშინაც-კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, ასე ახლაც. რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდა გვარად შემუშავებულმა ტეხნიკამ უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეებისათვის. რომ მაშინაც-კი როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები იძულებული იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ (იხ. ვახუშტის გეოგრაფია 182).

მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქართველოში იგივე პირობებია, როგორიც წარსულში იყო. მთელს აღმოსავლეთს საქართველოში სულ 857000 დეს. საზაფხულო საძოვარი ითვლება, აქეთგან საუკეთესო საძოვრები ქვემო ქართლში და ჯავახეთში, ანუ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებშია, სადაც 291000 დ. საძოვარია.

ამჟამად მთელ აღმოსავლეთ საქართველოში 3 683 000 თავი საქონელი არსებობს, სომხეთის საზღვრებში-კი (ერევნის გუბ., ყარსის ოლქ. და განჯის მაღლ.) სომეხთა მთელ მოსახლეობას სულ 3 561 000 თავი საქონელი ჰყავს. ამ მაღლობებზე სომხებს დიდძალი 2 000 000 დეს. საუკეთესო საძოვრი აქვთ, ისე, რომ მთელი ბალახი მოძოვილი იყოს მათი საქონელი ამისთვის საკმარისი არ არის და ვერც შესძლებს. ამიტომ სრულიად ცხადია, რომ სომხებს საზაფხულო საძოვრები სრულებით არ ესაჭიროებათ. მაშასადამე მათთვის ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ამ მხრივ, ეკონომიურად არც გამოსადეგნი არიან და არც ესაჭიროებათ. სულ სხვა მდგომარეობაშია აღმოსავლეთი საქართველო: უამ მაზრებოდ მთელი მესაქონლეობა უკიდურეს მდგომარეობაში და განსაცდელში ჩავარდებოდა, საქონელი, განსაკუთრებით ცხვარი, დაიხოცებოდა.

თვით ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთაც შედარებით იმდენი საქონელი არა ჰყავთ (ორთავეში 515 772 თავი ითვლება), რომ მარტო მათმა საქონელმა მთელი ამ ფართო და ღონიერ საზაფხულო საძოვრებს მოჭმა შესძლოს. მაგ. ბორჩალოს მაზრაში საიჯარო საზაფხულო საძოვარი 46 000 დეს. ითვლება, აქეთგან 26 სომეხთა სოფლის საზოგადოება 10 000 დეს.-ით სარგებლობს საქონლის საძოვრად. დანარჩენი 36 000 დეს.-კი აღმოს. საქართველოს სხვა მაზრებითგან მოსულს მესაქონლეებს უჭირავთ. როგორც წარსულშიც, საუკუნეთა განმავლობაში, ეხლაც აღმოსავლეთ საქართველოს დიდძალი საქონელი პატრონებს აქ მოჰყავთ და აძოვებენ. მაშასადამე სრულებით ცხადია, რომ თუმცა მე-XIX-ე ს.-ში შემთხვევითი მიზეზების გამო ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში სომეხი ლტოლვილები დაეშენნენ და ქართველთა მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანია, მაგრამ მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენს მოსახლეობას ამ მაზრებთან არამც თუ ეკონომიური კავშირი არ შეუწყვეტია. არამედ წინანდებურად უმჭიდროესად მასთან არის დაკავშირებული.

§ 8 როგორ უნდა შევხედოთ სომეხთა წადილს ჯავახეთის დაპატრონებისას?

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, თუ როგორ შეიძლება შეხედოს ქართველობამ

სომეხთა წადილს ჯავახეთის (ახალქალაქის მაზ.) დასასაკუთრებლად. ერეკლე მეფის პირით საქართველოს რასაკვირველია რუსეთთან ამისთვის არ დაუდვია 1783 წ. ხელშეკრულება, რომ მას შემდგომ, რაც მესხეთი ოსმალეთს ჩამოერთვა, ეს უხსოვარ დროითგან საქართველოს კუთვნილი ქვეყანა ქართული კულტურის ერთი ძლიერ კერათაგანი სომხებს გადასცემოდა, სომეხთა ამ კუთხეში დასახლებისათვის ქართველობას შეეძლო შეეხედა მხოლოდ ვითარცა დროებითი მოვლენისათვის, ვითარცა ოსმალთა მიერ დევნილი ხალხის დროებითი შემოხიზნისა და თავშეფარებისათვის. რა წამს სომეხთათვის პოლიტიკურად ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, — ეხლა ხომ სწორედ ასეთი ხანა დადგა, — ეს ოსმალეთითგან შემოხიზნული სომხობა კვლავ თავის სამშობლოს, მამა პაპათა კერას უნდა დაუბრუნდეს, იქითგან კი, ოსმალეთითგან აქ დაბრუნდებიან ამ მიწაწყლის წინანდელი პატრონები. მე-X1X საუკუნის განმავლობაში ოსმალეთში გადასახლებულს ქართველს მაჰმადიანებს არა-ერთხელ უნდოდათ გულით თავიანთ სამშობლოში დაბრუნება და ჯავახეთ-მესხეთში, მამა-პაპეულ მიწებზე დასახლება, მაგრამ მათი ადგილი დაჭერილი იყო. ეხლა რაკი სომხები თავიანთ წინანდელ ქვეყანაში, სომხეთში წავლენ. მაშინ სამართლიანობა აღდგენილი იქმნება და ორთავე ერს თავისი მამა-პაპეული კერა დაუბრუნდება.

თ ა ვ ი VI. საქართველოს სამზღვრის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთის ხაზი.

§1. კოლა - არტაანი, ტაო-თორთუმ-ისპირი.

რაკი ეხლა საკითხი ჯავახეთის (ახალქალაქის მაზრის) შესახებ უკვე ყოველმხრივ გამორკვეული გვაქვს, უნდა საქართველოს დანარჩენ მონაპირე კუთხეების შესახებ ზოგიერთი ზედმეტი ცნობები დავურთოთ.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელ ყარსის გუბ.-ის არტაანისა და ოლთისის ოლქები, რომლებიც ძველად კოლა-არტაანსა და ტაოს ჩრდილოეთს ნაწილს უდრიდენ, საუკუნეთა განმავლობაში ქართველ მოსახლეობას და ერს ეკუთვნოდა. მხოლოდ XVI1 ს-ითგან მოყოლებული არტაანისა და ოლთისის ოლქში თურქთა 200 წლის ბატონობის და ისლამის წყალობით ქართველ მამჰადიანებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ. მოსახლეობა აქ თხელია და 1889 წ. არტაანის ოლქში 65 763 სული იყო და აქეთგან მხოლოდ 1923 სომეხი ითვლებოდა. ოლთისის ოლქი მთლად 31519 მცხოვრებთა შორის სომეხი 3130 იყო.

ამგვარად ცხადია, რომ არტაანისა და ოლთისი ოლქებში სომხები მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას შეადგენენ. ამას ჯერ კიდევ შარშან, 1918 წ. თვით სომხებიც არ უარჰყოფდნენ და ა. შაჰტუნიანი მაგალითად ამბობდა: "აქ სომხები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენო" და ამის გამო ამიერკავკასიის გადამიჯვნის დროს სომხეთის სამზღერებს გარეშე დავტოვეთო Àäìèíèñòðàòèâíûé ïåðåäåëú Çàêàâêàçñêàãî Êðàÿ - ტფილისი 1918 წ. გვ. 73-74 და 75). ეს გარემოება სომხებს ეხლა ალბად დავეიწყებიათ და სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებში მოქცევა ჰსურთ არტაანისა და ოლთისის ოლქისაც, რომელიც მათ არც ისტორიულად და არც სომეხთა თანამედროვე მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არ ეკუთვნით. ხოლო ოსმალეთის სამზღვრებში დარჩენილს მესხეთის ზემო ტაოს ნაწილში, თორთუმის ხეობაში მთელი მცხოვრებნი 1400 სული მთლად გამაჰმადიანებული ქართველები არიან, მაგრამ ქართული დავიწყებული აქვთ. ისპარში-კი, პარხალის, ხევეკის, გუდახევის და ჭირჭიმის ხეობებში ყველგან ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ და ქართულად ლაპარაკობენ.

§ 2. ლაზისტანი.

ქართველთა მოსახლეობის უუკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს, ანუ ლაზებს უჭირავთ. ასე იყო წარსულშიაც. მათი კილო მეგრულს ახლო უდგება. ოდესღაც ლაზების ანუ ჭანების მოსახლეობა ტრაპიზონსაც კი სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში, მაგ. 1868 წ. ლაზთა რაოდენობა ინგლისის კონსულის ვ. ჯიფფორდ პალრის ცნობით რამდენსამე ასს ათასს აღემატებოდა. (Èçâåñò. Êàâê. îòä. ãåîã. Îáù. 1881 წ. VII წიგ. I. დამატება 1 გვ. 15, 17, 59-60 და 68).

პროფ. ნ, მარრის ადგილობრივმა დაკვირვებამ გამოარკვია, რომ ისლამის წყალობით ლაზების გათურქება მსწრაფი ნაბიჯით წინ წასულა.

ამჟამად ლაზური ან ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სინჯაყით განისაზღვრბა, რომელსაც ლაზსტანის სინჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწაწყლიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას ოლქად. პირველში ხალხს უკვე დედაენა დავიწყებული აქვს. და თურქული შეუთვისებია, მეორეში კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. ეს ათინას ოლქი საკუთრივ ათინას და ხოფას ყაზრებისგან შესდგება. სამხრეთ-დასავლეთით მისი სამზღვარი ქემერის კონცხთან (ქემერბურუნ) იწყობა, შემდეგ აჰყვება მდ. ყინლიდერეს, გადასჭრის ათინას წყალისა და ბეიუკ-დერეს სათავეებს და მიადგება პონტოს ქედის მწვერვალს, რომელსაც ვარსამბეკი (ვერშემბეკი) ჰქვიან. აქეთგან მოყოლებული ჭანეთის მიწა-წყალი ჩრდილო-აღმოსავლეთასკენ მიემართება და პონტოს ქედსა და შავზღვას შუაა მოქცეული. ეს ზოლი თანდათან ვიწროვდება და ბათუმის ოლქში სარპთან თავდება.

ათინას ოლქი ექვს უბნად იყოფა: ხოფას, არქაბეს, ვიწეს, არტაშენის, ათინას და ხემშინის უბნებად. სულ 178 სოფელი არის, აქეთგან 39 სოფელი ხემშინის ოლქში ითვლება, რომელშიც 12 778 სული მცხოვრებია. ხემშნები გამაჰმადიანებული და გათურქებული სომხები არიან. თვით ლაზთა რაოდენობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება. რუსეთის გენერ. შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ. ავერიანოვს თავს მონოგრაფიში "Ýòíîãðàôè÷åñêóé è âîåííî-ïîëèòè÷åñêóé îáçîðú àçèàòñêèõú âëàäåíèé Îòòîìàíñêîé èìïåðèè" (ÑÏÃ. 1912 ã. èçäàí1å îòä. ãåíåðàëú-êâàðòèð-ìåéñòåðà გვ. 20) ლაზების რაოდენობა 200000-ად აქვს აღრიცხული, როდესაც რუსეთის ჯარმა ამ მსოფლიო ომის დროს ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და აგილობრივ მხოლოდ 35000 ლაზი-ღა იყო დარჩენილი უდროვოდ განსვენებული პროფეს. იოს. ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილი ცნობების მიხედვით ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა, 80 000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო. ზედმიწევნითი რიცხვის გაგება მხოლოდ ეხლა შეიძლება, როდესაც მცხოვრებნი თავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდნენ, ისიც მხოლოდ ხალხის აღწერის საშუალებით.

სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

ბოლოსიტყვაობა

ყველა ზემოაღნიშნული მკითხველს უეჭველია ნათლად დაანახვებდა, თუ რა სამზღვრები ჰქონდა საქართველოს და როგორის თავგამოდებით იცავდა მათ ჩვენი ერი საუკუნეთა განმავლობაში. ამ სამზღვრებში მოქცეული მიწაწყალი და მოსახლეობა მთლიანს ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივ ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და, თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურადაც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებულია. თუმცა ისტორიული და საერთაშორისო სამართლის ძალით საქართველოს სწორედ ის სამზღვრები უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ზევით იყო აღნუსხული, მაგრამ ზოგან, სადაც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის უვნებლად დათმობა შეიძლება. საქართველოს შეუძლიან დაუთმოს მეზობლებს, რომ მეზობლური განწყობილება, რომელიც საქართველოს წარსულშიაც კარგი ჰქონდა, ეხლაც თანხმობითა და მშვიდობიანობით დაიწყოს.

სახელმწიფოებრივს ერთეულს თავისი აუცილებელი მოთხოვნილება და არსებობის პირობები აქვს, რომელთა შორის საპატიო ადგილი სამზღვრებს უჭირავს. საქართველოს სამზღვრების საბოლოვო მოხაზულობის გამორკვევის დროს ქართველ ერსა და მის მთავრობას შეუძლიან მხოლოდ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს. მართალია სომეხთა მმართველი წრეები და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს ერსა და მთავრობას მხოლოდ ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით ხელმძღვანელობას ურჩევენ, მაგრამ რამდენად მათი რჩევა გულწრფელია და გამოსადეგი, ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ თვით მათ პირადად ამ თვალსაზრისით არასდროს თავიანთ პოლიტიკურ გეგმაში არ უხელმძღვანელიათ. მათ მიერ თავდაპირველი კონფერენციისათვის წარსადგენად დამზადებული დიდი სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრები შავი ზღვითგან ხმელთაშუა ზღვამდე გადაჭიმული და ტფილისისა, ბათომისა და ტრაპიზონ-სინოპის შემცველი, ნათლად მოწმობს, რომ თვით მათ თავიანთი სახელმწიფოს სამზღვრების შემოხაზვის დროს არცთუ თანამედროვე ეთნოგრაფიულ მოსახლეობის პირობებით არ უხელმძღვანელიათ, არამედ ზოგან მეტისმეტად შორეულს ისტორიულს საბუთებზე, უფრო-კი მხოლოდ საკუთარ ნება-სურვილზე დაუმყარებიათ თავიანთი მიწაწყლის მოხაზულობის რუკა, მის შემდეგ სწორედ გასაოცარია, როდესაც სომეხთა პოლიტიკური და გავლენიანი წრეები ჩვენი მთავრობის წევრებს ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს და საქართველოს საზავო დელეგაციის წარმომადგენლებს ნ. ჩხეიძეს და ირ. წერეთელს სტამბოლის სომხურს პრესაშიაც-კი პრინციპების ღალატსა და იმპერიალისტობას სწამებდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს სახელმწიფოებრივი თვალსაზრსით ხელმძღვანელობენ და არა მარტო ეთნოგრაფიულით. როცა საერობო ერთეულზე იყო ლაპარაკი, ამგვარი მოსაზრება ასე-თუ-ისე კიდევ გასაგები იყო, სახელმწფოს სამზღვრების შემოფარგვლის დროს კი უმთავრესი საფუძველი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი უნდა იყოს.

რატომ არის, რომ თვით სომეხთა პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს რინციპებს არ ემყარებიან - იმიტომ,რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო. თუ ამისდამიუხედავად ისინი ჩვენს მთავრობასა და წარმომადგენლებს ამ პრინციპით ხელმძღვანელობას ურჩევენ, ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ საქართველოსთვის არის სავალდებულო,

სომხეთს-კი უფლება აქვს ყოველგვარი თვალსაზრისით იხელმძღვანელოს და რომ მაშინაც-კი, როცა ისინი სომხეთისათვის საფრანგეთზე დიდი მიწაწყლის დასაკუთრებას ლამობდენ და თავიანთ რესპუბლიკის საზღვრებში სომხებზე უფრო მრავალრიცხოვან უცხო ტომთა მოქცევაზე ოცნებობდენ, ეს იმპერიალისტობა-კი არ არის, არამედ უაღრესი დემოკრატობაა.

სახელმწიფოს არსებობისათვის უცილებლად საჭიროა, რომ მას გარეშე მტრის შემოსევისაგან თავდაცვის საშუალება ჰქონდეს და მისი მყუდრო სამოქალაქო ცხოვრება უზრუნველყოფილი იყოს. ამიტომაც არის, რომ ქართველი ერის შეგნებულს ნაწილს, მისს მოთავეებს და რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიანთ თავიანთ სახელმწიფოს სამზღვრების მოხაზულობას სამხედრო თვალსაზრისითაც არ შეხედონ.

თვით სომხებმა და არარატის რესპუბლიკის მთავრობამ ამ მხრივ ქართველობას რასაკვირველია თავისდა უნებურად, დიდი სამსახური გაუწიეს და მეზობლურ ძმობა-ერთობაზე ტკიბილ საოცნებო სიზმრებითგან გამოაფხიზლეს, როდესაც წინასწარი ფარული სამხედრო მომზადების შემდგომ მოულოდნელად საქართველოს სამხრეთის სამზღვრები გადმოლახეს და დაუნდობელი საომარი მოქმედება დაიწყეს. ბ-ნ ჩალხუშიანის როსტოვის რუსულ-სომხურ გაზეთში ამ ამბავის ერთი თვით უწინარეს მოთავსებული ცნობა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ომია და ძლევამოსილი სომხები ტფილისს მიადგნენ, რომელიც დღე-დღეზე სომეხთა ჯარის მიერ აღებული იქნებაო, აგრეთვე ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილი სომხეთის წარმომადგენელთა მიერ სომხეთისათვის მოთხოვნილი სამზღვრების მოხაზულობა და სტამბოლში გამოცემული სომხეთის ორი რუკა, რომლებშიაც ტფილისი, მცხეთა, გორი და ბათუმიც სომხეთის სახელმწიფოს სამზღვრებშია მოქცეული, დასასრულ სომეხთა საომარ მოქმედების მთელი მსვლელობა სრულის სიცხადით ააშკარავებენ, რამდენად ფართო გეგმა ჰქონდათ სომხეთის მთავრობასა და ხელმძღვანელებს. მათი მიზანი ტფილისის დაპყრობა და დასაკუთრება იყო, ხოლო თუ სამხედრო ბედი გაუღიმებდათ, იქმნებ სომხურ რუკაზე მოხაზული მიწა-წყლის აღებაც. ადვილი წარმოსადგენელია, როგორი ძმობა-ერთობის ჰანგებზე დამღერდენ დაშნაკელთა ბელადები და რა სამზღვრებს მიაკუთვნებდენ ისინი საქართველოს, მათ მოუფიქრებელს მოქმედებას მთელი ქართველობა რომ დიდი პატარამდე, კიდით კიდემდე არ შეეძრა და შემოსეული მტერი მედგრად არ უკუეგდო. თუ ეხლანდელი საშინელი განსაცდელისა და უბედურების შემდგომაც, თუ ისტორიისა და თანამედროვე მრავალი მწარე გაკვეთილებისდა მიუხედავადაც სომხეთის გავლენიანი წრეები მაინც საქართველოს სამზღვრების გადმოლახვას არ დაერიდენ და ჩვენ დედაქალაქის ძალით ხელში ჩაგდება მოისურვეს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად მათ მადა მოემატებათ შემდეგში, როდესაც წარსულისა და აწმყოს მწარე დღეები დავიწყებული ექმნებათ. ამიტომ ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სამზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობასა და არც კეთილ მეზობლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლაც ძმობაზე და მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან გადაარჩენს. სწორედ ამ კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება-განმტკიცებისათვის ქართველობას შეუძლიან უარი სთქვას თავის უფლებაზე იქ, სადაც საქართველოს თავდაცვის საშუალებას ეს დათმობა საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს, მაგ., აღმოსავლეთით, საინგილოში სამზღვრად გიშის წყლის მაგიერ კაშკა-ჩაი დასდვას, სამხრეთ-აღმოსავლეთის სამზღვრის ხაზად-კი ისტორიულის

მაგიერ დებედას შემდინარეების წყალთ-გამყოფელი მთა აირჩიოს, ხოლო სამხრეთის ხაზად ისტორიულის სამზღვრის ერევნის (ბამბაკის) მთების მაგიერ უფრო ჩდრილოეთით მდებარე ბერდჯის (რუს. ბეზობდალის) მთები მიიჩნიოს მოსამზღვრე ხაზად: საქართველოს ხელში ბერდუჯის მთები იქმნება, სომხეთის ზღუდედ და სამზღვრად ერევნის მთები.

ბათუმი - კონსტანტინეპოლი
1919 წ. იანვარი - მარტი.

შენიშვნები

1. «Êîïèðîâàëü åå âú Ìîñêâå âú ìåñÿöå ²þëå 1743 ã. ïîëåâîé àðòèëëåð³è êàïòåíàðìóñü Äàíèêà Ãåì...» გვარი სრულად არ იკითხება. (იხ დედანის ფოტოტ. პირი და Ñ Í. Áóðíàøåâú. Íîâàÿ. Ìàò. äëÿ æèçíåîïèñàè³ÿ è äåÿòåëüíîñòè Ñ. Ä. Áóðíàøåâà. ÑÏÁ. 1901, გვ.
2. "Ñîäåðæàùå 2-ãî àðòèêóëà òðàêòàòà.- óêàçûâàëî ïðÿìî íà àõàëöèõñê³é ïàøàëûêú èëè Ñàìöõý-Ñàòàòàáàãî, äðåâíåå äîñòîÿøå öàðåé ãðóçèíñêèõú".
3. დაწვრილებითი ცნობები ამ საგნის შესახებ იხ. აგრონომ ყაზახაშვილის თხზულებაში "საქართველოს საეროვნო მეურნეობის მოთხოვნილებანი გადამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით".
შემოკლებულად დაბეჭდილ სათაურების განმარტება
ÀÊÀÃÊ; Àêòè, ñîáðàííûå Êàâêàçñêîé Àðõåîãðàôè÷åñêîé êîìèññ³åþ.
Áóðíàøåâú. Êàðòèíà Ñ. Ä. Áóðíàøåâú. Êàðòèíà Ãðóç³è èëè îïèñàí³å ïîëèòè÷åñêàãî ñîñòîÿí³ÿ öàðñòâú Êàðòàëèíñêàãî è Êàõåòèíñêàãî, Òèôëèñú èçä. Áåãè÷âàà 1896 ã.
Ñ. Í. Áóðíàøåâú Íîâûå Ìàò. Íîâûå Ìàòåðèàëû äëÿ æèçíåîïèñàí³ÿ Ñ. Ä. Áóðíàøåâà, áûâøàãî âú Ãðóç³è ñú 1783 ïî 1787 ã., ñîáðàèú è èçäàëú ñú ïðèëîæåí³åìú êàðòú, ïîðòðåòîâú è ôàêñèìèëå Ñ Í. Áóðíàøåâú ÑÏÁ. 1901ã.
6. ბუტკოვი Ìàòåð³àëû Ï. Ã. Áóòêîâú Ìàòåð³àëû äëÿ íîâîé íñòîð³è Êàâêàçà ñú 1722 ïî 1803 ãîäú I და II წ. - ÑÏÁ. 1869 წ.

SUMMARY
Ivane Javakhishvili
THE BORDERS OF GEORGIA
Based on Vakhushti Bagrationi's heritage, in his book *The Borders of Georgia* , Ivane Javakhishvili actually defined the territorial provinces of Georgia, established the borders of Kartli, Kakheti, Egrisi and Tao-Klarjeti Provinces and specified the main roads. Ivane Javakhishvili emphasized that Georgia had such natural-goegraphical borders that "the nature itself had created the great guard for the Georgian people". The Main Caucasian Range from the north and high mountains from the south, the sea from the West and the river border from the east enclose Georgia and represent a ponderable factor both for the defense potential and the economy of the country.

ÐÅÇÞÌÅ
Èâàíý Äæàâàõèøâèëè
ÃÐÀÍÈÖÛ ÃÐÓÇÈÈ
Èâàíý Äæàâàõèøâèëè â èññëäîâàíèè " Ãðàíöû Ãðóçèè " ôàêòè÷åñêè îïðåäåëèë ðàñïîëîæåíèå òåðèòîðèàëüûõ ãàèíèö Ãðóçèè.
Îñíîâûâàÿñü íà íàñëåäèè Âàõóøòè Áàãðàòèîíè, Èâàíý Äæàâàõèøâèëè óñòàíîâèë ãðàíèöû Êàðòëè, Êàõåòè, Åãðèñè, Òàî-Êëàðäæåòè, óòî÷íèë äîðîæíûå ìàãèñòðàëè.
Èâàíý Äæàâàõèøâèëè ïîä÷åðêèâàë, ÷òî Ãðóçèÿ èìåëà ïðèðîäíî-ãåîãðàôè÷åñêèå ãðàíèöû, ó÷åííûé óêàçàë, ÷òî "ñàìà ïðèðîäà ñîçäàëà äëÿ ãðóçèíñêîãî íàðîäà âåëèêóþ ñòðàæó â âèäå Äëàâíîãî Êàâêàçñêîãî Õðåáòà ñ ñâåðà è âûñîêèõ ãîð ñ þãà, ñ çàïàäà ìîðñêàÿ è ñ âîñòîêà ðåíûå ïîëîñû îêðóæèëè Ãðóçèþ è ïðåäñòàâëÿþò âåñîìûé ôàêòîð êàê äëÿ îáîðîíîñïîñîáíîñòè òàê è äëÿ õîçÿéñòâà."
Ïî äàííûì àâòîðèòåòíîãî ó÷åííîãî ìîæíî ëåãêî ïðîñëåäèòü äèíàìèêó çàõâàòà ãðóçèíñêèõ çåìåëü ïîñðåäñòâîì ðîññèéñêîé ýêñïàíñèè.

(*) http://www.istoria.ge

სამეცნიერო-ისტორიული კრებული სვეტიცხოველი
Scientific-Historical Journal SVETITSKHOVELI

ვახტანგ გურული

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა[1]

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ პროცესზე ბევრი რამ ახდენს გავლენას. ჩვეულებრივ ეროვნული ცნობიერების გაჩენა წინ უსწრებს სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას. სახელმწიფოს წარმოშობა თავისთავად ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას, რადგან სახელმწიფოებრივი ცნობიერება სწორედ ეროვნულ ცნობიერებას ემყარება. ეს ორი ფენომენი ქმნის სახელმწიფოს ძლიერების საფუძველს - ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, მის შესუსტებასა თუ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქონების გადანაწილება და მისი თანამდევი პროცესები ერსა და სახელმწიფოში.

დღევანდელი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება სულ მცირე ოცდაათსაუკუნოვანი განვითარების შედეგია. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობამ ძლიერი დარტყმა მიაყენა ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემდეგ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წელს გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, ხოლო 1814 წელს - აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტი). ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებების ფეხქვეშ გათელვამ და სამეფო სახლის წევრების რუსეთში გადასახლებამ, ისევე როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ და უძველესი ეკლესიის რუსი ეგზარქოსისათვის დაქვემდებარებამ, ცხადია, დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

ქართველი ერის მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ დროის რა მონაკვეთში მოხდებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გამოცოცხლება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ბრძოლის დაწყება შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ერთი განსაკუთრებული მოვლენის შესახებ. ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება რომ დიდ სირთულეს შეუქმნიდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას დაპყრობილ საქართველოში, ეს იმთავითვე გახდა ცნობილი. 1802 წლის აპრილში, თბილისში, სიონის ტაძარში, წაკითხულ იქნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს ხელმოწერილი მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შესახებ. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ სიონის ტაძარში შეკრებილ ქართველობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაეფიცა. კახეთის თავადებისა და აზნაურების ნაწილმა არ დაიფიცა,

1. საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული - "საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის კათედრა 5 წლისაა"; გვ. 80-98; თბილისი 2006.

რუსის ჯარის ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. ამას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების თვალსაზრისით მეტად საინტერესო მოვლენები მოჰყვა: 1802 წლის პოლიტიკური გამოსვლა კახეთში, 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში, 1812 წლის აჯანყება კახეთში, 1819-1820 წლების აჯანყება იმერეთში. 1832 წლის შეთქმულებამ კი აშკარად დაადასტურა, რომ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერება უკვე შეუქცევადი პროცესი იყო, თუმცა ყოველივე ეს ეხებოდა ქართულ არისტოკრატიას და არა მთელ ქართველ ერს.

XIX-XX საუკუნეებში (1801-1917 წწ.) ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენა-გაძლიერების პროცესი ზოგადად კარგად არის ცნობილი. დღეს ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე - ქონების გადანაწილების პროცესზე საქართველოში და მის გავლენაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე (XIX-XXI სს.).

რევოლუციის გამარჯვებად ტრადიციულად პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა აღიქმება. სინამდვილეში კი რევოლუციის საბოლოო გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება ქონების გადანაწილების პროცესი სახელმწიფოში ანუ დათმობენ თუ არა ქონებას (ან მის უდიდეს ნაწილს მაინც) ის კლასები, რომლებიც რევოლუციის მიერ დამხობილი ხელისუფლების სოციალურ და ეკონომიკურ საყრდენს წარმოადგენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუცია მიზანს ვერ მიაღწევს და მას მალე შეიძლება მოჰყვეს სრულიად ლოგიკური მოვლენა - კონტრრევოლუცია. სწორედ ამიტომ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა მიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა მიზნის მისაღწევად - ქონების გადანაწილების განსახორციელებლად.

რევოლუციის გზით პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისის რევოლუციამ (XVII საუკუნის შუახანები), ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციამ (XVIII საუკუნის დასასრული), ქონების გადანაწილების ისეთი პრინციპები წამოაყენა და გაატარა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ სახელმწიფოებრიობას - ბურჟუაზიულ სახელმწიფოს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ცხადია, ქონების თანასწორად გადანაწილება უტოპია იყო. სამაგიეროდ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ როგორც დიდი, ისე საშუალო და მცირე ეკონომიკური შეძლების მოქალაქეებს მისცა პოლიტიკური თანასწორობა (საარჩევნო და სხვა უფლებანი), ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია (პიროვნების ხელშეუხებლობა, კანონის წინაშე თანასწორობა და სხვ.), საბაზრო ეკონომიკა (თავისუფალი კონკურენციის პირობებში ქონების დაგროვების უფლება და სხვ.). ყოველივე ეს ადამიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ გამოირიცხა სერიოზული კონტრრევოლუცია, ან საერთო-ეროვნული სოციალური ამბოხის შესაძლებლობა. ეს კი სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების გარანტიას იძლეოდა. ყოველივე ამან განსაზღვრა ინგლისელისა და ფრანგის ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება, პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრიობის მძაფრი შეგრძნება.

პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ქონების გადანაწილება ვერ შეძლო რუსეთის იმ პოლიტიკურმა ელიტამ, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლებას 1917 წლის

თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ დაეუფლა. ამის უშუალო შედეგი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რაც 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებითა და დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბებით დასრულდა. შედეგი მეტად სავალალო იყო. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ნაცვლად რუსეთში ჩამოყალიბდა სოციალური ჯგუფებისა და კლასების (პარტიულ-კლანური) ცნობიერება. საბჭოთა (ბოლშევიკურმა) იდეოლოგიამ ეს პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა, რადგან სოციალური ჯგუფებისა და კლასების ცნობიერების გაძლიერება დიქტატორული რეჟიმის სიმტკიცის აუცილებელი პირობა იყო. ბოლშევიკებმა რეალურად არ დაუშვეს არაფერი, რაც ხელს უწყობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას (პოლიტიკური თანასწორობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, საბაზრო ეკონომიკა).

ქონების გადანაწილება და მის შესაბამისად ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ჩამოყალიბება რევოლუციის გარეშეც შეიძლება. ამის მცდელობის მაგალითი მოგვცეს მეფის რუსეთმა და პრუსიამ. ბატონყმობის გაუქმება (მემამულეთა მიწის ნაწილის გლეხთა ხელში გადასვლა), სასამართლო რეფორმა (წოდებრივი სასამართლოს გაუქმება და ყველა მოქალაქისათვის ერთიანი სასამართლოს დაწესება), სასოფლო მმართველობის რეფორმა (გლეხობის მონაწილეობა სოფლის მმართველობაში), საქალაქო მმართველობის რეფორმა (მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქის მმართველობაში) იმის მომასწავებელი იყო, რომ ძველი ეკონომიკური და სოციალური სისტემა ნგრევას იწყებდა. ქონების გადანაწილებას აუცილებლად მოჰყვებოდა პოლიტიკური სისტემის შეცვლა. წარმატებით დაწყებული პროცესი, გარკვეული მიზეზების გამო, შეფერხდა, რამაც საბოლოოდ 1905-1907 წლების რევოლუცია გამოიწვია. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, ქონების გადანაწილების პროცესი ცალმხრივად (მხოლოდ სოფლად) განვითარდა, საყოველთაოდ ვერ იქცა, ვერ ჩამოყალიბდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ამან კი რუსეთი მეორე რევოლუციის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

რევოლუციის გარეშე ქონების გადანაწილების პროცესი წარმატებით განვითარდა პრუსიაში, რამაც, სხვა შედეგებთან ერთად, ძლიერი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაჩენაც გამოიწვია.

ქონების გადანაწილების პროცესი თავისებურად მიმდინარეობდა საქართველოში, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართველის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება.

XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში არსებულ სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის ქონების გადანაწილება ასეთ სურათს იძლეოდა. მრეწველობის არ არსებობისა და ძალზე სუსტად განვითარებული ხელოსნობისა და ვაჭრობის პირობებში იმ პერიოდისათვის საქართველოში წარმოების მთავარ საშუალებას მიწა წარმოადგენდა. მიწის მთელი ფონდი გადანაწილებული იყო სამეფო ოჯახს, არისტოკრატიას (თავადებს, აზნაურებს) და ეკლესიას შორის. წარმოების საშუალების გარეშე (მიწის საკუთრებაში ფლობის გარეშე) იყო დარჩენილი ერის უდიდესი ნაწილი - გლეხობა. გლეხობაში ანუ ერის აბსოლუტურ უმრავლესობაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღორძინება-გაძლიერების აუცილებელ პირობას

გლეხის მიწის მესაკუთრედ ქცევა წარმოადგენდა. მოვლენები კი სულ სხვაგვარად განვითარდა. სამეფო ოჯახის წევრთა მიწები რუსეთის სახელმწიფო უწყების განკარგულებაში გადავიდა, ხოლო საქართველოს ეკლესიისა - რუსეთის ეკლესიის მფლობელობაში. არისტოკრატიამ (თავადებმა, აზნაურებმა) მიწა შეინარჩუნა. რუსეთის გლეხობის მსგავსად ქართველი გლეხობა მიწის მესაკუთრედ ვერ იქცა. ბატონყმობა ჯერჯერობით ძალაში რჩებოდა.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, კაპიტალის დაგროვების პროცესის დაწყებას და ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას. ბურჟუაზიას თავიდანვე უყალიბდება ეროვნული ცნობიერება, რადგან მისი არსებობის აუცილებელი პირობაა ქვეყნის ბაზრის დაცვა კონკურენტებისაგან. ამ რთულ საქმეს ეროვნული ბურჟუაზია, ცხადია, თავს მარტო ვერ ართმევს და იგი უცხო ქვეყნების ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისთვის მიმართავს ხალხს. თავისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ბურჟუაზიას ხალხში შეაქვს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის, ცხადია, საქართველოში პროცესის ასეთი გზით განვითარება სასურველი არ იყო. ქართული ეროვნული ბურჟუაზია პოლიტიკურ ძალად არ უნდა ქცეულიყო. სწორედ ამიტომ რუსეთის საიმპერატორო კარმა და კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა არაქართული ბურჟუაზიის (ძირითადად სომხურის) ხელში აღმოჩენილიყო. სომხურმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში ხელოსნობა და ვაჭრობა, წვრილი სამრეწველო საწარმოები და ბოლოს - ფაბრიკა-ქარხნები.

მდგომარეობის ხსნა კიდევ შეიძლებოდა თუ მიწა ქართული არისტოკრატიისა და გლეხობის ხელში დარჩებოდა. მოვლენათა განვითარებამ ამ შემთხვევაშიც სავალალო ხასიათი შეიძინა. საქართველოს დაპყრობისთანავე (XIX საუკუნის დამდეგი) რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართული არისტოკრატია, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი სოციალური ძალა, განდევნა სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროდან. მნიშვნელოვან თუ შედარებით უმნიშვნელო სახელმწიფო თანამდებობაზე მხოლოდ უცხოტომელები (რუსები, სომხები და ა.შ.) ინიშნებოდნენ. ქართულმა არისტოკრატიამ შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო (ჯამაგირი) დაკარგა. შემოსავლის ერთადერთ წყაროდ რჩებოდა მიწა. საქართველოში მაიორატის სისტემის არარსებობის გამო არისტოკრატიული საგვარეულოების მფლობელობაში არსებული მიწის ფონდი დაუსრულებლად ნაწილდებოდა ოჯახის წევრებს (შვილებს) შორის. ამიტომ თითოეული ოჯახის მფლობელობაში არსებული მიწის რაოდენობა სულ უფრო მცირდებოდა, კლებულობდა მამულიდან მიღებული შემოსავალიც. ხ ხ საუკუნის დამდეგისათვის, რომ არაფერი ვთქვათ საშუალო და წვრილ აზნაურობაზე, თვით ცნობილი თავადური საგვარეულოების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი მცირე მიწას ფლობდა, ე.ი. მცირე იყო მამულიდან მიღებული შემოსავალიც. 1832 წლისათვის ქართლისა და კახეთის ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენელთა დიდ ნაწილს მიწა იმდენად მცირე შემოსავალს აძლევდა, რომ მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თუ კმაროდა. ამ შემოსავლით შეუძლებელი იყო, მაგალითად, შვილებისათვის რუსეთში ან საზღვარგარეთ განათლების მიცემა, ოჯახისათვის პროფესიონალი ექიმის დაქირავება,

თანამედროვე ევროპული ტანსაცმლისა და ავეჯის შეძენა, მთელი წლის მანძილზე ქალაქში ცხოვრება და ა.შ. ფულის ნაკლებობის გამო ქართულმა არისტოკრატიამ მასობრივად დაიწყო ვალის აღება სომხური ბურჟუაზიისაგან, რაც მალე ძვირად დაუჯდა. თუ არისტოკრატიის ნაწილმა მიწა დაკარგა პირდაპირი გაყიდვის გზით, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ვალების გადაუხდელობის გამო გახდა იძულებული მიწა გაეყიდა. ორივე შემთხვევაში მიწის მყიდველი ისევ არაქართული (ძირითადად სომხური) ბურჟუაზია იყო.

საქართველოში რუსეთის გაბატონების სამოცი წლისთავზე (XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის) ქონების გადანაწილების პროცესის თავისებურებათა გამო პრაქტიკულად ვერ ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული ბურჟუაზია, ანუ არ არსებობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი და მისი ხალხში შემტანი ორგანიზებული პოლიტიკური ძალა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება ძლიერი იყო ქართულ არისტოკრატიაში, მაგრამ დიდი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ქართული არისტოკრატია მოკლებული იყო ეკონომიკურ სახსარს, რაც აუცილებელი იყო ხალხში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების შეტანისათვის, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის საიმპერატორო კარის, კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციისა და უცხოტომელი ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასაძლევად. ასეთ მძიმე, თითქმის უიმედო, ვითარებაში დიდი ტრადიციების მქონე ქართულმა არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენისათვის. ამ მოძრაობას სათავეში ედგა მოღვაწეთა დასი ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო მიზნის მისაღწევად: დიდი წინამძღოლი, მოღვაწეთა ბრწყინვალე დასი, შესანიშნავი პროგრამა, პროგრამის განხორციელების კარგად გააზრებული გზები. არ ჰქონდა მხოლოდ ერთი რამ: პროგრამის რეალიზებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი. ქვეყანაში არ იყო არც ეროვნული ბურჟუაზია (დიდი კაპიტალის მფლობელი ბურჟუაზია) და არც საშუალო და წვრილ კერძო მესაკუთრეთა ფენა (გლეხობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები). მართალია, ბატონყმობა ამ დროისათვის უკვე გაუქმებული იყო, მაგრამ საგლეხო რეფორმის განსაკუთრებული ხასიათის გამო ქართველი გლეხობა კერძო მესაკუთრეთა შეძლებულ ფენად ვერ ჩამოყალიბდა. ხელისუფლების მხარდაჭერისა და უკვე დაგროვილი კაპიტალის წყალობით სომხურმა ბურჟუაზიამ არც წარმოების (მრეწველობის) და არც ვაჭრობის სფერო არ დაუთმო ქართველობას. მართალია საგლეხო რეფორმის ძალით გლეხმა მიწა მიიღო (კერძო მესაკუთრე გახდა), მაგრამ კანონით გლეხს მიღებული (მემამულისაგან გამოსყიდული) მიწის გაყიდვა ეკრძალებოდა. სერიოზული კაპიტალის გარეშე კი გლეხს ქალაქში წასვლა და საბაზრო ეკონომიკის უპირატესობით სარგებლობა (ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმა) არ შეეძლო.

სოფლად მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ შეაფერხა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება, მდიდარი გლეხობის ფენის (ფერმერების) წარმოქმნისა და სოფლად დაგროვილი კაპიტალის ქალაქში გადატანის პროცესი. სომხური ბურჟუაზია კონკურენციისაგან დაცული აღმოჩნდა. სოფლად დარჩენილი ქართველი გლეხი კი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მცირე მიწაზე მეურნეობის მოწყობა და შეძლებულ მესაკუთრედ გადაქცევა ძნელი იყო.

საგლეხო რეფორმის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ქართული არისტოკრატიის მიწების სომხური ბურჟუაზიის ხელში გადასვლა. ასეთ ვითარებაში ქართული ეროვნული ბურჟუაზია ნელა იმართებოდა წელში და საბოლოოდ 1917-1918 წლებისათვის სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა. მას მუდმივად თრგუნავდა სომხური და რუსული კაპიტალი.

ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ორმოცდაათწლიანი ბრძოლის შედეგად, მართალია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება კი გაძლიერდა, მაგრამ მის გვერდით სულ უფრო იკიდებდა ფეხს კლასობრივი და პარტიული ცნობიერება. კლასობრივი და პარტიული ცნობიერების გაძლიერების მაუწყებელი იყო 1905-1907 წლების რევოლუცია - XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების) მოსპობის სერიოზული მცდელობა.

1917-1918 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ 1905-1907 წლების რევოლუციამ ვერ მოსპო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. თუმცა ცხადი გახდა, რომ მუშების და გლეხების გარდა კლასობრივმა და პარტიულმა ცნობიერებამ ფეხი მოიკიდა ქართულ არისტოკრატიაში. თითქმის აუხსნელია, თუ რატომ აღმოჩნდა ქართული არისტოკრატიის (თავადების, აზნაურების) ნაწილი სოციალისტური ორიენტაციის პარტიებში, რატომ განდევნა მათი ცნობიერებიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კლასობრივმა და პარტიულმა. ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. ქონების გადანაწილების პროცესმა, რომელიც XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო და განსაკუთრებით დაჩქარდა XIX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებიდან, ქართული არისტოკრატია ფენებად დაშალა.

არისტოკრატიის მცირე ნაწილმა, ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება შეინარჩუნა. არისტოკრატიის უდიდესი ნაწილი, რომელიც ძალზე მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყო, ორად აღმოჩნდა გაყოფილი. ერთმა ნაწილმა სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიულ სისტემებში მოიკალათა. მათ უმრავლესობას აღარ გააჩნდა ეროვნული ცნობიერება. მეორე ნაწილი სოციალისტურ მოძრაობაში ჩაება, სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლა გაიხადა მიზნად და საერთოდ დაკარგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება. ეს იყო დიდი ეროვნული ტრაგედია. ცოტა მოგვიანებით, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ნათელი გახდა, რომ ქართველი ერი ურთულესი პრობლემის წინაშე იდგა - XIX-XX საუკუნეთა (1801-1917 წწ.) განმავლობაში საქართველოში მიმდინარე ქონების გადანაწილების პროცესის თანამდევი უარყოფითი მოვლენები დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოს. სწორედ ქონების გადანაწილების შედეგი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების სავალალო თანაფარდობა.

პოლიტიკური ელიტა (არისტოკრატიის, სამღვდელოების, გლეხობის, მუშების, ვაჭრების წარმომადგენლები) მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებით როდი იყო გამსჭვალული. მასში წარმოდგენელი იყვნენ კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების მატარებელი მოღვაწეები. პოლიტიკური ელიტა აშკარად ორად იყო გახლეჩილი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ ელიტაში, თუნდაც 20-25 წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით,

დიდი ცვლილებები მოხდა - კლასობრივი (პარტიული) ცნობიერება აშკარად ჩრდილავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტურ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური და ანარქისტული იდეებით იყო გატაცებული. შედარებით მცირე ნაწილი (ეროვნულ-დემოკრატები და უპარტიოები) ინარჩუნებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. ეს ცხადად იგრძნობოდა, როგორც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ოგრანოში(ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში, დამფუძნებელ კრებაში), ისე უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (მთავრობაში).

